

# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით

ფასი 1,50 ლარი

20 აპრილი 2012 №8(164)

ელგუჯა ბერძენიშვილი ვიტრაჟის ოსტატზე  
ზაქარია თამირის გაზაფხული ფერფლში  
ზურაბ ავალიშვილის პოლიტიკური ესეი  
განუმეორებელი ხასიათების სამყაროში  
გუსტავ ფლობერის ეტიუდი რაბლეზე  
სწრაფვა დასავლური სივრცისაკენ  
ინტერვიუ დავით დვალიშვილთან  
ნანა კუცია ნაირა გელაშვილზე  
საუბარი თემურ ჩხეიძესთან  
ჯანო ჯიქიძის მოთხრობა  
ედგარ პოს სიჩუმე



## შინაარსი

<b>ერი და გედისწარი</b>	<b>2</b>	<b>ზურაბ ავალიშვილი კავკასიის სალხები და ირადენტიზმი</b>
<b>აინტროდუქცი</b>	<b>5</b>	<b>თეონა გოგიტიძე უკეთი გავაგვანით ჯონ ნიშენი</b>
<b>მსარს-მინტარვი</b>	<b>6</b>	<b>დავით დვალისვილი „საყვარელი საქმიანობა — ვაზის მოვლა“</b> (მომზადა ნინო ჩხიკვიშვილმა)
<b>არღვა</b>	<b>7</b>	<b>ჯანო ჯიქიძე სსუი ანუ ლიზაროს, ლიზაროს!..</b>
<b>ნამსარვი</b>	<b>20</b>	<b>გიორგი გაბუნია აპაკის „ექსპრომტ-გამოცანის“ გაშიფრისათვის</b>
<b>აოვი</b>	<b>21</b>	<b>ლალი ხვედელიანი ვარდისფერი კამა და სსვა ლექსები</b>
	<b>23</b>	<b>ბელა ჩეკურიშვილი ვრანი და სსვა ლექსები</b>
	<b>24</b>	<b>თამარ შაიშველაშვილი ცრამლები ხალისგულზე და სსვა ლექსები</b>
<b>ასინტიკა</b>	<b>27</b>	<b>გუსტავ ფლობერი ეტიუდი რაბლეზე</b>
<b>უსოეთის სსოვრავიდან</b>	<b>32</b>	<b>მერაბ კალანდაძე ალექსანდრა დიუმა და ნაკოლეონი</b>
<b>ღიალოგი</b>	<b>36</b>	<b>ის... რაც ყველაზე მთავარია ცსოვრავაში</b> (ნინო ჩხიკვიშვილს ესაუბრება თემურ ჩხეიძე)
<b>რეპორტაჟი</b>	<b>40</b>	<b>ეკა ბუჯიაშვილი მათ ჯადოსნური ქუდი ახურავთ</b> (შეხვედრა ძმებ კალანდიებთან)
<b>წოთები და წლები</b>	<b>45</b>	<b>ნანა კუცია სევიანი სიმღერა</b> (ნაირა გელაშვილის „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“)
<b>კრიტიკა</b>	<b>48</b>	<b>როსტომ ჩხეიძე სნრაფვა დასავლური სივრცისაკენ</b> (დღევანდელი ქართული პროზა თვალის გადავლებით)
<b>გამოსმარვა</b>	<b>52</b>	<b>მარინე ტურავა განმეორავალი ხასიათების სამყაროში</b> (ნინო ნიკლაურის ნოველები)
<b>ლიბრავრული ცსოვრავა</b>	<b>54</b>	<b>თამარ ადამია ორსახოვანი ერთიანობა</b> (შეხვედრა ჯემალ აჯიაშვილთან)
<b>გამოსმარვა</b>	<b>56</b>	<b>თამარ სიდამონიძე ლექსის კავრიზი</b> (ვერიკო ზამთარაძის ლექსების ახალი რკალი)
<b>აოვიის მარიღიანები</b>	<b>57</b>	<b>ეგარ პო სიწმი</b>
<b>მარღი ხალოვნება</b>	<b>58</b>	<b>ელგუჯა ბერძენიშვილი ვიტრაჟის ოსტატი</b> (ვახტანგ ქოქიაშვილი)
<b>უსოური ნოველა</b>	<b>60</b>	<b>ზაქარია თამირი გაზაფხული ფარფლი</b>
<b>მოზიკა</b>	<b>63</b>	<b>უნამუნო და ასტრაი</b>

**ორკვირული ჟურნალი**

დამფუძნებელი „ილიონი“

მისამართი: თბილისი,  
ჩუბინაშვილის №41

რედაქცია – (995 322) 96\_20\_62

რეკლამა – (995 93) 65\_93\_68

გავრცელება – (995 77) 11\_24\_30

ფაქსი: (995 322) 96\_20\_62

E\_mail: info@mtserloba.ge

მთავარი რედაქტორი – როსტომ ჩხეიძე

პროზის რედაქტორი – ივანე ამირხანაშვილი

პოეზიის რედაქტორი – მაკა ჯოხაძე

კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – თამაზ ნატროშვილი

მხატვრული რედაქტორი – კარლო ფაჩულია დიზაინერი – მალხაზ იაშვილი

სტილისტ—კორექტორი – ნინო დეკანოიძე დაკაბადონება – თენგიზ რობიტაშვილი

ოპერატორი – თამარ ჩხილაძე სარეკლამო მენეჯერი – ეკა ბუჯიაშვილი

გავრცელების სამსახური – ლევან კიკნაძე

გარეკანზე: ბელა ჩეკურიშვილი, თემურ კულიანის ფოტოგრაფიული  
პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი



ზურაბ ავალიშვილის ნარკვევი „კავკასიის ხალხები და ირედენტიზმი“ რუსულენოვანი ჟურნალის „კავკაზის“ 1937 წლის ივლისის ნომერში დაიბეჭდა. გასული საუკუნის 30-იანი წლების მეორე ნახევრიდან მსოფლიო პოლიტიკაში სულ უფრო აშკარად იგრძნობოდა რადიკალურ ცვლილებათა მოახლოება. სხვადასხვა პოლიტიკურ შეხედულებათა და ორიენტაციის მქონე ქართული ემიგრაციის წარმომადგენლები სერიოზულად ფიქრობდნენ მსოფლიოს შესაძლო გადანაწილებისას კავკასიისა და კერძოდ საქართველოს როლსა და ადგილზე. ამის შესახებ ბევრი ინერგობდა მაშინდელ ემიგრანტულ პრესაში, მიმდინარეობდა დებატები, ჩაკეტილ საბჭოთა საქართველოში კი ამ დროს დიდი ტერორი მძვინვარებდა.

რაოდენ წინააღმდეგობრივც უნდა ყოფილიყო ქართული ემიგრაციის დამოკიდებულება რუსულენოვანი „კავკაზის“ (1934-39 წწ.) და ქართული „კავკასიის“ (1937-39 წწ.) მიმართ, ორივეგან მოთავსებული ზურაბ ავალიშვილის წერილები უაღრესი პოლიტიკური რეალიზმით გამოირჩევა. ეს მრავალი წლის შემდეგაც დადასტურდა, როდესაც საბჭოთა იმპერიის დაშლის შედეგად ამიერკავკასიის რესპუბლიკებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს.

დღეს საქართველოსა და თურქეთს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყარებული, ყოველ შემთხვევაში, ორ ქვეყანას შორის ამაზე უკეთესი ურთიერთობა არასოდეს ყოფილა, ისტორიის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე. 1992 წელს ორივე მხარემ 1921 წელს დადგენილი საზღვრების ურყევობა აღიარა. მეგობრობისა და კეთილმეზობლობის სულისკვეთებით ვითარდება საქართველო-აზერბაიჯანის ურთიერთობა და აზერბაიჯანიც თავის ადგილს უფრო კავკასიაში ხედავს, ვიდრე პანთურქიზმით მოაზრებულ თურანულ სამყაროში — ჩინეთიდან ხმელთაშუა ზღვამდე.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ირედენტიზმი — როგორც აგრესიული ნაციონალიზმის გამოვლინება — ცივილიზებული ერების მიერ უარყოფილია, განსაკუთრებით ევროპაში. ამჟამად პრიორიტეტულია სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობა, ხოლო სახელმწიფოებში ეროვნულ უმცირესობათა ინტერესების დასაცავად სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებია მონაწილეული.

ზურაბ ავალიშვილი

# კავკასიის ხალხები და ირედენტიზმი

საყოველთაოდ ხელმისაწვდომი ლექსიკონი გვამცნობს, რომ ირედენტიზმი არის „დოქტრინა, რომლის თანახმადაც იტალიის შემადგენლობაში უნდა შევიდეს მის საზღვრებს გარეთ მდებარე მიწა-წყალი, რომელიც მასთან ერთად და ზნე-ჩვეულებებით არის დაკავშირებული, მაგრამ გამოყოფილია მისგან პოლიტიკური მიზეზებით“. იტალია დიდი სახელმწიფოა, თავისი ეს დოქტრინა მან მნიშვნელოვანწილად განახორციელა, მაგრამ არა სავსებით. მაღტა, კორსიკა, ნიცა მის საზღვრებს მიღმა რჩებიან „გაუნთავისუფლებლნი“. კეთილსმყოფელ გარემოებათა წყალობით, ზოგიერთი არცთუ მნიშვნელოვანი, მაგრამ დამოუკიდებელი და მკვიდრად მონყობილი სახელმწიფოების ირედენტიზმი ილბლიანი აღმოჩნდა, მაგალითად რუმინეთი, სერბეთი... თავად გამოთქმა, იტალიის წყალობით, დიდი ხანია შემოვიდა მიმოქცევაში, არსებითად კი ირედენტიზმის პოლიტიკა აღმოჩნდა ეროვნული საკითხის ერთ-ერთ მამოძრავებელ ძალად ევროპაში და არც ომის მიზეზთა შორის ყოფილა უკანასკნელი, უფრო ზუსტად, 1914 და შემდგომი წლების ომების.

სამწუხაროდ, ირედენტიზმის არცთუ წარმატებული მაგალითებიც არის ცნობილი. დიდი უბედურება იყო ე.წ. რუსეთის სომხეთისათვის — დაპყრობილი ქვეყნისათვის და მისი ასევე დაპყრობილი მეზობლებისათვის სომხური ირედენტიზმი: მან სრულ გაჩანაგებად მიიყვანა „მასთან ერთად და ზნე-ჩვეულებებით დაკავშირებული“ მეზობელი ქვეყანა, ანუ თურქეთის სომხეთი. ახლაც კი სომხური ირედენტიზმი მიმართლია იქითკენ, რომ სომხეთში მოაქციოს საქართველოსა და აზერბაიჯანის ზოგიერთი ტერიტორიები. მაგრამ ეს შიდა კავკასიურ ურთიერთობათა სფეროს განეკუთვნება.

საერთოდ, ირედენტიზმი ფუფუნებაა, რომელიც ყველა ხალხისთვის არ არის ხელმისაწვდომი, იგი მიდრეკილება — ცაა, რომელიც ყველა ვითარებაში არ იმსახურებს წახალისებას. ირედენტიზმი ყოველთვის არ არის გამართლებული და საკმაოდ ხშირად არ პასუხობს სასიცოცხლო აუცილებლობას. ყველასათვის ცნობილია და გასაგები უდიდესი მნიშვნელობა გერმანული ან უნგრული ირედენტიზმისა.

უბედურება იქნებოდა ირედენტიზმის წარმოშობა ყველგან, სადაც სახელმწიფო საზღვრები ეთნიკურს არ ემთხვევა. სინამდვილეში ასე არ მოხდა. XVII საუკუნეში საფრანგეთის მონარქიამ ფლანდრიის საკმაოდ დიდი ნაწილი მიითვალა, მაგრამ რალაც არაფერი ისმის ბელგიელების ან სულაც ფლამანდიელების სურვილის შესახებ დაიბრუნონ ლილი ან მთლიანად ჩრდილოეთი დეპარტამენტი. ეს მაგალითი სრულებითაც არ არის ერთადერთი.

ახლო წარსულმა დაგვანახა, რომ ირედენტიზმის ცეცხლთან თამაში, კავკასიის სამხრეთ საზღვარზე, უკიდურესად სარისკოა. თუმცა სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ 1914 წელს სომხებისათვის ირედენტიზმი არ ყოფილა მარტოოდენ თამაში; იყო ბუნებრივი და სერიოზული სურვილი თავისი ორად გაყოფილი ერის გაერთიანებისა. ამ პოლიტიკის ახსნას, გარკვეულწილად, მაშინდელი პოლიტიკური ვითარება იძლეოდა. სხვა რომელიმე, ირედენტიზმის მსგავსი მიმდინარეობები არ არსებობდა. ომში რომ რუსეთს გაემარჯვა, თურქეთი ალბათ დაკარგავდა, რუსეთი კი შეიძენდა ისტორიული საქართველოს თურქეთის მფლობელობაში დარჩენილ ნაწილებს. დასრულდებოდა ის, რაც დაიწყო 1828 წელს ახალციხისა და ახალქალაქის დაპყრობით და გაგრძელდა 1878 წელს ბათუმის, არტაანის, ართვინის და ოლთისის შემოერთებით. რასაკვირველია, არ შეიძლება თქმა, რომ საქართველო აქ არაფერ შუაში იქნებოდა; თუმცა ეს უპირატესად რუსეთის იმპერიის საქმე იქნებოდა და არა ქართული ირედენტიზმისა.

დღესდღეობით შეუძლებელია კავკასიის ხალხებმა 1914 წლის თვალთ შეხედონ საგნებს, როცა კავკასიაში რუსეთისა და ოტომანთა იმპერიები შეეჯახნენ ერთმანეთს, ან 1918-ის, როცა გარკვეული ხნით გერმანელები თბილისში, ხოლო თურქები ბაქოში იყვნენ და ბოლოს, არც 1920-ის, როცა გადამწყდა თურქეთის დანაწევრება. კავკასიის ხალხებს არ შეუძლიათ სინამდვილეს უყურონ ისტორიული, ჩვეულებრივ ცალმხრივი, მოგონების შუქზე ან ეროვნული სენტიმენტა-

ლიზმის სათვალთ. უნდა ვიფიქროთ, რომ პოლიტიკურად და ეროვნულად მომნიშვნელოვანი, ისინი ანგარიშს უწევენ ახლო აღმოსავლეთში შექმნილი პოლიტიკური ნონასწორობის პირობებს. მათ თვალწინ არის ირანისა და თურქეთის ერთდროული ეროვნული აღორძინების სრულიად ახალი და დიდმნიშვნელოვანი ფაქტი. ჩვენც უპირატესად ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ აქ თეორიული ირედენტიზმების შესაძლო სფეროს — კავკასიის სამხრეთ საზღვრის პოლიტიკური მნიშვნელობა. სიმართლე უნდა ითქვას, უკვე დიდი ხანია ამ საზღვრის მოხაზულობა ძალიან ნაკლებ არის დამოკიდებული თავად კავკასიის ერებზე. განსხვავებული საზღვრის სპარსული და თურქული ნაწილების მდგრადობის ხარისხიც.

კავკასიის საზღვარი სპარსეთთან მდ. არაქსის გაყოფებით და ასტარამდე კასპიის ზღვაზე — უცვლელი რჩება 1828 წლიდან, ანუ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში. პირიქით, კავკასიისა და თურქეთის საზღვარი, უხეშად რომ ვთქვათ, არარატსა და შავ ზღვას შორის, მსგავსი უცვლელი ნამდვილად არ გამოირჩევა. საზღვარმა იმ სახით, როგორც ის დადგინდა ბერლინის კონგრესზე 1878 წელს, როდესაც რუსეთმა მიიღო ყარსი, ბათუმი და არტანის, თუ არ ჩავთვლით 1914 წლის და შემდგომი წლების მოვლენებს, 40 წელიწადს იარსება, ანუ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებამდე. ამ, 1918 წლის 3 მარტს ხელმოწერილი აქტით, პრინციპში აღდგა ძველი საზღვარი, რომელიც ძალაში იყო 1878 წლამდე.

ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების დადებისთანავე, საკითხი იურიდიულადაც და ფაქტიურადაც გართულდა, თურქეთისა და ირანის მეზობლად, ჯერ ამიერკავკასიის რესპუბლიკის შექმნის წყალობით 1918 წლის გაზაფხულზე, შემდეგ კი მალევე მის ადგილას დამოუკიდებელი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის წარმოქმნით.

1918 წელს თურქეთმა ძლივს მოასწრო 1878 წელს დათმობილი პროვინციების დაბრუნება, რუსეთის რევოლუციის წყალობით, რომ მალევე დაკარგა ისინი, რადგან იმავე 1918 წლის დამლევეს დამთავრდა 1914 წელს დაწყებული ომი. დამთავრდა იგი გერმანიისა და მისი მოკავშირეების დამარცხებით, რომელთა შორის იყო თურქეთიც. ოტომანთა იმპერიასთან ანგარიშსწორებისას გამარჯვებული სახელმწიფოები — ინგლისი, საფრანგეთი, იტალია, სხვათა შორის, დამოუკიდებელი სომხეთის შექმნასაც ვარაუდობდნენ, სომხეთ-თურქეთის გამიჯვნის წესის მითითებით. იმავდროულად, ისინი აპირებდნენ ზოგიერთი საერთო კავკასიური საკითხის გადაწყვეტასაც, მაგალითად ბათუმის. საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრის გაკლება, კერძოდ ყარსის ოლქში, თავად საქართველოსა და სომხეთის საქმე უნდა ყოფილიყო. სომხეთი ერთგვარ ბარიერს შექმნიდა თურქეთსა და კავკასიას შორის და ა.შ.



ზურაბ ავალიშვილი

ყველა ამ მიზნის განსახორციელებლად მოწოდებული იყო 1920 წლის სევრის ხელშეკრულება, თუმცა იგი თავიდანვე მკვედრად შობილი აღმოჩნდა. სახალხო თურქეთმა შესაძლო დიდი სახელმწიფოებისთვის წინააღმდეგობის გაწევა, იმ დროს, როცა თანდათანობით, მართალია სხვა საწყისებზე, საბჭოთა რუსეთის პოზიციების აღდგენა ხდებოდა კავკასიაში. როგორც ცნობილია, კავკასიის დამოუკიდებელმა რესპუბლიკებმა ვერ იმარჯვეს 1920-21 წლებში და კავკასიის სამხრეთ საზღვარი —

უფრო ზუსტად, საქართველოსა და სომხეთის, საბოლოოდ თურქეთისა და საბჭოების ორმხრივი შეთანხმებით დადგინდა. ამ ხელშეკრულებით თურქებმა კიდევ ერთხელ მიიღეს უკან 1878 წელს დაკარგული და 1918 წელს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მათთვის დათმობილი ტერიტორიები, ანუ ისევ და ისევ ყარსის, ბათუმისა და არტანის სანჯაყები, ოღონდ ამჯერად ბათუმისა და ბათუმის ოკრუგის ჩრდილო ნაწილის გარეშე. სამაგიეროდ, თურქებისათვის სუფთა მოგება იყო ყოფილი ერევნის გუბერნიის სურმალის მაზრის შექმნა ქალაქ იგდირით და უფრო ცნობილი არარატით.

1878 წლის საზღვარი გადიოდა რუსეთისა და ოტომანთა იმპერიებს შორის. რაც შეეხება 1921 წლის საზღვარს, იგი დაიდო რესპუბლიკურ თურქეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. რასაკვირველია, ეს საზღვარი დადგინდა არა მხოლოდ თურქეთსა და კავკასიას შორის არსებული ძალთა ნონასწორობით — უფრო ზუსტი იქნებოდა საუბარი საქართველოზე და სომხეთზე — არამედ უმთავრესად ოტომანთა იმპერიასა და რუსეთს შორის 1918 წელს, ხოლო 1921 წელს თურქეთის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირს შორის. ამ ნონასწორობით განპირობებულია კავკასიის სამხრეთ საზღვრის ახლანდელი მდგრადობა აგერ უკვე 16 წლის განმავლობაში.

ბერლინის ტრაქტატის 1878 წლის დადგენილებებთან შედარებით, 1921 წლის კავკასიის საზღვრის არსებითი გასწორება თურქეთის სასარგებლოდ შედეგი იყო რუსეთის რევოლუციის, სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების მარცხისა და თურქეთ-საბჭოეთის მოულოდნელი სოლიდარობის 1918 წელს ომში გამარჯვებულ სახელმწიფოებთან ბრძოლაში. ეს სახელმწიფოები კავკასიის საერთაშორისო მოწყობისა და თურქეთ-კავკასიის, ანუ უპირატესად თურქეთ-სომხეთის გამიჯვნის საკითხებში დამარცხდნენ. 1920 წლის სევრის ხელშეკრულება ჯერ კიდევ ყველას ახსოვს და ამ დამარცხების უმნიშვნელოვანესი შედეგი იყო ყარსის ხელშეკრულება.

კავკასიის ხალხების დამოკიდებულება არ ყოფილა ერთგვაროვანი, მათთვის მნიშვნელოვანი და სხვებისთვის უმნიშვნელო, იმ ფაქტისადმი, რომ თურქეთი ხელახლა დაეუფლა ყარსს, არტანს, ართვინს და სხვა ადგილებს. კავკასიის გაერთიანების საკითხის მთელი სიძნელე თავს იჩენს,

ზოგიერთ, ძირითადად პოლიტიკურ საკითხთა მიმართ გრძნობების ძირეულ განსხვავებაში. აღნიშნულ ფაქტს ოდნავი წყენაც არ მიუყენებია არც მთიელებისათვის და არც აზერბაიჯანელებისათვის, უფრო კი პირიქით. სომხებისთვის კი ეს ნიშნავდა, როგორც გერმანელები იტყოდნენ, საარსებო სივრცის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვას, რომლის დაუფლებასაც სომხები გადაჭარბების გარეშე იმედოვნებდნენ. ზარალი, რომელიც საქართველოს მიადგა ბათუმის ოლქის მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვით, არც ისე დიდია, მაგრამ მაინც საგრძნობია. ყველა ეს ზარალი დიდი ხანია დაანგარიშებულია, მაგრამ საქმე ესემა არა ზარალს, არამედ იმას, თუ რა ადგილი უკავიათ თურქეთის მეზობელი ხალხების პოლიტიკურ მისწრაფებაში მათ მიერ განცდილ ტერიტორიულ დანაკარგებს? სომხეთის გრძნობები უფრო ცნობილია, ძალზე ძნელია მათთვის ჯვარი დაუსვან დაკარგულს, როგორც ეს გააკეთეს ბერძნებმა, როცა დატოვეს თავიანთი სამოსახლო მცირე აზიაში.

როგორია ქართველების დამოკიდებულება ე.წ. სამუსლიმანო, ანუ თურქეთის საქართველოს იმ ნაწილების მიმართ, რომლებიც ამჟამად თურქეთის შემადგენლობაშია? უპირატესად ეს არის ყოფილი ბათუმის ოლქი, ამჟამად ართვინის ვილაიეთი და ზოგიერთი ყაზა ყარსისა და ერზურუმის ვილაიეთებში. ქართველებს შორის იმის გამოც იშვიათად გაისმის წუხილი, რომ ლაზისტანში ჩაკარგულან ქართველების, განსაკუთრებით კი მეგრელების სისხლით მონათესავე ლაზები. თუმცა პოლიტიკური მნიშვნელობა ამ სინანულს არ გააჩნია. უნდა ვაღიაროთ, რომ ლაზისტანი ქართული პოლიტიკისა და კულტურის მიღმა რჩებოდა. ნიკო მარი, რომელიც დაკვირვების იშვიათი უნარით გამოირჩეოდა, 1914 წელს, ომამდე ცოტა ხნით ადრე, აღნიშნავდა, რომ ლაზების ეროვნული გადაგვარებისა და გათურქების პროცესი ძალიან შორს იყო წასული. მიუხედავად იმისა, რომ ლაზისტანი არასოდეს მიაკუთვნებდნენ ე.წ. სამუსლიმანო საქართველოს, საქართველოსთვის ესოდენ ახლობელი ნაგლეჯიც ტრაპეზუნდის სამეფოსი, მასთან შეერთებული აღმორჩნდებოდა, თუკი განხორციელდებოდა 1920 წლის სევერის ხელშეკრულება და თუკი სომხეთ-საქართველოს გამიჯვნისას, რაც მაშინ შესაძლებელი ჩანდა, ლაზისტანის სანჯაყი (ამჟამად რიზეს ვილაიეთი) საქართველოს გადაეცემოდა. თუკი... გასაგებია, რომ ახლანდელ პირობებში საკითხი საერთოდ მოხსნილია. რაც შეეხება თურქეთის საქართველოს მტკვრის ზემო წელზე და ჭოროხზე, სადაც უამრავი სიძველის ძეგლია, აქ ბევრი, ძალიან ბევრი სამუშაოა ქართველი არქეოლოგისათვის, ისტორიკოსისათვის, მაგრამ პოლიტიკოსებს მოცემულ პირობებში, ვგონებ, არაფერი ესაქმებათ იქ. განსაკუთრებული ნიდავა ქართული ირედენტისათვის იქ არ ჩანს და მსგავსი მიმდინარეობის შესახებაც არაფერი ისმის. მოცლილი პუბლიცისტების მელანქოლიური შენიშვნები და შემთხვევითი პროგრამის ხმამალალი შეძახილი სათვალავში ჩასაგდები არ არის.

აქ საჭიროება აღარ არის შევხვით ისტორიულ მოგონებებს. ისინი უხვად გააჩნიათ ქართველებს და ამ მხრივ არც სომხები ჩამორჩებიან მათ, მითუმეტეს, რომ ქართველებსა და სომხებს წარსულშიაც უჭირთ ურთიერთგამიჯვნა. თუმცა მეხსიერება არც თურქებს წართმევიათ, პირიქით, ის ახლა განსაკუთრებული ძალით მუშაობს.

ცნობები იმის შესახებ, თუ რა ხდება იმ მხარეებში, ძალზე მწირია. აღწერის თანახმად (1927 წ.), ქართულად მოლაპარაკებები იქ საერთოდ არ აღინიშნებიან. როგორც ჩანს, მო-

სახლეობა, იმ ადგილებშიც კი, სადაც თურქულთან ერთად ქართულადაც ლაპარაკობენ, მშობლიურ ენად თურქულს უთითებს. ზუსტად ასევე, ამავე აღწერით, მთელ თურქეთში ჩერქეზული და საერთოდ კავკასიური წარმომავლობის მცხოვრებთა რაოდენობა ასი ათასს არ აღემატება.

თურქეთის მთავრობის მიერ მიღებულია მკაცრი ზომები, რათა გაძლიერდეს 1921 წელს შემოერთებული პროვინციების თურქული ხასიათი და იქ არ იქნან დაშვებული თურქეთისადმი მტრული ელემენტები. ეს დაკავშირებულია განსაზღვრული ყაიდის ეროვნულ სახელმწიფოდ თურქეთის გადაქცევის საკმაოდ სწორხაზოვან, საერთო პროგრამასთან. შესაძლებელია ამ ნიადგაზე ხდება თურქეთის კავკასიური წარმოშობის ქვეშევრდომთა, კერძოდ მუსლიმან ქართველთა შევიწროება. აქ მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლება. თურქეთის ქართველ მუსლიმანთა განათლების დონის ამაღლებასთან ერთად, კეთილმცოდნეობის პირობებში, ისინი უკეთ შეძლებდნენ თავიანთი მდგომარეობის აღქმას და ხელს შეუწყობდნენ თურქეთის ცოცხალ კავშირს საქართველოსთან, და საერთოდ კავკასიასთანაც.

სულთანთა თურქეთის ობსკურანტიზმის პირობებში ქართული მოსახლეობის მიერ ეროვნული სახის დაკარგვის პროცესი საკმაო წარმატებით მიდიოდა. XX საუკუნის ერთი გამოჩენილი რუსიფიკატორი ტყუილად არ ურჩევდა რუსეთის მთავრობას მიებაძათ ამ საქმეში თურქებისათვის. როგორი იქნება მომავალში თანამედროვე განათლების ნაყოფი თურქეთის ამ განაპირა მხარეში, ამაზე მსჯელობა ნაადრევია. ყოველ შემთხვევაში, აქაური მოსახლეობის ისლამისადმი ერთგულება განკერძოებისა და გათიშვის თავისებურ პირობებს ქმნიდა, რაც გამორიცხავდა ირედენტის მისი პირდაპირი მნიშვნელობით. რაც შეეხება ინტერესს ისტორიულს, სენტიმენტალურს და ნათესაურს კავშირის გრძნობებს, ამაზე ვერც ერთი თავისი თავის პატივისმცემელი ერი ვერ იტყვის უარს და ვერც სხვას ათქმევინებს.

თურქეთის მიერ 1878 წელს რუსთაგან დაპყრობილი სამი სანჯაყის ხელახლა დაუფლებას თავად თურქები სიამოვნებით ადარებდნენ საფრანგეთის შემადგენლობაში ელზასისა და ლოტარინგიის დაბრუნებას. ზედმეტია ლაპარაკი სამხედრო თვალსაზრისით თურქეთისათვის ყარსის მნიშვნელობაზე. ვინმეს განზრახვაზე წაართვას თურქებს ეს პროვინციები, არაფერი ისმის და არც თურქებს აქვთ ამის თაობაზე რაიმე ეჭვები. 1921 წლის ქირურგიული ოპერაციისაგან ტერიტორიულად დაზარალებულ კავკასიის ხალხებს — რამდენადაც შორიდან შეიძლება მსჯელობა — არანაირი განზრახვა და არც საშუალება არ გააჩნიათ დაემუქრონ ახლანდელი საზღვრის ხელშეუხებლობას. ჰოდა ამ ფაქტით, ახლანდელ ვითარებაში, საკითხი მთლიანად ამონურულია. სავარაუდოდ, იგივე შეიძლება ითქვას ამავე საზღვრის თურქეთის მხრიდან ხელყოფისაგან უსაფრთხოების შესახებ — რამდენადაც ეს საზღვარი დადგენილია თურქეთისა და საბჭოეთის ძალთა წონასწორობით. მაგრამ რაიმე განსაკუთრებული ხელშეუხებლობით ეს საზღვარი, რასაკვირველია, არ გამოირჩევა. არც არის საფუძველი ველოდოთ მის მიმართ განსაკუთრებით აღფრთოვანებულ დამოკიდებულებას, მასთან უშუალოდ დაკავშირებულ კავკასიის ხალხთა მხრიდან.

რა თქმა უნდა, ოდესმე კავკასიის დამოუკიდებელი კონფედერაცია რომ შექმნილიყო, მის ხალხებს კიდევ უფრო ნაკლები საფუძვლები ან საშუალებები ექნებოდათ საზღვრის გადა-

ხედვის მისალწევად. ეს საკმაოდ ცნობილია და გასაგები ყველასთვის, ვინც ასეთი საკითხებით არის დაინტერესებული.

ისე კი კარგა ხანია დადგა დრო, კავკასიის სამხრეთ საზღვარზე მსჯელობისას ცრურწმენების, შიშებისა და მოლოდინებისაგან განთავისუფლების. ისინი ჯერ კიდევ იმ დროიდან არიან ნაანდერძენი, როდესაც ირანსა და თურქეთზე ზემოქმედებისათვის მოწყობილი ეს საზღვარი რუსეთის ძველი იმპერიის სამხედრო მიჯნას წარმოადგენდა.

უშუალოდ კავკასიის მეზობლად ახლო აღმოსავლეთი არა დღეების, არამედ საათების განმავლობაში მთლიანად განიცდის გარდაქმნას. იცვლება არა მხოლოდ გარსი, არამედ მისი სულისკვეთებაც. ჩვენს თვალწინ განიცდის სახეცვლილებას მისი საერთაშორისო მდგომარეობაც და მისი ადგილიც მსოფლიო ხალხთა თანამეგობრობაში. თანამედროვე თურქეთი აღარ არის ოტომანთა ეპოქის „ავადმყოფი ადამიანი“; რაც შეეხება დღევანდელ ირანს, არც ის არის უკანასკნელ ყაჯართა სპარსეთი. სურათს ასრულებენ არაბული სახელმწიფოები და ავღანეთი. წინა აზიის ამ ძველ სამყაროსთან კავკასიის ხალხები მრავალი საუკუნის განმავლობაში, ათასწლეულების განმავლობაშიც კი იყვნენ დაკავშირებული. მით უფრო დიდი ინტერესითა და ყურადღებით, აგრეთვე სათანადო კრიტიკით უნდა მოექცნენ ისინი სამხრეთში მიმდინარე მნიშვნელოვან ცვლილებებს.

ამ თვალსაზრისით, ახალი ირანი კავკასიისათვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ახალი თურქეთი. ზემოთ აღნიშნული იყო 1828 წლიდან მოყოლებული მდგრადი და უცვლელი ხასიათი კავკასია-ირანის საზღვრისა. იყო დრო, არცთუ დიდი ხნის წინათ, როცა შეიძლება მოგვჩვენებოდა, რომ ორი აზერბაიჯანის გაერთიანების შედეგად, ამ საზღვრის მდგრადობას საფრთხე შეექმნებოდა. მდინარე არეზის (არაქსის) ჩრდილოეთით მდებარე კავკასიის აზერბაიჯანის და სამხრეთით მდებარე სპარსეთის აზერბაიჯანის გაერთიანების შესაძლებლობით აიხსნება ძველი რანისა და შირვანის მემკვიდრე რესპუბლიკის შექმნისას მისთვის სახელწოდების საკმაოდ თვითნებურად მინიჭებაც 1918 წელს. ამ ოცნებებს, მათი სიტკბოების მიუხედავად, ახდენა არ ეწერათ და საქმე აქ ირედენტოზმამდე არ მისულა. საჭირო გახდა ამგვარი პოლიტიკანობის მკვეთრად აღკვეთა. როგორც ჩანს, თანამედროვე ირანი მზად არის დაიცვას თავი, ოღონდაც თავად არ მიატრიანოს იგივე იარაღი სანინააღმდეგო მიმართულებით, ანუ სამხრეთიდან ჩრდილოეთით!

ყოველ შემთხვევაში, ირანის აღორძინებამ გამომავლიანობა იმოქმედა მეზობლი თურანიზმის, არაერთი „ირედენტის“ ამ შესაძლო წყაროს, მეტისმეტად გატაცებულ მომხრეებზე. როგორც ცნობილია, ამ საკითხში სიმშვიდისა და კეთილგონიერებისაკენ მოწოდება თავად თურქებისაგან მომდინარეობდა. თანაც, ვითარება ისე ყალიბდება, რომ თავისი მუსლიმანი მეზობლების გავლენით, რომლებიც ევროპული განვითარების გზას დაადგენენ, კავკასიის აზერბაიჯანს გაუადვილებდა განსაზღვროს საკუთარი თურანიზმის ზომა და იპოვოს კავკასიური მოწოდებისათვის აუცილებელი იდეური წონასწორობა. ამ მხრივ მას დიდად დაეხმარება მკვიდრი „ირანული“ სალტე, ან ზღუდე, სამხრეთში. ასე აჯობებს მისი კავკასიელი მეზობლებისთვისაც.

რუსულიდან თარგმნა  
დავით ავაშიქიძე

# უკეთ გაგვაცანით ჯონ ნიუმენი

გილოცავთ აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს.

მინდოდა მაღლიერება გამომეხატა იმ მოულოდნელი სიხარულისთვის, ჩემს გამოხმაურებას ასე გულისყურით რომ მოეკიდეთ და თქვენს ჟურნალში ადგილიც დაუთმეთ. **ზურაბ ხასაიას** ახალი პუბლიკაცია კი „**საქართველო და დასავლური კულტურა**“ მოსალოდნელზე გაცილებით მძაფრი და მასშტაბური აღმოჩნდა. ამოუწურავი საფიქრალი და სააზროვნო დამიტოვა.

მერიდებდა, უჩვეულო სითამამეს ვიჩენ, წარამარა რომ გეხმაურებით, მაგრამ არ შემიძლია **ჯონ ნიუმენის** ესეის „**ვინ არის დამნაშავე?**“ („ჩვენი მწერლობა“, №7) თარგმანის ნაკითხვით გამოწვეული აღტაცება არ გაგიზიაროთ. **პაატა და როსტომ ჩხეიძეების** მიერ თარგმნილი ესეი, რომელიც როგორც მინანქრიდან ირკვევა, XIX საუკუნის მოაზროვნის, შემდგომ უკვე სასულიერო პირის, მიერაა დაწერილი, ისეთ მძაფრ ემოციებს აღძრავს, თავდაპირველად ჩვენი თანამედროვე ფილოსოფოსის ნააზრევად აღვიქვი. აღტაცებისა და მოულოდნელობის გაცნადა იმ უბრალო მიზეზის გამო გამომძაფრდა, რომ ჩვენში ასე გაუკუღმართებულა კონსტიტუციის გააზრება და ამ პუბლიკაციის ნაკითხვის შემდეგ, ვგრძნობ, ყველაფერი მიანიშნებს — ჩვენს ასეთ ყოფას „დიდი გამოცდა ელის“. ჩვენში ხომ კონსტიტუციის ასე უკომპრომისოდ დამცველს ერთნი უთუოდ დრომოჭმულად და სხვანი ანტისახელმწიფოებრივ მოაზროვნედ ჩათვლიან. არადა, სამოქალაქო წყობაში მონარქიული კონსტიტუციის დამკვიდრების იდეა რატომ არ უნდა იყოს შესწავლილი და გაანალიზებული?!

ინგლისის მაგალითზე გამოკვეთილი კონსტიტუციის უზენაესობა ნათელს ჰფენს მის უპირატესობასა, და გაფიქრებინებს ამგვარი სისტემის სასიცოცხლოდ აუცილებლობას ჩვენი ქვეყნისათვის. ესეის გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ მყარი კონსტიტუციის გარეშე თავისუფლება ვერაფერს გვარგებს, ვიდრე გაძლებდეს, და თუ ჯონ ნიუმენს დაუფუჯვრებთ, დიდხანს არც გასტანს... კონსტიტუციის უზენაესობის სასარგებლოდ პიროვნება რომ ისე მოიქცეს, როგორც სახელმწიფოებრიობა კარნახობს, მასზე უნდა დაშენდეს ყველა სხვა ინსტიტუტი, სხვა შემთხვევაში ტირანიისა და სხვა მრავალი უბედურების საფრთხე ჩნდება.

უახლეს, დემოკრატიის სახელით გაფეტიმებულ სენტენციებს ამგვარი მღელვარე განწყობილებები არასოდეს გამოუწვევია ჩემში და ჯონ ნიუმენის დონის ფილოსოფოსთან ნააზრევებს ადრე რომ გავცნობოდი, ალბათ არც ის უნდა გამკვირვებოდა, მყიფე და ყოვლად უნიათონი რომ აღმოჩნდნენ ჩვენი სახელმწიფოებრიობისათვის.

პუბლიკაციაზე მინანქრმა, სადაც ნათქვამია, რომ ამ ესეის მხოლოდ ფრაგმენტები ითარგმნა, გამაბედინა თქვენი შეწუხება — იქნებ შესაძლებელია უკეთ გაგვაცნოთ ნიუმენის შემოქმედება, რომელიც ამ ფრაგმენტებიდანაც ღრმად მოაზროვნე ფილოსოფოსად წარმოგვიდგა. აღქმა გავციმბაფრა და კრიტიკული სული ჩვენშიც გამოავლინა.

პატივისცემითა და

ახალი პუბლიკაციების მოლოდინით

თაონა გოგიტიანი



ჯანო ჯიქიძე

# სხუანი

ანუ  
ლიბეროს, ლიბეროს!..

სხუაი არს სიზმარი ქველთაი,  
სხუაი არს სიზმარი ჩუკენთაი.  
გრ. ნოს. კაც. აგებ. 174.8

— სხვაი?  
— ლელავს ზღვაი!  
სუფსური კვიმატობა

## პროლოგის მაგიერ

ცნობილი პონტოელი ისტორიკოსის ანა-კორ სამადაში-ანის „ელინისტურ ქრონიკებში“ ლიბეროსი ერთადერთხელ არის ნახსენები — „ჟღალმა ლიბეროსმა ველური ფუტკარი მოაშინაურა, შემოიტანა ტირიფი და ბამბუკი, რის გამოც სიკვდილით იქნა დასჯილი“.

სრულიად გაუგებარია, რატომ უნდა დაესაჯათ ადამიანი ფუტკრის მოშინაურებისთვის, ან ტირიფისა და ბამბუკის მოშენებისთვის, მაგრამ დოკუმენტი დოკუმენტია. ანა-კორის ტექსტის ამ ფრაგმენტის აუდიო-ვერსია ასე ჟღერს:

„შეკაკარმირ ლიბეროს ვარჟეცრეც ვაირი მელუნერინ, ნერმუცრეც ურენი ევ ჰნდკელეგ, აიდ პადჭაროვ ნრან მაჰაპატჟეცინ“.\*

პირდაპირი თარგმანით „ვაირი მელუნერინ“ ანუ „თაფლის ბუზი“ ფუტკარს ნიშნავს, „ჰნდკელეგ“ ანუ „ინდური ხე“ — ბამბუკია, „ურენი“ ტირიფს ნიშნავს, — ხოლო „მაჰაპატჟეცინ“ — სიკვდილით დასჯას.

თარგმანი არ იტყუება, მაგრამ მიუხედავად ისტორიკოსებისადმი ჩემი დიდი პატივისცემისა, ლიბეროსის ამბავი გამოგონილი მგონია.

## პროფანუსი

სირიის ახალმა ლეგატმა ბრძანა, რომ დაესაჯათ ყველა, ვინც კი ანიკეტის აჯანყებასთან რაიმე კავშირში იყო შემჩნეული. მან ბრძანა და ხელახლა ამუშავდა სადამსჯელო მანქანა.

ანიკეტის ჯანყიდან 6 თვე იყო გასული. ტრაპეზუნტი, ნახანძრალი ქალაქი თანდათან იბრუნებდა ადრინდელ იერსახეს. პონტოს პრეფექტი — პროფანუსი მცდელობას არ აკლებდა, რომ აღდგენითი სამუშაოები ჩქარი ტემპით შესრულებულიყო; და რადგან რომის იმპერიის შიდა პროვინციებთან შედარებით, პონტო მეტ დამოუკიდებლობას ფლობდა, ამ შეღავათს პრეფექტი ბოლომდე იყენებდა.

პროფანუსი უნარიანი მმართველი იყო — სათანადო კონტროლს უწევდა ტრაპეზუნტში მიმდინარე სამუშაოს,

\* თანამშრომლობისათვის მადლობას ვუხდით ბატონ ვასილ თავართქილაძეს. განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ქალბატონ ელენა ვართანოვას.

ხარჯთაღრიცხვას პირადად ამონებდა, პონტოს მოსაკრებელის ნახევარზე მეტს ქალაქის აღდგენას ახმარდა. შედეგიც არ აყოვნებდა — აჯანყებიდან ექვს თვეში სრულად იქნა აღდგენილი ბერძენთა და ლაზების უბნები სანაპიროს ქუჩებზე, ებრაელთა კვარტალი, არმენების უბანი, სავაჭრო მოედანი. ზოგან ახალი ქუჩებიც გაკეთდა; ქვაფენილიანი — ცენტრში, დანარჩენი — ეკქსინოსის ქვა-ლორღით მოკირწყლული.



თითქოს ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით იყო. თითქოს ტრაპეზუნტს და მის მცხოვრებლებს გადაავიწყდათ კიდევ აჯანყებისდროინდელი ხანძარი, ჯახი, ძალმომრეობა.

თითქოს სიმშვიდემ დაისადგურა მთელს პონტოში: მშენებელი აშენებდა, ვაჭარი ვაჭრობდა, მეურნე მეურნეობდა, მეცხოველე მეცხოველეობდა, მეთევზე მეთევზეობდა; მაგრამ სირიის ახალი ლეგატი არ ცხრებოდა. კეისრის წინაშე თავის წარმონჩენა უნდოდა, თუ კიდევ სხვა რამე, დაჟინებით ითხოვდა ანიკეტის აჯანყების ხელშემწყობების, თანამგრძობების გამოვლენას მთელი ზღვისპირეთის მასშტაბით და მათი სიკვდილით დასჯას.

პრეფექტმა პროფანუსმა რამდენჯერმე მიიღო დირექტივა, მაგრამ გაბედა და დროებით წაუყრუა. საქმე ისედაც ბევრი ჰქონდა. სულაც არ უნდოდა ურთიერთობა დაეძაბა ერთგულ ვასალებსა და მეგობრებთან. დალაგებული კონტაქტები ლაზებთან, ხალიბებთან, იბერიელებთან ერთი მხრივ და მეორე მხრივ სანაპირო ციხე-ქალაქების კორელაცია სრულიად დამაკმაყოფილებელ დონეზე იყო. არადა, ლეგატი არ ცხრებოდა. იცოდა თუ არ იცოდა, წყალს ამღვრევდა.

პრეფექტმა კი წაუყრუა, მაგრამ როგორც არცთუ იშვიათად ხდება, ზემდგომის ბრძანებას ქვეშევრდომები სათავისოდ იყენებენ ხოლმე. ახლაც ასე მოხდა.

ერთ მშვენიერ დღეს პონტოს პრეფექტმა წერილი მიიღო — ლაზიკის მთავარი თავის ძმას, ჟღალ ლიბეროსს ტრაპეზუნტის აჯანყების ჩახშობის შემდეგ გაქცეული მონების მფარველობაში ბრალს სდებდა.

ეს დასმენა იყო. პროფანუსისთვის ყველაფერი დღესავით ნათელი გახდა — ლაზიკის მთავარს ძმის თავიდან მოშორება სურდა; სირიის ლეგატს მონების აჯანყებასთან დაკავშირებული ცნობილი პიროვნების დასჯა გაახარებდა და აგე, შესაფერისი შემთხვევა!

პრეფექტს ბევრი არ უფიქრია, უხმო მდივანს, სასიკვდილო განაჩენი უკარნახა-დააწერინა და ბეჭდით დაუმონმა.

მდივანმა წყალგაუმტარი, მოთრიმლული ხბოს ტყავის ორმაგ პაკეტში შეფუთა წერილი, უხმო მალემსრბოლს პრიმუსს, უსტარი-განაჩენი გადასცა და ლაზიკაში გაგზავნა.

პრიმუსიც დაუყოვნებლივ დაიძრა ტრაპეზუნტიდან; ისევე დაუყოვნებლივ, როგორც პრეფექტის წერილის ბოლოში ეწერა — „ფაზისის გარნიზონის უფროსის თანდასწრებით სასიკვდილო განაჩენი აღსრულდეს დაუყოვნებლივ“.

პრიმუსი და სეკუნდუსი

პრიმუსი ახოვანი და ამტანი იყო. ცხენიც შესაფერისი სჭირდებოდა. ასე რომ, სინოპიდან დაწყებული ახალ დიოსკურიამდე რომაელების მეჯინიბეები საგანგებოდ პრიმუსისთვის არჩევდნენ და ინახავდნენ განსაკუთრებული ჯიშის მუხლმაგარ, ზურგმაგარ და ზორბა ცხენებს.

სეკუნდუსი ტანმორჩილი და ამტანი იყო. თავისთვის ყოველთვის მომცრო, მსუბუქ ცხენებს ირჩევდა. ზღვისპირეთის ჭაობიან, ჭანჭრობიან, ტყიან ადგილებში მოკლე გზა-ბილიკებით რბოდა. ამით პრიმუსს სჯობდა, თუმცა მასავით შეუპოვრად მდინარის ტალღებთან კვეთება არ შეეძლო და შესაბამისად ფონის მოძებნას, ფონს გასვლას პრიმუსთან შედარებით მეტ ხანს ანდომებდა.

სეკუნდუსს პირად შეჯიბრში არაერთხელ დაეჯაბნა პრიმუსი, მაგრამ ბედი არ გინდა! მაინცდამაინც გადამწყვეტ დღეს სირიის ლეგატის ბარუსის საპატივცემულოდ ანძიანძორაში გამართული დოლი ნააგო ისე, რომ პრიმუსის ცხენმა თითქმის მთელი თავ-კისერით გაასწრო.

სწორედ მაშინ დარქმეული სახელები შერჩათ მხედრებს სიცოცხლის ბოლომდე. სწორედ მაშინ სირიის ლეგატმა ბარუსმა პირადად დაადგა თავზე დაფნის გვირგვინი გამარჯვებულს და როგორც პირველს დაარქვა პრიმუსი, ხოლო მეორეს — სეკუნდუსი. ორივეს უბოძა რომის მოქალაქეობა. პრიმუსმა ლეგატის საპატივცემულოდ ანძიანძორაში იმ დღეს დაგეგმილ ყველა ზეიმ-თავყრილობებზე დასწრება-გართობის უფლება მიიღო; ხოლო სეკუნდუსს თითქმის არაფერი ერგო: წვივსაფრები და საბარკლულები — მხედრისათვის, ერთი კვირის სამყოფი ქერი — ცხენისათვის.

ერთხელ მინიჭებულმა სახელებმა მათივე პატრონების ბედიც განსაზღვრეს. პრიმუსი და სეკუნდუსი პონტოს პრეფექტის მალემსრბოლ-მაცნებად განაწესეს. საქმეც შესაფერისი მიუჩინეს.

პრიმუსს როგორც უპირველეს მალემსრბოლს, უმნიშვნელოვანესი ცნობის შეტყობინება, უმნიშვნელოვანესი სამხილის წაღება-წამოღება ევალებოდა; სეკუნდუსს კი ნაკლებად მნიშვნელოვანი როლის შესრულება დაეკისრა, რითაც ერთხელ და სამუდამოდ უსამართლოდ დაჩაგრულად გრძნობდა თავს და ამის გამო თავისი „ნათლია“ ბარუსი ეჯავრებოდა.

როცა საყოველთაოდ ცნობილი გახდა, სირიის ლეგიონი აჯანყებულმა ებრაელებმა გაანადგურეს და თვით ლეგატს კუდიტ ქვა ასროლინესო, სეკუნდუსმა ძლიერ გაიხარა. ამას დავამატოთ ისიც. რომ კეისარმა ვესპასიანემ სეკუნდუსის „ნათლია“ იბერიაში გადასახლა, მალემსრბოლს იმედი გაუჩნდა, რომ სამართლიანობა აღდგებოდა, პრიმუსს დოღში გაეჯიბრებოდა, საქვეყნოდ მოუგებდა სრბოლას და სახელს სახელში გაუცვლიდა.

სეკუნდუსის ოცნება ოცნებად დარჩა; მაგრამ მალე ისეთი შანსი მიეცა, პრიმუსისათვის ეჯობნა, რომ ამას სიზმარშიც ვერ წარმოიდგენდა.

თუმცა!

თუმცა, კაცია და გუნება!

სეკუნდუსი პრიმუსის როლს შენატროდა, მაგრამ ჩვეულებრივ მოქალაქეებს პრიმუსის გამოჩენას სეკუნდუსის ნახვა ერჩიათ.

პრიმუსის გამოჩენა იმას ნიშნავდა, რომ ვილაციის სიცოცხლე ბუნვზე ეკიდა. თუ პრიმუსის ცხენს თან მოზრდილი აბგაც ეკიდა უნაგირზე, ეს უკვე იმას ნიშნავდა, რომ ერთი-ორი დღის წინათ ვისი სიცოცხლეც ბუნვზე ეკიდა, ცოცხალი აღარ იყო. სასიკვდილო განაჩენი აღსრულებულიყო და დასჯილის მოკვეთილი თავი, როგორც დამადასტურებელი მტკიცებულება, სწორედ იმ აბგა-ტომარაში ხტოდა ჩორთის, ნავარდის თუ თოხარკის რიტმის შესაბამისად. ასე რომ (ცნობილი ამბავია), გონიოს გარნიზონის დეკურიონები ნიძლავსაც კი სდებდნენ ჩრდილოეთისკენ მიმავალი პრიმუსისთვის ცხენის შეცვლისას, აქეთობას ტრაპეზუნტისკენ მომავალ მალემსრბოლი აბგა-ტომრით დაბრუნდებოდა თუ მის გარეშე.

თვითონ პრიმუსმა წინასწარ არც იცოდა, თუ ვინმეს სიკვდილით დასჯის ბრძანება მიჰქონდა; ამას მაშინ ხვდებოდა, როცა აქეთობას მოკვეთილ თავს (თავებს) ჩაუყრიდნენ ტომარაში და ცხენის უნაგირზე აქეთ-იქით ხურჯინით გადაუკიდებდნენ.

სეკუნდუსის ცხენის უნაგირზეც იყო აბგები და ტომრები, ისიც დატვირთული ბრუნდებოდა ხოლმე ტრაპეზუნტში, მაგრამ გონიოს დეკურიონები ამაზე ფსონს არ ჩადიოდნენ; ისედაც იცოდნენ, რომ სეკუნდუსის ტვირთი დასტადასტა წერილები, ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტები, მნიშვნელოვანი, მაგრამ არც იმდენად მნიშვნელოვანი ფოსტა იყო, სანაძლეოდ რომ ღირებულებოდა.

პროფანუსი

ახალ წლამდე ერთი კვირა რჩებოდა.

პრეფექტმა იმ დღის საქმეები თითქმის მოილია და შინ დაბრუნდა. თითქოს ყველაფერი წესის და რიგის მიხედვით იყო. ბერძენი ხელოსნები სანაპირო ქუჩის შენობების სახურავებით დახურვის დღედღეზე დაამთავრებდნენ, წყალსადენის მილები მზად იყო, სათავე ნაგებობიდან წყალი უკვე შუადღიდან მოედინებოდა, ფილტრები მშვენივრად მუშაობდა. აჯანყების შემდეგ ნახევარი წლის განმავლობაში დაშრეტილი შადრევანი პრეფექტის მწვანეში ჩაფლული ეზოს ცენტრში სიკამკამით თავმომწონებოდა და ადრინდელთან შედარებით უფრო მალალ და ინტენსიურ ჭავლს აფრქვევდა.

რეზიდენციაში დაბრუნებისთანავე, მდივანმა აუწყა: დილის აყალ-მაყალში შემჩნეულ პირებს პატიმრობა გავუგრძელოთ თუ მათ ნახვას და საქმის მოსმენას ისურვებთო.

პრეფექტმა ნახვა ბრძანა; თუმცა სულაც არ სურდა მომჩივან-დაზარალებულთა მოსმენა, რადგან დღე იწურებოდა, თერმეს საკვამურიდან კვამლი ამოდიოდა და იქ ყველაფერი მზად იყო, რომ დამლელი დღის შემდეგ პონტოს გამგებელს დაესვენა და მოესვენა.

პროფანუსი მოსამართლის სავარძელში დაჯდა, ფულადი ჯარიმების ყულაბა გვერდით მოიღო და ბრძანა, შემოიყვანეთო.

ცენტურიონმა მიჰგვარა ორი ქალაქელი ებრაელი და ერთიც პაფლაგონიელი მწყემსი, რომელსაც ბაზრობაზე გასაყიდად წამოყვანილი ღორები ებრაელების უბანზე გაეტარებინა და ამით იუდეველთა წყრომა გამოეწვია.

პროფანუსმა საღამოს გართობამდე გართობა გადაწყვიტა. როგორც მის გონიერებას და სამართლიანობას შეე-

ფერებოდა, ისე მოიქცა: ჯერ დაადგინა, რომ სოფელ მწყემსს სამი ღორი სამ დინარად გაეყიდა; შემდეგ პაფლაგონიელს ებრაელებზე ჯარიმის ფორმით (სახით) ერთი დინარი მიაცემინა, რითაც ქალაქელები გაახარა, მაგრამ მაშინვე დაამადლა: მიუხედავად იერუსალიმის აჯანყებისა, კეისარი ვესპასიანე თქვენს რელიგიურ უფლებებს იცავს და ამისათვის მე, როგორც რომის ხელისუფლების წარმომადგენელს, დღეს ერთი დინარი უნდა გადამიხადოთ. ვიდრე ებრაელები გონს მოიკრებდნენ, ხელიდან ნაჰკლიჯა მწყემსის ღორის საფასური, ქალაქელ იუდეველებს თითო დინარი დაამატებინა, ერთი დინარი თვითონ მოუმატა, მოსულელების თვალწინ ყულაბაში ჩაყარა; თან იქ მყოფებს აუხსნა, რომ ეს ფული იმ ბაზრისპირა ქუჩის გაჭრას და მოკირწყვლას მოხმარდებოდა, რომელიც იუდეველების უბანს გვერდს აუქცევდა და გასაყიდად ტრაპეზუნტში ჩამორეკილი ღორების კოლტი ებრაელთა სინაგოგასთან აღარ ჩაივლიდა.

ამ ახსნა-განმარტების შემდეგ პრეფექტმა მომჩივან-დაზარალებულთა იქ ყოფნა ზედმეტად ჩათვალა, მოსულელებს კარისკენ მიუთითა და ცენტურიონს კინწისკვრით გაარეკინა.

შემდეგ მსახური იხმო, ეტლი დაამზადებინა, ნაირ-ნაირი საკმევლებით სავსე ზარდახმა ილღიაში ამოიჩარა და პირადი მცველების თანხლებით აბანოში წაბრძანდა.

იქ კალდარიუმში კარგად იბანავა. შემდეგ ტეპიდარიუმში გადაინაცვლა, მისივე არჩევანით შერჩეული საკმევლებით იქაურობა გააჯერა; სინოპელი ჰეტერების ცეკვა-თამაშით გაერთო, მერე ყველანი დაითხოვა და თბილ, ნაზად მოლივლივე აუზში გულაღმა განვა.

დაღამებულიყო. აბანოს დარბაზის გუმბათოვან ჭერზე ჩირაღდნების ათინათი ციმციმებდა. ირგვლივ გუნდრუკის სურნელი იდგა. ნახევრადმიშველი ჰეტერები, ერთმანეთს მიხუტებულები თითქოს თვლემდნენ, სინამდვილეში კი მზად იყვნენ თითის დაქნევისთანავე აუზში ჩაჭყუმპალავებულიყვნენ და ჭალარა პრეფექტი ალერსში ჩაეძირათ.

ამ დროს მინა იძრა. აბანოს შენობა შეტოკდა, ქალებმა შეჰკივლეს. ერთ-ერთი ჩირაღდანი თავისი სადგამიდან გადმოვარდა და აუზში შიშხინით ჩაიკარგა.

პრეფექტი წამოჯდა, წყლიდან ამოსვლა არც უფიქრია, დაცვის უფროსს უხმო და მდივანი გამოახმოებინა. მდივანს უთხრა: მაღლითგან მეუწყა, ლიბეროსი არაა დამნაშავე: ქურუმს უთხარი, დაუყოვნებლივ შეამოწმოს ჩემი ნათქვამი.

ლამე იყო, მაგრამ ბრძანებამ არ იცოდა ლამე და გამო-ნაკლისი.

მდივანმა შიკრიკი გაგზავნა ქურუმთან.



მხატვარი სოფო ელიაშვილი

ქურუმმა მსახური ბიჭი გაგზავნა სამტრედში. ბიჭმა სწორედ ის მტრედი მიჰგვარა, რომელსაც მისანი ითხოვდა.

ქურუმმა მტრედი მოაკვდინა, გაფატრა და შიგნეულს დააკვირდა, მსახურმა ლამპრის შუქი მიუშარჯვა. ყველაფერი ნესრიგში იყო — ორივე ფილტი თანაბრად მუქდებოდა, ღვიძლი მკვრივად იდო, ელენთა — ჩაფუშულიყო. მისნისთვის ყველაფერი დღესავით ნათელი იყო — ლიბეროსი სიკვდილით დასჯას ან იმსახურებდა, ან — არა.

ქურუმი პირადად ეახლა პრეფექტს, რომელიც გზად აბანოდან შინისკენ ეტლით მიბრძანდებოდა. რეზიდენციამდე მისვლა არ აცალა, დაცვა გაარღვია, ეტლს აედევნა. ქვაფენილზე ბორბლების დგანდგარის, ფლოქვების თქარათქურის

ფონზე ხმამალლა მოახსენა მბრძანებელს.

პრეფექტმა ნათქვამი მაინცდამაინც კარგად ვერ გაიგო, მაგრამ არც ეტლის შერყეობა ბრძანა, რომ რიგიანად ესმინა; გადაწყვეტილება მიღებული ჰქონდა და ქურუმის მეცადინეობა-დასტური ფორმალურად სჭირდებოდა.

პროფანუსი თითქოს უსმენდა და თავს უქნევდა, შემდეგ ხელი აუქნია და აბეზარი ბუზივით მოიშორა მისანი.

შინ მისვლისთანავე მდივანს უხმო, ლიბეროსის სასიკვდილო გა-

ნაჩენის გაუქმების ბრძანება უკარნახა, გამამართლებელი განაჩენი ჩაანერინა, ბეჭედი დაუსვა და უთხრა: დაუყოვნებლივ გაგზავნე ლაზიკაში მაცნე; წერილის ნაკითხვის უფლება მას არ აქვს, მაგრამ ისე გააკეთე, რომ ყველაფერი იცოდეს, თანაც ნაახალისე, რომ თავი არ დაზოგოს. მოხდეს, რაც მოსახდენია.

მდივანმა იხმო სეკუნდუსი, წერილი გადასცა და უთხრა: უღალი ლიბეროსი სიკვდილით დასჯას არ იმსახურებს, შენ ხელთ გაქვს გამამართლებელი განაჩენი. პრიმუსი ერთი ლამით და ნახევარი დღით გისწრებს. თუ ქუთაიაში ჩაუხსნრებ, შენ მეორე აღარ იქნები და უკან მობრუნებულს პირველ მალემსრბოლად დაგნიშნავ.

სეკუნდუსმა ლამის ფრთები გამოისხა, ისე გაფრინდა. თავს უზომოდ ბედნიერად გრძნობდა.

თურმე მალემსრბოლიც შეიძლება იყოს ბედნიერი, კერძოდ კი მამინ, როცა მის სრბოლას სიკვდილმისჯილის სიცოცხლის გადარჩენა შეუძლია.

**ლიბეროსი**

უღალი ლიბეროსი სულაც არ იყო წითური. ჩალისფერი ხუჭუჭა თმა და მწვანე თვალები ჰქონდა. ახოვანი იყო, ფიზიკური ძალისა და ენერჯის ნაკლებობას არც ორმოცი წლისა უჩიოდა.

ზოგს ლიბეროსი უყვარდა, ზოგს პირიქით — ეჯავრებოდა, ზოგი უბრალოდ პატივს სცემდა, ზოგს კი ეშინოდა მისი.

ლიბეროსმა დამოუკიდებლობა სიყმანვილეშივე მოიპოვა. ის და მისი ტყუპისცალი ძმა ფარნაკე, რომელსაც შემდეგ ევპატორი უწოდეს, ლაზიკის ტახტის მემკვიდრენი იყვნენ და გამეფების თითქმის თანაბარი შანსი ჰქონდათ. „თითქმის თანაბარი“ იმას ნიშნავს, რომ ლიბეროსი 400 თვალის დახამხამებით უფროსი იყო თავის ძმაზე და, დედოფლის აზრით, სწორედ მას ეკუთვნოდა მეფობა.

დედოფალი ტრანქელია ძლიერი და გონიერი პიროვნება იყო. როცა ტყუპი ვაჟი შეეძინა, მეანმა თავიდანვე შესთავაზა, ერთი, უფრო სუსტი, თავიდან მოეშორებინა, მეორე კი — უფრო ფიზიკურად ძლიერი, დაეტოვებინა, მაგრამ დედოფალმა, როგორც ნამდვილ დედას შეჰფერის, ზემოთქმული იუარა. ეგ კი არადა, მაშინ, როცა ადრედაქვრივებულს აქეთ-იქიდან უკიჟინებდნენ, ლიბეროსი გაამეფე და ფარნაკე სამთავროდან განდევნეო, არც ეს იკადრა. ჯერ ლიბეროსს შესთავაზა მეფობა, მისგან უარი რომ მიიღო, ფარნაკეზე შეაჩერა არჩევანი. სიკვდილის წინ სარეცელს მიჯაჭვულმა დედამ შვილები თავისთან იხმო და ურთიერთხელშეუხებლობის ფიცი დაადებინა.

ამრიგად, ტყუპებიდან ერთი — ფარნაკე ევპატორი — ლაზიკის მთავარი გახდა, მეორე კი — ლიბეროსი — სრულიად თავისუფალი მოქალაქე.

ლიბეროსი ქუთაისს სამეფო სასახლიდან ფაზისში გადაბარგდა. ცოდნის წყურვილით აღვსილმა 8 წელი მიუძღვნა მათემატიკისა და ასტრონომიის შესწავლას. ძალიან მოსწონდა პითაგორას თეორემა, არ მოსწონდა პითაგორას არათეორემა: პატიოსან ადამიანებს ჰყოფნით გონიერება, რომ არ შევიდნენ პოლიტიკაში, მაგრამ არ ჰყოფნით ჭკუა და ვერ ხვდებიან, რომ მართული იქნებიან მათზე უფრო ნაკლებად ჭკვიანების მიერ.

ერთ მშვენიერ დღეს დაასკვნა, რომ არ შეიძლებოდა ყოფილიყო მათემატიკა-ასტრონომიაზე შენირული. შეძენილი ცოდნა საკმარისად ჩათვალა და მომდევნო წლები ფილოსოფიისა და რიტორიკის შესწავლას მიუძღვნა. 8 წლის შემდეგ მიხვდა, რომ ამ შემთხვევაშიც ბოლომდე ცოდნა შენირულობას მოითხოვდა; ყოვლისმცოდნე, ყოვლისშემძლე შეიძლებოდა მხოლოდ ღმერთების კრებული — პანთეონი — ყოფილიყო და ის დღიდან მედიცინით დაინტერესდა. გატაცებით სწავლობდა ანატომიას, თერაპიას, ქირურგიას. შემდეგ მზედას ბაღის სამკურნალო მცენარეებიდან ან უკვე დაკარგულის მოძიება-აღდგენა და ახლის შესწავლა დაიწყო. საკუთარ თავზე ცდიდა სხვადასხვანაირ მცენარეულ და ცხოველურ შხამებს, სტიმულატორებს, დეპრესანტებს. ინამლებოდა და თავის თანამემნე ექიმს სიტყვა-სიტყვით აწერიებდა და ადგენინებდა სანამლაგვებით გამოწვეული დაავადების სიმპტომატიკას. და პირუკუ — როცა შხამების მიღებას წყვეტდა, გამოჯანმრთელების ნიშნების თანმიმდევრობას იკვლევდა; ამ ყველაფერს ასტრონომიულ კალენდარს და მთვარის ციკლს უდარებდა და ა.შ.

ეს მანამდე გაგრძელდა, ვიდრე უჯმაჯურის ნაყენით მოინამლებოდა.

ლიბეროსი მძიმედ დაავადდა — პირიდან სისხლს ანთხევდა, თვალებიდან ოფლი სდიოდა, ყურებიდან კენჭები ამოსდიოდა, თმა და ფრჩხილები გასცვივდა, მაგრამ მაინც გადაარჩა.

ძლივძლივობით, ნელ-ნელა, თანდათანობით ძალა მოიკ-

რიბა, ფეხზე დადგა და გაჯანსაღდა. საკუთარ თავზე ექსპერიმენტები დამთავრებულად ჩათვალა და იწყო სვლა ოთხივ კუთხით. მოვლილი ჰქონდა კავკასიონის მთები, კოლხეთის ბარი და ევქსინოს პონტო ბიზანტიონიდან პანტიკაპეონამდე.

სხვადასხვა არემარის მოხილვამ, სხვადასხვა ხალხსა და ხასიათებთან კონტაქტმა ლიბეროსი სევდიან დასკვნამდე მიიყვანა — ვინც ცისქვეშეთს განაგებს, უბრალო ადამიანებისთვის ვერ იცლის; ძალა აღმართს ხნავს; ძლიერს მოეთხოვება, იყოს სამართლიანი; ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ ძალებს მუდამ სჭირდება საკვები, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩლუნგდება და ქრება.

ამიტომ ლიბეროსი საკუთარ თავისუფლებას პირველ რიგში სწორედ ამისათვის იყენებდა: გაჭირვებულებსა და ავადმყოფებს ეხმარებოდა, კითხულობდა, წერდა, ნადირობდა, თევზაობდა, აშენებდა და ა.შ. მაგრამ ამ ყველაფერს აკეთებდა არა უბრალოდ — მშვიდად, ან პირიქით — მოჩვენებით-გაპრანჭულად, არამედ — უცნაურად სწრაფად და ენერგიულად ანუ უჯმაჯურულად.

მარტოს რომ არ მოსწყენოდა, მეგობრები შეიძინა: მათემატიკოს-ასტრონომი, რიტორ-ფილოსოფოსი, მედიკოსი და ცელქი-შლეგი. ლიბეროსმა თავის ამხანაგებს ყველაფერი ასწავლა, რაც კი საძმოს დამოუკიდებლად ცხოვრებას შეაძლებინებდა. ისინიც საკმაოდ ნიჭიერი მონაფეები, ალლოიანი ახალგაზრდები აღმოჩნდნენ. მათ შორის საუკეთესო შუბოსნობა მათემატიკოსმა შეძლო, ექიმი მშვილდოსანი იყო, ფილოსოფოსი — საუკეთესო მეზადური, ხოლო შლეგი — ყველაზე ალლოიანი ოქროსმაძიებელი. თანაბრად შეეძლოთ ხვნა, მკა და შენება.

ამასთან ერთად მათემატიკოსს რიტორიკა შეასწავლა, მედიკოსს — ასტრონომია, ფილოსოფოსს — მედიცინა. აი, ცელქი და შლეგ თემისტოსს კი მეცნიერება ვერ შეასწავლა. ცელქი ყმანვილი სიბრძნეს ვერ ითვისებდა, მაგრამ ყველაფერს გრძნობდა. ბავშვივით გულუბრყვილო და ზოგჯერ ჭირვეულიც იყო. ის თავყანს სცემდა ქალღმერთ დალის და მიაჩნდა, რომ საპასუხოდ მისგან წყალობა არ მოაკლდებოდა. თემისტოსმა არ იცოდა ფილოსოფია, მაგრამ უტყუარი ინტუიციით გრძნობდა, როცა სიბრძნე დემაგოგიაში გადადიოდა. მან არ იცოდა ასტრონომია, მაგრამ ვარსკვლავების ჭიატი, ცის ციაგი, ციური სხეულების ცვალებადი განლაგების გამო ცვლილებადი ზესკნელი აღტაცებას ჰგვირდა, პლანეტების ურთიერთმიმართების შესახებ მოსმენილი ლექცია კი — არა.

ლიბეროსი, როგორც მასწავლებელი, თანდათან თავის მონაფეებში განსხეულდა. მისი ცოდნის და გამოცდილების ილუსტრატორები იყვნენ რიტორ-ფილოსოფოსი, ასტრონომ-მათემატიკოსი და მედიკოსი, ხოლო ცელქი თემისტოსი კი მასწავლებლის დაუოკებელი გრძნობების, დათრგუნული შლეგობის, ფრთაშესასხმელი ნაოცნებარის გამოსახულებად იქცა.

ერთმანეთთან შენივთებული მასწავლებელ-მონაფეთა საძმო ურთიერთმეთანხმებულად მოქმედებდა. თუ რამ საბჭო და გადასაწყვეტი იყო ლიბეროსი ბოლო სიტყვას ამბობდა; ან არ ამბობდა, თუ საბჭო საგანი მისი მონაფეების ცოდნით და ალლოთი საკმარისად გამოკვლეულ-განხილული იყო.

ზეიმის დროს კი თემისტოსი აიშვებდა. ის იყო ყოველნაირი აღნიშვნების, სასწაულ დღეთა და დღესასწაულთა სამუდამოდ დამახსოვრებისათვის ღონისმაძიებელი.

ლიბეროსზე თითქმის ორჯერ უმცროსი საძმოს წევრები

ერთმანეთსაც ასწავლიდნენ და ცოდნით მდიდრდებოდნენ. თემისტოსი კი ოქროს მოიპოვებდა, სანმისებს აშრობდა, პენტავდა, ოქროს მტვერს შესუნთქვით ცხვირის ნესტოებში აგროვებდა, შემდეგ აცემინებდა, ასორსოლავებდა, მარცვლებად ძერწავდა და ჰყიდდა ფაზისის ოქრომჭედლებსა და ზარაფებზე. ისინი თავის მხრივ ცდილობდნენ, დაეცდინებინათ ოქროს ძარღვის ადგილ-სამყოფელის მისამართი, მაგრამ ნურას უკაცრავად, თემისტოსი ცელქი და შლეგი კი იყო, მაგრამ სულელი — სულაც არა. გაიღრიჯებოდა და ეტყოდა მათ (ზარაფებს და ოქრომჭედლებს): ვიდრე ქალღმერთ დალის არ შეიყვარებთ, ვერც ოქროს მტვერს მიაგნებთ და ვერც, მით უმეტეს, დალის ოქროს დალალების ნაკეცებსო.

ლიბეროსი და მისი საძმო გაჭირვებულ მოქალაქეთა დახმარებას, ასე თუ ისე, აუდიოდა. უსამართლოდ დასჯილთა ქომავობას — ვერა. ამ შემთხვევაში ლიბეროსი მშვილდს აიღებდა, ცხენზე ამხედრდებოდა, ქუთაიას ჩავიდოდა, ფარნაკეს სასახლეს ერთ სტადიაზე მოუახლოვებოდა და უზუსტესი ტყორცნით თავისი ძმის სატრაპეზომდე უწევდა ისარს წარწეით: „ხელმწიფე, თუ ხელგენიფება, იყავ სამართლიანი“.

### ფარნაკე

რასაკვირველია, წერილს მაშინვე მოურბენინებდნენ ლაზიკის მთავარს. რა თქმა უნდა, ფარნაკემ იცოდა, ვისი ისრის წვერით იყო გაჩხვლებილი წერილი; უდავოა, ხვდებოდა, რომელი უსამართლობა იყო მოისრული და შეცდომას ასწორებდა. უხალისოდ, უსურვილოდ, ნაძალადევად ასწორებდა შეცდომას. თანდათან ბეზრდებოდა ეს ყოველივე. იღუშებოდა, ბრაზიანად ტუჩებს იკვნიტდა; ვერ ამბობდა, ვერ აკეთებდა იმას, რაც გონებაში ათასჯერ ჩაედინა, რადგან ძმისთვის მიცემული ხელშეუხებლობის ფიცი დედას ახსენებდა.

ფარნაკე თავისი ტყუპისცალის ერთობ უცნაურ, არაჩვეულებრივ საქციელსა და გამოხდომებს ყურადღების მიღმა სტოვებდა ერთი შეხედვით, სინამდვილეში კი თავისი მსტოვრები დაგეშილი ჰყავდა. უცდიდა, როდის მოხდებოდა მისი საოცნებო მოვლენა, როდის დაეცემოდა ლიბეროსის სამართლის მომთხოვნის ისარი რომაელების რომელიმე ციხე-სიმაგრის ტერიტორიაზე, რომ შემდეგ მათი ხელშეწყობის იმედი ჰქონოდა „ულალი“ (როგორც თვითონ ეძახდა) ლიბეროსის თავიდან მოსაშორებლად.

თავისთავად ლიბეროსი და ძმანი მისნი კონკრეტულად ლაზიკის მთავრის ძალაუფლებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენდნენ. ტყუპისცალი ფარნაკესგან არაფერს მოითხოვდა — პური არ აკლდა და ღვინო, თევზი და ცხოველის ხორცი... ამას საძმო მწყემსობით, მეურნეობით, ნადირობით, თევზაობით თვითონვე მოიპოვებდა. თუ ფულზე მიდგებოდა საქმე, არც ეს იყო გადაუჭრელი პრობლემა. იხუვლებდნენ, კავკასიონისკენ აუყვებოდნენ მდინარის ხეობებს. მათემატიკური გათვლებით, ასტრონომიული კალენდრის მიხედვით, თემისტოსის დასატურთ მთაკითხავდნენ მდინარის სათავეებს იმ ადგილებში, სადაც მცირე მინისძვრის დროსაც კი წყალი ოქროცურვილი ხდებოდა. ჩადგებოდნენ ყინულივით ცივ მდინარეებში, ჩააფენდნენ ვერძის სანმისებს და იპოვებდნენ ოქროს ქვიშას, ოქროს ცვარ-ნამს, ოქროს თვლებს და ოქროს თმებს.

სანმისებსა და სანმერთულებზე ოქროს ნამით აელვარებულელები ბრუნდებოდნენ ბარში. უნდოდათ თუ არ უნდოდათ, თვალს სჭირდნენ კეთილსაც და ბოროტსაც, მტერ-

საც და მოყვარესაც.

ფარნაკე წლობით ითმენდა ლიბეროსის და მისი საძმოს თავისუფალ ქცევას, მაგრამ ერთხელაც მოხდა ისე, რომ მოთმინების ფიალა აევსო და ბოროტი განზრახვის ასრულების საშუალება მიეცა.

მსტოვრებმა ლაზიკის მთავარს ამბავი მიუტანეს, რომ ლიბეროსის კომპანია ერთბაშად გამრავლებულიყო და ანგარიშგასაწევ ძალად ქცეულიყო. ბოლომდე დაუზუსტებელი ინფორმაციის მიხედვით, ახალმიერთებულები უცხოტომელები იყვნენ — სკვითების შთამომავლები — სავარაუდოდ ანიკეტის ჯანყის შემდეგ აფსარს აქეთ გამოქცეული მონები.

აქ კი უკვე ფარნაკემ დაივიწყა დედის სარეცელთან დადებული ხელშეუხებლობის ფიცი და განიზრახა ლიბეროსი (და მისი მომხრეები) რომაელების ხელითა და ძალით დაესაჯა.

სავარაუდო ბრალდება მზად იყო — ლიბეროსმა დანაშაული ჩაიდინა: ტრაპეზუნტიდან გამოქცეული აჯანყებული მონები შეიფარა და თავისუფლება მიანიჭა, ნაცვლად იმისა, რომ რომაელებისთვის გადაეცა დასასჯელად.

ესეც რომ არა, რა დიდი მიხვედრა უნდა, რომ ფარნაკეს, რომის მეგობარს (ფაქტობრივად — ვასალს) თავისი ისედაც შეზღუდული მმართველობის არეალში თავისუფლად მონავარდე ძმა სულაც არ ეხატებოდა გულზე. ხელისშემშლელიც არავინ ჩანდა — დედოფალი ტანქვილა დიდი ხნის წინათ გარდაცვლილიყო; მეჭურჭლეთუხუცესიდან დაწყებული კარის პოეტით დამთავრებული, ყველა იმ აზრისა იყო, რომ ლიბეროსი ლაზიკის მიწას ამძიმებდა, კოლხურ ადათებს ეწინააღმდეგებოდა, რომაულ ხელისუფლებას აინუნში არ აგდებდა.

ფარნაკეს კარზე დიდი ბჭობა არ გამართულა. ითქვა და გათავდა: ლიბეროსი სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს; მასთან ერთად მისი მხლებლები — ვითომ-მეცნიერები და ვითომ-აზატები სიცოცხლეს გამოეხადნენ.

ლაზიკის მთავარს შეეძლო ლიბეროსი მოტყუებით შეეპყრო და შემდეგ სიკვდილით დასასჯელად რომაელებისთვის გადაეცა, მაგრამ ამას ზემდგომი ხელისუფლის განჩინება სჭირდებოდა.

ფარნაკემ პონტოს პრეფექტთან დასმენის უსტარი გაგზავნა და პასუხს დაელოდა.

ამასობაში ლიბეროსმა კიდევ ერთი სევდიანი დასკვნა გააკეთა. მონას რომ მონობა არ უნდოდა, სულაც არაა გასაკვირი, მაგრამ მონას თავისუფლება არ უნდოდა? ეს მისთვის ძალზე სამწუხარო აღმოჩენა იყო.

მონებს, რომლებიც შეიფარა, ვერც წერა-კითხვა ასწავლა და ვერც ნორმალურად მოქცევა.

აზატებს შორის იმას, რომელსაც ნადირობა და თევზაობა ეხერხებოდა, პირველობა მოუწია; ვისაც რიონის კუდებში ოქროცურვილ შენაკადებზე სანმისი ოქროთი შეეფერა, მალულად ტყე-ტყე გაიპარა და გადაიკარგა; გააზატებულების ქიშპობამ, სისხლიანმა ურთიერთდაპირისპირებამ, ღრეობამ, ძალადობის მცდელობამ ლიბეროსის მოთმინების ძაფი განყვიტა.

მას მოსამართლე და მსაჯული არ სჭირდებოდა. განაიარალა ყოფილი მონები, მთაში არეკა და უღელტეხილზე გადარეკა სკვითების საუფლოში.

უკან მობრუნებული ისეთი იმედგაცრუებული იყო, აღარაფერი უნდოდა. ჯერ ღვინის სმას მიჰყო ხელი; ჰეტერებს ქიარობდა, მათთან ათენებდა და აღამებდა, შემდეგ უჯმაჯურის უზარმაზარ დოზებს სვამდა — თვრებოდა, ბრუვდებოდა

და ამ ქვეყნიდან განრიდებას ცდილობდა.

ამხანაგები ზოგ რამეში მხარს უბამდნენ, ზოგჯერ ერიდებოდნენ და მარტო ტოვებდნენ. გვერდიდან არ შორდებოდა მხოლოდ თემისტოსი. კვირები გადიოდა და ეს ორნი ერთად მიმოდიოდნენ. აქედან გამომდინარე, მნახველი ხვდებოდა, რომ ჟღალი ლიბეროსი სალ ჭკუაზე აღარ იყო და საკუთარ თავს განსაცდელს უმზადებდა.

ლიბეროსი

ზაფხული იწურებოდა. ახალ წლამდე ათიოდე დღე რჩებოდა.

შლეგი თემისტოსი მთებისკენ იწვედა. ლიბეროსს არ უნდოდა, არ ეხალისებოდა მთაში ოქროს ძიება და თემისტოსს უკან ეწეოდა. ისევ ფაზისში თრობა და დროსტარება ერჩივნა, მაგრამ როცა ფული შემოაკლდა, ყოყმანი დაიწყო; ხოლო როცა მიწა იძრა, აღარ შეედავა. აღარც თემისტოსს უსმინა, რომელიც ამბობდა იმას, რაც ყველა კოლხმა, ლაზმა და იბერმა იცოდა: თუ მიწა იძრა, ეს ნიშნავს, რომ კავკასიის ქედზე მიჯაჭვულმა ამირანმა გაიბრძოლა და ბორკილებისაგან გათავისუფლება სცადა.

დანარჩენი უკვე, თემისტოსის მიმატებული, მარტო მიმატებულმა იცოდა: რადგან ამირანმა გაიბრძოლა და ვერ აიშვა, დედამისი — ქალღმერთი დალი, შვილის უბედურებით სასონარკვეთილი, კიდევ ერთხელ მდულარე ცრემლებით ტირის და კიდევ ერთხელ თავის ოქროს დალალებს ციური მაკრატლით იკვცის. ოქროს თმა მდინარეში ცვივა და ილბლიან ოქროსმადიებლის სანმისში ჩაენვნება, ოქროს ცრემლები კი ტანისამოსზე ცვარივით დაედება.

ლიბეროსმა იცოდა, რომ მისი მონაფე და ამხანაგი უკურნებელი სენით იყო დაავადებული. ამის გამო კვირაგამოშვებით უჯმაჯურის მცირე დოზას სასმელ წყალში შეაპარებდა და დაჟინებულ, გიჟურ აჩემება-ამოჩემებას გადააფიქრებინებდა ხოლმე, მაგრამ ამჯერად უყოყმანოდ დათანხმდა.

მათემატიკოსმა, რიტორმა, ფილოსოფოსმა, ასტრონომმა და ექიმმა თანხლებზე უარი თქვეს; ზოგმა რა მოიმიზეზა და ზოგმა კიდევ რა.

ასე რომ, ლიბეროსი და თემისტოსი მთისკენ გზას ისე გაუდგნენ, მეტი არავინ ჰხლებიათ. ააღნიეს ენგურის კუდებში, დაბანაკდნენ და დაიწყეს ძიება.

ამაოდ დაშვრნენ ორი დღე — ნამცეცი ოქრო არ უპოვიათ. შლეგი თემისტოსი გათენებიდან დაღამებამდე იდგა წყალში; იმ დღესაც ერთ დროს ოქროცურვილი, ახლა უკვე გამოსუნებული სანმართული ეცვა, წელსზემოთ შიშველს მდინარეში სანმისი ორივე ხელის განვდენაზე გაეშალა, ყრუოღვდა და მაინც თვალგამტერებული აკვირდებოდა ყინულივით ცივი წყლის მდინარეებს.

ფუჭი ოქროსმადიებლობით გაბეზრებული ლიბეროსი იქვე, შორიახლოს მდინარის ნაპირთან სახელდახელოდ გამართულ კარავში ისვენებდა; თუმცა, როგორც ექიმს, ყურადღება ავადმყოფისკენ ჰქონდა მიმართული — როგორც კი თემისტოსი ყვირილს, ბოდვას, ლოდების გადაბრუნებას და დარანების ხელით გამოფხეკას დაიწყებდა, მაშინვე უნდა მიშველებოდა — წინააღმდეგობის მიუხედავად ნაპირზე გამოეთრია, ნახევრად მოეშთო; შემდეგ კი პირველივე

შესუნთქვაზე უჯმაჯურის ფხვნილი შეესუნთქებინა.

იმ საღამოს თემისტოსმა კი იყვირა, მაგრამ არც ლოდები გადაუბრუნებია და არც ლიფსიტები დაუფეთებია დარანებში.

ასე რომ, კარვიდან გამოვარდნილ ლიბეროსს ოქროსმადიებელი ამღერებული დახვდა. მისი სანმისი ოქროს ცვარით ბრწყინავდა, მისი სანმართული ოქროცურვილი გამხდარიყო; თვითონ თემისტოსს კი პეშვად შემოკავებულ ხელისგულებში მოემწყვდია ოქროს წვრილი ძაფები, რომელსაც სიამაყით დალის დალაღთა ნაკვეცებს ეძახდა.

შლეგი თემისტოსი უზომოდ ბედნიერი იყო, უმღერდა დალის; წყლითა და ოქროთი დამდიმებულ სანმისებს გასაშრობად ჰვინდა და განუწყვეტლივ ლილინებდა.

ლიბეროსი თვალემონკურული უყურებდა და, შეიძლება ითქვას, შურდა; შლეგის ცრურწმენის შურდა და საკუთარი ურწმუნოება სევდას ჰკვრიდა...

აქეთობას ამხანაგები შეხვდნენ — რადგან ოქროსმადიებლებს უკან დაბრუნება დაუგვიანდათ, საძმოს წევრები შემოფოთებულიყვნენ — ენგურის ჭალებში შეეგებნენ და თითქოს ერთობაც აღდგა. თითქოს ყველაფერი რიგიანად იყო, მაგრამ ყველამ შენიშნა, რომ ლიბეროსი ისევ უგუნებოდ გახლდათ, ომნაგებული სარდალივით დაღონებულიყო, არაფერს ამბობდა, დუმდა და დუმდა.

მონაფეებმა იფიქრეს, გავამხიარულებთო (თავი მოიგიჟიანეს, ოინბაზობა და ჯამბაზობა დაიწყეს), ექიმმა კვერცხი დადო, ფილოსოფოსმა — გადაყლაპა, მათემატიკოსმა — გაამრავლა; შლეგმა თემისტოსმა კი იმ კვერცხებიდან მტრედები გამოჩეკა.

არაფერმა გაჭრა.

ყველა გარუმდა და მიაჩერდა ლიბეროსს, რომელიც მიხვდა, რომ სათქმელი უნდა თქმულიყო ახლავე, აქვე, ამ ნამსევე.

ითქვა კიდევ.

ლიბეროსმა აღიარა: ურწმუნო ვარ და ასე ცხოვრება აღარ შემიძლიაო. საძმოს წევრები არ დაიბნენ და ხსნაც მაშინვე შესთავაზეს:

— ინამე პითაგორა, — უთხრა მათემატიკოსმა, — გინდა პტოლემეოსი!

— ინამე სოკრატე, — უთხრა ფილოსოფოსმა, — გინდა სოლონი!

— ინამე ჰიპოკრატე, — ურჩია ექიმმა, — გინდა მედეა!

— ინამე დალი! — დაბეჯითებით უთხრა თემისტოსმა.

ლიბეროსმა იცოდა, რომ მონაფეებს მისთვის სიკეთე სურდათ, მაგრამ ვერ ეხმარებოდნენ. მცირე ხნის დუმილის შემდეგ სცადა, აეხსნა მათთვის.

ძმებო! — თქვა ლიბეროსმა, — რაც შეიძლებოდა სექტებში ვისწავლეთ, რაც შეიძლებოდა ერთმანეთისგან ვისწავლეთ, დანარჩენი ბუნებამ გვასწავლა, მაგრამ მე მეტი მინდა. რაც შეუძლებელია, ის მინდა. მე ხსნა მინდა. მე მინდა ჩემი თავი ვისხნა ურწმუნობისაგან და ვიყო თავისუფალი, მაგრამ როცა სხვა არ არის თავისუფალი, ეს შეუძლებელი ყოფილა და თქვენ ვერ დამეხმარებით. მაღლობა ვუთხრათ ერთმანეთს და დავიშალოთ.

არაო, იუარეს ამხანაგებმა. განსაცდელში ხარ და ვერ მიგატოვებთო.

ამ დროს ლიბეროსს უცნაურად ატკივდა თავი, თითქოს გონება დაებინდა, შემდეგ ერთბაშად გაუნათდა და მაღლით-

გან ეუწყა: ლიბეროს, ლიბეროს! თავი არ მოიკლა. შენი ხსნა სამხრეთიდან მოდის. მდინარესთან დადექ, სამხრეთიდან მოსული ყველა გამოიკვლიე და მათგან აირჩიე შენი მხსნელი.

თვალდახუჭული და გარინდებული იდგა ლიბეროსი. მერე შეინძრა, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ერთბაშად გამოცოცხლდა და თქვა: მოსახდენი მაინც მოხდება. რადგან თქვენსას არ იშლით, მეახლეთ. დღესვე სუფსარს გალმა გავდივარ და არ მკითხოთ, რატომ...

რიონზე ასზე მეტი ხიდი იყო გადებული; სუფსარზე — არცერთი. ყველა დიდი გემი და დიდვაჭარი ფაზისს მიდიოდა, ტვირთი რიონზე ნავებით, მისაბმელიანი ტივებით, რუმბებით და ტიკებით გადიგამოდოდა. სუფსარზე კი წვრილფეხობა მოძრაობდა. ხიდი არ იყო, ფონს გადიოდნენ — ზოგი ცხენით, ზოგი ჯორით: ზოგს ტვირთი საკუთარი ზურგით მიჰქონდა. ზაფხულში სუფსარი ვინრო იყო, თუმცა მისი ადიდება და კალაპოტიდან გადმოსვლა აგვისტოს წვიმების დროს არავის უკვირდა. შესაბამისად, ვისაც ერქარებოდა, ძველი ფონის იმედი აღარ ჰქონდათ და ახლის ძიებაში იყვნენ ყველანი. ვისაც არ ერქარებოდა, ადიდებული სუფსარის კალაპოტში ჩანდომას ელოდებოდა, რომ ისევ ძველი ფონისთვის მიეგნო.

ლიბეროსი გავიდა მდინარეში სუფსარის მარცხენა ნაპირზე, კარავი დასცა ფონის შორიახლოს და იწყო ლოდინი. განთიადიდან დაღამებამდე აკვირდებოდა ყველა მგ ზავრს, ვინც კი სამხრეთიდან ფაზის-ქუთაისკენ მიდიოდა.

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი — მხსნელი არ ჩანდა.

მეოთხე დღეს შლეგმა თემისტოსმა ვილაც მხედარი შეაყენა და მდინარეში ფონს გასვლაში ხელი შეუშალა. მხედარმა მახვილი იმიშვლა და თემისტოსს მოუღერა. თავდაჯერებული იყო. ისე მედიდურად იქცეოდა, მიხვდებოდი, ზურგს მმართველი ძალა და ხელისუფლება უმაგრებდა; მაგრამ თემისტოსი არაფრად აგდებდა, არ ეპუებოდა და მდინარისკენ გზას უღობავდა.

ლიბეროსმა მიაშურა, მხედარი აათვალიერ-ჩაათვალიერა და შესძახა: ვინ ხარ!

პრიმუსი! — დაიქუხა მხედარმა და ცხენი ადგილზე დაატრიალა, — პონტოს პრეფექტის უპირველესი მალემსრბოლი. პატივი ეცით კეისრის მსახურს, რამე არ მიჰქაროთ!

ლიბეროსს ბევრი არ უფიქრია. ცხენს მოახტა და პრიმუსს თავს დაუარა. საძმოს წევრებმა ალყა შემოარტყეს მალემსრბოლს.

ჩემი შეჩერების უფლება არავისა აქვს! — იძახდა პრიმუსი, დამფრთხალ ცხენს ცალი ხელით იოკებდა, მეორე ხელით მახვილს უღერებდა ირგვლივმყოფებს, — გიბრძანებთ, არ მომეკაროთ!

ლიბეროსი მიეკარა კი არადა, ცხენდაცხენ მიადგა და თვალბეში ჩახედა. არა, არ იყო ეს მისი მხსნელი. გაუშვით! — უთხრა ამხანაგებს, ეს ის არ არის.

**პროზანაცია**

მთვარიანი შუალამე გადასულიყო.

საძმოს ეძინა, ლიბეროსი ფხიზლობდა. არავითარი წინათგრძნობა არ ჰქონია. უბრალოდ თავს ვალდებულად თვლიდა, სხვას სძინებოდა და თვითონ — არა. ივალდებულა, არ სძინებოდა და ღამის მგ ზავრის გამოჩენა არ გამოჰპარვოდა.

არც გამოჰპარვია.

სამხრეთიდან მხედარი ისე მოჰქროდა, ეტყობოდა წინდანი იცოდა, მდინარე და ზედევე ფონი სადაც იყო. მიჭენდა ნაპირამდე და სუფსარს დაღმა დაუყვა. საძმოს კარავი შენიშნა და შედგა. ეტყობა ფრთხილობდა, გარემოს ზვერავდა, თუმცა ქვეითად მყოფი ლიბეროსი მაშინდა შენიშნა, როცა ეს უკანასკნელი ჯიქურ მიადგა. მხედარმა მახვილი იმიშვლა და ცხენი ყალყზე შეაყენა.

— ვინ ხარ! — ჰკითხა ლიბეროსმა.

— მალემსრბოლი სეკუნდუსი, პონტოს პრეფექტის მაცნი, — უპასუხა მხედარმა და ცხენი დაიოკა, — შენ თვითონ ვინ ხარ!

ეს არაა ჩემი მხსნელი, გაიფიქრა ლიბეროსმა. თქმით კი უთხრა: ფონი ნახევარი სტადიით ქვევით არის, მიბრძანდი, თუ გინდა, რომ უნაგირი არ დაგისველდეს.

სეკუნდუსმა ნათქვამი დაცინვად მიიღო, გაგულისდა და შეუტია, — მოქალაქე ვალდებულია კეისრის სამსახურში მყოფს პატივისცემით მოეპყროს, — არ იტყვი, ვინ ხარ?

— ლიბეროსი ვარ, — იყო პასუხი, — თავისუფალი კაცი.

ლიბეროს! — სიხარულით აღმობდა სეკუნდუსს, — მადლობა ღმერთებს, ცოცხალი ხარ!

ამასობაში საძმოს წევრებმა გაიღვიძეს, წამოიშალნენ და მოანყდნენ — მიხვდნენ, რალაც მნიშვნელოვანი ხდებოდა.

შლეგი თემისტოსი ძლივს გააჩერეს, როცა გაიგო, რომ ეს მხედარიც მალემსრბოლი იყო და სადაც რალაც საჩქარო ამბავი მიჰქონდა.

სეკუნდუსი ჩამოქვეითდა, ლიბეროსს სთხოვა, განზე განმარტოებულიყვნენ, და სათქმელი ისე უთხრა.

ლიბეროსმა ყველაფერი მოისმინა, თითქოს გაიგო, მაგრამ იმას მაინც ვერ იჯერებდა, რომ ძმამ სასიკვდილოდ გაიმეტა. არადა, სეკუნდუსი დაბეჯითებით უხსნიდა: სასიკვდილო განაჩენი უკვე ქუთაისშია, ფაზისის მხედრობაც უკვე საქმის კურსშია. სადაცაა აიშლებიან და შენს შესაპყრობად დაიძვრებიან. შენი სიკვდილით დასჯის გამაბათილებელი განაჩენი მე მიმაქვს. დროზე თუ გამოიშვებ, ყველაფერი კარგად იქნება — მე შენ სიკვდილისაგან გიხსნი, მე ვარ შენი მხსნელი.

ლიბეროსის გონებაში აზრთა ჭიდილი და ორომტრიალი იდგა. ერთი ხმა ჩასძახოდა: ძმა ძმისთვისაო, მეორე ხმა ჩასძახოდა: შური იძიეო; ერთი ხმა ჩასძახოდა — მიუტენეო, მეორე ხმა უმტიკიცებდა, იქით დაასწარი და მოაკვდი. ლიბეროსს შეეძლო, თავისი სიცოცხლის გადარჩენა სეკუნდუსისთვის მიეწერა, მაგრამ არ ისურვა.

შენ არ ხარ ჩემი მხსნელი, — უთხრა მაცნეს, — გაგიკვირდება, მაგრამ ვერ გაგიშვებ. დროებით ჩემთან დარჩები.

სეკუნდუსი არ დაეთანხმა, ხმას აუწნია. წაკამათდნენ, შეკამათდნენ, იკამათეს. საძმოს წევრებმა მალემსრბოლის მხარე დაიჭირეს და მტიკიცება დაიწყეს: ლიბეროს, სეკუნდუსი შენი მხსნელია. გაუშვი, ვიდრე გვიან არ არისო.

ლიბეროსმა არ დათმო, თემისტოსი გვერდით დაიყენა და თქვა: გაჩუმდით. ჩემი ძმა უნდა გამოვცადო. თუ ეს ყველაფერი მართალია, მე ვერავინ და ვერაფერი მიხსნის.

ამხანაგები დათანხმდნენ. ბოლოს სეკუნდუსიც დაითანხმეს.

იწყეს ლოდინი.

უსაქმოდ რომ არ ყოფილიყვნენ, ადრიანი დილიდან სუფსარზე ფონს გასვლაში მგ ზავრებს ეხმარებოდნენ — უსასყიდლოდ, ზურგით გადაჰქონდათ ბარგი, გადაჰყავ-

დათ ბავშვები.

ლიბეროსს ყველა მიმომსვლელზე ეჭირა თვალი. ვითომდატყვევებულ სეკუნდუსს ანუგეშებდა: შენი დროც მოვაო. ამგვარად, შუადღემდე დრო გალიეს. ლიბეროსის ნიშანზე საძმოს წევრებმა თავი მოიყარეს და ჩრდილოეთის მხარეს მხედრების მოძრაობას დააკვირდნენ. ცხენოსნები სუფსარს უახლოვდებოდნენ.

ყველაზე მჭრელი თვალის პატრონმა, ასტრონომმა, მხედრებს შორის ფაზისის გარნიზონის უფროსი და ლაზიკის მთავარი იცნო. მხარდამხარ მოდიანო, მოახსენა ლიბეროსს.

მეფობა დავუთმე და მაინც გამიმეტა, — ჩაიდუღუნა ლიბეროსმა, — იქნებ იმიტომაც გამიმეტა, რომ დავუთმე.

რისხვის ნაცვლად ცრემლი მოერია. შეეცოდა ფარნაკე და დაენანა.

მხედრები მდინარის მარჯვენა ნაპირს მიადგნენ, მაგრამ როცა გაღმა ნაპირზე ლიბეროსი და მისი თანმხლებლები იცნეს, ფონის ადგილი მიატოვეს, აღმა აინაცვლეს და ზუსტად გაღმელი მხედრების საპირისპიროდ დადგნენ. შუაში, ერთი სტადიის სიგანეზე ნელა მიედინებოდა მდინარე. მდორე სუფსარი თითქმის იდგა, ანუ იდო ქადრაკის დაფსავით.

მდინარის მარჯვენა მხარეს მყოფები, ცოტა არ იყოს, გაკვირვებულები იყვნენ იმით, რომ ლიბეროსი თავისი ამხანაგებით მარცხენა ნაპირზე იდგა, ვითომც აქაც არაფერი; და გაქცევას არ აპირებდა.

პირველი სვლა რომაელთა მხრიდან გაკეთდა — დეკლამატორმა (უფროსის ბრძანების მიხედვით) ბიჯი წინ წადგა და გაღმა ნაპირს გასძახა: ლიბეროს! პონტოს პრეფექტის ბრძანების თანახმად, უნდა დაგატუსალოთ. უმჯობესია, ნებით ჩაგვყაროდე, თუ არადა, ძალით შეგიპყრობთ.

შლეგმა თემისტემ ისტერიული ხარხარი დაიწყო. სხვებს, ლიბეროსის ჩათვლით, კრინტი არ დაუძრავთ. თემისტემ იხარხარა, იხარხარა; შემდეგ უცებ მოსხიპა სიცილი და დადუმდა.

ლიბეროსი გაღმელებს აკვირდებოდა. ისინი თითქოს ერთად იდგნენ, მაგრამ მაინც ცალ-ცალკე განლაგებულიყვნენ. რომაელები, თავიანთი მეთაურით, ერთად იდგნენ, რომაელების გვერდით — ლაზები. ფარნაკე ევპატორი მათ შორის უნდა ყოფილიყო, მაგრამ არ ჩნდებოდა, თითქოს ამ თავყრილობაში წილი არ ედო და ყველაფერი რომაელთა გადასაწყვეტი იყო.

საპასუხო სვლა მხედრით გაკეთდა. მიდი, სეკუნდუს! — უთხრა ლიბეროსმა მაცნეს, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, როდის დაიძვრებოდა; მალემსრბოლი ცხენს მოახტა, ნაპირს დაუყვა, ფონი მოძებნა და სუფსარში შევიდა.

სეკუნდუსი ჩქარობდა, მაგრამ იქ მყოფები ისე იყვნენ დაძაბულები, რომ ვიდრე მალემსრბოლის მდინარეში ფონსგასვლა დამთავრდებოდა, ლამის მოთმინების ფიალა აევსოთ.

მაცნე გაღმა გავიდა, ცხენიდან ჩამოხტა, ფაზისის გარნიზონის უფროსს მიეახლა და უსტარი გადასცა.

მდინარის გაღმიდან ლიბეროსი და მისი ამხანაგები ხედავდნენ, რომ რომაელების მეთაურმა გრაგნილი გაშალა, მზის შუქი ხელით მოიწრდილა და წერილი წაიკითხა. მერე გრაგნილი დაკეცა, ისევ გაშალა და ხელახლა წაიკითხა — ეტყობა საკუთარ თვალებს არ უჯერებდა. იკითხა, იკითხა და შემდეგ გრაგნილი ლაზებს გადააწოდა.

ცოტა ხნის შემდეგ რომაელების და ლაზების კრებული

თითქოს აირია — რალაცას ხმამალა გაჰყვიროდნენ, რალაცას ამტკიცებდნენ, რალაცას უარყოფდნენ. მერე რომაელებმა პირი იბრუნეს და წავიდნენ. ლაზები ერთხანს კიდევ ტკეპნიდნენ ადგილს. მათ შორის ფარნაკეც გამოჩნდა (უფრო სწორად, ლიბეროსმა იცნო თავსარქმელით. ამ თავსარქმელის ირგვლივ მხედრები მიმოდიოდნენ, ტრიალებდნენ — ალბათ, რალაცას უმტკიცებდნენ, რალაცას ჩააგონებდნენ).

ამასობაში ორი მხედარი გაღმიდან სუფსარს მოადგა. ფონი არ უძებნიათ, ისე შემოიჭრნენ მდინარეში; თან ერთმანეთს ექიშებოდნენ, თან ცხენებს მათრახს ისე ხშირ-ხშირად უტყყლაშუნებდნენ, თითქოს მათი წყლის ზედაპირზე გაჭენება ჰსურდათ.

მდინარის მარცხენა ნაპირზე ზორბა მხედარმა ამოასწრო, ყიჟინა დასცა და გაქუსლა. თვალის დახამხამებაში მეორე მხედარი, სეკუნდუსი, ამოხტა ნაპირზე; იმანაც ყიჟინა დასცა და დაწინაურებულ მალემსრბოლს დაედევნა.

პრიმუსი და სეკუნდუსი ანძიანძორას დოღამდე დაწყებულ შეჯიბრს აგრძელებდნენ. ამაზე მეტად საინტერესო მათთვის, როგორც ჩანს, არაფერი იყო და ამას ვერაფერი შეცვლიდა.

აქეთ მალემსრბოლები გადაიკარგნენ, გაღმა რომაელების და ლაზების მხედრობა მიეფარა თვალს.

ლიბეროსი იდგა სევდიანი, გამოფიტული.

მისმა მოწაფეებმა გამარჯვებულებივით დაიწყეს ზეიმი. ლიბეროსის შესაპყრობად, სიკვდილით დასასჯელად წამოსულთა უკუქცევა მათზე გამარჯვებად მიითვალეს და ზეიმობდნენ. წრე შეეკრათ, შუაში თემისტოსი ჩაეყენებინათ, რომელიც ბავშვივით ჭყლოპინებდა, ანცობდა, თითქოს ცეკვაავდა, სინამდვილეში ხტოდა, როკავდა, ბუქნიდა, ბზრიანლებდა.

ქვემოთ სუფსარის ფონზე ტივს ზოზინით გადაჰქონდა ტვირთი, გადაჰყავდა მგზავრები. თითქოს განსაკუთრებული არაფერი ხდებოდა. ლიბეროსს კი პირიქით, არაჩვეულებრივის მოლოდინი მიეძალა. მას ცუდად ესმოდა ის, რომ სიკვდილით დასჯას გადარჩა. უფრო სხვა რამ აფიქრებდა. ახლახან სიკვდილ-სიცოცხლის, ყოფნა-არყოფნის მომხრე და მოწინააღმდეგე დოკუმენტების შეჯიბრის შემდეგ თავი არარაობად, უსუსურ ჭია-ლუად იგრძნო. თავისუფლების მოყვარემ, მუდამ დამოუკიდებლად მცხოვრებმა და სხვისთვის იმავს მასწავლებელმა ლიბეროსმა თავი უმნეოდ იგრძნო. ეს მისთვის არნახული იმედგაცრუება იყო. არა, ასეთი აღმოჩენის შემდეგ მას სიცოცხლე აღარ უნდოდა.

მისი ამხანაგები ზეიმობდნენ. ლიბეროსს თავისკენ იხმობდნენ.

შლეგი თემისტოსი ისევ წრეში ტრიალებდა, დროდადრო ჰაერში შეხტებოდა, დახტებოდა, ტანისამოსს დაიბერტყავდა, ოქროს მტვრის ბუქში ეხვეოდა. საძმოს წევრები ტაშს რიტმულად უკრავდნენ და მოცეკვავეს აქეზებდნენ: უფრო მაღლა ამხტარიყო, უფრო ღრმად ჩაებუქნა, უფრო სწრაფად დაბზრიანლებულიყო.

რომელიღაცამ ღვინო ახსენა, რომელიღაცამ — ქალები, რომელიღაცამ — ფაზისს წასვლა, ოქროს ფანტვა და დროსტარება.

თემისტოსი დაიღალა, მოიქანცა და გაჩერდა. ბზრიანლ-ტრიალისგან თავებრუნდახვეული ნაბარბაცდა, ამხანაგების მხარდაჭერა იუარა და თავქვე, მდინარის ფონისკენ გაემართა. ნაბარბაცდა, შედგა, ნაბარბაცდა, ისევ შედგა —

თითქოს ვილაცა თავისკენ ეზიდებო.

### შიომო

არ იყო საჭირო ცელქი თემისტოსის აგრერივად ნაქეზება-ატაცება — ის მართლა შეიძლება ბოლომდე გაგიჟებულიყო.

ლიბეროსმა კარავში წამალი მოიძია, ღრუბელი გაჟღინთა, ხელისგულში მოიმწყვდია, თემისტოსს დაედევნა, წამოენია, შეაჩერა და მამაშვილურად ურჩია, დაწყნარებულიყო და უკან მობრუნებულიყო. ამასვე ეუბნებოდნენ მათემატიკოს-ასტრონომი, რიტორ-ფილოსოფოსი და მედიკოსი, მაგრამ თემისტოსი არავის უჯერებდა — მზერაგაშტერებული მიინევდა ქვემოთ, მდინარის ნაპირისკენ, სადაც ფონი იწყებოდა და ჯგუფად მდგარი მგზავრები რიგში იდგნენ.

ლიბეროსმა თემისტოსი დაიჭირა, მონაფემ გამწვევი ხარითი გაინია.

— საით? — ჰკითხა ლიბეროსმა და წამალი გაამზადა.

— იქ! — უპასუხა თემისტოსმა და მიუთითა მგზავრების ჯგუფზე, რომელიც ცოტა უცნაურად გამოიყურებოდა — ღარიბულად ჩაცმული კაცები უტივროდ იყვნენ; არც რამე მიჰქონდათ სავაჭროდ, არც სადმე გადაბარებებს აპირებდნენ. ფრინველებივით მსუბუქად გამოიყურებოდნენ. იდგნენ და მოთმინებით ელოდნენ რიგს — ფონსგასვლის რიგს.

— იქ! — გაიმეორა თემისტოსმა, — იქ შენი მხსნელია.

ლიბეროსს გაელიმა და ნაპირს მიმდგარი ადამიანები გადაათვალიერა. არც ერთი ჰგავდა მხსნელს, არც — მეორე, არც მესამე და ა.შ. არც — ბოლო.

უცბად ერთმა მოიხედა, ლიბეროსისკენ გამოიხედა და მისი მზერა მიიპყრო. შემდეგ თავისიანებს რაღაც გადაულაპარაკა (ალბათ, არ დამელოდოთო), თავისი საძმო დროებით მიატოვა და ლიბეროსის საძმოს წევრებისკენ წამოვიდა. არავინ ადევნებია-გამოდევენებია (ალბათ, ესეც ნათქვამი ჰქონდა თავისიანებისთვის). წამოვიდა ის მგზავრი ლიბეროსისკენ, მიუახლოვდა და ათიოდ ნაბიჯზე შედგა. ასაკოვანი იყო, თეთრწვეროსანი. არც კოლხს ჰგავდა, არც ლაზს, არც ბერძენს, არც არმენს, არც იბერს და არც, მი-თუმეტეს, რომაელს.

თემისტოსი აკანკალდა, ლიბეროსს მუდარის მზერით შეხედა: გამიშვიო. ლიბეროსმა ხელი გაუშვა.

თემისტოსი იმ მგზავრისკენ წავიდა, ხუთი ნაბიჯი გადადგა, მერე მუხლებზე დაეცა და დანარჩენი ხუთი ნაბიჯი დაჩოქილმა გაიარა, მიეახლა თეთრწვეროსანს, თავი დახარა, მუხლზე მიაღო და გაიტრუნა.

ეს თავყვანისცემას ჰგავდა, მაგრამ არ ყოფილა თავყვანისცემა. ეს არ იყო მონური მორჩილებით ბატონთან მიახლება, მისი შიშით მუხლმოდრეკა და ქედმოდრეკა. ეს მამაშვილის შეხვედრას — უფროსი მეგობრის და მასწავლებლის წიაღიდან გამოსული შვილის დიდი ხნის უნახავ მამასთან დაბრუნებას უფრო ჰგავდა.

საძმოს წევრები გაშტერებული უყურებდნენ მოლაღატეს და ვერ მიმხვდარიყვნენ მომხდარის შინაარსს.

ლიბეროსმა თავისებურად სცადა ყველანაირი ცოდნა ჩამოებრტყა და აღლოთი მიმხვდარიყო, ვის მიეახლა მისი მონაფე — არაფერი გამოუვიდა. უყურებდა თეთრწვეროსანს, რომელსაც ხელისგული თემისტოსის კეფაზე ედო და დაბალს ხმით რაღაცას ეუბნებოდა ქედმოდრეკილს; ამ უკანასკნელს კი მხრები უცახცახებდა, როგორც აქვითინე-

ბულ ადამიანს ემართება, სწორედ ისე.

— ვინ ხარ! — ველარ მოითმინა ლიბეროსმა და ნაბიჯით წინ წაინია.

— შიომო! — უპასუხა თეთრწვეროსანმა. მერე დახედა ქედმოდრეკილ თემისტოსს და ისე თქვა, — დამითმე ეს ყმანვილი. დიდი ბავშვია — მალე ირწმუნებს.

— ის ავადმყოფია, — საუბარში ჩაერთო მედიკოსი, — ჩვენ მას დრო და დრო ვმკურნალობთ ხოლმე, რომ არ გაგიჟდეს. ზოგჯერ საშიშიცაა — შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს დაგერიოთ და თავბედი განყვევლინოთ.

— არა, არა! — გაეცინა შიომოს, — ეს უკვე აღარაა ავადმყოფი. ამას უკვე სწეულება აღარ ამძიმებს. ეს ყმანვილი ჩემთან ერთად გავა ამ მდინარეს ისე, რომ ფონიც არ დასჭირდება. თქვენ კი, ცოდნითა და ეჭვით დამძიმებულეზო, მოგვეყვით, თუ შეძლებთ და არ ჩაიძირებით. თქვენისთანებს სასწაული სჭირდებათ, რომ იწამონ, და აჰა, იხილეთ სასწაული!

შიომომ თემისტოსი წამოაყენა, გვერდით ამოიყენა, ხელი მოხვია და მდინარის ნაპირთან მიიყვანა; შემდეგ წყალზე შედგა, აბორძიკებული თემისტოც გვერდით ამოიყენა და მათ იწყეს სვლა.

ლიბეროსი და მისი ამხანაგები პირდაღებულნი უყურებდნენ სასწაულს — ორი კაცი სუფსარს ფონს გარეშე გადიოდა. ორივე ისე მიაბიჯებდა, თითქოს მოლზე მირონინებენო, თითქოს ისე ფრთხილ ნაბიჯს დგამენ, ჭიანჭველაც არ შევანუხთოთ.

ლიბეროსი და მისი მონაფეები მიჰყვნენ და შევიდნენ წყალში მუხლამდე, წელამდე, მხრებამდე, კისრამდე, იწყეს ცურვა და წინ წასულების — წყალზე მიმავალი წყვილის — თანხლება.

შიომონი და თემისტოსი გაღმა მშრალზე გავიდნენ მშრალეზი. ლიბეროსი და მისი ძმები გავიდნენ სველები, დაღლილები და დაეყარნენ ნაპირზე. ქანცგაცილები იყვნენ არა იმით, რომ ცურვამ დაღალა (სუფსარი ადრეც გადაეცურათ და გადმოეცურათ), არამედ იმით, რომ გაცოცხლდნენ, სასწაულის ხილვამ ფიზიკური ღონე წაიღო და სულის მოთქმაც სჭირდებოდათ.

პირველი ისევ ლიბეროსი გაუმკლავდა ღონემიხდილობას და ფეხზე დადგა. თეთრწვეროსანი დაელაპარაკა: მე ზელოტი ვარ და ვიცი — არავინ არის ბატონი, გარდა მამაღმერთისა.

ლიბეროსმა თვალეზი დახუჭა და დაინახა, როგორ დაინგრა მის წარმოდგენაში აღმართული ღმერთების პანთეონი.

„თუ ისე არ მოიქცევით და არ იქნებით, როგორც ბავშვები, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველში“, — განაგრძო შიომომ — „ჩვენი სწავლება დაფარულია ბრძენთა და გონიერთათვის და გაცხადებულია ჩვილთათვის“.

ლიბეროსის გონებაში დაინგრა და მტვრად იქცა ფაზისის სექტებში შესწავლილი მათემატიკის და ასტრონომიის, ფილოსოფიის და რიტორიკის, მედიცინის თავმომწონედ აღმართული ცოდნის ტაძრები.

„თუ გაცდუნებს შენი ხელი ან შენი ფეხი, მოიკვეთე და გადაგდე შენგან. თუ გაცდუნებს შენი თვალი, ამოიხარე და გადაგდე შენგან. გიჯობს დასახიჩრებული ან კოჭლი, ან ცალთვალა შეხვიდე სიცოცხლეში, ვიდრე ორი ხელით, ორი ფეხით და თვალბილული ჩაგდებულ იქნე ცეცხლოვან გეენაში“.

ლიბეროსი შიომოსს უსმენდა და უკვე თვალბილული ხედავდა, როგორ ინგრეოდა და მტვრად იქცეოდა თავისუფ-

ლებით თავმოწონება, დამოუკიდებლად ცხოვრებით გაკვალილი გზები, ხიდეები. ამ ყველაფრით შექმნილი სიამაყე უკვალოდ გაქრა.

ლიბეროსი მიხვდა, რომ მისი მხსნელი სწორედ ეს თეთრვეროსანი შეიძლება იყო, რომელიც საკუთარ თავს შიმონ ზელოტს ეძახდა და ქადაგებდა ნამდვილი მხსნელის და ცათა სასუფეველის შესახებ.

საძმოს წევრებს ცხენები, კარვები და ქონება მდინარის გაღმა დარჩათ, მაგრამ აზრად არავის მოსვლია უკან მიბრუნება.

ამასობაში შიმონის მცირერიცხოვან თანმხლებთა ჯგუფი ფონს გავიდა და თავის წინამძღოლს მიეახლა. მან გზის გაგრძელება ბრძანა და ყველანი დაიძრნენ ფაზისისკენ. ყოფილი შლეგი თემისტოსი თავის საძმოს წევრად მიითვალეს და თან წაიყვანეს.

ლიბეროსი, მათემატიკოსი, ასტრონომი, რიტორი, ფილოსოფოსი და მედიკოსი წინასწარ აედევნენ, თანხლება ითხოვეს და, როცა გაიგეს, ქრისტიანები ფაზისის შემდეგ გიენოსის, ახალი დიოსკურიის და პიტუინტის მოხილვას აპირებდნენ, მეგზურობა შესთავაზეს.

— ჩვენი ცხოვრებით ცხოვრება გაგიჭირდებათ, — თქვა შიმონმა, — თუმცა ვინ იცის: იქნებ თქვენი მეგზურობით ჩვენ გაძლიერდეთ, ჩემი მეგზურობით კი თქვენ გაძლიერდეთ რწმენაში.

ორი საძმოს შეერთება გარეშესათვის შესამჩნევი არ იყო, ურთიერთთანხლება თვალშისაცემად არ ჩანდა, მაგრამ დაკვირვებული მზერა მაინც აღმოაჩინდა მსვლელობის დროს დაცულ თანმიმდევრობას: წინ შიმონ ზელოტი და მისი საძმოს ახალი წევრი — ყოფილი შლეგი თემისტოსი — მიაბიჯებდნენ, მათ მიჰყვებოდნენ საძმოს ძველი წევრები, ბოლოს კი ცოდნით დამძიმებული ახალი წევრები.

მიაბიჯებდნენ დინჯად, მშვიდად, ყოველგვარი ხმაურისა და ტკრციალის გარეშე. უბარგოდ, უტვირთოდ მგზავრებს სულ არ ჰგავდნენ. ისე მსუბუქად გამოიყურებოდნენ, ფრინველებს ემსგავსებოდნენ, ასაფრენად მუდამ მზადმყოფ ფრინველებს.

**კასიუსი და მარკუსი  
(ანუ ოთხი წლის შემდეგ)**

ციხე-ქალაქ პეტრას ჭიშკარს ორი ახალგაზრდა მხედარი მიადგა. ერთი რომელიც ცენტურიონი იყო, მეორე — მალემსრბოლი სეკუნდუსი.

მაცნემ ჭიშკარზე დააბრახუნა, რიტმულად, პაროლის შესაბამისად. შიგნიდანაც შესაბამისი თანხმობის კაკუნით უპასუხეს.

— დიდება კეისარს! — ასძახა სეკუნდუსმა ჭიშკარს ზემოთ გალაგნის პარაპეტზე ადამოყუდებულ მეციხოვნეებს.

— დიდება კეისარს! — ჩამოსძახეს ზემოდან.

ლიბანის კედრითა და ხალიბური რკინით შეჭედილი მძიმე, ვეება ალაყაფის კარი უხმაურად გაიღო, მოსულეები გაატარა და მალევე დაიხურა; ისე მალე, თითქოს მხედრები ჩაყლაპაო.

ციხის შიდა ეზოში შესულებს უკვე ელოდნენ. გარნიზონის უფროსის კასიუსის სამხედრო კარიერის ბოლო დღე იდგა — მეთაური ახალს უნდა შეეცვალა.

მალემსრბოლმა სეკუნდუსმა პეტრას გარნიზონის უფროსს პონტოს პრეფექტის მიერ ბეჭედდასმული რწმუნე-

ბის სიგელი გადასცა და მისი შემცვლელი წარუდგინა.

თავის მხრივ კასიუსმა წინასწარი შეთანხმების მიხედვით თავმოყრილ სამხედრო და არასამხედრო პირებს, ციხე-ქალაქის უფროს-უმცროსს, შემალღებული ადგილიდან, თლილი ქვით აღმართული კვარცხლბეკიდან დასძახა: შუადღის შემდეგ დაემორჩილებით გარნიზონის ახალ უფროსს — ცენტურიონს მარკუს კრემონელს.

სამხედროების და არასამხედროების კრებული სიხარულის ყიჟინით არ შეხვედრია ახალ მეთაურს. ახალგაზრდა ცენტურიონმა მაშინვე იცნო, რომ აქაურებთან არაერთი გამოცდა ექნებოდა ჩასაბარებელი და რკინის ხელიც მზად ჰქონდა მათ დასამორჩილებლად.

ძველმა ციხისთავმა ახალს პეტრას შიდა ეზოს ყველა დამხმარე ნაგებობა და სათავსო დაათვალიერებინა აკვედუკიდან დაწყებული, საჯინიბოებით და ალიმენტარიით დამთავრებული. მთავარი ბოლოსთვის შემოინახა.

ქვის კიბეებით ამალდნენ და გალავანზე გავიდნენ. კასიუსი შესამჩნევად კოჭლობდა, მაგრამ არ იმჩნევდა. გაიარეს დასავლეთის კედელი და გოდოლი, ჩრდილოეთის კედელი და გოდოლი, შემოუარეს აღმოსავლეთის კედელს, სამხრეთის კედლიდან კიდევ უფრო მაღლა აიწიეს, დასავლეთის კედელთან შეერთების ადგილზე აღმართულ გოდოლზე ავიდნენ და შედგნენ. კლდოვან კონცხზე აღმართული ციხე-ქალაქის ყველაზე მაღალი ადგილი სწორედ ეს იყო.

43 წლის კასიუსი და 23 წლის მარკუსი ყველაზე მაღალ კოშკზე იდგნენ. აქედან ჩანდა ყველაფერი: ცა და მიწა, ზღვა და მთა. აგვისტოს ბოლო იყო. ახალი წელი ახლოვდებოდა. ევქსინოსის მხრიდან საამო, თბილი ნიავი უბერავდა. ამინდი იყო შესანიშნავი, მზიანი. ფართო თვალსანიერი გულს ახარებდა.

კასიუსი ათასჯერ მაინც მდგარა სწორედ ამ ადგილზე და ბევრჯერ დაკვირვებია ზღვას, კოლხეთის ბარს, კავკასიის მთებს, ფერდობებზე შეფენილ ბალ-ვენახებს. აქედან სამხრეთით აფსაროსი ჩანდა, ჩრდილოეთისკენ კი კარგ ამინდში ფაზისსაც უნევედა თვალი.

ერთი ამ ახალს თუ უჭრის მხედველობა, — გაიფიქრა კასიუსმა; თქმით კი უთხრა, — ალბათ მოგწონს აქაურობა, ხედავ რა სილამაზეა?

— ხედავ? — უპასუხა მარკუსმა, — სტრატეგიულად მშვენიერი ადგილია, მაგრამ, როგორც ვიცი, აქ კარგა ხანია სიმშვიდეა.

„ხუთი წელია სრული სიმშვიდეა, — დაუდასტურა კასიუსმა, — ბოლოს სასიგნალო კოცონი ამ კოშკზე სწორედ ხუთი წლის წინათ დავანთეთ. მაშინ აფსაროსიდან სიგნალით გავიგეთ, რომ რალაც მნიშვნელოვანი ხდებოდა და მაშინვე ვაცნობეთ ფაზისს. შესანიშნავი პირომასტერები გვყავს — თვალის დახამხამებაში შეუძლიათ ააგიზგიზონ კოცონი. ისე, მარკუს, ღმერთებმა ნუ დაგაჭირვოს, თორემ ტერციუსი და კვარტუსი ამის ოსტატები არიან. ხუთი წელია კოცონისთვის საგანგებოდ შერჩეულ მასალას ახლით ვცვლით, ძველს კი ალიმენტარიის ღუმელში, როგორც ჩვეულებრივ შემას, ისე ვწვავთ. ერთფეროვნება მოსაწყენია. ერთფეროვანი მშვიდობაც კი მოსაწყენია“.

მარკუსი თანხმობის ნიშნად თავს უქნევდა.

„შეხედე რა მშვენიერი ხედაა, — განაგრძობდა სათქმელს კასიუსი, — შენს თვალწინა ყველაფერი: ცა და მიწა, ზღვა და მთა. ძველად ამ ადგილს კოლხეთი ერქვა. აქაურე-

ბი თავს კოლხების შთამომავლებად თვლიან და ჩვენ მათ ლაზებს ვეძახით. კეისრის მეგობარი ქვეყანაა, მაგრამ არ გეგონოს აქაურებს მართლა შენთან მეგობრობა უნდოდეთ. სულაც არ ვეხატებით გულზე.

ანიკეტის ჯანყის ამბავი რომ გაიგეს, კინალამ ჩვენზე გამოინიეს — ალყაფის კარი ორი თვე არ გაგვიღია, შიშით სული გეძვრებოდა, მაგრამ გარეთ გასვლას ვერიდებოდით. აგერ, აქვე საქარავენ გზა გადის — არც არავის ჩაუვლია, არც არავის ამოუვლია — ბლოკადა მოგვიწყვეს. დაბლა სანაპიროზე ნავეები გვეყავდა — დაგვილენეს. რა უნდა მექნა, გარნიზონში 15 კაცი მყავდა, რადგან ასსამოცი მეომარი ფაზისიდან ტრაპეზუნტში აჯანყების ჩასაქრობად მიმავალ ტერირემას გავაყოლე.

ახლა ყველაფერი თითქოს კარგადაა, მაგრამ არ მინდა საქმე ისე გადაიბარო, ჩემი ვარაუდი რომ არ გაგაცნო“.

მარკუსმა წარბები აწია, თავი დაუქნია და უხმოდ ანიმნა კასიუსს, მთელი გულისყურით გისმენო.

„ლაზიკის დაპყრობა კეისარს არ სურს და მართალიცაა. ჩვენ რომ ამათ შევუტოთ, თავიდან კი მოვერევით — ბარს დავიპყრობთ, მაგრამ ესენი უღელტეხილებს გახსნიან და კავკასიის ქედს იქით მცხოვრებ ნომადებს მოგვისევენ. აუარებელი მსხვერპლი იქნება — ქაოსი დაისადგურებს. უკან დახევა და ისევ ციხე-ქალაქებში გამაგრება მოგვიწევს, მაგრამ...“

— რა მაგრამ? — ჩაეკითხა მარკუსი.

— მაგრამ თუ ლაზებმა იბერებთან ომი წამოიწყეს (მაგათ ერთმანეთში სადავო ტერიტორია აქვთ — არგვეთოსს ეძახიან), ამ შემთხვევაში ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ წავა. მწვანე ცეცხლს დაანთებ სამხრეთის გოდოლზე. ერთ დღეში ტრაპეზუნტიდან, სინოპიდან ფლოტი დაიძვრება. როგორც კი ზღვაზე ფაზისისკენ მიმავალი პირველი ტორემა გამოჩნდება, მინიმუმ ასორმოცდაათ ეომარს გავზავნი. შენი ხალხი სუფსარის ზღვის შესართავთან ტერირემაზე გადავა და ძირითად ძალას სწორედ ასე შეუერთდება.

ამგვარად, იბერებთან ომში ჩართულ ლაზებს ზურგიდან დაეფვლით და უღელტეხილებს ხელში ჩავიგდებთ. დანარჩენი — ანუ საომარი მოქმედებები, თვითონ იცი, ჩვენ, რომაელებს, არ შეგვეშლება.

— გასაგებია! — თქვა ცოტათი შეცბუნებულმა მარკუსმა და ნათქვამს დაუმატა, — რაც ჩვენ ვიცით, ხომ შეიძლება ლაზებმაც გაიგონ?

— აქ ეს იციან მხოლოდ გარნიზონების უფროსებმა, — უპასუხა კასიუსმა, ხელი სამხრეთისაკენ გაიშვირა და თქვა, — იქ კი — პრეფექტმა პროფანუსმა და სირიის ლეგატმა. დიდება კეისარს!

— დიდება კეისარს! — გაიმეორა მარკუსმა.

— უარესისთვისაც მზად უნდა იყო, მარკუს, — განაგრძო დარიგება კასიუსმა, — გადახედე ამ არემარეს. ხომ ლამაზია, მაგრამ თვალი არ მოგჭრას ამ სილამაზემ. შენ, როგორც რომის ხელისუფლების წარმომადგენელმა, უნდა ამოიციო მცირე საშიშროებაც კი. წინასწარ უნდა იყნოსო მოსალოდნელი ჯანყის სუნი. ლაზებთან არ იმეგობრო. ეგენი კოლხების შთამომავლები არიან, ძველი სამეფოს აღდგენაზე ოცნებობენ. გამოცდილი მაქვს და ვიცი. ერთი ლაზი მეგობარი მყავდა; თუმცა ეს მე მეგონა, რომ ვმეგობრობდი, თურმე მატყუებდა. თავისთავად უცნაური კაცი იყო, იმდენად უცნაური, რომ ყველაფერი იცოდა: ლათინური, ბერძნული, არამეული და კიდევ კავკასიური ენები. ვარსკვლავები, მედიცინა, მშენებლობა, მეურნეობა, ნა-

დრობა, თევზაობა, მოკლედ, ყველაფერი. საოცარი კაცი იყო. ფუტკარი მოიშინაურა ისე, რომ სადაც სკას შეუჭვდავდა, თაფლსაც იქ უგროვებდნენ. იმ თაფლს კიდევ იღებდა და არიგებდა: ზოგს ავადმყოფს უგზავნიდა, ზოგს — კარგად მყოფს, ზოგისგან წამალს ამზადებდა. წყალზე სიარული შეეძლო. ჩვენს პანთონს კი არადა, კოლხურ ღმერთებსაც ეჭვის თვალით უყურებდა. უცხო ვინმე სწამდა. ასეთი უცნაური იყო. ბოლოს ამ გზით სამხრეთიდან ნერგები შემოჰქონდა — ტირიფის ნერგები. რა უნდა ტირიფს მეურნეობაში, ის ხომ უნაყოფო ხეა!

მარკუსმა გაიცინა და, როგორც იქნა, ხმა ამოიღო: ტირიფები ჩვენც გვექონდა კრემონაში, უფრო სწორად, მამაჩემს ჰქონდა დარგული ვენახის ბოლოს.

— აი, ყოჩაღ, არ მოველოდი! — ვითომ გაუკვირდა კასიუსს, — ჭკვიანი ყოფილა. ე.ი. მამაშენი ვაზის ასახვევად ტირიფის წნელებს იყენებდა. მამაჩემი მეცხვარე იყო, მაგას ვერ მასწავლიდა. ე.ი. ვაზის ასახვევად, არაა?!

— დიახ, სწორედ ეგრე იყო! — დაეთანხმა მარკუსი.

— მეც ამიტომ დავთანხმდი ლიბეროსს; უფრო სწორად — დამითანხმა, — თქვა კასიუსმა და ფერდობებზე გაშენებულ ვენახებს გახედა, — ვაზის ტოტების ასაკონად ტირიფი უნდა მოვამეწოო. ღობეში წნელების ჩასანვნელად ტირიფის ტოტებს არაფერი სჯობსო. გადახედე არემარეს, ტირიფებს სადმე ხედავ?

მარკუსმა მიათვალა იერ-მოათვალა გარემო და მალე იპოვა ის, რასაც ეძებდა. სამი-ოთხი სტადიით პეტრადან აღმოსავლეთით ღია მწვანე ფერის ხეები ბუჩქებივით ჩანდა შორიდან — ვენახთა ბოლოზე, ნაკვეთებს შორის საზღვარზე მწკრივებდა იყო დარგული.

მარკუსმა მიუთითა, — აი იქ, მარცხნივ პირველი ზოლი, მეორე ზოლი, შორიზონტალური ზოლები სულ ტირიფებია.

— ზემოთ, მთის ფერდობზე? — იკითხა კასიუსმა, — აი, სადაც ტყეა გაკაფული. ის ღია მწვანე ფერის ხეები?

— ისიც, ალბათ, ტირიფია, — უპასუხა მარკუსმა, — რა მნიშვნელობა აქვს!

— შეიძლება არც არაფერი, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა, — თქვა კასიუსმა, — ჯერ ერთი, ეგ ხეები ტირიფი კი არა, ბამბუკია. ამ ბამბუკის შემოტანაში რამე ლაზური მზაკვრობა არ იმალებოდეს. აკი ლიბეროსს ბამბუკი არც უხსენებია. ტირიფის ნერგები უნდა შემოვიტანო, და ჩემგან თანხმობა მიიღო. ბამბუკზე სიტყვა არ დასცდენია. საბაჟოზე ჩემი დეკურიონი კვინტუსი იდგა — ვერ გაარჩია ტირიფი და ბამბუკი. მთვრალი არ ყოფილა, მაგრამ ტირიფის ნერგებში შერეული ბამბუკის ნერგები ვერ ამოიციო. რომ ამოიციო და ჩემთვის ეთქვა, ბამბუკს არ შემოვტანინებდი.

— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ რას უნდა ვუფრთხოდე, მაინც ვერ გამიგია! — მორიდებულად თქვა მარკუსმა.

— ბამბუკის ღერო კიბის დასამზადებლად გამოდგება? — იკითხა კასიუსმა.

— არ ვიცი, ბამბუკი არ მინახავს, — უპასუხა მარკუსმა. — მე მინახავს და გეუბნები — გამოდგება, — დაბეჯითებით თქვა კასიუსმა, — დასადგამი კიბე, სამსჭვალეებით განყოფილი, მშვენიერია, რაც მთავარია, მსუბუქი. დასაკიდებელი კიბე, სელის თოკის კვანძებით განყოფილი, მშვენიერია. ტირიფმაზე მინახავს, მეზღვაურებს ძალიან მოსწონთ, მაგრამ...

— რა მაგრამ! — მოთმინების ფილა აევსო მარკუსს.

— მაგრამ ბამბუკის ღერო ჰოროლის ტარადაც გამოდგება, — არ ცხრებოდა კასიუსი, — გამოდგება და მერე რო-

გორ! პალესტინაში მინახავს. მონადირეებს ვუნახე და გან-  
ვაიარაღე. მშვენიერი შუბი გამოდის, თუ რა თქმა უნდა ბუ-  
ნიკი კარგი რკინის აქვს.

— მგონი ვხვდები, რისი თქმა გინდა, — შეჰბედა მარ-  
კუსმა თანამოსაუბრეს.

— აბა, მითხარი!

— ლაზური მზაკვრობა, შენ რომ მიხსენე, ეს უნდა  
იყოს. თუ შეითქვეს და აჯანყდნენ, უცებ შეიარაღდებიან,  
მაგრამ შუბის საპირე ვინ უნდა მისცეს?

— ჰოო, საქმეც ეგაა! — კმაყოფილებით გადაიბარა სათ-  
ქმელი კასიუსმა, — საქმეც ეგაა. ლაზებს ხალიბები დაეხმა-  
რებიან. ისინი რკინის წრთობის ოსტატები არიან. ამაში თვი-  
თონ დარწმუნდები. კვირაში ერთხელ ჩვენთან, პეტრაში მო-  
დის ხალიბი მჭედელი მახარე. თუ რამ პრობლემა გექნება:  
ცხენის ნალი, ბოქლომი, სამსჭვალე, ურდული, ჯავშანი, ჩაჩ-  
ქანი, უზანგი, რაც გინდა, ყველაფერს გაგიკეთებს. ისეთ  
რკინას აწრთობს, გამძლეზე გამძლეა. მაგათ მთებში რაღაც  
შავი ქვა მოიპოვება, ვგონებ მანგანუსი ჰქვია, არა — მანგა-  
ნიმუსი. ამ შავი ქვის ფხვნილს ურევს გამდნარ რკინაში. ისე-  
თი შუბისპირი გამოჰყავს, ჩვენი რომაული ფარი ვერ უძ-  
ლებს, მომისინჯავს და ვიცი. მანგანიმუსის ადგილსამყოფე-  
ლის შესახებ ვერაფერი დავაცდენინე, ვერც მოვისყიდე.  
მოკლედ, მუდრეგი ბარბაროსია, მაგრამ რადგან თავისი  
საქმე კარგად იცის, მის სამსახურზე უარს არ ვამბობთ. შენ  
შენებურად შეგიძლია გადანყვიტო. დღესვე, სულ მალე შუ-  
ადლის შემდეგ, როცა შენი უფლებამოსილება ძალაში შევა,  
შეგიძლია ბრძანო და პეტრაში აღარ შემოუშვებენ.

რაც მთავარია, ყოველ დღით აქ ამოდი, დააკვირდი ამ  
ფერდობებს და, იცოდე, თუ ბამბუკის კორომები ვიღაცას წი-  
ნა ღამეს გაუჩეხავს, ეს ნიშნავს, რომ ომი იწყება. აჯანყება  
დაბადებულია, მისი ხმა არ ისმის, მაგრამ ამას შენ ყველაზე  
ადრე უნდა მიხვდე. ბამბუკი მარტო აქ ხარობს. ფაზისში ამას  
გვიან გაიგებენ. ამ შემთხვევაში პირველი სიგნალი შენ უნდა  
მისცე ფაზისს და აფსაროსს — გოდოლზე წითელ ცეცხლს  
დაანთებ. სხვა შემთხვევაში მედიატორის ფუნქცია უნდა შე-  
ასრულო: აფსაროსიდან სიგნალი ფაზისს რომ გადასცე,  
მწვანე ცეცხლი უნდა გენთოს; პირიქით, ფაზისიდან წამოსუ-  
ლი სიგნალი აფსაროსს რომ გადასცე, ყვითელი ცეცხლი  
დაგჭირდება — შესაფერისი პულვერები კვინტუს-უმცროსს  
აბარია. ნისლიან ამინდში და წვიმის დროს ცეცხლზე ფისი  
დაამატებინე. კედრის ფისიც კვინტუს-უმცროსთან ინახება.  
ის ჩვენი მთავარი პირომასტერია. ყველაფერი გასაგებია?

— ყველაფერი გასაგები არ არის! — ნაწყენივით თქვა  
მარკუსმა, რომელიც ხანგრძლივი მგზავრობისგან საკმაოდ  
დაღლილიყო და რა დასამალია, მოშიებულიც ბრძანდებოდა.

— მაინც რა არის გასაგები?! — გაიკვირვა კასიუსმა.

— ჩვენ რომ გაგვიჭირდეს, პეტრას მეციხოვნეებს, რო-  
მელი სიგნალი გამოგვადგება? — იკითხა მარკუსმა.

კასიუსმა გადაიხარხარა, თანამოსაუბრე მიატოვა და  
კოჭლობით დაიძრა კოშკიდან გალავნის კიდეზე ჩასასვლე-  
ლი კიბისაკენ. მარკუსიც მიჰყვა. კიბეზე შედგნენ და შიდა  
ეზოს ჩახედეს. პეტრას შიგნითაც ისეთივე წყნარი ამინდი  
იყო, როგორც გარეთ.

— თუ გიჭირს და მტერმა ალყაში მოგაქცია, ან ღმერ-  
თებმა გვაშოროს, ციხე შიგნიდან აგიჯანყდა, — სიცილ-სი-  
ცილით თქვა კასიუსმა და მერე უცბად მოიღუშა, — მაშინ  
ოთხივე გოდოლზე უნდა ენთოს ცეცხლი, ფერს მნიშვნელო-

ბა არა აქვს. ყველაფერი უნდა დაანთო, რაც კი იწვის. კუპრი  
აადულე, ნახევარი ქვაბი მტერს გადაასხი, მეორე ნახევარი  
კოცონზე დაასხი. შენი სიგნალი ხანძარს უნდა ჰგავდეს, რა-  
თა ორივე შენმა მეზობელმა ციხე-ქალაქმა დროზე გაიგოს  
აქაურების გასაჭირი. შენ შენი უნდა სცადო. დანარჩენი უკ-  
ვე მათზეა დამოკიდებული — ან მოგისწრებენ, ან ვერა.

ციხის შიდა ეზოში ზარი დაირეკა — ალიმენტარი სატ-  
რაპეზოდ უხმობდა მეციხოვნეებს — შუადლე იყო.

— მარკუს, ალბათ ძალიან გშია! — თქვა კასიუსმა და  
გულში თითქოს ძარღვი ჩასწყდა, რადგან მისი სამხედრო სამ-  
სახური ამ ზართან ერთად დასრულდა. მარკუსი პეტრას გარ-  
ნიზონის უფროსი გახდა, მაგრამ ჯერ ამის აინფორმირა არ იყო.

— სიმართლე გითხრა, მართლაც ძალიან მომშივდა! —  
აღიარა მარკუსმა, — მაგრამ ისეთი კმაყოფილი ვარ შენ-  
თან საუბრით, შენი რჩევებით, მეტი არ შეიძლება. ამდენ  
ხანს მამაჩემს არ უსაუბრია ჩემთან. ახლა ყველაფერი ვი-  
ცი. ადრე მეგონა, ღვინის ქვეყანაში მივდიოდი. და მხიარუ-  
ლად ვიმსახურებდი-ვიცხოვრებდი. თურმე სადა ხარ! ცო-  
ტა არ იყოს შემაცბუნა შენმა რჩევებმა, მაგრამ მაინც მად-  
ლობელი ვარ, ძალიან მადლობელი.

— მადლობა ღმერთებს უთხარი, რადგან აქამდე ჯანმრთე-  
ლად მოაღწიე. სთხოვე, რომ ჩემს ასაკამდეც ჯანმრთელმა  
უნო, — უსურვა ყოფილმა ლეგიონერმა კასიუსმა ახალგა-  
მომცხვარ გარნიზონის უფროსს, — ეს ზარი სადილის ზარი  
იყო. იმედია სუფრაზე დამპატივებ, რადგან კარგი რჩევები მო-  
გეცი. დღეს მეციხოვნეებს განსაკუთრებული სადილი აქვთ:  
ლორის ხორცი და კოლხური ღვინო. მე მათ უფლება მივეცი  
კოლხურად დალიონ ჩემი სადღეგრძელო. თუმცა ვისაც სურს,  
შეუძლია კრატერით გააზავოს, ან თუნდაც შუშუნა წყალმძა-  
რი დალიოს. თუ ჩემი განკარგულება არ მოგწონს, შეგიძლია  
გააუქმო. შეგიძლია უბრძანო და მთელი ღვინო აი ამ დასავლე-  
თის კედლიდან ეექსინოს პონტოში გადააქციო. რას იტყვი!

— ხუმრობა იქით იყოს და ისე მშია, — ამოიგმინა სასო-  
ნარკვეთილმა მარკუსმა, — ისე მშია, რომ ღორის მწვადსაც  
გეახლები და შენს სადღეგრძელოსაც კოლხურად დავლევ.

იმ სადილზე ყველამ კარგად მოილხინა: უფროსობამაც  
და ხელქვეითებმაც. კასიუსი თითქმის არ სვამდა — დღეს-  
ვე მივემგზავრები, წინ შორი გზა მიდევს და ბევრი ღვინო  
მანყენს. მეციხოვნეებმა რამდენჯერმე ერთხმად დალიეს  
ყოფილი მეთაურის სადღეგრძელო, რაც მარკუსს დიდად  
არ ეჭაშნიკა. როგორც ახალმა მეთაურმა, თავიდანვე სიმ-  
კაცრე და ფხიანობა გამოიჩინა — თანდათან შეკვეცა ნა-  
დიმზე მოსატანი ღვინის რაოდენობა, მერე კი ალიმენტარს  
ზარი დაარეკინა — ე.ი. დროა, საქმეს მიხედოთო.

მეციხოვნეებმა ყველაფერი მშვენივრად გაიგეს.  
აიშალნენ, კასიუსს დაემშვიდობნენ. ისეთი გულითადი  
სიტყვები უთხრეს ყოფილ უფროსს, რომ გული აუჩუყეს,  
ააცრემლეს და ისე გაისტუმრეს ციხის შიდა ეზოდან.

მარკუსმა ბრძანა, გაგაცილებო, და ისიც კასიუსთან ერ-  
თად, ამხედრებული, ალაყაფის კარიდან ისე გავიდა, არავის  
თანხლება არ უთხოვია — აქაოდა, ჩემს სამფლობელოში  
ვარ და არაფრისა მეშინიაო.

კასიუსს მთელი თავისი ავლადიდება ერთი ჯორის  
ზურგზე და თავის ცხენის უნაგირზე ჰქონდა დაკრული.  
უღიმღამოდ და უბრალოდ გამოიყურებოდა — შეიარაღე-  
ბული კი იყო, მაგრამ პეტრას გარნიზონის უფროსის ცეცხ-  
ლისფორიანი მუზარადის მარკუსისთვის გადაცემის შემ-

დეგ ოფიცერს, ცენტურიონს აღარ ჰგავდა.

მარკუსი კი პირიქით: ცალკერძ კოლხური ღვინის სმით, ცალკერძ ახალი თანამდებობის და ე.ი. დანიშნულების ემხით დამთვრალიყო; უნაგირზე ტორტმანებდა, ქედმაღლობდა და ბაქიბუქობდა.

კასიუსმა ურჩია, უკან გაბრუნებულყო, მაგრამ მარკუსი ვერ დაიყოლია. ამასობაში დეკურიონი და ხუთი ჯარისკაცი გამოჩნდნენ — პეტრას ციხის მეთაურს გამოსდგომოდნენ, მთვრალია, გზა არ იცის, სადმე არ დაიკარგოსო.

კასიუს! — დაიყვირა მარკუსმა და ცხენი შეაყენა (ე.ი. შენც შეჩერდიო).

ყოფილ მეთაურს გუნებაში გაეცინა, სადავე მოსწია. ცხენი გააჩერა და მსუბუქი ბიძგი იგრძნო — უკნიდან შტერი ჯორი მიეჯახა და ისიც გაჩერდა.

— შენ რომ მიყვებოდი, ერთი ლაზი მეგობარი მყავდაო, — რაღაც თითქოს ბოყინმორეული ხმით ეუბნებოდა მარკუსი, თან თვალები მუქარით ჰქონდა სავსე, — ყველა ენა იცოდაო, ყველაფერი იცოდაო, ფუტკარი მოაშენაო, ტირიფი მოაშენაო, ბამბუკი მოაშენაო, შენ ვერაფერი გასწავლა? თუ ვერ მოასწრო და მოკვდა?

ნეტა რა უნდა ამ ჰეტერას გაგდებულს, — გაიფიქრა კასიუსმა, — თუ ჩხუბი უნდა, არ უნდა ავყვე, რაც უნდა გამომინვიოს, არ უნდა ავყვე.

გაიხედა. დეკურიონი და შუბოსანი ჯარისკაცები ახლოვდებოდნენ. კასიუსს ყოფილი ხელქვეითები შეეცოდა, — ამ ნაგავმა, რომ უბრძანოს, საცოდავები იძულებული იქნებიან, შუბები მატაკონ.

— ჰა, კასიუს! — არ ცხრებოდა მარკუსი, — შენი ვითომ-მეგობარი მოკვდა?

— ეგეთი ადამიანები არ კვდებიან, — უპასუხა კასიუსმა.

— ხა-ხა-ხა! — გადაიხარხარა მარკუსმა, — ღმერთებივით უკვდავი ყოფილა შენი ძმაკაცი. ესე იგი ცოცხალია, მაგრამ შენ ვერაფერი გასწავლა?

— რა უნდა ესწავლებინა! — კასიუსმა იგრძნო მზის მცხუნვარება, თუმცა მანამდეც კარგა გვარიანად აჭერდა აგვისტოს სიცხე.

— რა უნდა ესწავლებინა? — ვითომ გაიკვირვა მარკუსმა, — რა ვიცი! მავალითად ჭაკების მოშენება, ხა-ხა-ხა!

— რაც ლიბეროსმა მასწავლა, იმას შენ ვერ გაიგებ! — უთხრა კასიუსმა.

— ვითომ რათაო! — კისერი წაიგრძელა მარკუსმა, — ნამდვილ მამლაყინნას ჰგავდა, — მითხარი, იქნებ გავიგო?!

— მიეცი კეისრისა კეისარს, ღმერთს ღვთისა! — უთხრა კასიუსმა, უზანგი შეარხია და დაიძრა ცხენიან-ჯორიანად.

მარკუსს ენა ჩაუფარდა. იფიქრა, ხომ არ მომესმაო. დაიბნა. ამასობაში დეკურიონიც, ჯარისკაცებიც მოადგნენ და რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით დადგნენ. მარკუსი გააფულისდა — უნდოდა ბოლო სიტყვა მას დარჩენოდა. ბრყიფული თავმომწონობა აქეზებდა, ეჯობნა გადამდგარი ლეგიონერისთვის.

— კასიუს! — მიაძახა, — ერთ-ორ რჩევას ხომ არ მომცემდი, რადგან ნასვლას არ იძლი.

იფიქრა, — მაგრად გადაუფარე და ხმას ველარ ამოიღებო, მაგრამ კასიუსმა რჩევა არ დაამაღლა: ღვინოში ერთ ღინარზე მეტს ნუ გადაიხდი და ქალებში ხუთ ღინარზე ნაკლებსო.

მარკუსი ვერ მიხვდა, ესუბრნენ თუ მართალი უთხრეს. ნასვლით მაინც არ წავიდა. მანამდე უყურა მიმავალს, ვიდ-

რე ცხენიან-ჯორიანად თვალს მიეფარებოდა.

ზანტად მოაბრუნა ცხენი, მერე გააჭენა, მერე შედგა — აცალა ხელქვეითებს, რომ წამოსწოდნენ. დაძრა ცხენი, თანმხლებნი აიდევნა და დაიწყო: მომავალი ორი კვირის განმავლობაში ქარავენების მისვლა-მოსვლის განრიგის რუკა შემადგინეთ. ყველას შევაყენებთ, ბაჟს გავაორმაგებთ, ვინც არ დაგვემორჩილება, გავსხლავ, როგორც მამაჩემი სხლავდა ვაზს; აი, ისე დასცივიდება თითები ყველას, ვინც არ დამემორჩილება!

დეკურიონი და ჯარისკაცები უხმოდ მიყვებოდნენ; ფიქრობდნენ: ვაი, ჩვენს თავს. ალბათ, ღმერთებს რაღაც შევცოდეთ, რადგან ასეთი მტარვალი უფროსად მოგვევლინაო.

პეტრას ჭიშკარს მიადგნენ. დიდება კეისარს! — ასძახეს. გალავნიდან ჩამოსძახეს: დიდება კეისარს!

ალაყაფის კარი გაიღო.

ბოლომდე გააღეთ, როცა მე შემოვდივარ! — იყვირა მარკუსმა და, ვიდრე მეციხოვნეებმა ჭიშკრის ორივე კალთა ყურთამდე არ გააღეს, იდგა და იცდიდა.

მისულები თანამდებობრივი მდგომარეობის შესაბამისი რიგის მიხედვით შელაგდნენ ციხის ეზოში.

ასე რომ, როცა ბოლო ჯარისკაცი შედიოდა, ჭიშკრის დახურვა მაშინ დაიწყეს. ვიდრე ალაყაფის კარის კალთა კალთას მისწვდებოდა და მთლიანად დაიხურებოდა, ნაცნობი ხმა გაიგონეს.

ეს ხმა ბერძნული კაკლის ხის იატაკზე დავარდნის ხმას ჰგავდა. მეჭიშკრე-მეციხოვნეებმა ერთმანეთს გადახედეს; შემდეგ კარი შეაღეს. ერთმა თავი გარეთ გაჰყო, მიათვალა-ერ-მოათვალა გარემო; მერე გასხლტა კალთებს შორის ჭრილში და ჭიშკრის გარეთა ზედაპირის თვალღებვა იწყო.

— არის? — იკითხა შიგნით დარჩენილმა.

— არის! — უპასუხა გარეთ გასულმა.

მაშინ შიგნით მყოფიც გარეთ გავიდა და ჭიშკრის ზემო მესამედში გარჭობილ ისარს შეხედა. დადგა. მეორე მხრებზე შეადგა, აინვართა და ისარი ამოარჭო. ჩამოხტა. ერთმანეთს გადახედეს.

— იმის ისარია! — თქვა ერთმა, რომელსაც ისარი ხელთ ეკურა.

— იმის ისარია! — დაუდასტურა მეორემ, — წარწერიანია. ჩვენს მეთაურს გამოუფხავნა.

— მივართვა? — იკითხა ერთმა, — ჩვენც ხომ გვინდა, რომ მარკუს კრემონელი სამართლიანი იყოს!

— ახლა არა! — უპასუხა მეორემ, — ახლა რომ მიართვა, ისეთ გუნებაზეა, ეგ ისარი შეიძლება უკან გაგიკეთოს. რომ გამოფხიზლდება, მერე ვუჩვენოთ.

მოილაპარაკეს. ერთი კი გახედეს ფერდობს, საიდანაც, მათი ვარაუდით, ისარი იყო ნატყორცნი, შემდეგ მკვირცხლად (რადგან ჭიშკრის დაკეტვა დაუგვიანდათ), ფაციფუცით დაკეტეს ალაყაფი...

სალამოს, მზის ჩასვლამდე კასიუსი თავისი ჯორკიდებულთა აფსაროსისკენ მიმავალ ქარავანს წამოენია, შეუერთდა და სვლა შეანელა. მარჯვენა დაკოჭლებული ფეხი კაი გვარიანად დაბუჟებოდა. კიდევ კარგი, ოდესღაც პალესტინელი მონადირისგან ნატყორცნი ბამბუკის ჰოროლი, ბარძაყში რომ მოხვდა, ხალიბურად ნანართობი რკინის ბუნიკით არ იყო განყოფილი, თორემ...

ჩამოქვეითდა, ფეხი გაშალა, ცხენი სადავით დაიჭირა, წინ გაუძღვა და ჯორიანად გაიყოლა. წინ დედალი აქლემი მიიზღაზნებოდა და ზღმურდლიან უქანალს სინოპელ ჰე-

ტერასავით იქნევდა.

25 წელი ვემსახურე კეისარს, — ფიქრობდა კასიუსი, — სიცოცხლის 25 საუკეთესო წელი.

ტრაპეზუნტამდე შორი გზა იდო. კასიუსმა იცოდა, ვიდრე იქამდე ჩააღწევდა, ფეხი ასჯერ მაინც დაუბუჯდებოდა. იქ რომ ჩააღწევდა, როდის-როდის პრეფექტურაში აუდიენციას ელირსებოდა. პროფანუსი ფეხზე დააყუდებდა, თვითონ მსაჯულის სავარძელზე დაჯდებოდა, გვერდით საჯარიმო ყულაბას მოიდებდა, მდივანს უხმობდა და დამსახურებულ ლეგიონერს, კუთვნილ 20 000 სესტერციას ისე დაამადლიდა, ვითომ კეისარი კი არა, თვითონ უხდიდა საკუთარი ჯიბიდან. მერე გამოქვითვას დაიწყებდა: 50 სესტერცია — ამაში, 40 სესტერცია — იმაში, 100 სესტერცია ამისთვის, 120 სესტერცია — იმისათვის... და ა.შ. გამოქვითულ თანხის მონეტებს ყულაბაში ჩააჩხრიალებდა და კმაყოფილი იტყოდა, — კასიუს, მომავალი თაობები შენისთანების ტრადიციებზე გაიზრდებიან. დიდება კეისარს!

დიდება კეისარს! — უპასუხებდა დაკოჭლებული კასიუსი. ეს იქ, ტრაპეზუნტში ითქმებოდა, მანამდე კი შორი გზა იდო.

კასიუსი გონების თვალთ წინაც იხედებოდა და უკანაც: ეს ჰეტერას გაგდებული მარკუს კრემონეზე საქმეს გააფუჭებს, თუ ჩემს რჩევებს არ გაითვალისწინებს. 25 წელი ვიმსახურე და ასეთი უმადური, მედიდური ახალგაზრდა ოფიცერი არ მინახავს, თუმცა...

გაახსენდა, რომ თვითონაც ასეთი უმადური და მედიდური იყო, ვიდრე ლიბეროსის ისრით მორთმეულ წერილს

ნაიკითხავდა; თვითონაც ხომ მგლის მადა და ხარბი თვალთ ჰქონდა, ვიდრე ლიბეროსის მომინაურებულ ფუტკარს ნახავდა; თვითონაც ხომ თავდაჯერებული ბრიყვი იყო, ვიდრე შემთხვევით, სრულიად შემთხვევით, სუფსარის ზედაპირზე, ქართი აქოჩრილ წყლის ზედაპირზე მიმავალ ლიბეროსს საკუთარი თვალთ დაინახავდა...

სიმართლე უთხრა მარკუს კრემონეზეს — ლიბეროსისთანა კაცები არ კვდებიან. მათ კლავენ და თავიდან იშორებენ, რადგან „ლიბეროსები“ ყუდრო უნამუსოებს სიმშვიდეს ურღვევენ, ატორტმანებენ. არა, თავისი სიკვდილით ლიბეროსისთანა კაცები არ კვდებიან.

ლიბეროსის მოწაფედ ვერ ვივარგე, მაგრამ კოჭლი ვარ და როდის იყო ჩემისთანა კოჭლი წყალზე დადიოდა. მივეცი კეისრისა კეისარს. სამხედრო სამსახურს მოვრჩი, — ფიქრობდა კასიუსი, — იმედია, კეისრისგან ერთგულება დამიფასდება.

ქარავანი ნელა-ნელა მიიწვინებდა. მიჰქონდა ტვირთი, იმედები, ახალი ამბები. ჯერჯერობით მშვიდობა იყო და ქარავენებიც განრიგის მიხედვით მოძრაობდნენ. კასიუსს კიდევ სამი დღე ქარავანთან ერთად უნდა ევლო.

ტრაპეზუნტში რომ ჩავალ, — განაგრძობდა ფიქრს კასიუსი, — პრეფექტი ბოლო ჯამაგირს და დიდძალ ფულს მომცემს. სხვამ თავისი ჰქნას, მე კი ჩემსას ვიზამ. ვიცი, რაშიც დავხარჯავ სამხედრო სამსახურიდან ამონაგებს. ბარში ვენახს გავაშენებ, ბოლოში ტირიფს გავაყოლებ. მთაში საქონელს მოვაშენებ. მეცხვარის შვილი ვარ, ბოლოსდაბოლოს, იმ ჰეტერას გაგდებულის ნათქვამისა არ იყოს, ჭაკე-

# აკაკის ერთი „ექსპრომტ-გამოცანის“ გაშიფრვისათვის

2002 წელს პროფესორმა მურად მთვარელიძემ „ლიტერატურულ საქართველოში“ (22-28 მარტი) გამოაქვეყნა გორის მე-11 საშუალო სკოლის დირექტორის, ღვანლმოსილი პედაგოგის ოთარ კლიმიაშვილის მიერ მისთვის გადაცემული აკაკის შემდეგი ლექსი (იგი დღემდე, რატომღაც, დარჩენილა დიდი მგოსნის თხზულებათა გამოცემების მიღმა), რომელიც სულმნათ პოეტს ექსპრომტად წარმოუთქვამს გორში, კლიმიაშვილების ოჯახში გამართულ ხალხმრავალ წვეულებაზე:

**თავშეხვეულს გავექეცი  
ნითელქუდამ დამიჭირა,  
შემბოჭა და სასიკვდილოდ  
დანა გულზე დამაჭირა.  
მომეშველა უცხო ქერა,  
ლეში იხსნა, სული მოკლა,  
ვაი, უთი შემიცვალა  
და ვინც ამას გამოიცნობს  
ერთი გულა ხიზილალა.**

ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით ზემოაღნიშნული ნადიმის დამსწრეთაგანს თუ ვის ერგო აკაკის მიერ დაწესებული „პრი-

ზი“ (და საერთოდ, იმ დღეს იგი გათამამდა თუ არა), სამაგიეროდ, იმის თქმა კი ნამდვილად შეგვიძლია, რომ ბატონმა მურად მთვარელიძემ „უცხო ქერა“-ში, საცხებით, მართებულად ამოიცნო ქართველთა „ლეშის მხსნელი და სულის მომაკვდინებელი“ კარის მეზობელი — რუსეთი. რაც შეეხება, ექსპრომტის დანარჩენ ორ „სუბიექტს“, როგორც მათ დიდი კალმოსანი უწოდებს — „თავშეხვეულსა“ და „ნითელქუდას“, პატივცემელმა მკვლევარმა მათი „გაშიფრვისაგან“, რატომღაც, „თავი შეიკავა“.

ჩვენი ღრმა რწმენით, „თავშეხვეული“ მონღოლების „ეპითეტი“ უნდა იყოს, ვინაიდან აკაკი წერეთელმა ძალიან კარგად იცოდა, რომ ისინი თეთრი თავსაბურებით „შემკულნი“ არბევდნენ სხვა მოდგმის ტომებსა და სახელმწიფოებს. „ნითელქუდაში“ კი მგოსანს უცილობლად მომთაბარე თურქები-ყიზილბაშები (თურქულად „ნითელთავიანები“ — სისხლისფერი ქსოვილებით თავის „დაბურვის“ გამო, ამგვარად წოდებულნი) რომ ჰყავდა ნაგულისხმევი, ამას წყალი არ გაუვა და ამიტომ, სიტყვასაც აღარ გავავარძლებთ.

ასე რომ, ვფიქრობთ, ჩვენ საცხებით „სამართლიანად ვიმსახურებთ“ სულმნათი ერისკაცის მიერ დადგენილ „ჯილდოს“ ერთ გულა ხიზილალას და გვსურს, დავარწმუნოთ პატივცემული მკითხველი, რომ ამ „პრიზის“ მიღებისთანავე, მის მესამედს, ზნეობრივ-ეთიკური პრინციპებიდან გამომდინარე, ჩვენ უეჭველად „გუწილადებთ“ ბატონ მურად მთვარელიძეს და, ვიმედოვნებთ, რომ ამით იგი არ გაგვინანყენდება.

**გიორგი გაბუნია**



ლექსის ნაკითხვა, აღქმა-გაგება, გააზრება, ანუ, როგორც ესთეტიკოსები იტყვიან, რეცეფცია რთული, ძნელი, ბოლომდე შეუძლებელი საქმეა, მაგრამ არსებობს ერთი კარგი რამ — ინტონაცია, რომელიც პაროლის ფუნქციას ასრულებს ავტორსა და მკითხველს შორის. მიაყურადებ რიტმს, მელოდიას, ემოციას და... უცებ ხვდები, გრძნობ და გესმის მთავარი, ძირეული, არსებითი, ის, რისთვისაც დაინერა, რატომაც დაინერა, რაც დაინერა. ლალი ხვედელიანის სწორი, გამოზომილი, წრფელი სტრიქონები, რომლებიც ზოგჯერ რომანტიკულ მუხამბაზს მოგვაგონებს, ზოგჯერ გურამიშვილის მედიტაციებს ეხმიანება, ზოგჯერ კი გალაკტიონის ეფემერულ მოტივებსაც მღერის, მაინც თავისთავადია, ავტორისეულია, საკუთარი თავის მცნობელი პოეტის ოსტატობისა და გამოცდილების ქურაშია გამოტარებული.

მას აქვს საკმარისი თვითრწმენა იმისათვის, რომ თავისუფალი იყოს. განსაკუთრებით ეს მუდავნდება ლექსისადმი უშუალო დამოკიდებულებაში — „შორი გზიდან პანანინა ლექსი მომიფანცალდა“ („პოემა). რა თქმა უნდა, არსებობს საშიშროება, რომ თავისუფლება ფამილარობაში გადაიზარდოს, მაგრამ იქ, სადაც ჭეშმარიტი სიყვარულია, ეს ნაკლებ მოსალოდნელია.

მითუმეტეს, ლალი ხვედელიანი პოლიფონიის ოსტატია. ხმების შეხამების უნარი მისი შთაგონების შიგნითა არსია და შინაგანი სამყაროდან მოდის, იქიდან, სადაც ის, როგორც ჩანს, დაბადებულივე იყო. სხვაგვარად არც შეიძლება. მას ვერ გამოიგონებ, ვერ გააკეთებ, ვერ ააწყობ, თუ ტა-

**ლალი ხვედელიანი**

**ვარდისფერი კამეა**

შეყვარებული რომ ვიყო — მთას მე ვერ გადავდგამდი, მაგრამ დიდი თაიგულით ლამაზ ქოთანს დავდგამდი, წითელ ვარდებს დაუწყებდი ყოველ დილას ფერებას, შევიგრძნობდი სიყვარულის ყვავილების შეხებას, ცისარტყელას მივანვდიდი ფერებს — ცაში გაფანტულს, სიმღერასაც ვასწავლიდი ბუღბუღს — ხეზე განაბულს მთვარეს ჩავეხუტებოდი — უძილოს და დარდიანს, შველს კი დედას ვუპოვნიდი — ტყეში რომ დაჰკარგვია. მაგრამ რა ვქნა, არ მიყვარხარ — სულში ისევ ლამეა, იცრემლება ჩემს სარკესთან ვარდისფერი კამეა.

**რა მოხდება...**

რა მოხდება, მე რომ აღარ ვიქნები? —  
დედამინა იტრიალებს ისევ?  
გამანვალებს ისევ შავი ფიქრები? —  
შემანუხებს ნეტავ ვინრო სივრცე?

რა მოხდება მე რომ აღარ ვიქნები? —  
გადადევნის ისევ ღრუბელს ქარი?  
ატამს ისევ მოასკდება კვირტები, რომ იმ სიკვდილს  
დაუყენოს თვალი.

შეკითხვებით შევანუხე სიცოცხლე, იქნებ მთვარემ მაინც  
მითხრას რამე,  
თითქოს ჰქონდეს ვალი ჩემი — უზომო,  
მემალება შაოსანი ღამე.

რა მოხდება მე რომ აღარ ვიქნები? — ღამეს ისევ ბრმა  
ექნება თვალი?  
გადარეცხავს წვიმა ყველა ნაკვალევს? — იბოგინებს  
ქვეყნად ცივი ქარი?

მაგრამ ვიცი — მე რომ აღარ ვიქნები, მზე ისევე  
გადმოდგება ციდან,  
ღრუბელს ისევ გვერდით გასწევს ქარი და ვარდს  
ბუღბუღი გადმოსძახებს ხიდან.

ისევ ისე მოასკდება კვირტები, ქვათახევი ულამაზეს ატმებს,  
და ისევე მოუყვება ბებია, შვილიშვილებს  
ასფურცელას ზღაპრებს.

ისიც ვიცი, როცა აღარ ვიქნები — ავდარს შეცვლის ისევ  
კარგი დარი,  
სიცოცხლეს კი ისევ ავეკიდები, რომ იმ სიკვდილს  
დავუყენო თვალი.

**ნუ მეტყვი...**

ნუ მეტყვი, რომ აღარ გათრობს ჩემი თმების სურნელი,  
ჩვენი ტრფობის მოწმე იყო ტყის წითელი კუნელი.

მითხარი, რომ მოგენატრე, ყველგან მე გელანდები,  
რომ უჩემოდ ავადა ხარ და უფსკრულში ვარდები.

ნუ მეტყვი რომ აღარ მელი, რომ ის კოცნა ქარს გაჰყვავა,  
ის განცდები და ვნებები ჩანჩქერს ზღვაში გადაჰყვავა,  
მითხარი, რომ ჩემით ცოცხლობ, ჩემს ოცნებებს დარაჯობ,  
რომ მინდორში ჩვენ გველიან ენძელა და ყაყაჩო.

მითხარი, რომ ჩუმად ეტყვი ყოველ დილით ალიონს.  
რომ ცხოვრება გინდა მხოლოდ ჩემს ალერსში გალიო,

რომ ეგ გული უჩემობას ვერაფრით შეეღია  
და შენს თვალებს — ულამაზესს ნალველი შეერია.

და არ მითხრა არასოდეს, რომ ეს შეცდომა იყო,  
ჩვენი გზები სამუდამოდ, სამუდამოდ გაიყო  
და ის გრძნობა ჩვენ რომ გვეკონდა — მაღლა ცაში ქარს გაჰყვავა,  
ჩვენი დიდი სიყვარული კლდეზე ჩანჩქერს გადაყვავა.

**მარტის ქარი**

დღესაც ცივი ქარი ქრის და ყვითელ ფოთლებს მაყრის,  
უკვე ვიცი, რომ ეს ქარი კარგ დღეს არ დამაყრის,  
შემახსენებს შემოდგომის იმ ქარიან დღეებს,  
დაუნდობლად რომ არბევდა ქარი ჭადრის ხეებს.  
შემახსენებს რომ ეს ქარი მოუძღვება ზამთარს,  
ზამთარი კი ხელგაშლილი ეგებება ავდარს.  
შემოდგომის ქარს ვერ ვიტან და მის გიჟურ როკვას,  
მარტის ქარი მირჩევნია, — გაზაფხული მოჰყავს.

**ბადნიერი ნამეზი**

როცა ქვეყნის დასალიერს მივადგები ფეხით,  
და ჩახედავს მამა ღმერთი ჩემს სევდიან თვალებს,  
დავემხობი სინანულით ჩემი ღმერთის ფერხითთ,  
შევთხოვ — ნულარ ჩამირაზავს მე სამოთხის კარებს.  
შევთხოვ, უფალს რომ შემინდოს ჩემი ყველა ცოდვა,  
შევთხოვ იქნებ მომიტევეს მე, ნაბიჯი მცდარი,  
მთელი გულით მომაცოლოს კურთხევა და ლოცვა,  
ნუ იქნება, ნუ იქნება ის ჩემს მიმართ მწყრალი.  
როს ცხოვრების დასალიერს გადაფარავს ბინდი,  
ზეციური მოადგება რული დალილ თვალებს,  
მხოლოდ უფლის მე მექნება ის კრთომა და რიდი,  
მხოლოდ უფალს ვანდობ სულს და ჩემს ბედნიერ ნამეზს.

**ნაპი**

ზღვაში მზე რომ ჩადიოდა, ზღვა ნავს ნელა არწევდა,  
მენამული მზის სხივების სითბო გულში აღწევდა,  
მიდნებოდა გული ნაზად — სითბოს გადაჩვეული,  
თოლია კი დაფრინავდა — მარტოობას ჩვეული.  
მზის სხივებმა გამიტაცეს და ზღვაც მე მილიმოდა,  
ნაწვიმარზე ცისარტყელა სათამაშოდ მიხმობდა,  
ნავი ნაპირს რომ მიადგა — ისევ დავრჩი ეული,  
თოლია კი დაფრინავდა მარტოობას ჩვეული.

**თეთრი ვარდები**

თოვს და თოვლის თეთრი ფიფქი ქუჩას თეთრად ეფინება,  
თოვს და ამიშალეს ფიქრი ქათქათა ქერუბიმებმა.

თოვს და თოვლის თეთრი ფერი, ვარდებს ქათქათას  
მასხენებს,  
თოვს და მე კი მაინც გელი, ვეფერები თეთრ ფანტელებს.

თოვს და ისევ შენთან მინდა, კვლავ ვიხსენებ იმ  
თეთრ ვარდებს,  
თოვს და ჩქარა დაბინდდება, ზეცა უშვებს  
თოვლის ფარდებს.

თოვს და მალე გადაფარავს მოგონებებს თეთრი ფიფქი,  
თოვს და თოვლში იფარება უსასრულო შენზე ფიქრი.

**რინა**

საცალფეხო გზაზე ვდგავარ — თან იმედი ავიკიდე,  
აქეთ ზღვაა, იქით ტბაა — აღარ ვიცი სად წავიდე,  
წინ კი კლდეა — თანაც სალი, მე მომინევეს კლდეზე ცოცვა,  
იმედთან ვარ, მაგრამ მაინც, დამჭირდება  
დიდხანს ლოცვა.

ავუყევი იმ კლდეს ზევით, გზად მხვდებიან ასკილები,  
ასკილების კრეფაში კი თავს მესხმიან არწივები.

იმედთან ვარ, თან ვლოცულობ — არწივი რას შემაშინებს,  
მინდა მინას გადმოვხედო, სიმაღლეც კი არ მაშინებს,  
სანამ მე იმ ლოცვაში ვარ — მოვექეცი იმ კლდეს თავზე,  
ზევით ცაა, ქვევით მინა, ცის კიდეზე მთვარე — სავსე.

კლდიდან რომ გადმოვიხედე, სულ პატარა ჩანდა მინა,  
მინაზე კი ანათებდა ულამაზესი ტბა — რინა.

**ბუ და ყვავი  
(იუმორესკა)**

ყვავს რაც ჰქონდა — ბუს გაჰქონდა, ყვავს კი  
ბევრი რამე ჰქონდა:  
ჰქონდა დიდი კარგი ყველი — დიდ სუფრაზე დასაჭრელი,  
კიდევ ჰქონდა კარგი ქონი, გარმონი და გრამაფონი,  
კიდევ ჰქონდა ტკბილი ჩირი, შავი ქვა და შავი ჭირი.

მოიქონა ყვავმა პირი, მიაყოლა ტკბილი ჩირი  
და რადგანაც ჰქონდა ჭირი, მოერია ტკბილი ძილი.

სანამ ყვავი ძილს მიეცა, ბუ ყვავს ძილში თავს დაეცა,  
მოიტაცა მსუყე ქონი და დაკორტნა გრამაფონი.

გააყოლა ბუმ ხელს ყველიც — დიდ სუფრაზე დასაჭრელი,  
აღარ უხსნის ყვავს პირს დანა...

დარჩა ყვავი შავი ქვის და ძველი გარმონის ამარა.

**ერეკლე სალიანს**

ლამაზ სიტყვით დაბანგული, გზაზე ვდგავარ დარდიანზე,  
ლექსი ამეტორლილა მე ერეკლე სალიანზე,  
აბა ანი რალა მომკლავს, რალა დამადარდიანებს,  
მისი ლექსი გამამხნევებს, თავს იმედად დამტრიალებს,  
ხალხით სავსე დარბაზია — ლექსი ისმის დაქარგული,  
მთის ბროლი და ალმასია, სიტყვა მისი დაკაზმული,  
შხარასავით ამაცია, ლოცვასავით მადლიანი,  
უმგულიდან ექო ისმის, ლექსს რომ ამბობს სალიანი.

**პოემა**

შორი გზიდან პანანინა ლექსი მომიფანცალდა,  
ამ ლექსიდან მინდა შევექმნა პოემა — თუ დამცალდა...  
პირველ რიგში ღმერთს ვადიდებ და პურს ჩვენი არსობის,  
შემდეგ ხოტბას მშობელს ვასხამ და არსს კაი კაცობის,  
შემდეგ ლოცვას გავეუგზავნი მეგობრებს და ახლობლებს,  
განვადიდებ ჩემს სამშობლოს, ვანუგეშებ ქვრივ-ობლებს,  
შემდეგ, როცა შენელდება ეს ცხოვრების მარულა  
და მივხვდები დრო — ცბიერი სადღაც რომ გაპარულა,  
გადავწმინდავ გადაცრეცილ ხანას ახალგაზრდობის,  
გულუბრყვილო ოცნებების, ხალისის და გართობის,  
მინდა კიდევ ერთხელ შევსვა სიყვარულის სამსალა  
და პოემაც დასრულდება — თუკი ღმერთმა მაცალა.



არაფერია პოეტურ რეალობაზე უფრო აშკარა, ცხადი, გასაგები, უდავო და საშინელი. აი, მაგალითად, ბელა ჩეკურიშვილის „ფრანი“. ერთი შეხედვით უწყინარი მეტაფორა უცებ როგორ გადაიქცევა ადამიანური ყოფიერების ტრაგედიად. თითქოს თვალწინ თამაშდება აბსურდის პიესა, რომელშიც თითქოს შენც მონაწილეობ, ყოველ შემთხვევაში, უხილავი რეჟისორის მბრძანებლური ხმა გინვევს მთავარ როლზე და შენც გრძნობ, როგორ „ხედები“ ძაფისკუდა ყვითელი ფრანი, უდარდელ ხელებში, მინდობილი ნიავს და ზეცას, გაღიმებული პირით და დაჭყეტილი თვალებით“.

თავისუფალი ლექსი იმისთვისაც არსებობს, რომ ყოფიერების რუტინა პოეზიის, სიცოცხლის, თავისუფალი არსებობის სივრცეში შემოიტანოს და გააუფნებელყოს, როგორც გამნალმველმა ფეთქებადსაშიში ზონა; პოეტურ-რეალისტური ეფექტით განკურნოს ეგზისტენციური შიში, და თუ ვერ განკურნავს, დროებით მაინც განდევნოს სიმშვიდის საზღვრებიდან.

ბელა ჩეკურიშვილი კარგად გრძნობს თავისუფალი ლექსის სტიქიას. კარგად იცის, რას აკეთებს, რისთვის და ვისთვის. ეს არის პოეტური თვითრწმენის მენტალური შეგრძნება, რომელიც მკითხველზეც ვრცელდება და თანაგანცდის, თანალმობის, თანაშემოქმედების სასიამოვნო განწყობით ალავსებს.

აქ ერთად არის აზრი და გრძნობა, სინამდვილე და ოცნება, საგანი და იდეა, ყოველივე კი — მთლიანობა თავისუფლებისა და ლექსისა.

**ბელა ჩეკურიშვილი**

და სულერთია, რის დანერას აპირებენ, საჩივრის თუ თხოვნის ნერილის, ლექსის, ზღაპრის, არაკის თუ გამოცანების,

**ფრანი**

ბოლოს ხდები ძაფისკუდა ყვითელი ფრანი, უდარდელ ხელებში, მინდობილი ნიავს და ზეცას, გაღიმებული პირით და დაჭყეტილი თვალებით.

ხედები, რომ ხდები ძაფისკუდა ყვითელი ფრანი, რომლისთვისაც სულერთია, ვის ხელს უჭირავს, მთავარია, იფრინოს და ძირს არ დაეშვას, მთავარია, გრძნობდეს, როგორ შეჰყურებენ ქვევიდან ზევით, მოლივლივებს, კისერმოღრეცით, კერპივით...

ჰო, ხედები, რომ ხდები ძაფისკუდა ყვითელი ფრანი, ვისთვისაც ვარდნა დამსხვრევას ნიშნავს, მაგრამ არა მხოლოდ საკუთარი დაბრეცილი სახისა და ძაფისკუდა ტანის დამსხვრევას, ხედები და ცდილობ, არ დაეშვა — არ დაუშვა ხელი გაგიშვან, არ დაუშვა დაილალონ, მოიწყინონ, ანდა თვალი სხვისკენ გაექცეთ, არ დაუშვა კერპი დაიმსხვრეს, კისრები გასწორდეს, თავები დაბლა დაიხაროს, თვალებმა მინის ფერი იგუონ,

ხედები, გაგწირეს, შენ, დაბრეცილი, ძაფისკუდა ყვითელი ფრანი, იმ წუთიდან, როგორც კი მაღლა აგტყორცნეს და ნიავს მიგანდეს, უდარდელად აგალივლივებს, ამოგხედეს და მზერას ნატვრაც ამოაყოლეს ზევით, ზეცისკენ...

**თუ?**

თუ სამყარო სეზონებადაა დაყოფილი და შენ გადამფრენი ხარ?

თუ ყველაფერი სქესის მიხედვით ნაწილდება და სახელეობად იწლება?

თუ შენი სიტყვა მხოლოდ ხმაურია და არა ღმერთი, თუნდაც წარსული დროის კატეგორიით?

უნდა დაიწყოს ხელები და მკაცრად აუხსნა, გააფრთხილო, დაემუქრო, რომ მოიკვეთავ, მოიკვეთავ და სადარბაზო შესასვლელზე ჩამოჰკიდებ გამხმარ კაუჭად, თუ ცდუნდებიან და კვლავ სანერად გაგექცევიან,

(ერთნაირად მიაქციე ყურადღება მარჯვენასაც და მარცხენასაც, არ გაგაცურონი! ეგენი მზეზე განოლილ ხვლიკებს ჰგვანან, კლდის ნაპრალებში რომ სხლტებიან უცებ)

სულერთია (არ მოტყუვდე!), როგორც კი ბგერა სიტყვას აკინძავს, მაშინვე გამხელს, ყველა შენს ფიქრს, გულისხმადებს, ფარულ ზრახვას გარეთ გამოჰფენს და ისე გაგბანრავს, როგორც მარილიანი სელის ქსოვილი ფარაონის გარდაცვლილ სხეულს.

და თვალები? შენ გგონია, რომელიმე მათგან სანდოა? აქეთ-იქით დარბიან და ცეცერაობენ დისკოთეკაზე მოხვედრილი გოგოებივით. რაც მთავარია, კარგად იციან შავისა და თეთრის გარჩევა და ერთხელაც ისეთ ფერებს აღმოაჩენენ, სიკაშკაშით რომ იზიდავენ და აბრმავენ.

ჰოდა, იცოდე, მკაცრად უნდა აუხსნა, გააფრთხილო, დაემუქრო, რომ ამოითხრი, ამოითხრი და ყორანს მიუგდებ გასართობად მარჯვენასაც და მარცხენასაც. იქნებ შეწყვიტონ აქეთ-იქით გაპარვა და იმას შეხედონ, რასაც მხოლოდ ქუჩის ხედი, ქალაქის მასშტაბი, ანდა ქვეყნის გეოგრაფია სთავაზობთ.

**სიტყლა**

ასეთი ჭრელი შეიძლება იყოს ტყუილი, გველი, კრაზანა, მძაფრი შხამით, მკვეთრი ფერებით და ჩემი სიტყვა — ერთი სიტყვა, კანს რომ გაარღვევს და სისხლში ისე ჩაიბუდებს, ველარ განდევნი...

ასეთი ჭრელი შეიძლება იყოს მხოლოდ სურვილი — დაყრუების და დაბრმავენის — როგორც ღამის ცა სოფლის თავზე, ანდა პლაჟი საზაფხულო სეზონებისას.

არჩევანი შენზეა, — ვამბობ, — თუ გამოჰყვები ამ სიტყრელეს, გაგაფერადებს, ჩემს პოვნას კი რატომ ცდილობ, მე ხომ შენში ვარ, შხამად და სიტყვად დალექილი, მოელვარე, მანათობელი, და გაგიხარდეს, (გაგიხარდეს), სიცარიელე რომ ამოგიგე...

ასეთი სავსე შეიძლება იყოს ფიცი, ძუძუ ანდა სულაც ნავის ბუნკერი, მეტად საჭირო თბილ-თბილი და მკვდარი პროდუქტით,

და არ არსებობს არჩევანი — თუკი იღებ, კიდევ ითვისებ, ძლები, ბრუვდები და ზუსტად ისეთ თვისებებს იძენ, რაც შენს სისავსეს გაამართლებს, გამოადგება.

ასეთი სავსე შეიძლება იყოს მხოლოდ თვალები ( თუ და-ხუჭვას არ გაიძულებენ), როგორც ახალდაქორწინებულთა გულები, ანდა საარჩევნო ხმების ყუთი — დღის ბოლოს.

გაფრთხილებ, — ეჭვი ყველგან აღწევს, კარგად შეფუთე, თუ შემოგიჩნდა, მთელ დაგროვილ ხარახურას გაგინიავეს ნაბოლარა, ნებიერა ვაჟიშვილივით, და მერე აღარ გაგიკვირდეს, თუ ასე წმინდად გარანდულს და პარკეტით გაპრიალებულს სადმე, ბეტონის იატაკზე ჩაგანებებენ.

### შენ ამბობდი,

ვიდრე ისინი დაფრინავენ (და არსებობენ), ვიდრე ვაშლი მწიფს და ვარდება, ვიდრე პილოტები პულტს ცერა თითს სწორად აჭერენ, ვიდრე შენი სპერმა ჩემს სისხლს უერთდება, ვიდრე პირველკლასელებს მასწავლებლის ქება ახარებთ,

ახსენე დღე, რადგან ისინი დაფრინავენ (და არსებობენ) და შეუძლიათ ჩემამდე მოსვლაც, შეუძლიათ, თუნდაც ახლა, ზუსტად ახლა, როცა გვერდით გიდგავარ და პურს გიჭერი და ჯემის ქილას ვხსნი, სწორედ ახლა, როცა ეს ჩვენი ბოლო ქილა და ბოლო პურია,

ახსენე გზა, რადგან მანძილი ჩემს და შენს შორის უფრო მეტია (თუნდაც ახლა, ზუსტად ახლა, როცა გვერდით გიდგავარ), ვიდრე მათი ფრთის დაქნევა მზიდან ჩვენამდე და ვიდრე მე მოვიფიქრებდე ბილიკების მარშრუტებს და კილომეტრაჟებს, აქ გაჩნდებიან,

ახსენე მათი სახელი და მეტსახელი, ვისაც შენი წყალი ურჩევნია მარილს და ზღვასაც, ვინც კოცონს გინთებს დასაწვავად კი არა და — გასანათებლად, ვინც ხალიჩას ფეხქვეშ გიფენს და არ გარწმუნებს, რომ მფრინავი და ჯადოსნურია, ვინც მეთევზეა და არა თევზი, თუნდაც ოქროსი, ასჯერ ასად რომ გაზღვევინებს თუკი შეეხე,

ახსენე კარი, რომელიც გიშვებს, ის კი არა, რომ უნდა იდგე, აკაკუნო და აკაკუნო და ელოდო, ელოდო, ელოდო, კარი, რომელიც მისვლასაც გრძნობს და გამოსვლასაც, კარი, რომელიც კი არ გამწყვდევს, თანაბრად ბრუნავს წასვლისას და შეყოვნებისას,

მახსენე, ვიდრე ისინი დაფრინავენ (და არსებობენ) და არ თქვა, შეგჩერდეთ, ან დავდუმდეთ, დავიხუჭოთ, ხელი ავნიოთ, მახსენე, როგორც ხვატში წვიმა, გზაში — ფული, ჩხუბში — ჟარგონი, და გადავიფრქვეთ, გადავედოთ, გადავფაროთ, გადავათეთროთ, ისინიც სწორედ ასე დაფრინავენ (და არსებობენ) ნაწილებად, მიკრობებში, მტვერში, უჯრედში...

მე მესმოდა: შეგახსენებთ, რომ კრემაციამდე დარჩა 3 წუთი. ჭირისუფლებს ვთხოვთ, დატოვონ დარბაზი...



მე აქ მოვედი, იღუმალება შენი სულივით ფეხდაფეხ მდევდა... შორს ალაზანზე ცის მდუმარება დილის ხასხასა იებში თვლემდა...  
ქარმა აქ ჩვენთვის გაიქორბუდა, შენთვის რეკავდნენ ზარებიც ხირსის... და სამრეკლოსთან, მზის ქონგურებზე მწიფს ბრონეული — წარსულის სისხლი!

### თამარ შაიშმელაშვილი

#### ელვასავით...

მე ხელმეორედ ამქვეყანაზე თბილტალეებიდან დავიბადები... ბედისწერასთან არ ვიკამათებ რომც კვირაცხოვლის ჩაქრნენ სანთლები. დავილენები ყვავილი ნუშის ამაოების ქარს მინდობილი, და ელვასავით გამივლის გულში ზღვა – საიქიოს შესანდობარი...

\* \* \*

ეს დასეტყვილი ქალაქია – სისხლჩაქცეული სახურავების!

ეს დასეტყვილი ნაპირია გამორიყული ზღვისვარსკვლავები!

ეს დასეტყვილი ვენახია! ცრემლმდინარეა ვაზის თვალები...

ეს დასეტყვილი სამყაროა! არ ამოაცალოთ გული –ცხელი...

\* \* \*

ჩემი ხელები მტრედებია მონატრება მასწავლეს შენზე... შენს სარკმელთან მოფრინავენ და ზეთისხილის რტოსავით მოაქვთ შენთვის მარტოობა – სამყაროს ელვა...

\* \* \*

წვიმას ვახსოვარ — სისხლის სახსოვარს...

**როცა მზეს სძინავს...**

როცა მზეს სძინავს ბრონეულეებში  
და ორლობეში გაკრთება ბინდი,  
ჩემი წუხილი მზერაუძირო  
წყაროზე პაპის სიმღერით ივლის...  
ვერ შეველევი ამ მონატრებას,  
ქვევრის მათრობელ მოძახილს სოფლად...  
ფრთამოტეხილი მოლაღურივით  
ჩარდახში ქარი მიმჯდარა ობლად!

**სული ლილია...**

მე რა ვიცოდი, თუ ლაყვარდიდან  
შენ მომიტანდი ღვთისმშობლის ყვავილს,  
გამოპარული ხარ სხვა ჟამიდან —  
ჩამოთოვლილო ვედრებავ ღამის...  
მე მოვდიოდი მწუხრის ნისლიდან,  
შენს ნაფეხურებს ვეძებდი ქარში  
და მზემდინარე ჩემი სისხლიდან  
გულს აყვავებულ ლილიად გავშლი!  
სული ლილია, შუქი ლილია —  
ეს სასწაული სივრცეებს ერთვის...  
ამ სიყვარულმა ვერ მოგილია —  
თოვლის სარეცელს ვინახავ შენთვის!..

\* \* \*

მე ჩამოვიშალე  
ოშკის გუმბათივით...  
მანვიმს და მათოვს  
პირდაპირ  
სულში...  
და მომაქვს შენთვის  
ეს დასეტყვილი სასოება,  
შენც უგუმბათო ეკლესია ხარ.  
ჩვენი სულთაშორისი ხომ  
სამშობლოა!

\* \* \*

სიცოცხლე მზენაპურები  
სიზმრის ბურანში გხვევდეს...  
კალთაში დედას პურები  
და ქარნათლია — მხრებზე...  
ბენწვის ხიდს გავალ ხელახლა,  
შენი სურვილი არ მდლის...  
აბგაში — ღვინის ხელადა,  
გულში — ტირილი ვახის...

\* \* \*

თვალეები  
დავხუჭე,  
სული  
გავახილე!

**შენ მოგაბარე**

შენ მოგაბარე ჩემი წარსული —  
სისხლით მომკილი ხირსის ქედები...  
ბოდბის მირონი სევდანაჟური...  
კახეთს ცრემლივით ვერ შეველევი...  
დაეთრიმლება მთებს ნავალები,  
გასხივოსნდება ქარსატევეარი...  
და ცისკარვით დგას ალავერდი —  
მზედანურული ქრისტეს მტევანი!

**ის ერთადერთი სიყვარული...**

ვედრებით მოველ შენს ვენახში,  
მზეო, დალილი...  
სინანულიდან სიცოცხლემდე  
ტკივილგავლილი...  
ხელის გულეზე აყვავდება ცისკრის  
გზავნილი —  
ის ერთადერთი სიყვარული —  
უფლის ყვავილი!

**ცრემლები ხელისგულზე**

გიგზავნი ქართულ შემოდგომას,  
შინდებმა სული დამიობლა...  
შორიდან შევბად შენ მოგქონდა  
წვიმები თბილი ალბიონის...  
უთქმელი დარდი არ მტოვებდა,  
ვთესავდი ცრემლებს ხელისგულზე...  
ქალი ვარ, ჩემი მარტოობა  
ზეციურ ლოცვად შენ იგულე...  
ქალი ვარ. მოვის პერანგია  
ფოთლებმთროლოვაი შემოდგომა..  
გულზე ცეცხლისფრად მზე მატყვია —  
ჩემმა სურვილმა შენ გინდომა...  
წვიმას მიგზავნის ალბიონი,  
შენთვის ვაგროვებ ფოთლის ლილებს...  
ვარ სიყვარულის სარდიონი,  
ფეხის გულიდან ეკლებს ვილებ...

**დედა**

ღამის ბინდიდან ვარსკვლავთა  
ციმციმს უგზავნის ცისკარს...  
დარდი ხატის წინ განქარდა,  
დედა აკერებს წინდას...  
თეთრი ვარდებით უნაზეს  
გულში სიყვარულს სძინავს,  
და შემოდგომის გულაბზე  
ცრემლის კუნწულა ბრწყინავს...  
ქარი ავდრიან მხარეში  
შინდის ფოთლებით სწირავს,

მთვარე შოთია ლამეში  
დედის ხელივით წმინდა...  
შვილებზე მავედრებელი  
ქვევრის სანთელი ბზინავს,  
და სული ზეცის თანმდევი  
სევდას უკემსავს წინდას...

\* \* \*

სულმა არ იცის ჟამი და სივრცე,  
ატმის კვირტიდან ისევ სისხლი მდის...  
მე დამარხული გაზაფხულივით  
ნანგრევებიდან მომაქვს მზის სხივი!  
კვლავ შენთან ვარ და იმედით გელი,  
რომ ვარსკვლავივით ფრენით ვიარო...  
სიყვარულიდან სიკვდილის გავლით  
მე სასიცოცხლო ვზარდე ირაო...

### გაფრენილ სამოთხესავით

*„ვინ მიმიძღუეს მე იდუმიადმდე?“*

მზენაშვილები თოვლივით  
ლაყვარდში მოგიბინადრე  
და სიყვარულის სანთელი  
მიმიძღვის იდუმიადმდე...  
არც იფქლის ხორბალს ვთესავდი,  
არც უშენობა ვიმაღლე...  
გაფრენილ სამოთხესავით!  
სულში მიმოდის მდინარე...

### ორიოლი და კატინი

*ოლია ოკუჯავა ორიოლთან დახვრიტეს  
1941 წლის 11 სექტემბერს. ნელინადანხე-  
ვრით ადრე, 1940 წლის აპრილში, კატინში  
იმავე ჯალათებმა პოლონელი ოფიცრები  
გამოასალმეს სიცოცხლეს*

კატინი – ამონატირი,  
სევდის და ცრემლის ნაპირი...  
სიცოცხლე შემოსანირი  
ჩემი გულისთქმის ნაწილი...  
მზეო, შენდობას დამპირდი,  
დავდივარ მზერააჭრილი,  
ვინ დამინყევლა ამ დილით  
საფიცარ-გადაძახილი...  
პოეტის სული, ცახსნილი  
სივრცეებს გაიმარხილებს...  
იმ შორეული შავჩრდილით  
შეაკანკალებთ ძახველებს...  
ამბორი ლექსად ასხმული  
სამარეს ათოვს,  
არხილებს  
უგზავნის ნაძვებს,  
არ ტირის,

რომ მშვენიერი სახმილით  
გაუადვილოს ტკივილი!  
სული ვარსკვლავად გაჭრილი...  
მთვარე — მარადი მარტვილი...  
სიცოცხლის ორი ნაპირი –  
ორიოლი და კატინი...

### ორი ცა

ეს მერამდენედ მოვედი შენთან  
და მერამდენედ უკან დავბრუნდი...  
რაც გულმტირალა ტერფებზე შემრჩა  
ვერ ამოვხსენი, გეტყვი, ამ დრომდის...  
მე ტერფებიდან მდიოდა სისხლი  
და ამ ტკივილმა მასწავლა ლოცვა –  
ჩვენს ბედისწერას რიყრაყზე ვიხსნი,  
ოღონდ ცრემლები შეუშრე ორ ცას...  
და შენს თვალეში თუ ვიმარტვილებ,  
დრომ უდარდელად გაიტრამალოს!  
რა ხეავრიელად თოვს ტიბაანში,  
მოგნატრებივართ ზეცამაღალს!

\* \* \*

მოდის გაზაფხული  
ფრენა-ფრენით...  
სულის დაღევამდე  
მენატრები...

\* \* \*

ქარში ვარ,  
სამყაროს  
კიდეზე –  
გიბელებ!

\* \* \*

ვერ აიტანა  
სულმა ლალატი —  
თითები გადამიტყდა —  
მარტის კელაპტრები...

### სულალუბლები

ასე მგონია შენს გაზაფხულში  
ვაზის ფოთლიდან ცრემლად დავეცი...  
და სულალუბლებს ქარდაზაფრულებს  
შველოდათ ჩემი ჩურჩულ-ალერსი...

ის უხსოვარი სისხლი და გემო  
არ მასვენებდა, ვიყავ ეული...  
მე უშენობა  
მშველელი მერგო  
მათრობელა და დაუღვეველი!

ეტიუდი რაბლეზე დაწერილია 1838 წელს. პირველად ნაწილობრივ გამოქვეყნდა 1885 წელს (კანტენი, ტ. VI), სრულად 1910 წელს (კონარი, ტ. 14). ფლობერის სტატია რომანტიკოსთაგან რაბლეს საერთო რეაბილიტაციის ერთ-ერთი გამოვლინებაა. წარმოდგენა რაბლეზე როგორც დიდ მემამოხეზე, რომლის რომანმაც დაწერიდან თითქმის ორ საუკუნეზე მეტი ხნის შემდეგ ხელი შეუწყო საფრანგეთში მონარქიის დამხობას, ისტორიკოსისა და კრიტიკოსის პ.-ლ.-ჟენგენეს წიგნიდან მოდის — „ამჟამინდელ რევოლუცი- აზე რაბლეს გავლენის შესახებ“ (1791).

გუსტავ ფლობერი

# ეტიუდი რაბლეზე

არცვის სახელი არ ხსენებულა ეგზომ ხშირად, როგორც რომ რაბლეს სახელი, და, ალბათ, არცვისზე არ გამოთქმულა ესოდენი უსამართლო და უმეცარი აზრი. ამრიგად, ზოგთათვის ის ლოთ-მებრუვე, უხამსი და ხოტონიკია, გონებაგაუკულმარტებული და ახირებული ვინმეა, იმდენადვე ურცხვია, რამდენადაც გამჭრიახი, თავისი იდეებით სამში და ამ იდეათა გამოხატვის მხრივ აღმაშფოთებელი. სხვათათვის ეს მთელი ცხოვრებისეული ფილოსოფიაა, მსუბუქი, ზომიერი, იქნებ სექსტიკური, მაგრამ საბოლოოდ კეთილდღეობასა და არცთუ ურიგობას მაზიარებელი. ის ხან უყვარდათ, ხან სძაგდათ, ხან არ აღიარებდნენ, ხან კვალად აქებდნენ და აღიღებდნენ: და იმ დროიდან მოკიდებული, რაც რომ იმისმა განსაცვიფრებელმა გენიამ ქვეყნიერებას სილასავით გაანა სახეში თავისი მძაფრი და ყოვლისმომცველი სატირა, იმის ბუმბერაზთა ვაი-უმეველებელ ხარხარში ეგზომ წრფელად გახმიანებული, სუყოველი საუკუნე ძირისძირობამდე უკირკიტებდა,ათანაირად განმარტავდა ამ ძველთუძველეს გამოცანას, ტრივიალურს, უკმეხს, მზიარულს, მაგრამ თავისი არსით, ალბათ, ძნელ ჩასანჯდომსა და ჭეშმარიტს.



თხზულება რაბლესი ისტორიის ფაქტია. თავისთავად იგი იმზომ მნიშვნელოვანია, რომ სუყოველ საუკუნეს ეახლოება და საუყოველივე საუკუნეს ასაცნაურებს. აგრე და ამგვარად, თავდაპირველად XVI საუკუნეში, როდესაც გაჩნდა, ის აშკარად ჯანყი და ზნეობრივი პამფლეტია. მასში დღის ჭირ-ბოროტი სუნთქავს, ის საერთო მოძრაობის სულისკვეთებას გამოხატავს და წარმართავს ამ მოძრაობას. იმხანად რაბლე თავისებური ლუთერია. იმისი სფერო სიცილია. ოლონდ ეს სიცილი ისე შორს მიდის, რომ რაბლე არანაკლებ ნგრევასა თესავს, ვინემ ვიტენბერგელი ჩაუქი კაცის რისხვა. ის იმზომ მარჯვედ იყენებს ამ სიცილს, იმზომ მახვავს და აწამნამებს თავის ვრცელ ეპოპეაში, რომ ზავთიანსა და თავზარდამცემსა ხდის. ეს მონუმენტური გროტესკია.

XVII საუკუნეში რაბლე მოლიერისა და ლაფონტენის გულუბრყვილო და წრფელი მწერლური სიტყვის მამაა. სა-

მივენი, უკვდავნი და კეთილნი გენიოსნი, ყოვლის უფრო ფრანგული სულისანი ყოველთა შორის, ვინც კი გვყავს, ადამიანის საცოდავ ბუნებას უწყინარი და მწვავე ხითხითქირქილით უყურებდნენ; სამივენი გულახდილნი, თავისუფალნი, ბუნებრივნი, ჭეშმარიტნი ძეხორციელნი არიან, ადამიანისშვილნი სიტყვის სრული მნიშვნელობით, არც ერთ იმათგანს არცრა საქმე აქვს ფილოსოფოსებთან, სექტებთან, რელიგიებთან — ისინი ადამიანის რელიგიას განეკუთვნებიან, ადამიანი კი, იცოცხლე, უწყინან, ვინ არის, რა არის. ადამიანი იმათ ყოველმხრივ ატრიალეს, ასეც, ისეც, აანალიზეს, ანატომიური თვალსაზრისით არაერთხელ გაკვეთეს კიდეც, ერთმა — უკმეხი უგვანობით, თავსაცილით, მკრეხელობით პირმობმულ რომანებში; მეორემ — თეატრში, თავის ოსტატურად რიკრიკაზედ გამოჭრილ, უბადლოდ მართალ, მიამიტურად ამალეებულ დიალოგში, სადაც მასკარილის გულუბრყვილო სიცილში, ფილინტის სად აზრში თუ ალცესტის გულღვარძლიანობაში ბევრად მეტი ფილოსოფიაა, ვინემ სუყოველი იმ ფილოსოფოსის ნააზრეში, ვისაც კი ოდესმე ამქვეყნად უცხოვრია; და, ბოლოს, მესამემ — ბავშვთათვის დაწერილ თავის იგავ-არაკებსა და მოზრდილთათვის ჭკუის სასწავლ მორალში, თავის სათნო, გულთბილ ლექსებში, სადაც ერთი სტრიქონი მეორის გამოძახილია, თავის სიტყვაში, ფრაზაში რაღაცით მოუხელთებლად ამალეებულ, კრისტალურად კამკამა სონეტში, პოეზიის ამ სუყოველ მარგალიტში, რომელთაგანაც ასხმულია პოეტის დიდი, კაშკაშა გულქანდა-ფარღული.

მაგრამ აქ რაბლე უკვე ხდება შესწავლის საგანი, იმ მცირე გამორჩეულ მოაზროვნეთა საყვარელი ავტორი, ვინც საერთო მდინარებას არ იყო ადევნებული. ჩვენგან ხსენებულ მოაზროვნეთა გარდა, რაბლე ესათნოებოდა ლაბრუიერს, რომელმაც პირთვენელად შეავსა იგი. ბუალოს მოკირკიტე გემოვნებისთვის, თავდაჭერილი და უმნიკვლო რასინისთვის ის მთლად უზაკველი ვერ იყო. თვალთმაქცური სათნოების საუკუნეს, რომლის ავანჩავანიც ქალბატონი მენტენონია, საუკუნეს, რომელიც ეგზომ სწორად წარმოდგენილია მართკუთხა და ბრტყელი ვერსალის ბალით, უკვე ერცხვინებოდა ესეგვარი აღვირახსნილი, ახორბოცებული, შიშველი მწერლობა — ბუმბერაზი შიშის ზარსა სცემდა. ეს საუკუნე გრძნობდა, რომ ფრიად საშიში ორი მრისხანე ეპოქის შუა იყო მოქცეული: ლუთერისა და

რაბლეს წარმომშობი XVI საუკუნისა და იმ რევოლუციის საუკუნის შუა, რომელსაც მირაბო და რობესპიერი უნდა წარმოეშვა. პირველნი ყოველგვარ რწმენასა კვეთდნენ, ხოლო რევოლუციით მოსულნი თავების კვეთას დაიწყებენ, და ორ უფსკრულს შუა საუკუნე ესე თავს იწონებდა პრანჭვა-გრეხასა და თვითგაღმერთებას აყოლილი.

XVIII საუკუნეში კიდევ უფრო უარესი ხდებოდა. ფილოსოფოსნი კარგ ტონს იცავენ და რაბლეს არცრად აგდებენ. სანყალი მედონელი კიურე, ცხადია, თავს ვერ იგრძნობდა თავის ადგილას მეცნიერ მარკიზთა სალონებში და ქალბატონ დიუდეფანის ანდა ქალბატონ ჟოფრენის ლიტერატურულ წრეებში. იქ არ ესმოდათ ეს ხუმარსიტყვის ნიაღვარი, ეს გზნება, პოეტური ალტყინების ეს ქარაშოტი, პირმობმული ათასგვარი გამონაგონით, თავგადასავლებით, მოგზაურობებითა და ექსტრავაგანტურობით. საუკუნის ნატიფ, უტყუარ, ცივ გემოვნებას იმის შიში ჰქონდა, რასაც ის, გემოვნება, სულის გარყვნილებას უხმობდა. იმას ზნეთა გარყვნილება ერჩივნა. ვოლტერი არც დაფიქრდება, ისე შეუწოდებს რაბლეს ყოველსავე, რახან იგი ეკლესიას დასცინის. რაც შეეხება სტილს, თვითონ რომანს, ვოლტერი გაგებამი არ არის, თუმცა ცდილობს, რომ თხზულების გასაღები გვაპოვნინოს, საბოლოო ჯამში კი რაბლეს წიგნს ის უწოდებს „მთვრალი ბერ-მონაზვნის უკმეხობათა ამონარწყევს“.

სხვანაირად ვერ იქნებოდა, აგრე უნდა ყოფილიყო. რაბლეს სახელ-დიდება და მნიშვნელობა, როგორც რომ ყოველთა დიდთა კაცთა, ყოველთა სახელგანსმენილთა აბრუიანობა, ხანგრძლივად იყო ცხარე კამათის საგანი. გენია იმისი ერთადერთია, განსაკუთრებული, იგი, შესაძლოა, ერთია ამისთანა მსოფლიოს საყოველი მწერლობის ისტორიაში. სად ვუპოვოთ იმას მეტოქე? უკეთუ ანტიკურობიდან მოყვებით, წუთუ ის პეტრონიუსი ან აპულეიუსი იქნება, რომელნიც გამოირჩევიან თავიანთი ანონილ-დანონილი, გამიზნული ხელოვნებით, სახეთა მკაფიო გარემოხაზულობით, სხარტი ჩანაფიქრით? ხოლო შუა საუკუნეებში რაბლეს მეტოქე წუთუ XII საუკუნის ეპიკურ ციკლებში უნდა ვეძებოთ, ანუ ისეთ ჟანრებში, როგორიც არის სოტი, მორალიტე, ფარსია?! რასაკვირველია, არა! თუმცა რაბლეს მთელი მატერიალურ-კომიკური მხარე შუასაუკუნეობრივი გროტესკის სტიქიას კი განეკუთვნება, მაგრამ წინამორბედს იმას ვერც ერთ ლიტერატურულ დოკუმენტში ვერ ვუპოვით; ახალ დროში კი ყოვლის უფრო ზედმინევილი იმისი მიმბაძველი ბეროლდ დე ვერვილი, რომელიც „წარჩინების ხელოვნების“ ავტორია, ისერივად დაშორებულია იმისაგან, რომ იმათი შედარებაც კი არ შეიძლება. რაბლეს განმეორებას ცდილობდა სტერნი, მაგრამ როგორადაც აფექტაცია, რაც იმას ესოდენ ხშირად ეძალება, ისე სათუთი მგრძნობელობა, ყოველგვარ მსგავსებას ანგრევს.

არა, რაბლე ერთადერთია, რამეთუ ის ერთი გამოხატავს მთელ საუკუნეს, მთელ ეპოქას. რაბლეს მნიშვნელობა ერთდროულად ლიტერატურულიც არის, პოლიტიკურიც, ზნეობრივიც და რელიგიურიც. მსგავსნი გენიოსნი, რომელთაც ახალ მწერლობათა შექმნა ან ძველთა შეცვლა-გარდაქმნა ძალუძთ, იშვიათად ჩნდებიან და მხოლოდ იმის შემდეგ მიდიან ამ წუთისოფლიდან, როცა თავიანთ სიტყვასაც ამბობენ და თავიანთი დროის სიტყვასაც. ჰომეროსი აზმას ასხამს საბრძოლო ცხოვრებას, ქვეყნიერების გულად და მოჩხუბარ სიჭაბუკეს, ჟამს გაზაფხულისას, ოდეს ხეები იფოთლებიან.

ვერგილიუსის ნაზრევში ცივილიზაცია უკვე ხნიერია; იგი, ვერგილიუსი, აღსავსეა ცრემლით, ათასგვარი რამ ნიუანსით, გრძნობით, სინატიფით. დანტე პირქუშია და იმავდროულად სხიმფინარი: ეს ქრისტიანული პოეტია, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის პოეტი, მელანქოლითა და სასოებით აღსავსე. ხოლო შემდგომ, მიმცხოვრებულ საზოგადოებებში, როს ყველას ყოველივე მოჰყირჭებია, როს ყოველთა გულთ ეჭვი დაუფლებია და სუყოველი უცხო ოცნება, სუყოველი ილუზია, სუყოველი უტოპია სულ ფურცელ-ფურცელ მიმოფანტულია, რომელნი ფურცელნიც ზედიზედ დაუნყვევტია სინამდვილეს, მეცნიერებას, განსჯას, ანალიზს — რასა იქმს პოეტი? რასა იქმს და, თავის თავში იკეტება: არ ასვენებენ ცუდმედიდობის ამაღლებულნი სწრაფვანი და სასონარკვეთილების მტანჯველნი წუთნი: ისიც დგას და მღერის გულის აგონიასა და აზრის წარმავლობაზედ. და მაშინ სუყოველი იმისი გარემომცველი ვაი-ვაგლახი, ხმამაღალი ამონაკვენსი, აბრდღვინებული წყველა-კრულვა გამოძახილსა პოულობენ იმის სულში, რომელიც ღმერთს შეუქმნია ვრცელი, ხმიერი, უკიდევანო, და ყოველივე შიგ მდგარი ისეგვარად წარმოდინდება იქიდან, როგორც რომ გენიოსის ხმა, რათა უკვდავყოს ისტორიაში თანადროული საზოგადოება, თანადროული ეპოქა, რათა აღბეჭდოს ამ ეპოქის ცრემლნი, რათა ამოკვეთოს ქვაზედ ამ ეპოქისავე ვაებანი (ჩვენს დროში ამისთანა ბაირონია). აი რატომ არის ჭეშმარიტად პოეტური უფრორე ჭეშმარიტი, ვინემ ჭეშმარიტად ისტორიული, და პოეტნი, საერთოდ, ნაკლებსა ცრუობენ, ვინემ ჟამთააღმწერელნი, ანუ ისტორიკოს-მემატიანენი. დიდ-დიდნი მწერალნი, საუკუნის იდეათა წრეში მოქცეულნი, სამეფოთა თავქალაქთ ემსგავსებან. ისინი ითვისებენ თითოეული პროვინციის, თითოეული პიროვნების სულს, რომელსაც უზავებენ თავიანთ პირადულს, თავიანთი სულსა და თავისებურს; ყოველსავე ამას გადაადნობენ, გაჩარხავენ როგორც წესი და რიგია, მერმე კი გადახალისებულს ხელოვნებაში აბრუნებენ.

რაბლე ამქვეყნად რომ გაჩნდა, 1483 წელი იყო, ლუი XI-ის ამა სოფლით გასვლის წელიწადი, დადგა ლუთერის ჟამი. მეფემ ნადგურყო ფეოდალიზმი, ბერ-მონაზონს პაპობა უნდა ნადგურეყო; სხვაგვარად თუ ვიტყვით, მთელი შუასაუკუნეობრივი წყობა — მეომრისა და მღვდლის მეთავეობით — მოთავრდებოდა. ხალხს, რომელიც დაღლილი იყო ერთისგანაც და მეორისგანაც, აღარც ერთი არ ეპრიანებოდა. ხალხი მიხვდა, მეომარი მჭამსო, ხოლო მღვდელი მძარცვავსო, აღარცრას მიტოვებს, თანაც კიდევ მატყუებს და თვალს მიხვევსო. კარგა ხნის მანძილზედ ის იმით გულსავსეობდა, ხალხზე ვლაპარაკობ, რომ თუ ვისმე დასცინოდა, თავსაც ილს ტაძარ-საყდართა ქვათ აწერდა, სენიორთა ოხტში იმით მოდიოდა, რომ იდგა და ალექსებდა. დროდადრო, როგორც „ვარდის რომანშია“, კილავდა და აცუცურაკებდა ხელისუფალთ და დიდგვაროვანთ. მაგრამ ახლა ბევრად მეტი იყო საჭირო: აჯანყება, რეფორმაცია. სიმბოლო მოძველდა, ის კი არა, ყავლი გაუვიდა თვით სიმბოლოში შეფარულ საიდუმლოსაც და სიმბოლოს პოეზიასაც: აშკარად იგრძნობოდა იმის საყოველთაო მოთხოვნილება, რომ თავი დაეხსნათ სიმბოლოთა ბორკილთაგან და სხვა გზას დასდგომობდნენ. ეს მოთხოვნილება იყო მეცნიერებაში, აგრეთვე პოეზიაში, ფილოსოფიაში. 1473 წლიდან ვეროპას მოედო კარიკატურა, რომელიც ეკლესიას გამოხატავდა მდედრის ტან-სხეულისან, ქათმის ფეხებისან, ქორ-ბურაუ-

ლის კლანჭებიანსა და გველის კუდიანს. ეს იყო კომინის, მაკიაველის, არეტინოს ეპოქა. ცოტა ხნის წინათ პაპად ალექსანდრე VI იჯდა, ახლა ლევ X პაპობდა, სულაც არა უკეთესი. ახლოვდებოდა ქუჩა-გონების ორგია. ის გრძელ-ჟამიერი იქნება და სისხლით გასრულდება. XVIII საუკუნეში ის განახლდა და იმითვე გასრულდა.

აი ესეგვარ მოვლენათა შუაგულში, ესეგვარ ეპოქაში ცხოვრობდა რაბლე. ნუ გაგვიკვირდება, თუ თავის საძირკველ-საფუძველი გვარიანად შერყეული, ათასგვარი ურიგ-მარიგობისგან ცოცხალ-მკვდარი საზოგადოებისა და მთელი ამ ნგრევა-რღვევის მაცქერალი, იგი უსაზღვრო, უნაპირო სარკაზმით ექცევა ამაზრზენ შუასაუკუნეობრივ წარსულს, რომელიც XVI საუკუნეში ჯერეთ კიდევ ცოცხალი იყო და თვით XVI საუკუნესაც თავზარსა სცემდა.

მაინც ვინ არის, რას წარმოადგენს რაბლე?

კითხვას პასუხი უნდა. შევეცდებით.

დედამ გარგანტუა მუცელდაგვრემილმა მოავლინა ამქვეყნად, მუცელმა კი იმიტომ დაჰვგრემა, რაკი საკლავთა შიგანურს მიადლა, რამეთუ რომანის გმირნი მუცელალორებულაქორებულნი არიან: იმდენსა ყბორავენ, ღმურძლავენ და ქანქლავენ, რომ ქვეყანაზედ სიყმილი ჩამოვარდება: იმათი გაუმძაღრობით სულ გაჩანავდა სუყოველი პროვინცია, საჰერცოგო და სამეფო. გარგანტუა მოევილინა თუ არა ამ ქვეყანას, სხვა ჩვილთა დარად კი არ ჩაბჟირებულა: „ალუუ, ალუო!“ პირიქით, კაი ლაზათიანი ღრიალი მორთო: „ნუ-ნუა! ნუ-ნუაო!“ ბავშვობა ბუმბერაზის შესაფერისი ჰქონდა: ჯანსალი. მამამ ჯერეთ ისევ ყმა შვილისთვის შეაკერინა სამოსელი საგვარეულო ფერისა: თეთრმორეული ცისფერი. ბატონიშვილობა ხუმრობა ხომ არ არის! ერთი წლის გარგანტუა უკვე რონდოსა მღირსი. დედამძუძუნი სულ თვალბში შესცქერიან, ემანდ არა ეწყინოს რა, არ გაგვიბრაზდესო. სწავლებით სულ ფილოსოფოსნი ასწავლიან, ისიც დგას და ეკამათება სოფისტებს, კითხვით პლინიუსს, ათენეოსს, დიოსკორიდეს, გალენოსს, არისტოტელესა და ელიანეს კითხულობს; სწავლობს გეომეტრიას, სახიობას, მედიცინას; თამაშით არცრა თამაშს იკლებს, ოღონდ არც გადაყლურნვა ავიწყდება. მამის მაგივრად პიკროპოლის წინააღმდეგ გამართული ომის შემდეგ, ოდეს ტანსაცმელი გამოიცვალა, გარგანტუამ ხელთ სავარცხელი მოივარგა და თითო ჩამოვარცხნაზედ სულ ცოტა შვიდ-შვიდი ბირთვი მითი ჩამოივარცხნა ზარბაზნისანი, ვედის ტყეში ბრძოლისა ჟამსა თმაში ჩარჩენილი; შემდეგ კი სალათას, ანუ ტაბუცუნსა, ეგრევე ექვსი მწირი შეაყოლა, მაგრამ მალევე ტანტრაბეჩით ამოიჩიჩქნა ექვსივენი.

თუმცა რომანში ყოვლის უფრო საოცხოო არცრა გამონაგონია, არცრა თავგადასავალი, ის კი არა, არც თვით რომანის მიამიტური სტილი, მდიდარი ხატოვანი გამონათქვამებითა და რელიეფურად დახვენილი ფრაზებით, საუცხოოა დიალოგი, ხასიათების კომიზმი, გარგანტუასა და ბერის ხანგრძელი ფილოსოფიური საუბრები, როს ბერი განმარტავს, თუ რისა გამო ერთდებთან ერისკაცნი ბერ-მონაზონთ, რადა აქეთ ქალიშვილ ქალთ ბარძაყნი მკვრივნი და მუდამ გრილნი, რად ეზრდებათ მავანთ მოკლე ცხვირნი, ვინემ სხვათ და ა.შ. ერთი სიტყვით, გარგანტუა ჩაუქი ვინმეა, კაი ყმა, მტერსა და ავისმნდომსაც კი სულგრძელად ექცევა, ხოლო მიმსცოვნებული ბერისა სახელზედ თელემის სავანეს აგებინებს და თავადაც იქ მიდის.

გარგანტუას რომანში გმირის ხასიათი თითქმის განუყოფლად სუფევს, სუყოველი დანარჩენი სახე მეორეხარისხოვანია

და არც კიდევ მკაფიოდ არის დასურათხატებული. ჭარბობს ძალა და სიჯანსაღე: ყველანი მხიარულნი ლოთ-მებრუვენი არიან. სულ ერთიანად თავიანთ გემოზედ მეტყველებენ, უხეშად და უკმეხად იქცევიან, ამათ უფრო ნაკლები სექსტიკური გესლიანობა და მწვავე სატირულობა აქვთ, ვინემ პანტაგრუელის წიგნშია; გარგანტუა მთლად მეომრის ტიპია, როგორც შეიძლებოდა რომ ყოფილიყო დაახლოებით 1520 წელს, იგი მზად არის კალმის გულისთვის მახვილის გადასაგდებად და ჯავშანსაც ეგრევე მოისვრის მაგისტრის თავსაბურავისთვის.

პანტაგრუელის საგვარეულო ნუსხა საყოველთაოდ აღიარებულია, ჩანერილია, ის ყოველთა მეფეთა ჩამომავალია: სუყოველნი ბუმბერაზნი, სუყოველნი დიდკაცი არიან, მიდიელნი, სპარსელნი, იუდეველნი, რომაელნი, ბერძენნი, ანტიკურნი გმირნი, შუა საუკუნეთა მოხეტიალე რაინდნი, რომელთაც პალადინთაც უხმობენ; ვინც კი ჩამოვთვალე, სულ პანტაგრუელის წინაპარნი არიან, ხოლო თვითონ პანტაგრუელი რომ დაიბადა, მამამისი, გარგანტუა, მაშინ ხუთას ოცდაოთხი წლისა იყო. გარგანტუას ცოლი მუცელს გადაჰყვა; პანტაგრუელის ნათლისღების ჟამსა საყდართა შინა ზედ დაჰკანკალედნენ ნაკურთხ წყალსა და დღეში ერთგზის მეტად ის წყალი არცვის ეძლეოდა, რამეთუ იმ ქვეყანაში დიდი უბედური გვაღვა, ანუ სისხმელე დაიჭირა, უწვიმრობამ ოცდათექვსმეტი თვე, სამი კვირა, ოთხი დღე და კიდევ თითქმის თორმეტი საათი გასტანა...

გარგანტუა დიდ საგონებელშია ჩავარდნილი, აღარ იცის, რა ქნას, თანამეცხედრისა სიკვდილი იტიროს და იგლოვოს თუ ძისა დაბადებით გაიხაროს; მორიგისად ხან იცინის, ხანაც ტირის და მოთქვამს: „ვაი, საწყალო პანტაგრუელი, აღარა გყავს საყვარელი დედა, ტკბილი მარჩენალი, უმცდარი დამრიგებელი! ოო, რა განუკითხავად მომვარდი, შე ოხერო სიკვდილო, რარიგ უდანოდ დამკალ და წარმტაცე, ვინცა სულაც არ უნდა მომკვდარიყო!“ და ამას რომ ამბობდა, პირველში ძროხასაებრ ბლაოდა, მერმე კი, პანტაგრუელი რომ წამოაგონდა, კვიცსაებრ ახვიხვინდა. „მამა გენაცვალოს შენა, ჩემო მალხაზო ბიჭო! — ესიყვარულეობდა ახალშობილსა. — ანცო, ფაცურავ, ონავარო. მადლსა გწირავ, უფალო, რახან ესოდენ უარაკო ძე მომიბოძე, ლალი, გულმარხიანი, თვალტანადი! უჰ, რა გავიხარე, რა მეამა! შორს ჩვეგან კაემანი. ყოვლისა უკეთესი ღვინო შემოიტათ, სამნდურთ წყალი გამოავლეთ, სეფრა დადგეთ, ძაღლნი მოიშორეთ, ცეცხლს შეუკეთეთ, კერეონ-სანთელ-კელაპტარი დააბდღვრიალეთ, ბჭენი დარაზეთ. პურ-მარინი მოიღეთ, უპოვარნი განიკითხეთ და განუტევეთ! ღართი განმძარცვეთ, ახალუსხა შევიმოსავ, მაგარი ძეობა უნდა ვჭამოთ“. და მოაყოლა: „თანამეცხედრე აღარა მყავს, ღმერთმა უწყის, თავში ცემა წუხილსა არ აქარვებს. ბევრსა ტყეებას და ვიშვიშვსა ისევ ბევრისა დალევა მიჯობს!“

პატარაობაში პანტაგრუელი ჯერზედ ოთხი ათას ექვსას ძროხასა სწოვდა ძუძუსა; ვინცა ანუეს სომიურში, ნორმანდიისა ვალდიემი თუ ლოთარინგიისა ბრამონში მეღუმე-ლე იყო, სუყოველნი ფია-ფუასა, ანუ კოტაკსა, ჩვილთ შეჭამადსა, თავიანთი გამომწვარი ქვაფორეთი მიართმევდნენ, რომელი ქვაფორეც აქამომდე შემონახულა და რომელსაც თვალცხადლივ ეტყობა პანტაგრუელის ბასრი კბილ-ლოჯისგან მონაკვნიეტი.

ორლენასა რა ფრიად განისწავლა, პანტაგრუელი ახლა პარიზში მიდის, რაც წმინდა ვიქტორის მონასტერში წიგნე-

ბია, სულ ერთიანად აბულბულებს, მალე დოქტორიც ხდება: გამოაქვს განჩინებანი, უმეგობრდება პანურგს, რომელიც „იმისთანა ხიმბინარი, ანუ თავისი ცუდი საქმისა სხვისთვის გადამბრალეული, შარიანი, დარდიმანდი, მოლხინე და აძუა-იშკილბაზი იყო, როგორიც პარიზში ცოტა ვინმე თუა“. სხვებ არცრა აკლდა კაცური.

„და მიწყვი თავ-ბედსა აწყველინებდა ხელჯოხიანთა და მხმილავთ, ანუ ღამისა დარაჯთ“. პანურგი იძენს ინდულგენციებს, ათხოვებს ბერდიაცთ, სწამლობს ძროხებს. მოწონებით ძალიან მოსწონს მაღალი წრის დიაცნი და დასტრფის ბანოვანთ, თავსა იდიდებულებს; მერმე დაემგზავრება პანტაგრუელს და სულ ნაირ-ნაირ ამბებს უყვება; პანტაგრუელის სახელით პანურგი თითს აკაკინებს მავან ინგლისელ მრავალმეცნიერს, ანუ დიდად განსწავლულ მნიგნობარს, რომელიც განგებისად ჩამოდის თავისი ქვეყნიდან პანტაგრუელთან საპაექროდ. ერთხელაც პანურგი დიფსოდთა წინააღმდეგ საომრად მიდის: გამარჯვების შემდგომ ეპისკოპოსობა უნდა უბოძონ, მაგრამ არა შერება, თავი ერისკაცად მოაქვს; თავის პურს ის ძირზედვე, ანუ მოუშკელს მიირთმევს, მერმე ცოლის მოყვანას გადაწყვეტს, მაგრამ ვერა ბედავს. კარგა ხანს ეთათბირება პანტაგრუელს, ვერგილიუსის ლექსთა კვალად მისნობს და მსახვრობობს, როგორი ბედი შემხვდება; პანტაგრუელი ნასიზმრის წართქმას, ახსნას ურჩევს, რათა ამ ხერხით იწინასწარ-იმისნოს, იღბლიანად იქორწინებს თუ არა; რჩევითვის პანურგი ჯერეთ პანზუელ სიბილას მიაკითხავს; შემდეგ კატუნკრუტუნად სახელდებულ ყოვლადმიმცოვენებულ მელექსეს მოიხილავს; რჩევას ეკითხება სუყოველ კაცს, შინაურსაც და გარეულსაც, ამგვარად და ჩამვლელთაც; გადაეყრება ძმა ჟან ბლვირისმდენელს, რომელიც ურჩევს, განკითხვის დღეს წყვილდაუტყელე არ შეხვდეს; აზრს ეკითხება ღვთისმეტყველ ჰიოთადეუსს, მკურნალ რონდობლისს, აგრეთვე მავან კანონმდებელსა და სიბრძნისმეტყველს; ბოლოს, ნახულობს ტრიბულეს, და უკვე იმედგადაწურული ადის ხომალდზე, რათა ღვთაებრივი ბოცა-ბოთლის ორაკულს მოეთათბიროს. სასმელ-საჭმელი ხომალდზე ბლომად არის, გზა არ ამინებს, მაგრამ მალე ქარიშხალი ამოვარდება, პანურგი თავზარდაცემულია, შველას ღმერთსა და ყოველთა წმინდანთ ევედრება, ზღუქუნებს, სლუქუნებს, დაიცავით მოთქვამს; თვითონ მეზღვაურნიც ისე არიან შემინებულნი, რომ აბობოქრებულ ტალღებს მიანდობენ ხომალდის ბედს. ქარიშხლის შემდგომ პანურგი კვალად გამოიკაიყმავებს თავს და, სულაც არ შემშინებიაო, იხტიბარს არ იტყვს; ღმერთსაც დასცინის და ოკენესაც მასხრად იგდებს.

ისინი სუყოველ მხარეს მოივლიან, მაგრამ გული არსად არ უდგებათ. თავდაპირველად დავაქართა ქვეყანაში მიდიან, მერმე მემარხულის კუნძულზედ აღმოჩნდებიან, მას უკან კუნძულ უდაბურზედ გადადიან, ძეხვთა ძველთუძველეს საცხოვრისზედ, რომელ ძეხვთაც მხედართმოდვარნი ძეხვა მკვეთელი და სოსისა მკუნველი მეთავებობენ, შემდეგ მიდიან პაპსაბრანელთა კუნძულზედ, მერმე პაპომანთა კუნძულს ეწვევიან: სულ მიდიან და მიდიან, გზას არიან გადებულნი, არსად არ ფერხდებიან.

პანტაგრუელი მეუფე გასტერის, მეცნიერებათა და ხელოვნებათა მსოფლიოში უპირველესი მაგისტრის ნატამალსამკვედროს მოინახულებს; ეს დიდი მტარვალი ვინმეა და ჩვენი გმირები იმას უფროვე ემორჩილებიან, ვინმე სხვას ვისმე.

ბოლოს და ბოლოს ისინი კუნძულ ზარიანზედ მიდიან, სადაც ოთხი დროის მარხვა დიდად არ მოეწონა პანურგს და სადაც განმგებელნი პაპელნი არიან. იქ ისინი მცირე ხანს დაჰყოფენ, ვინაიდან წარამარა, დღისითაც და ღამითაც, ჩასალღევად აღვიძებენ, პანტაგრუელსაც კი ბეზრდება ზარიანზედ ყოფნა. იქიდან კვინტენსენციის ქვეყანაში გადადიან. მაგრამ მხოლოდ ატლასის ქვეყნის მონახულებისა შემდგომ, სადაც ვინმე ყურმოკრულას ხვდებიან, აღწევენ ღვთაებრივ ბოცა-ბოთლს, თავიანთი მგზავრობა-ხეტიალის მიზანს.

და დედამინის კიდით კიდე ამ დაუდგრომელი მოგზაურობა-ხეტიალის მთელ სიგრძეზედ რომანში სუფვის, ელვარებს, ხმიანებს ბუმბერაზის განუწყვეტელი სიცილი, ძალუმი მგრავინავი სიცილი, რომლისგანაც ვერუფედებით და თავბრუ გვესხმის; ბერ-მონაზონთ, ჯარისკაცთ, მხედართმთავართ, ეპისკოპოსთ, მეფე-ხელმწიფეთ, პაპთ, აზნაურთა და ოცორკუდა-მამაძალთ, მღვდელთა და ერისაგანთ ერთნაირად სწვდება სარკაზმით პირობმული მზერა რაბლესი, რომელსაც არც გაუშოლტავი რჩება ვინმე, არ დაუშანთავი და იმის კალმის წვერს ისინი დაგონჯებულნი და გასისხლიანებულნი აღწევენ თავს.

რაბლეს უკან შავბნელი და შემზარავი შუასაუკუნეობრიობა იდგა: ხალხის ხანგრძელი სივალაღე, სენიორისა და მღვდლის მიმართ ხალხისავე სიძულვილი უკვე მრავალ საუკუნეს ითვლიდა; ნაირ-ნაირი რწმენა თუ ბეგარა ოდითგან ერთნაირ ტვირთად ანვა ადამიანს; მაგრამ ძველი საზოგადოება ჯერეთ კიდევ ცოცხალი იყო და არ იშლიდა სხეულის კირთებას, აზრის დაბოროტებას, სენიორი ისევ თავის ციხე-კოშკში იჯდა, მღვდელი — მდიდარ და მაძლარ საბატოში, პაპი — თავის საოცარ ქალაქ რომში. ანაზღუელად ჩნდება კაცი (და, რათა თავსაცილი უფროვე მსუსხავი იყოს, ბერ-მონაზონი!), რომელიც ხელს მიჰყოფს წიგნის წერას. წერს წიგნს უსაზმნოს, უფორმოს, აზრბუნდოვანს და, შესაძლოა, არც წინ-წინ მოფიქრებული გეგმისდა კვალად თანმიმდევრულს, არც კიდევ განსაზღვრულ რამ იდეაზე ასხმულს. არადა წიგნი თავმობმულია მქირდავი და მწვავე თავსაცილით. სასაცილოდ იგდებს სენიორს, თუმცა ამ ვაჟბატონს მთელი ჯარი ჰყავს, ამასხარავეებს მღვდელმსახურს, თუმცა ამ მწყემსად სახელდებულს თავისი ხარისხი იცავს, აქიაქებს პაპს, თუმცა ის ბულას ბულაზე გამოსცემს, მთელი ძველი გოთიკური ტაძარი გამასხარავეებულია, შერცხვენილი და თავმოჭრილია; ყოველივე, რაც რამ საუკუნეთა მანძილზედ პატვილი იყო მოსილი, ფილოსოფია, მეცნიერება, მაგია, დიდება, კეთილი სახელი, ძალაუფლება, იდეები, სარწმუნოება, კვარცხლბეკიდან ჩამოგდებულია, კაცობრიობას შემოძარცული აქვს საზეიმო შესამოსელი და აღარ შერჩენია აღარცრა ცრუ ოქრომკედი თუ სირმა; დედიშობილა ის ახლა გროტესკის ქარში კანკალებს, რომელი ქარიც უკვე დიდი ხნიდან უბერავს; ან ის ართვალა და საზიზარარი შესახედაობისა გამხდარა, პანურგი სახეში სასვე საღვინეს ესერის და ხარხარებს. და ყოველივე ამასთან ერთად გვესმის ათასგვარი გონივრული შენიშვნა ადამიანის ბუნების თაობაზე, ჩვენს ყურადღებას იპყრობს გრძნობათა უცხოდ უნატიფესი მიმოხრანი, ბევრი უტყუარი დაკვირება, არაერთი სცენა, რომელთაც, ალბათ, თვით მოლიერიც აღიარებდა და რომელთაგან სიცილით მუცლები ხელში ეჭირათ ჩვენთა წინაპართ, ჩვენზედ ბევრად ჭკვიან კაცთ, ძველი კარგი დროის კარგ მწერალთა მკითხველთ. არა, ეს არც ვოლტერის მწარე, ეკალსაებრ მწხვლეტავი ნესტარია, რომელსაც

თან ახლავს ბოლომდე შედეგებული ღვარძლიანი სიცილი თავისი შხამიანი ნაკბენით, და არც კიდევ ჟან-ჟაკის გულუბრყვილო, პათეტიკური გულისწყრომაა, არც ბაირონის სისხლმდინარი გულის ჩუმი მოთქმა-გოდება, არც გოეთეს ღრმაზორიანი კაეშანი. ეს ჯანსაღი, ძალუმი, უკმეხი სიცილია, დამამსხვრეველი და დამლენველი სიცილი, დიალაც ის სიცილი, რომელმაც ლუთერთან და 93 წელთან ერთად ნადგურყო შუასაუკუნეობრიობა.

ისინი, ვინც ცდილობდა რაბლეს მოსარგები გასაღების პოვნას, თითოეულ სიტყვაში ალეგორიის დანახვას, და სუყოველი ხუმრობის თარგმნა-გადმოგნებას, ჩემი შეხედულებით, სავსებით ვერ ჩასწვდნენ ამ წიგნს! სატირა აქ საყოველთაოა, საქვეყნოა, სულაც არა პირადული და არა ლოკალურია. გულისყურიანი, ყურადღებიანი კითხვა მსწრაფლ გვარწმუნებს მსგავს ცდა-საციდისთა თუ მცდელობათა ამაოებაში.

ვითომ ღირს კი ყოველივეს გახსენება რაც რამ XVI საუკუნემ ქნა ამ მიმართულებით, და რაც მან ლაფი დაასხა შუასაუკუნეებს, საიდანაც თავად გამოვიდა? ამრიგად, არიოსტოზე რომ არცრა ვთქვათ, განა ფალსტაფი, სანჩო და გარგანტუა ძველი საზოგადოების სასაცილოდ დამაგვირგვინებელ ტრილოგიას არ ქმნიან?

ფალსტაფი ინგლისის მკვიდრის განსახიერებაა, მაგარი ლუდის სმითა და ბარკალთა ჭამით ჩაკურატებული ჯონ ბულია; ხორცსავსე და ავბორცი, ის გვამთაგან ნამოყვლეულადება და ხალთიდან ძველი ესპანური ლენის მათარას დააძრობს. ეს სულაც იაგოს თავზარდამცემი გროტესკი არ არის, არც შილერის მავრ ჰასანის ანგარიშიანი უზნეობაა. ფალსტაფის ერთადერთი ვნება თავმოთენობაა. იმას ეს ვნება უმაღლეს საფეხურზე აჰყავს, დიდებულ რამ გრძნობად აქცევს. ეს პერსონიფიკაციონებული, გასულიერებული ეგოიზმია, ანალიზისა და სკეპსისის გარკვეული ნიჭის მქონე, რომელ ანალიზსა და სკეპსისსაც ის თავის სასარგებლოდ მოივარგებს.

რაც შეეხება ჩოკინაზედ ამხედრებულ მშვიდობისმოყვარე სანჩო პანსას, მზისგან სახეგარუჯულსა და ზანტს, მინცივ ძილგამოყოლილს, ღამე რომ ხვრინავს, დღისით კი თვლემს, ლაჩარი ვინმეა, მხდალი, გმირობისა არცრა გაეგება, პირიდან ანდაზა ანდაზაზე ამოსდის, ერთფეროვანი და ერთსახეა, ამასთანავე, განა თვით სალი აზრი არ არის, რომელიც დონ კიხოტის მთელი ძალით გასძახის, გაჩერდი, ქარის წისქვილთ თავს ნუ ესხმი, ეგენი ბუმბერაზნი ნუ გვგონიან? თუმცა რაინდი მაინც თავისას არ იშლის, მაინც იქით მიდის და შავ დღეში ვარდება: ხელს მოიტენს, თავს იტკენს. დონ კიხოტის მუზარადი საყვინელ-სამართებლის, ანუ საპარსავის მცირე რამ ნალანგარია, ცხენს როსინანტი უქვია. და ნაგუთნისდედარი სანჩოს ჩოკინა ყოყინით იკლებს არემარეს, დონ კიხოტის გერბს მიშტერებული.

ამ ორ სახეს შორის გარგანტუას სახე ბევრად უფრო ორჭოფული და ნაკლებად მკაფიოა. რაბლეს გმირი ფორმათა მხრივ უფროვე ხალვათი და თავისუფალია, უფროვე მეტად უზარმაზარია. გარგანტუა არც ისე მსუნავი და გულწუნვია, არც ისე გარყვნილია, როგორც ფალსტაფი, არც ისერიგად ზარმაცი და წელანგარაა, როგორც სანჩო, მაგრამ ის ბევრად მეტსა ლღევს, ბევრად მეტსა ხარხარებს, ბევრად მეტსა ხმაურობს, თავის მხიარულებასა და სილოდაში ის შიშისმომგვრელი და შემზარავია.

თქმა არ უნდა, რაბლე ხანგრძლივ შესწავლას ითხოვს. ის მთლიანად უნდა ეიცოდეთ, რათა შევფავსოთ: შინაარ-

სის გადმოცემა და ნანყვეტ-ნანყვეტ კითხვა ამახინჯებენ და აუკეთურებენ; მხოლოდ მასში ჩაღრმავებულნი შევძლებთ იმის დანახვას, თუ რაოდენი ცხოვრებისეული ძალა-ამანი და სისხლ-ხორცია, რაოდენი სიჯანსაღე, ფანტაზია და ნიჭიერებაა, შეფუთული ტრივიალური მქისე ფორმით, და უეჭველად განგვაცვიფრებს აგრეთვე იქ დაფარულ ალმაზთა არაერთი საბადო და ტაკიმასხარის ტალავრით შემოსილი ჰერკულესის ძალოვნება.

და, ბოლოს, დანასკენი აზრი. რაბლე იკვლევდა ოდენ იმ საზოგადოებას, როგორც შეიძლება რომ იმის დროს ყოფილიყო. იგი ამხილებდა ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, ათასგვარ ახირებულობას, მრავალთა დანაშაულს და, ვინ იცის, იქნებ წინასწარ ხედავდა კიდევ უკეთეს პოლიტიკურ ნყობილებას, სრულიად სხვა საზოგადოებას. რაც რომ იმის დროს არსებობდა, ამაზრუნეი იყო. უკეთუ ერთ მოარულ გამოთქმას მივმართავთ, ქვეყანა ფარსი იყო, იმანაც, რაბლემ, ის ფარსად წარმოიდგინა.

რა მოხელეკეთილდა მას უკან? რა და, ყოველივე შეიცვალა. მოხდა რეფორმაცია. აზრის დამოუკიდებლობა. მოხდა რევოლუცია. მატერიალური დამოუკიდებლობა.

მეტი არცრა?

განხილულია ათასი რამ საკითხი, მეცნიერების, ხელოვნების, ფილოსოფიურ თეორიათა, სულ რაღაც ოცი წლის განმავლობაში! დასტურ გრიგალი ამოვარდა! საით მიგვერეკება ნეტავი?

მიმოხედეთ ირგვლივ: სადა ხართ? მწუხრია ეს თუ ალიონი? ქრისტიანობა უკვე აღარა გაქვთ. მაშ რა გაქვთ? რა და, რკინიგზები, ფაბრიკები, მოგიმრავლდათ ქიმიკოსნი, მათემატიკოსნი. კი, ბატონო, სხეულს მცირეოდენი საშველი დაადგა, ხორცი ნაკლებად იტანჯება, მაგრამ გული კვალად სისხლმდინარია. სული! სული ყვის! ნუთუ არა გრძნობთ, რარიე ეწამება, თუმცა გარედან გარსი არც უთრთის და არც შველას ითხოვს? შეხედეთ ერთი, ვითარ იძირება საყოველთაო სკეპტიციზმში, ამ პირქუმ მოწყენილობაში, ჩვენი თაობა ჯერეთ კიდევ აკვანშივე რომ მოიცვა, ეს მაშინ, ოდეს პოლიტიკა რაღაცას ბუტბუტებს, ოდეს პოეტნი, თავიანთი აზრისთვის ძლივს რომ მოუძებნიათ რიტმი, ამ აზრს, ერთ დღიურ ფურცელზე ნახევრად გადატანილს, ადვილად ელევთან გადასადგებად, ეს მაშინ, ოდეს სიკვდილიანი ტყვია სუყველა სივენსა და სუყველა ჭერქვემ ეცემა, ყველგან ეცემა, სადაც სედუხჭირე, ცუდმედიდობა და ნაყოფანება ბინადრობს.

მატერიალური საკითხები გადანყვეტილია. დანარჩენი? თქვენ გეკითხებით. მიპასუხეთ. და ვიდრე არ ამოავსებთ ამ მინცივ ხახადალებულ უფსკრულს, რომელიც ადამიანშია, სასაცილოდაც არ მყოფნის თქვენი სუყოველი ძალისხმევა. ამიტომ არის, რომ ვდგავარ და დავხარხარებ სუყოველ თქვენს საცოდავ მეცნიერებას, ერთი ღერი ჩალის საღირალს.

რახან აგრეა, ნეტამც გაჩნდებოდეს ან რაბლეს დარი და ბადალი კაცი! ნეტამც გადმოანთხევდეს მთელ თავის რისხვას, მთელ მძულვარებას, მთელ ნაღველს! დაცინვით ვის დასცინებს? მეფეთ ველარ დასცინებს, რადგან აღარ არიან; ველარც ღმერთს დასცინებს, თუმცა ის აღარა სწამთ, რაც თავზარდამცემია; ველარც იეზუიტებს აიგდებს მასხრად, მოძველებული ამბავია.

მაშ რასლა და ვისლა დასცინებს?

მატერიალური სამყარო თავს ჩინებულად გრძნობს, ანუ ასე თუ ისე ამ სამყაროში საქმე ბევრად უკეთესად მიდის.

მაგრამ სხვაგან? სხვაგან ყოველთა და ყოველ-სავე შავი დღე მოვლით. და უკეთეს პოეტი შეიძლება თავისი ცრემლის დამალვას და სიცილის ატეხას, დამიჯერეთ, წიგნი, რომელსაც ის დაწერდა, ყოველი უფრო მრისხანე და ყოველი უფრორე ამალღებული იქნებოდა, ვიდრე სხვა დანარჩენი წიგნებია დედამიწის ზურგზედ.

**თარგმნა  
ბურამ გოგიაშვილმა**

1. მასკარადი — მოლიერის კომედიათა პერსონაჟი („ქარაფშუტა (1655), „შეყვარებულის მღურვა“ (1656), „სასაცილო პრანჭიკელები“ (1659), მარჯვე მსახური). ფილინტი, ალცესტი — მოლიერის კომედიის — „მიზანტროპის“ პერსონაჟები. — 2. იბ.ლაბრუიერი, ხასიათები, I, 43. 3. ფლობერი გულისხმობს ლუდოვიკო XIV (1683-1715) მეფობის დასასრულს, როცა ქალბატონ დე მენტენონის გავლენით მეფეც და სამეფო კარიც ფრიად ღვთისმოსავნი და მართლმორწმუნენი გახდნენ, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად ასე ჩანდა. ვერსალის ბაღი — ეგრეთ წოდებული „ფრანგულის“, ანუ გეომეტრიულად სწორად დაგეგმილი ბაღის ნიმუში. — 4. ვოლტერი. ფილოსოფიური წერილები (1734), წერილი XXII, ციტატა არასწორია. ვოლტერს ნათქვამი აქვს: „საწყენია, რომ ეგ ზომ გონიერმა კაცმა აგრე საცოდავად მოიხმარა თავისი ჭკუა-გონება; ეს მთვრალი ფილოსოფოსია, რომელიც კალამს მხოლოდ მაშინ იღებს ხელში, რაჟამსაც ღლეულია“. — 5. „წარჩინების ხელოვნება“ (1610) — ბეროლდ დე ვერვილის ანონიმურად გამოცემული პამფლეტი. — 6. რემინისცენცია ჰიუგოს ლექსიდან („პრელუდია“ 1835). — 7. ახალ მონაცემთა მიხედვით რაბლე 1494 წელს დაიბადა. — 8. ლუდოვიკო XI ახშობდა ფეოდალურ ამბოხებებს და ხელს უწყობდა საფრანგეთის ცენტრალიზაციას. — 9. „ვარდის რომანი“ — გილიომ დე ლორისა (1236, პირველი ნაწილი) და ჟან დე მენის დიდაქტიკური პოემა (1275-1280, მეორე ნაწილი). — 10. მწერალს რომ თავისი ეპოქა წარმოშობდა, ეს შეხედულება რომანტიკული ისტორიზმის ერთ-ერთი მონაპოვარია; კერძოდ, აგრე აღწერდა შექსპირის შატობრიანი თავის „ცდაში ინგლისური ლიტერატურის შესახებ“ (1838), რომლის კითხვამაც, ამკარაა, ზეგავლენა იქონია ფლობერზე. — 11. ფლობერი გულისხმობს რაბლეს „თხზულებათა“ ცხრატომეულის გამოცემას 1823 წელს კომენტატორების — ესმანგარისა და ჟოანოს უკიდურესად ლალი ალეგორიული ახსნა-განმარტებით. — 12. ტრიადა „ფალსტაფი — სანჩო — გარგანტუა“, ალბათ, ფ.შალის სტატიიდან („პანურგი, ფალსტაფი და სანჩო“ 1829 წ.) მოდის, სადაც სამივე გმირი წარმოდგენილია როგორც სულზე სხეულის დაცინვის გამოხატულება, მაგრამ იმავდროულად — როგორც სულის დიდი საშემოქმედებო ძალა, რომლის წყალობითაც პერსონაჟები, გარკვეული ეპოქის მიერ შობილნი, მარადიულ სიცოცხლეს არიან ნაზიარებნი. — 13. ჰასანი — შილერის ტრაგედიის — „ფიესკოს შეთქმულება გენუაში“ (1783) პერსონაჟი. — 14. ფლობერი გულისხმობს პეტრონიუსის გამონათქვამს: „მთელი ქვეყანა კომედიას თამაშობს“, რომელიც თეატრ „გლობუსის“ ფრონტონზე იყო წარწერილი. ეს ის თეატრია, სადაც შექსპირი თამაშობდა.

მერაბ კალანდაძე

**ალექსანდრე დიუმა  
და ნაპოლეონი**

ნაპოლეონ ბონაპარტის ცხოვრებას და მოღვაწეობას გააჩინა რალაც რომანტიკული ხიბლი და უმაღლესი მიიპყრო ფართო საზოგადოების ყურადღება. მან მეტეორივით გაიფლავა ისტორიის ცის კაბადონზე და თავისი წარუშლელი კვალი დატოვა. ის არ ყოფილა მხოლოდ პოზიტიური ან ნეგატიური. ამიტომ ნაპოლეონის მოღვაწეობის ერთმნიშვნელოვანად შეფასება ძნელია. იკვთება ორი ტენდენცია: ბონაპარტისტული, რომელიც უსაშველოდ განადიდებს და ცაში აყავს ნაპოლეონი, და ანტიბონაპარტისტული, რომელიც პირდაპირ მიწასთან ასწორებს და უგულვებლყოფს ყოველგვარ პოზიტიურს. ერთ შემთხვევაში ვარდისფერი, ხოლო მეორე შემთხვევაში მუქი საღებავები უფრო სჭარბობს. ჭეშმარიტება კი, როგორც წესი, საღლაც შუაში ძევს და ამ საშუალოდ ხაზის გამოძებნას სულაც არ გახლავთ ადვილი საქმე. სიმპათია-ანტიპათია მძლავრობს. ნაპოლეონის თაყვანისმცემელთა ბანაკი საკმაოდ ფართო წრეს მოიცავს. მასში ვხვდებით მეცნიერ ისტორიკოსებს, სამხედრო საქმის თეორეტიკოსებს, პოლიტოლოგებს, გამოჩენილ მწერლებს, მხატვრებს, ფილოსოფოსებს, მუსიკოსებს. სიტყვაკაზმული ლიტერატურის კორიფეთა მთავარ ტონისმიცემად დიდი ინგლისელი პოეტი ჯორჯ ბაირონი და გამოჩენილი ფრანგი მწერალი სტენდალი გვევლინებიან. მათ მხარში ამოუდგნენ ფერწერის დიდოსტატები: დავიდი, გრო, ჟერიკო. ვალში არც მუსიკოსები დარჩენილან. მათ სათავეში უდგას ლუდვიგ ვან ბეთჰოვენი. ნაპოლეონს ხოტბას ასხამს და განადიდებს გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი. იგი მასში თეთრ ცხენზე ამხედრებულ აბსოლუტური სულის განსახიერებას ხედავდა. ანტიბონაპარტისტული ფრთის თავკაცად და ერთ-ერთ ლიდერად რუსი მწერალი ლევ ტოლსტოი გვევლინება.

ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება გამოჩენილი მწერალი, რომელსაც თავისი დამოკიდებულება, დადებითი ან უარყოფითი, არ გამოეხატა ნაპოლეონ ბონაპარტეს მოღვაწეობაზე. ერთი საინტერესო თემა ნაპოლეონის სახე მსოფლიო სიტყვაკაზმულ მწერლობაში. ამ პრობლემაზე არსებობს უზარმაზარი მასალა, რომელსაც ალბათ ერთი დიდი მონოგრაფია ვერ დაიტევს. ამ საკითხზე ქართულად ძალიან ცოტაა დაწერილი. ამიტომ მიზანშეწონილად მივიჩნით შეგვეცხოვროს ეს ხარვეზი და მასზე საგანგებოდ გავგვიხივებინებინა ყურადღება. ამჯერად შევჩერდებით ალექსანდრე დიუმას წიგნზე „ნაპოლეონი“. ასეთი არჩევანი გამართლებულია. XIX საუკუნის ფრანგულ ლიტერატურაში დიუმას ერთ-ერთი თვალსაჩინო ადგილი უჭირავს. ამიტომ, ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება განვიხილოთ, თუ როგორი იყო მისი დამოკიდებულება ნაპოლეონის მოღვაწეობისადმი. თემა არის საინტერესო და მასზე სიტყვის თქმას ძირითადად ის გარემოება გვაბედინებს, რომ მის შესახებ ქართულ ენაზე დღემდე არაფერი დაწერილია.

სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ნაპოლეონის განდიდებას საძირკველი ჩაუყარეს რომანტიკოსებმა. მათ ნაპოლეონი ხიბლავდათ და იტაცებდათ, როგორც ძლიერი პიროვნება, რომელიც იბრძოდა ყოველგვარი დრომოჭმულის წინააღმდეგ და მასში მათთვის ესოდენ სასურველი ზედმეტი ადამიანის განსახიერებას ხედავდნენ. ეს ტრადიციად იტაცეს და გააგრძელეს XIX საუკუნის პირველი ნახევრის რეალისტებმა. მათი ლიდერი სტენდალი იყო. ალექსანდრე დიუმა ამ მიმართულების ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. ნაპოლეონ ბონაპარტის მოღვაწეობით ალექსანდრე დიუმას დაინტერესება სავესებით ბუნებრივია. შარლ დე გოლი ამბობდა,

რომ „საფრანგეთი, რომელიც მოკლებულია სიდიადეს, საფრანგეთი არაა“. არასოდეს საფრანგეთს ასეთი ძლიერებისათვის არ მიუღწევია, როგორც ნაპოლეონის დროს. თვითვე განსაჯეთ, რუსი თავადი კურაკინი იმპერატორ ალექსანდრე I ატყობინებდა: „პირინიდან ოდერამდე, ზუნდიდან მესინის სრუტემდე ყველაფერი საფრანგეთია“. ფრანგულ სიტყვაკაზმულ მწერლობაში ნაპოლეონის განდიდება მძლავრი პატრიოტული მუხტით იყო გაჯერებული. დიუმას ნაპოლეონის მოღვაწეობა იმიტომ იტაცებდა და ხიბლავდა, რომ მისმა გამარჯვებებმა შორს გაუთქვა სახელი საფრანგეთს და მანამდე არნახული დიდება მოუტანა.

ნაპოლეონის განდიდება ძალუმად იგრძნობოდა ალექსანდრე დიუმას შემოქმედებაში. საკმარისია გავისხენოთ მისი რომანი „გრაფი მონტე-კრისტო“. ამ გატაცების ლოგიკურ დაგვირგვინებად გვევლინება ბიოგრაფიული რომანი „ნაპოლეონი“.

ფრიად სიმპტომატურად ჩანს, რომ ალექსანდრე დიუმას თხზულება ნაპოლეონზე 1840 წელს გამოვიდა. აქ აისახა სავსებით რეალური ვითარება. საქმე ისაა, რომ ნაპოლეონის სახელის აუგად მოხსენიება, რომელიც ფართოდ ინერგებოდა ბურჰონთა რესტავრაციის პერიოდში, 1830 წლის ივლისის რევოლუციის შემდეგ ჩაანაცვლა ნაპოლეონის უსახლგრო განდიდებად. მან თავის პიკს, კულმინაციას მიაღწია 1840 წლის 15 დეკემბერს, როდესაც საფრანგეთის მეფის ლუი ფილიპე ორლეანელის ინიციატივით, ნაპოლეონის ნეშტი წმინდა ელენეს კუნძულიდან დიდი პატივით გადმოასვენეს პარიზში და დაკრძალეს პანთეონში „ინვალიდთა სასახლეში“.

პირველ რიგში საინტერესოა გავარკვიოთ ალექსანდრე დიუმას კონცეფცია. დიუმას სახით საქმე გვაქვს პირნავარდნილ ბონაპარტისტთან, რომელიც უსაშველოდ განადიდებს თავის სათაყვანებელ კერპს. მის წიგნს ნითელ ზოლად გასდევს ნაპოლეონის ქება-დიდება, ხოტბა. რა შეიძლება ითქვას ასეთი მიდგომის შესახებ? რა თქმა უნდა, ნაპოლეონის განდიდება უცხო არ ყოფილა იმ პერიოდის სიტყვაკაზმული ლიტერატურისა და ისტორიოგრაფიისათვის. დიუმას რომანი ამ კონტექსტში ძალიან კარგად ჯდება და გააჩნია თავისი ძლიერი და სუსტი მხარეები. ნაპოლეონის მოღვაწეობის მაღალი შეფასება სავსებით მართლზომიერი იყო და უეჭველად შეიცავს ჭეშმარიტების რა-

ციონალურ მარცვალს, მაგრამ, როგორც ჩანს, დიუმა ძალიან გაიტაცა ნაპოლეონის პიროვნებამ და მის განდიდებას მიჰყო ხელი. ეს კი, ცხადია, არ ღირს, ზედმეტია.

ალექსანდრე დიუმას მიერ ნაპოლეონის განდიდება, როგორც ეს მიღებული იყო მაშინ, უპირატესად „სამხედრო ბონაპარტიზმზე“ გახლდათ ორიენტირებული. ეს სავსებით სწორია, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამგვარი მიდგომა ნაპოლეონის მოღვაწეობაზე სრულყოფილ, ამომწურავ, წარმოდგენას როდი გვიქმნის. ნაპოლეონის ბრწყინ-



ჟან-ანტუა გროსი ნაპოლეონი მარენგოს ბრძოლის შემდეგ

ვალე გამარჯვებებმა ბევრის, მათ შორის ალექსანდრე დიუმას, თვალში დაჩრდილეს მისი მოღვაწეობის სხვა მხარე. ნაპოლეონი არ ყოფილა მხოლოდ დიდი მხედართმთავარი. მას ხელენიფებოდა არა მარტო ნგრევა, არამედ შენება. ის იყო დიდი სახელმწიფო მოღვაწე და პოლიტიკოსი. აქ, ცხადია, პირველ ყოვლისა, ვგულისხმობთ ე.წ. „ადმინისტრაციულ ბონაპარტიზმს“. შეიძლება ითქვას, რომ სიტყვაკაზმული ლიტერატურის კორიფეებს ნაპოლეონის მოღვაწეობის ეს ასპექტი შედარებით ნაკლებად იზიდავთ, რაც მათი მსჯელობის აქტიურობის ქუსლად შეიძლება მივიჩნიოთ.

შარლ დე გოლის თქმით, „ნაპოლეონმა ერთნაირი გენია ჩადო სამხედრო ხელოვნებასა და მმართველობაში“. აღსანიშნავია, რომ ნაპოლეონი თავისი კანონშემოქმედებით საქმიანობაზე

საკმაოდ მაღალი აზრისა გახლდათ და მის მიერ მოპოვებულ გამარჯვებებზე მაღლა თუ არა, მათ გვერდით აყენებდა. „ჩემი დიდება ის კი არ არის, რომ მე მოვიგე ორმოცი დიდი ბრძოლა ...არამედ ის, რაც იცოცხლებს მარად — ჩემი სამოქალაქო კოდექსები“. XX საუკუნის ინგლისელი ისტორიკოსის კ. ჩერჩის თქმით, „ნაპოლეონმა საძირკველი ჩაუყარა XIX საუკუნის კლასიკური სახელმწიფო აპარატის ორგანიზაციულ და სოციალურ საფუძვლებს“.

ჯერ კიდევ ფრანგი ისტორიკოსი იპოლიტ ტენი, რომელსაც ვერავინ ვერ დასწამებს საფრანგეთის დიდი რევოლუციისადმი სიმპათიებს, თავის ფუნდამენტურ, ექვსტომიან გამოკვლევაში „თანამედროვე საფრანგეთის წარმოშობა“ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ თანამედროვე საფრანგეთის ფესვები 1789 წლის რევოლუციისა და ნაპოლეონის დროს განხორციელებულ გარდაქმნებში უნდა ვეძიოთ. და მაინც, მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ნაპოლეონის გაიდეალება მეტისმეტია. არ უნდა დაგვავინყ-

დეს, რომ საფრანგეთს ეს თვალისმომჭრელი გამარჯვებები მეტად ძვირად დაუჯდა. დაუსრულებელი დაპყრობითი ომების შედეგად საფრანგეთი სისხლისაგან დაიცალა. მისი გენოფონდი თითქმის განახევრდა. მსოფლიოს დაპყრობა ქიმერა იყო. ნაპოლეონი რეალობას მოწყდა და დამარცხდა. მისი მოღვაწეობა ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია იმისა, თუ როგორ უარყოფითად მოქმედებს პიროვნებაზე ერთი ადამიანის ხელში უზარმაზარი ძალაუფლების თავმოყრა. მან თვით ნაპოლეონსაც კი თავგზა აუბნია, რეალობას მოსწყვიტა და შეცდომები დააშვებინა. სასვებით მართლზომიერი უნდა იყოს, რომ როგორც კი ნაპოლეონის ომების სოციალურმა ასპექტებმა უკანა პლანზე გადაინაცვლა, დაპყრობილ ტერიტორიებზე განახლების დანერგვა აღარ ხდებოდა და მან მკვეთრად გამოკვეთილი დაპყრობითი ხასიათი მიიღო. ნაპოლეონის დაღუპვა გარდაუვალი გახდა.

ნაპოლეონის განდიდება თავის აპოგეას, პიკს აღწევს ოპოზიციისადმი ალექსანდრე დიუმას მიმართებაში. ის კრინტს არ ძრავს ნაპოლეონის წინააღმდეგ არსებულ ოპოზიციას არც მარცხნიდან და არც მარჯვნიდან. მას ისეთი სურათი სურს შექმნას, თითქოს ნაპოლეონის რეჟიმით უკმაყოფილო არავინ ყოფილა. ეს ნაპოლეონის განდიდებას კიდევ ერთი ხერხი გახლდათ. სინამდვილეში ნაპოლეონის მმართველობის წინააღმდეგ არსებობდა ძლიერი ოპოზიცია.

\* \* \*

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ალექსანდრე დიუმას წიგნი სასიამოვნოდ იკითხება და მკითხველი ერთი ამოსუნთქვით ჩაამთავრებს. თხრობის ბრწყინვალე ლიტერატურული მანერა, სტილი ამ თხზულების ერთ-ერთი მთავარი ღირსებაა. მას ამკარად ეტყობა დიდი მწერლის მადლიანი კალამი. ის მხატვრული ნაპოლეონიანას ერთ-ერთი შედეგია. ალექსანდრე დიუმა ლაღად, დიდი ლიტერატურული ოსტატობით გადმოგვცემს ნაპოლეონის მოღვაწეობის ბობოქარ ეპოქას.

პირველ ყოვლისა ყურადღებას იპყრობს და საინტერესოა ამ წიგნის კომპოზიცია, არქიტექტონიკა. ის შეიცავს მინიშნებას ალექსანდრე დიუმას მიერ ნაპოლეონის მოღვაწეობის ძირითად ეტაპებად დაყოფაზე. ფაქტობრივად ის იძლევა ნაპოლეონის ეპოქის პერიოდიზაციას. მნიშვნელოვან წყალგამყოფებად ბონაპარტის ცხოვრებაში, როგორც ჩანს, მწერალს ესახებოდა 1799 წლის 18 ბრიუმერის (9 ნოემბრის) სახელმწიფო გადატრიალება, კონსულობის ხანა. 1804 წელს ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევა, იმპერიის დამყარება, გადასახლება ელბაზე, და ასი დღე და ნაპოლეონის პოლიტიკური კარიერის დასასრული. წმინდა ელენეს კუნძულზე ნაპოლეონის გადასახლება. შეიძლება ამ დაყოფაში მცირე კორექტივები შევიტანოთ, მაგრამ მთლიანობაში ის სასვებით სწორია. აქ უბრალოდ იმის თქმას ვაპირებთ, რომ ნაპოლეონის დანიშაურების საქმეში საფრანგეთის დიდი რევოლუციის მნიშვნელობის უგულვებელყოფა დამაჯერებელი არ უნდა იყოს და მწერლის მსჯელობის სუსტ მხარედ მიგვაჩნია.

აი, ეს სქემა უდევს საფუძვლად ალექსანდრე დიუმას მიერ ნაპოლეონის ბობოქარი ეპოქის გადმოცემას. პირველი კარი, ბუნებრივია, ეხება ნაპოლეონის ბავშვობას, პირველ ნაბიჯებს, განსწავლას, და თხრობა მიყვანილია ტუ-

ლონის აღებამდე 1793 წლის დეკემბერში. ლევ ტოლსტოის თქმით, „ეს იყო პირველი ნაბიჯი დიდების გზაზე“. დიუმა საინტერესოდ საუბრობს ნაპოლეონის ბავშვობაზე, მის მშობლებზე, პატარა ბონაპარტის გატაცებებზე, პიროვნულ ხასიათზე. სწავლაზე, სამხედრო სამსახურის დაწყებაზე. მის პატრიოტიზმზე, კორსიკაში საქმიანობაზე. რევოლუციამ ნაპოლეონს თავის გამოჩენის შანსი მისცა და, უნდა ითქვას, რომ ეს ხელსაყრელი მომენტი ხელიდან არ გაუშვა. რომ არ ყოფილიყო რევოლუცია, არ იქნებოდა ტულონი. ნაპოლეონს თავის გამოჩენის სხვა გზის მოძებნა მოუწევდა. ამის გვერდის ავლა. წაყრუება, მიჩუმაობა, როგორც ამას დიუმა სჩადის, მართებული არ უნდა იყოს.

მეორე კარში განხილულია ნაპოლეონის ცხოვრების მნიშვნელოვანი მონაკვეთი. ტულონის აღებიდან 1799 წლის 18 ბრიუმერის სახელმწიფო გადატრიალებამდე. ეს მონაკვეთი საინტერესოა და მან დიდი როლი შეასრულა ნაპოლეონის აღზევების საქმეში. ვრცლად არის საუბარი 1795 წლის 13 ვანდემიერის (5 ოქტომბრის) აჯანყებაზე, 1796-1797 წლებში იტალიის კამპანიაზე, 1798-1799 წლებში ეგვიპტეში ლაშქრობაზე. დაწვრილებით და საინტერესოდ არის საუბარი სამხედრო ოპერაციებზე.

მესამე კარი ეხება კონსულობის პერიოდს: 1799-1804 წლები. განსაკუთრებით ვრცლად და მიმზიდველად არის განხილული ნაპოლეონის სამხედრო წარმატებანი, ხაზგასმულია ნაპოლეონის მხედართმთავრული ნიჭი. ნაპოლეონის კანონშემოქმედებით საქმიანობაზე, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს კონსულობის ხანაში, დიუმა რატომღაც კრინტს არ ძრავს და დუმილით უფლის გვერდს.

წიგნის ყველაზე უფრო წონიან ნაწილად, ბუნებრივია, მეოთხე კარი გვევლინება. ის ოცი თავისაგან შედგება და ეხება ნაპოლეონის ეპოქის ყველაზე უფრო რთულ და ბობოქარ მოვლენებით აღსავსე მონაკვეთს - პირველ იმპერიას. ის საუბარს იწყებს 1804 წლის 2 დეკემბრის ნაპოლეონის იმპერატორად კურთხევით და თხრობა მიყავს 1814 წლის აპრილში ნაპოლეონის პირველ გადადგომამდე. შესაძლოა, სჯობდა ამ დიდი მონაკვეთის ორი ნაწილად გაყოფა. ეს გარკვეულწილად მეცნიერულ დატვირთვასაც შეიძენდა და იმპერიის ეტაპებად დაყოფასთან გვექნებოდა საქმე.

წიგნის მეხუთე კარში საუბარია ნაპოლეონის გადასახლებაზე კუნძულ ელბაზე, მის დაბრუნებაზე, ას დღეზე, ხოლო მეექვსე კარი ეხება ნაპოლეონის ეპოქის დასკვნით აკორდს, ყველაზე უფრო ნაღვლიან მონაკვეთს — გადასახლებას წმინდა ელენეს კუნძულზე. უნდა დავეთანხმოთ დიუმას, როდესაც ნაპოლეონის ელბადან დაბრუნებას 1815 წლის მარტში განიხილავს, როგორც რევოლუციას, იგი იზიარებს მოსაზრებას, რომ ნაპოლეონი გარდაიცვალა კუჭის კიბოთი. სასვებით მართალია დიუმა, როცა მალალ შეფასებას აძლევს ნაპოლეონის მოქმედებას 1814 წლის დასაწყისში. „1814 წლის კამპანია მისი სტრატეგიული ნიჭის შედეგად იქცა“. მან ზედიზედ ათი ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა და მოკავშირეებს პირდაპირ კუდით ქვა ასროლინა. გახარებული ნაპოლეონი ამბობდა: „მე ვიპოვე ჩემი იტალიური ჩექმები“.

წიგნის გაცნობისას თვალში გვეცემა ერთი გარემოება. ის ძალიან დიდ ყურადღებას უთმობს ნაპოლეონის ეპოქის პოლიტიკური ისტორიის თხრობას. ეს ძალიან კარგია, მაგ-

რამ ნაპოლეონის მოღვაწეობის სხვა ასპექტები, მისი კანონმემოქმედებითი საქმიანობა, ეკონომიკური პოლიტიკა, ფაქტობრივად მწერლის თვალსაზრისით მიღმა რჩება. ეს თემატიკა მის წიგნში შედარებით მკრთალად, სუსტადაა გაშუქებული, საკმარისია აღინიშნოს, რომ 1806 წელს ბერლინში ხელმოწერილ „კონტინენტურ ბლოკადას“ ეხება მხოლოდ გაკვრით, სასხვათაშორისოდ. ასეთი მიდგომა, ცხადია, შემთხვევითი არ ყოფილა და მნიშვნელოვანწილად იმით იყო გამოწვეული, რომ ეს თემატიკა XIX საუკუნის პირველ ნახევარში ჯერ კიდევ არ იყო კარგად შესწავლილი.

ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ დიუმა ნაპოლეონის იმპერიის მწვერვალად 1809-1810 წლებს მიიჩნევს. „გენერალი დიდების მწვერვალზე იდგა, იმპერატორი კი ბედის კეთილგანწყობის საუკეთესო ფაზაში იმყოფებოდა“. ასეთი მოსაზრება გამოთქმულია ისტორიულ სამეცნიერო ლიტერატურაში და მას მრავალი მომხრე ჰყავს. მათი მთავარი ტონის მიმცემია გამოჩენილი ფრანგი ისტორიკოსი ალბერ სორელი. არსებობს სხვა აზრებიც, ჩვენ უფრო იმ შეხედულებას ვიხრებით, რომ ნაპოლეონის იმპერია დიდების ზენიტში იმყოფებოდა 1805-1807 წლებში. ეს იყო ისტორიული მონაკვეთი აუსტერლიციდან ტილზიტამდე. შემდგომ თავი იჩინა იმპერიის კრიზისის პირველმა სიმპტომებმა. ესპანეთი ამის ნათელი ილუსტრაცია უნდა იყოს.

შეიძლება გვეჩვენება, მაგრამ გვგონია, რომ დიუმა რუსეთში 1812 წელს ნაპოლეონის დამარცხების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს მკაცრ რუსულ ზამთარში ხედავდა. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ხშირი აპელირება ამინდზე, ტემპერატურაზე. ასეთ შეხედულებას სამეცნიერო ლიტერატურაში ძალიან ბევრი მომხრე ჰყავს. პირველად ის ნაპოლეონმა გამოთქვა და შემდგომ ფართოდ მოიკიდა ფეხი ისტორიოგრაფიაში. ამ შეხედულებას იზიარებდა ცნობილი გერმანელი სამხედრო ისტორიკოსი ჰანს დელბრიუკი. ასეთ მიდგომას გააჩნია თავისი რეზონი, თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული საკითხის შესახებ ამომწურავ ნარმოდგენას როდი გვიქმნის. საქმე ისაა, რომ იყო ამის გამომწვევი სხვა, უფრო სერიოზული მიზეზები და ამის წაყრუება, გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა.

საკამათო ჩანს დიუმას მიერ ზოგიერთი საინტერესო სიუჟეტის ინტერპრეტაცია. ასე, მაგალითად, 1809 წლის დასაწყისში ესპანეთიდან ნაპოლეონის სასწრაფოდ დაბრუნებას ის ავსტრიის საომარ სამზადისს უკავშირებს. ავსტრიის მტრული საომარი მზადება ევროპაში უსიამოვნო ფონს ქმნიდა. ეს მოსაზრება უდავოდ შეიცავს ჭეშმარიტების რაციონალურ მარცვალს და ბევრი მომხრე ჰყავს ისტორიკოსებს შორის, მაგ-

რამ საქმე ის არის, რომ იყო ამის გამომწვევი სხვა უფრო სერიოზული მოტივებიც, რომელთაც დიუმა რატომღაც გვერდს უვლის. ნაპოლეონი დააფიქრა ტალეირანისა და ფუშეს უეცარმა დაახლოებამ. როგორც მეტერნიხი ამბობდა „ამ შემთხვევაში მათ ერთი მიზანი და მიზნის მიღწევის საშუალებანი ჰქონდათ“. შტეფან ცვაიგის თქმით, როდესაც „ძალსა და კატას შორის მეგობრობა იფეთქებს, ის მიმართულია მზარეულისკენ“; ნაპოლეონი მშვენივრად მიხვდა, თუ საიდან ქროდა ქარი და სასწრაფოდ პარიზს მიასურა. მან ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ უნდა მოეწყო ავსტრიისათვის და მოუარა კიდევ. ტალეირანისა და ფუშეს დაახლოებამ კი იმპერატორი საკმაოდ დააფიქრა. თანამედროვეებმა სწორად შეაფასეს სიტუაცია. მეტერნიხმა ამ დაახლოებაში იმპერიის კრიზისის სერიოზული გამოვლინება დაინახა. იკვეთება ოპოზიციის კონტურები, რომელიც დააფრთხო კორსიკელის ავანტიურისტულმა პოლიტიკამ, მსოფლიოს დაპყრობის ილუზიამ.

ალბათ, უფრო უპრიანი იქნებოდა მკაფიოდ ყოფილიყო გამოკვეთილი ნაპოლეონის დაცემის საქმეში ტალეირანისა და ფუშეს ნეგატიური როლი. ტალეირანმა უარყოფითი როლი შეასრულა ნაპოლეონის პირველი გადადგომის დროს — 1814 წელს, ხოლო ფუშემ მეორე გადადგომის დროს — 1815 წელს. მას ფრანგმა პოეტმა ბერანტემ „1815 წლის დიდი მოღალატე უწოდა“.

ამრიგად, აღექსანდრე დიუმას სახით საქმე გვაქვს XIX საუკუნის პირველ ნახევარში ევროპის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ბონაპარტისტული ფრთის ერთ-ერთ თვალსაჩინო წარმომადგენელთან. დიუმას მიერ ნაპოლეონის მოღვაწეობის დადებითი შეფასება საგვებით მართლზომიერი უნდა იყოს და მისაღები ჩანს, მაგრამ ნაპოლეონის უსასწველოდ განდიდება, ცაში აყვანა, გალმერთება, ცხადია, ზედმეტია. არ ღირს.

**ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში** მოენყო ცნობილი ქართველი ემიგრანტის, პოეტ **გიორგი გამყრელიძის** წიგნის — **„გვიანი რთველი“** — ნარდავინება. პოეტური კრებული უჩვეულო იმედაც გახლდათ, რომ პირველად ის 1960 წელს გამოიცა სანტიაგო დე ჩილეში, მეორე გამოცემა ამჯერად საქართველოში შედგა. რედაქტორი: **კონსტანტინე ზ. გამსახურდია**, გარეკანზე დასტამბულია მისივე ბოლოსიტყვაობა. ტექნიკური რედაქტორი: **ირინა მარკოზაშვილი**. წიგნი დაიბეჭდა გამომცემლობაში „საარი“.

სალამო გახსნა და საზოგადოებას სიტყვით მიმართა ამ შეხვედრის ორგანიზატორმა **ნიკა მაჭუტაძემ**. შემდგომ წიგნის გამომცემელს, **ემზარ გოგუაძეს** დაეთმო სიტყვა. მან ილაპარაკა გამოცემის იდეის, მოსამზადებელი ეტაპისა და უშუალოდ წიგნის, მასში დასტამბული ტექსტების შესახებ. სადამოზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი **რუსუდან ნიშნანიძე**. ქართველი ემიგრანტები „სამანს იქით“, მათი სევდიანი თუ ღიმილისმომგვრელი ფათერაკიანი თავგადასავლები და, რაც მთავარია, გიორგი გამყრელიძის ბიოგრაფია და მისი შემოქმედებითი გზა, ლიტერატურული მემკვიდრეობის მნიშვნელობა, პოეტური ტექსტების მხატვრული მახასიათებელი — ეს გახლდათ მისი გამოსვლის ძირითადი სათქმელი.

სალამოში მონაწილეობა მიიღეს **გიგი ნატყვალაძემ** — სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენელმა, სტუდენტებმა — **ნოდარ გოცირიძემ**, **ლაშა ჯაიანმა**, **ლაშა გოგუაშვილმა** და სხვებმა. **სოფო ქურდიანი** და **ნინკა გუდაძე** კითხულობდნენ **გიორგი გამყრელიძის** ლექსებს, სიამოვნებით ენაცვლებოდნენ ერთმანეთს და დამსწრე საზოგადოების დიდი ყურადღება ერთ-სულოვნების დასტური გახლდათ. „დედავ, მოვედი მგზავრი გვიანი / გზა მქონდა გრძელი, თანაც ქვიანი,“ — **გიორგი გამყრელიძის** ეს სტრიქონებიც წაიკითხეს იმ დღეს... ამ წიგნის გამოცემით იმ დღეს „დაბრუნება“ რეალური გახდა.



ნიმეო ჩხიკვიძის ნიგნი „საუბრაბი თემურ ჩხიქიძისთან“, რომელიც ამ ორი წლის წინათ გამოიცა, საკმაოდ გახმაურდა თეატრალურ და ლიტერატურულ წრეებში. მას მოჰყვა რუსთომ ჩხიქიძის ვრცელი რეცენზია „თემურ ჩხიქიძის თეატრი (მინაწერები ნიმეო ჩხიკვიძის ნიგნის აშვიბზე)“ ჟურნალ „ჩვენი მხარეების“ ფურცლებზე (2011, №20) და რედაქციის გადაწყვეტილებით მიენიჭა ლიტერატურული პრემიაც კრიტიკის დარგში.

ნიგნი ორიგინალური აღწავლისა და თავს უყრის მრავალფეროვან მასალას, მთავარ ძარღვს კი მაინც ქმნის დილოგების სერია თეატრალურ კრიტიკოსსა და თანამედროვეობის ერთ საუკეთესო რეჟისორს შორის. ორიგინალური აღწავლა საშუალებას აძლევს ავტორს, გააგრძელოს მისი შევსება გარკვეული დროის შემდეგ გაცილებით სქელტანიანი ნიგნი წარუდგინოს მკითხველს.

ეს დილოგი, რომელსაც ამჯერად გთავაზობთ, დამოუკიდებელი მასალაცაა და უშუალო წინაიღაც იმ მომავალი ნიგნისა.

# ის... რაც ყველაზე მთავარია ცხოვრებაში

(ნიმეო ჩხიკვიძის  
ისაუბრაბა  
თემურ ჩხიქიძე)

— ბატონო თემურ, როგორ უნდა დაიდგას კლასიკა? არსებობს რაიმე ე. წ. სპეციფიკა, რაც ამ დროს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს რეჟისორმა?

— კლასიკისადმი ცოცხალი დამოკიდებულება აუცილებელი. თუ მასალა მახლობელი არ გახდა მუშაობისას, ისე არაფერი გამოვა. ის, რაც „იქ“ ხდება, შენთვის ისეთივე ორგანული უნდა გახდეს, როგორც თავს გადახდენილი ამბავი და აი, მაშინ შეიძლება რომ ხელი მოკიდო სპექტაკლის დადგმას. ეს როდის, რანაირად მოდის, კაცმა არ იცის. სანამ ასეთი განცდა არ გაგიჩნდება, მანამდე მსახიობებთან შესვლას აზრი არა აქვს. სხვანაირად, რეპეტიციას ვერ ჩაატარებ...

— მახსოვს, მითხარით, რომ „ბიძის სიზმარი“ სტუდენტობაში წავიკითხე და ბევრიც ვიცინეო... და ახლა მაშინდელმა შთაბეჭდილებამ იმოქმედა თუ...

— ვერ გეტყვი... ის კი იყო, რომ სულ სხვა ნაწარმოების წასაკითხად გადმოვიღე დოსტოვესკის ერთ-ერთი ტომი და უცებ... „ბიძის სიზმარი“ თავიდან აღმოვაჩინე.

— მანამდე დოსტოვესკის მხოლოდ „მარადი ქმარი“ გქონდათ დადგმული?

— ჰო, სხვა არაფერი...

— როგორ მოახერხეთ ასეთი „მძიმე“ პროზის გასცენიურება, მასში დრამატურგიული მარცვალი დაინახეთ?

— აბა რა!

— მაგრამ დადგმაში ერთი-ერთი, ძალიან საინტერესო, ნიშნობის სცენაა გამოტოვებული. მაგრამ სპექტაკლი კომპოზიციურად ისეა აგებული, რომ უკმარობის განცდა არ ჩნდება...

— ბოლო სცენა, ჩემი მითითებით, თამაზ გოდერძიშვილმა ცოტათი გადააკეთა და, თუ უკმარისობის განცდა არ რჩება, ეს სწორედ თამაზის დამსახურებაა.

საერთოდ, როცა ნაწარმოების სქემას იღებ, ბუნებრივია, უპირატესობას ცენტრალურ მოვლენებს ანიჭებ. ეგ ნიშნობის სცენა, ვფიქრობ, დამოუკიდებელი ნოველაა. თავისუფლად შეიძლება მისგან ცალკე პიესა შექმნას.

ისიც საკვებით შესაძლებელია, სხვა რეჟისორმა მოკიდოს ხელი იმავე ნაწარმოებს და მთელი სპექტაკლი სწო-

რედ ამ ეპიზოდზე ააგოს. წარმოუდგენელია, ამოდენა ნაწარმოები თავიდან ბოლომდე მოყვე სცენაზე, მაშინ სპექტაკლი კი არ უნდა დადგა, არამედ მრავალსერიანი ფილმი გადაიღო.

სხვათა შორის, არ მინახავს, მაგრამ რუსებს „მარადი ქმარის“ მიხედვით ფილმი აქვთ გადაღებული და, იცით, იქ ლუბმინი თამაშობს პაველ პავლოვიჩს.

— ანუ ის მსახიობი, რომელმაც თქვენს მიერ მხატვრიან ხორციელებულ „ჯაყოს ხიზნებში“ თეიმურაზ ხევისთავი ითამაშა?

— დიახ, ეგ ფილმიც მე ხომ არ დამიდგამს, რომ ვთქვა, მე რაღაცა სტერეოტიპი მაქვს ამოჩემებული და იმის მიხედვით ვაზროვნებ-მეთქი. არადა, უცნაურია. თურმე ასეთი დამთხვევებიც არსებობს.

— ფილმი ნანახი გაქვთ?

— სამწუხაროდ, არ მინახავს. მითხრეს, ლუბმინი კარგად თამაშობსო.

— როგორ ფიქრობთ, ლოგიკურია ეს დამთხვევა თუ შემთხვევითი?

— ვერაფერს გეტყვით.

— ?..

— მერე კიდევ აი, რა: რომ არ მეგულებოდეს კონკრეტული მსახიობი, რომელსაც კონკრეტულ როლში ხედავ, მაშინ, რა თქმა უნდა, გამიჭირდებოდა სპექტაკლის დადგმა. როცა გყავს ნოდარ მგალობლიშვილი, გყავს ალისა ფრინდლისი თუ როლე ბასილაშვილი, ეს უკვე სტიმულია რეჟისორისთვის.

— რაღაც გამოავნებული ფინალი აქვს „ბიძის სიზმარს“, თქვენეული...

— მხოლოდ ფინალი არაფერს ნიშნავს, წერტილია. ამდენად, ფინალურ სცენამდე მისვლაა საჭირო. მანამდე თუ მაყურებელს დაეძინა და არაფერმა გაიტაცა, მხოლოდ კარგი დასასრული ვერ უშველის საქმეს.

— მაგრამ მე, როგორც „თქვენი მაყურებელი“, ყოველთვის „ამ წერტილს“ ველოდები. ამ შემთხვევაში — მხოლოდ ემოციის ამარა რჩები...

— რა ინვესს ამ ემოციურ მუხტს?

— ფინალური სცენა...

— მაინც რას გამოყოფდით პლასტიკას, მუსიკას, სცენოგრაფიასა თუ რას?

— ყველაფერს ერთად: თურმე ცხოვრება ქრება, მარტო რჩები... ეს არის „ის“, რაც თითქოს მუდამ თან გდევს ადამიანს, რაც გგონია, რომ შენია, მაგრამ მაინც მოუხელთებელია...

— გასაგებია, რომ ემოციურია, მაგრამ რა, რა ინვესს კონკრეტულად ამ ემოციას?

— კონკრეტულად? პლასტიკა, მსახიობი ისე მოძრაობს, თითქოს ციური სხეული იყოს...

— იცით, რომ სპექტაკლს ცოტათი სხვანაირი ფინალი ჰქონდა? სცენოგრაფიულად ყველაფერი ასე არ ყოფილა.

ეს გოგონა ფინალურ სცენაში საქანელაზე დგებოდა და ნელა ირწეოდა.

— რატომ შეცვალეთ ფინალი?

— რუსეთშივე, მორიგი გასტროლის დროს, შეგვპირდნენ, რომ ამას ტექნიკურად უზრუნველყოფდნენ, მაგრამ ზუსტად სპექტაკლის დაწყებამდე, რაღაც 20 წუთით ადრე, ვიგებ, რომ ის დანადგარი, რომელსაც შეეძლო საქანელაზე მოთ აენია-აემოდრავებინა, ვერ იშოვნეს.

არადა, სპექტაკლი იწყება, რეჟისორის თანაშემწე მეუბნება, მაყურებელი უნდა შემოვუშვათ დარბაზშიო და... ამ დროს, ჯერ კიდევ არ ვიცი, რა უნდა გამოვიგონო?!

მსახიობიც დაბნეული შემოიყურებს. უცებ... რაღაც მომაფიქრდა: ბავშვობაში ან ინსტიტუტში სწავლისას არასდროს გავიკეთებია, მექანიკური თოჯინის მოძრაობების მსგავსი რამ-მეთქი? ვეუბნები. არაო, მაგრამ შევეცდები ახლა გავაკეთოო და... იწყებს მექანიკურ მოძრაობას ძალიან ნელა.

მოკლედ, ფინალურ სცენაში მსახიობებიც კულისებში დგანან, ყველას აინტერესებს, რას იზამს პოლინა, მექანიკური თოჯინასავით მოძრაობას იწყებს და... ისე მოეწონათ, რომ მერე, როცა შინ დავბრუნდით, ეს ფინალი დავტოვეთ... ამ ფინალში უფრო მეტადაა ქვეცნობიერი აზრი, ვიდრე საქანელაში, ვფიქრობ, ზუსტად შეესაბამება ნაწარმოების ბოლოს.

სხვათა შორის, „მარიამ სტიუარტშიც“ იგივე მოხდა. ისრაელში გასტროლებისას, 15 წუთით ადრე შევცვალე ფინალი და მერე ასე ვთანამშობთ უკვე მესამე წელიწადია.

— რამდენი ხანია, რაც „ბიძის სიზმარი“ სცენიდან არ ჩამოსულა?

— ზუსტად არ მახსოვს, მგონი სამი წელიწადია.

— რომელ ქვეყანაში გქონდათ წაღებული?

— თავიდან რუსეთის სხვადასხვა ქალაქში ვატარეთ. შემდეგ ბალტიისპირეთი მოვიარეთ. ვიყავით გერმანიასა და ავსტრიაში. ახლა ნოემბერში დრეზდენის თეატრალურ კვირეულზე ისევ უნდა ვაჩვენოთ.

— როგორ იღებს უცხოელი მაყურებელი ამ სპექტაკლს?

— მშვენივრად.

— „მარადი ქმარი“ არსად წაგიღიათ?

— მხოლოდ რუსეთში — ჩეხოვის ფესტივალზე.

— როგორ აღიქვამს ქართველი და რუსი მაყურებელი დოსტოევსკის, რა განსხვავებაა მათ შორის?

— დაახლოებით ერთნაირად. ძალიან კარგად გაიგო ქართველმა მაყურებელმა „ბიძის სიზმარი“. მსახიობებს დღემდე სანიმუშოდ და სამაგალითოდ აქვთ თბილისში გამართული წარმოდგენა. ამბობენ, ქართველმა მაყურებელმა ყველაზე კარგად მიიღო ეს სპექტაკლიო!



თემურ ჩხეიძე

— ბატონო თემურ, ახლა ჭოჭმანს დაიწყებთ, მაგრამ მაინც გეტყვი: ეს თქვენი დამსახურება!

— არა, მარტო რეჟისორი რას გააწყობს... თვითონ დოსტოევსკია ძალიან დიდი.

— გასაგებია, მაგრამ... რეჟისორიც რომ დიდია...

— მე არ ვარ დიდი რეჟისორი!

მთავარია მწერალი, შემდეგ მსახიობები, თუმცა არც ეს იძლევა სრულ გარანტიას... შეიძლება ყველა კომპონენტი „ადგილზე იყოს“, მაგრამ სპექტაკლი მაინც არ გამოვიდეს.

— არ გეთანხმებით!

— რა ვქნა, ნუ მეთანხმებით, ასე კია და...

— როცა ისეთი რანგის რეჟისორი როგორცაა თემურ ჩხეიძე, ხელს კიდებს კლასიკას, მაშინ სპექტაკლიც ასეთივე დონისა გამოდის...

— დიდი მადლობა კომპლიმენტისთვის, მაგრამ აგერ ჩემმა „მაკბეტმა“ დიდი კამათი გამოიწვია. ბევრმა არ მიიღო.

საერთოდ, დაიმახსოვრეთ: როცა რაღაც არ გამოდის, ამაში ყოველთვის დამნაშავე რეჟისორია!

— რატომ... მსახიობი ვერ შეარჩია და ტექსტი ვერ „წაიკითხა“, თუ...?

— ზუსტად არ ვიცი. ან მასალამ თავის დროზე არ „იმუშავა“, ეს გამოუცნობი რამ არის. ან სულაც ეპოქის შესატყვისი ტონალობა ვერ იპოვნა.

— მაგრამ კლასიკა ხომ ყოველთვის ეპოქის შესატყვისია?

— საერთოდ კი, მაგრამ...

— იგივე სპექტაკლი საქართველოში რომ დაგედგათ, „იმუშავებდა“?

— არ ვიცი, თუ არ დადგი, ისე ვერ მიხვდები. თუმცა, მაინც მგონია, რომ — არა. „ბიძის სიზმარი“ სწორედ იქ უნდა დამედგა, სადაც დავდგი. აი, „მარადი ქმარი“ შეიძლებოდა დამედგა აქ და დავდგი კიდევ.

— წელან საქანელა ახსენეთ და „ჯაყოს ხიზნები“ გამახსენდა.

— არა, არა, აქ სულ სხვანაირად აღიქმებოდა. „ჯაყოსში“ — სულ სხვაგვარად.

საქანელას აღქმას ყოველთვის ის განაპირობებს, საქანელაზე ვინც ზის, რას აკეთებს, თორემ საქანელა ყოველთვის ერთნაირად ქანაობს...

— საქანელა და ეტლი თქვენთვის ერთგვარად აპრობირებულია. გავიხსენოთ „ჰაკი აძმა“, „მარადი ქმარი“. რა არის თქვენთვის საქანელა და ეტლი, მეტაფორა თუ უბრალოდ საგანი?

— არა, მეტაფორა არ არის, უბრალოდ საგანია.

— თუ ამაზე საგანგებოდ არც გიფიქრიათ?

— მართალია, ამაზე საგანგებოდ არ ვფიქრობ, როცა მაქვს, უკვე ვიყენებ... თუმცა „ჰაკიში“ ეტლი შეიძლება მეტაფორად აღიქმებოდეს, რადგან ჩაკეტილ წრეში ტრიალებს...

— „მარად ქმარში“ რალაც რომანტიკული სამყაროს სიმბოლო უფრო მგონია.

— არა, რატომ, პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს, ამ ეტლით პერსონაჟები გადაადგილდებიან.

კიდევ, ილიაზე რომ სპექტაკლი დავდგი, იქ, ფინალში ჩნდებოდა ცარიელი ეტლი, როგორც მინიშნება იმისა, რომ ილია აღარ არის, მხოლოდ ეტლია დარჩა...

— საერთოდ, თქვენ ასეთ ნიუანსებს თვისობრივ ყურადღებას აქცევთ. ეს თითქოსდა ნიუანსია, მაგრამ სპექტაკლის დასრულების შემდეგ სწორედ „ეს ნიუანსი“ არ გასვენებს და გაფორიანებს... ხანდახან მგონია, რომ ამისთვის დგამთ სპექტაკლებს...

— საერთოდ, რა არის იციო?

— ?...

— შეიძლება ავტორისეული ესა თუ ის ფრაზა საერთოდ არ იყოს სპექტაკლში ნახსენები, მაგრამ სწორედ ამან იმოქმედოს მთელი სცენის გადანწყვეტაზე...

— ეს როგორ?

— სცენაზე, საერთოდ, არის სიტუაცია, სიტყვას მართლაც რომ ვერაფერი შეცვლის, მაგრამ არის მომენტი, როდესაც სიტყვები კი არ უნდა ითქვას, არამედ — „უნდა მოხდეს“. შეიძლება ტექსტი სხვაგვარად „გადმონერო“...

— ანუ...

— ამ სიტყვების ეკვივალენტი უნდა მოხდეს სცენაზე...

— როგორც ეს მოხდა, ვთქვათ, „მარად ქმარში“, როცა თოჯინა გამოიგონეთ.

— ჰო, სცენიურად ეს უფრო გასაგები გამოდგა, ვიდრე შეკითხვის სახით გაფლერებული სიტყვები — და მერე ლიზა?

— შეიძლებაოდა სიტყვები საერთოდაც დაკარგულიყო!

— სწორედ ამისთვისაა თოჯინა. მაგრამ მანამდე საჭიროა, ისეთი ადგილი ეკავოს თოჯინას, რომ ფინალში „ითამაშოს“. ამიტომაც ჩნდება სპექტაკლში რამდენჯერმე თოჯინა. ჯერ თვითონ ლიზას უჭირავს...

— მერე კარადაში შემთხვევით აღმოაჩენს ტრუსოცკი...

— ჰო, თოჯინა გადმოვარდა და... ამან სამართებელი აიღო, ველჩანინოვის მოკვლა დააპირა, რაც, ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი, დოსტოევსკისთან არ არის, მაგრამ ასე, იცით, რატომ გადავწყვიტე?

— ?..

— ნახეთ, რას წერს დოსტოევსკი: ტრუსოცკი ავადმყოფ ველჩანინოვთან დარჩა, მიხედა. ღამე უთია, ის დრო, როცა ველჩანინოვს ეძინა, ფიქრში გაატარა, დაიბოლმა და ამ შავ-მა ფიქრებმა იმ ზომამდე მიიყვანა, რომ... წელან თუ სიკვდილს გადაარჩინა, ახლა მოსაკლავად გაიმეტა. ნაწარმოებში ტრუსოცკის ფიქრს 2-3 გვერდი აქვს დათმობილი და მე რა უნდა მექნა? ამდენ დროს ხომ ვერ დავუთმობდი სცენაზე? ამიტომაც მჭირდებოდა რალაც თვალხილული საგანი, რომელიც მაცურებელს დაანახებდა თუ რამ გადაუტრიალა ამ ადამიანს ტვინი. რატომ აიღო სამართებელი? ამისთვის რალაც მოულოდნელი უნდა მომხდარიყო სცენაზე და აი... ლიზას თოჯინა გადმოვარდა განჯინიდან, ამან ყველაფერი გაახსენა, სულ სხვა ტალღაზე გადაიყვანა, ბავშვის სიკვდილში ველჩანინოვი დაადანაშაულა... (და მაცურებელი დარბაზში ზის და ხვდება, თუ როგორ შეიძლება კაცს, ერთი პატარა დეტალის გამო, გონება გადაეკეტოს!) აი, ამან განაპირობა თოჯინის აუცილებლობა... გასაგებად ვყვები?

— საესებით!

— დიდი მადლობა!

— ყველაფერი გავიგე, წელან, ეტყობა, გასაგებად ვერ ჩამოვაცალიბე კითხვა, როცა ვსაუბრობდით მძიმე პროზის გასცენიურებაზე, ამაზე გეკითხებოდით...

— დასაწყისში მიხეილ გომიაშვილი საკმაოდ გრძელ მონოლოგს კითხულობს, თუმცა კი ნაწარმოებში ეს მონოლოგი უფრო ვრცელია. მე უნდა შემეკვეცა — ერთ-ერთი საკვანძო სიტყვისთვის „ჩამევილი“. და შლიაპამ მიიპყრო ყურადღება.

— „ბიძის სიზმარში“ რალაა „ჩაველებული“?

— იქ უკვე სულ სხვა მანერაა თხრობისა. სხვანაირად უნდა მიუდგე ნაწარმოებს. ყველაფერი გააკეთო იმისთვის, მაცურებელმა რომ გაილალოს.

— ასეც არის!

— ერთხელ გაილიმა მაცურებელმა, მეორედ, მესამედ, მერე ახარხარდა და...

— და იქ უნდა „ჩასცე“ მახვილი სწორედ...

— ჰო, აბა, რა! მოქმედი პირებიც თითქოს ასეთ დღეში არიან...

— არადა, ფინალში ეს ყველაფერი ერთბაშად სადღაც ქრება, ამოებდა იქცევა...

— ნახეთ, რა ხდება, ბოლოს, თითქოს, ყველა თავის დანაშაულს გრძნობს. ხვდებიან, თურმე სიყვარული ყოფილა მთავარი, მაგრამ ახლა გვიანდაა...

მე მჯერა — თუ ადამიანს ერთხელ მაინც ნამდვილად უყვარდა, ის არასდროს ავიწყდება!

ამის აღმოჩენაა მთავარი, აი, რაზე დავდგი ეს სპექტაკლი!

ბოლოსდაბოლოს, ვინ არის ეს მარაზმატიკი მოხუცი ამ გოგონასთვის? რატომ აღივსო ამ ბერიკაცის მიმართ ასეთი პატივისცემით? იმიტომ, რომ... მიხვდა ამ ბერიკაცსაც რალაც „თავისი უზის“ გონებაში.

— ანუ რა?..

— ის, რომ ამ კაცს, რომელსაც სრულიად დაკარგული აქვს მესხიერება, სახელიც არ ახსოვს საყვარელი ადამიანისა, ამ სიმღერამ რალაც მოაგონა... თავისი პირველი სიყვარული. აი, ამან დაახლოვა ეს ახალგაზრდა ქალი ამ ბერიკაცთან. როცა მას უყურებს, თავის თავზე ფიქრობს.

გახსოვთ, რა თქვა ამ კაცმა? ისეც ის სიმღერა იმღერეთ, რაც წელანო, სხვა არ გამაგონოთ... მერე რას ამბობს, თუ მიაქციეთ ყურადღება, მისგან არაფერი მინდა, მხოლოდ მიმღეროსო!

— და ეს არის ქვედინება, თქვენეული, მოულოდნელი აღმოჩენა: ზედაპირულად ყველაფერი კომიკურია, მაცურებელს ამაზე ეცინება, ამ დროს, სინამდვილეში...

— გესმით, რა მოხდა? ამ ბერიკაცის შემხედვარე გოგომ იფიქრა, ახლა თუ არ წავალ ჩემს შეყვარებულთან, რომელიც ჩემს გამო კვდება, მერე მეც ამ კაცივით მთელი ცხოვრება დავიტანჯებიო!..

— ნავიდა და იმ ბიჭის დედის საშინელი წყევლაც გამოიყოლა...

— უკვე ყველაფერი დაგვიანებული აღმოჩნდა...

— და მაინც მივიდა...

— აი, საქმეც ეს არის! მწერლის ყოველი ფრაზაა საყურადღებო: ალისა ფრეინდლისის გმირი რომ ეუბნება — ეჰ, ზინა, ზინა, განა მე არ მიყვარდა და, ვინ იცის, იქნებ შენზე მეტადაცო! — ეს მწერალს ნაწარმოების დასაწყისში, თით-

ქოს სხვათა შორის მესამე პირში აქვს ნათქვამი, რომ ამ ქალს ვილაცხა უყვარდა, მაგრამ ეს წინადადება ჩვენ მსახიობს ტექსტში „ჩაგვუდეთ“.

— ... **თქვენ ნიუანსების ოსტატი ხართ...**

— იცით რა, ბევრჯერ დაუდგამთ „ბიძის სიზმარი“, მაგრამ ის სცენა, ზინა შეყვარებულთან რომ მიდის და ის ბიჭი კვდება, ერთხელაც არ უთამაშოთ. არადა, ამ სცენას თუ გამოტოვებ, მაშინ როგორ უნდა „გახვიდე“ ფინალზე, როგორ შეიძლება ამის გამოტოვება?

არ ვიცი, სხვა რას ფიქრობს, იქნებ ბევრი არ დამეთანხმოს, გაუკვირდეს კიდევ, მაგრამ ერთი რამ ვიცი დაბეჯითებით — დოსტოევსკის „ბიძის სიზმარი“ მთლიანად სიყვარულზეა!..

არ მახსოვს, გიამბოთ თუ არა მაისურადის ამბავი... ჩანერილიც მქონდა სადღაც, მაგრამ ვერ ვიხსენებ, სად არის ახლა ეს ჩანანერი.

— **არა, არ გიამბოვიათ...**

— ძალიან საინტერესო რამ მოხდა: ამ 20 წლის წინათ გერმანიაში, ახლა ზუსტად ვერ ვიხსენებ, ფრანკფურტსა თუ დიუსელდორფში, „ბდტ“-თან ერთად გასტროლებზე ვიყავი. ჩემი სპექტაკლი — შილერის „ვერაგობასა და სიყვარულს“ ვთამაშობდით. სპექტაკლი რომ დავამთავრეთ, ადგილობრივმა თეატრმა პატარა ვახშაში გაგვიმართა. მსახიობებთან ერთად მაგიდასთან ვიჯექი და ვხედავ, ვილაც გერმანელი სიმპათიური, ასაკოვანი ქალბატონი თარჯიმანთან ერთად მოუახლოვდა მაგიდას, ჩემს პირდაპირ დაჯდა და მეკითხება: ქართველი რეჟისორი ხართ? — კი ქართველი ვარ-მეთქი! — მივუვტი.

ჰოდა, თუ ქართველი ხართო, — მითხრა ამ გერმანელმა ქალბატონმა, — მეო, ბავშვობაში, 1941 წლის ომამდე, სოხუმში ვცხოვრობდით. მამაჩემი მუსიკალური სკოლის დირექტორი იყო... და ასე მეექვსე თუ მეშვიდე კლასში ვიქნებოდი, ჩემზე ცოტათი უფროსი, ასე, მერვე-მეცხრე კლასელი ბიჭი შემეყვარდა შორიდანო, მგონი იმასაც მოვწონდიო, ისე კი ერთმანეთს არც ვიცნობდით ხეირიანადო.

მერე დაიწყო ომი და... ერთ დღესაც მამა დაბრუნდა შინ და გვითხრა: გერმანელებს შუა აზიაში გვასახლებენ, უნდა მოვემზადოთ, ორ დღეში ეტაპით გადავიყვანეთ! დავინყეთ მზადება, ის დღე იყო და ის დღე, არცერთი ნაცნობი აღარ მოგვკარებია, აღარც სკოლაში წავსულვარ. დილაადრიანად გაგიყვანეს სადგურზე, ცარიელ ბაქანზე, მხოლოდ შეიარაღებული ჯარისკაცები დაგვხდნენ. მერე საბარგო ვაგონში შეგვყარეს, მე მოვახერხე და ფანჯარასთან ავძვერი... უცებ რას ვხედავ: ის ბიჭი, შორიდან რომ ვეტრფოდი, ჩვენკენ მოდის... არადა, ჯარისკაცები არავის გვაკარებენ. ამ დროს, ბიჭი ერთ-ერთ ჯარისკაცთან მიდის, რაღაცას ეუბნება და ჯარისკაცი ბიჭს აქეთ უშვებს!..

— **ეს ხომ მთელი ნოველაა, ბატონო თემურ!**

— ჰოდა, გითხრათ, რა თქვა ამ ქალმა: მისულა ეს ბიჭი ამ ვაგონთან, სადაც გოგონა იჯდა. მგონი უსაუბრიათ კიდევ და, როცა მატარებელი თვალს მოფარებია, მერე დაუტოვებია ბაქანი ბიჭს...

ახლაც მიკვირს, როგორ გაბედა იქ მოსვლა, ან რა უთხრა ამისთანა ჯარისკაცებს, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, არავინ გამოეშვათ, ეს პატარა ბიჭი როგორ გამოატარესო?! — მითხრა გერმანელმა ქალბატონმა და დასძინა: ეს იყო ჩემს ცხოვრებაში ერთადერთი მამაკაცი, ვინც ჩემი გულსთვის თავი გასწირაო!

— **გვარი ახსოვდა?**

— კი, მაისურაძე ყოფილა... ჰოდა, ჩამოვედი თუ არა, რამდენიმე გაზეთში გამოვაქვეყნე ამის შესახებ, მერე ტელევიზიით გამოვედი, რადიოშიც მოვეყვი ამ შეხვედრის ამბავი, მაგრამ, სამწუხაროდ, არავინ გამომხმაურებია...

— **მაისურაძე, სოხუმიდან!**

— ასეთია ცხოვრება!.. სხვათა შორის, „ბიძის სიზმარს“ რომ ვდგამდი, სამუშაო ეგზემპლარის ერთ-ერთ გვერდზე მიმინერია: მაისურაძე! ახლა, ეს რომ ვინმემ ნახოს, ვერაფერს მიხვდება. შეიძლება იფიქროს, მაისურაძე სადადგმო ნაწილის გამგეა, ან ვინმე ტექნიკური პერსონალიო...

— **არადა, სინამდვილეში სპექტაკლის გასაღებია! ერთხელ მითხრით, ჩემს სარეჟისორო ჩანაწერებს სხვამ რომ ჩახედოს ვერაფერს მიხვდებაო... აი, თურმე რას გულისხმობდით.**

— ჰო, ასეა.

მართალია, სპექტაკლში ბევრი რამაა მნიშვნელოვანი — ფორმაც, მუსიკაც, მხატვრობაც, მაგრამ მთავარი მინიც, ჩემი აზრით, ცხოვრებაა!

— **და სწორედ ამიტომაც თქვენი სპექტაკლები ასეთი დასამახსოვრებელი...**

— მაგრამ ეს ბედნიერი დამთხვევაა. ასეთი თანხვედრა უმეტესად არ ხდება. მაყურებელს სპექტაკლი იმ შემთხვევაში ახსოვს, თუ მანაც განიცადა იმ ემოციის მსგავსი რამ, რაც სცენაზე მოხდა... და კიდევ იცით რაა მთავარი?

— ?..

— ის, რომ... ამ ზამთარს — 2012 წლის იანვარში — ჩემი სიბერის შემეყურემ გოეთესთან ამოვიკითხე...

— ?

— გოეთე წერს — მწერლის ცხოვრება შედგება ოთხი ეტაპისგანო:

პირველ ეტაპზე მწერალი მარტივად და ცუდად წერსო. მეორეზე — რთულად და ცუდადო. მესამეზე — რთულად და კარგადო, ხოლო მეოთხე ეტაპზე — მარტივად და კარგადო!

ღვთის წინაშე, ეს არ ვიცოდი, მაგრამ ყოველთვის მეოთხე ეტაპს შევნატროდი.

ოლონდაც ზოგჯერ მარტივად და ცუდად ვდგამ...

— **დიდი მწერალი შეიძლება დადგა მარტივად და კარგად...**

— განა პრიმიტიულზეა ლაპარაკი, არამედ — სისადავეზე.

— **იქნებ დღეს კლასიკას მაინც სხვანაირად უნდა ნაკითხვა?**

— ამ მხრივ ჩამორჩენილი ვარ!..

მე ყოველთვის მაინტერესებს, რა უნდა ავტორს, რა არის მისთვის მთავარი...

— **გასაგებია!**

— რა არის გასაგები, ახლა ამ საუბრიდან ვითომ რაიმე გამოვა?

— **რას ამბობთ, ისეთი რეჟისორული საიდუმლოებანი გამომხილეთ, რომ...**

— მაინცდამაინც ბევრი არაფერი... აბა, რაზე ვისაუბრეთ დღეს?

— **იმაზე, რაც ყველაზე მთავარია ცხოვრებაში — სიყვარულზე!**

— ჰო, ეგ კი... ეგ მართალია!

ეკა ბუჯიაშვილი

# მათ ჯადოსნური ქუდი ახურავთ

□

## შეხვედრა ქაჯა კალანდიანთან

ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში ეს მართლაც გამორჩეული ოჯახია, სადაც სამივე ძმა ნამდვილ ლიტერატურას ქმნის.

ისინი მიეკუთვნებიან მწერალთა იმ ჯგუფს, დღევანდელ ლიტერატურულ პროცესს რომ განსაზღვრავენ.

მწერალი ბევრია, რჩეული — ცოტა. ამ რჩეულთა შორის სამივე ძმა ერთად, — ასე გახსნის საღამოს **როსტომ ჩხეიძე** ჟურნალ „ჩვენი მწერლობის“ სალონში, რომელმაც **გენო, რენე და ზაურ კალანდიანებს** უმასპინძლა და დასძინა:

— ძმები არიან სისხლისმიერად, ლიტერატურულად კი უფრო დაშორებული ადამიანები ძნელად წარმოსადგენია.

სრულიად სხვადასხვა სტილისტიკა, ხილვები, მისწრაფებანი...

გენო კალანდია უფრო კლასიკურ ხაზს მიჰყვება და თანამედროვეობას უმტკიცებს, რომ სასაცილოა, აბსურდულიც კი, კლასიკური ტრადიციის რაიმე მოძველებაზე საუბარი — მსჯელობა იმაზე, თითქოს ჩამოსხმულ სტრიქონს ყავლი გაუვიდა, თუ არ დაშალე, დაანაწევრე, არივ-დარივ. ბატონი რენე საპირისპიროს ამტკიცებს:

თავისი პოეზიით ირწმუნება, რომ აუცილებელი სულაც არ არის კლასიკურად ნაჭედი სტრიქონები, პირიქით, საჭიროა ამ ჩარჩოში ავანგარდისტული სული შემოიჭრას, ოღონდ ეს პოეტისთვის თვითმიზანი არ უნდა იყოს.

ზაურ კალანდიამ კი, თავისი ძმებისგან განსხვავებით, პროზის გზა აირჩია.

ისი რომანები, მოთხრობები, ნოველები სისხლბორცვი ული ნაწილია თანამედროვე ქართული ლიტერატურული ცხოვრებისა და ერთ-ერთი სანდო წყაროც, როგორც ჩვენი ისტორიის ბოლო 30-40-წლიანი მონაკვეთის აღსადგენად, ასევე დღევანდელი ადამიანის ყოფისა და ბედისწერის წარმოსაჩენად.

და რაკი სამივე ძმა თავისი შემოქმედებით წარდგა „ჩვენი მწერლობის“ სალონში, ეს შეხვედრა გამორჩეული აღმოჩნდა თავისი ემოციურობითაც და საინტერესო ნიაღვრელებითაც.

\*\*\*

ახლა რომ ვინმე ახლაგაზრდა კაცი ქუჩაში გააჩერო და ჰკითხო: საიდან მოდიხარო? გიპასუხებს: ვაკედანო, ან გლდანდინო, ან კიდე რომელიმე სხვა უბანს დაგისახელებთ.

აი, საიდანაც მოდიხარ, ეს თუ არ იცი, არც მწერალი ხარ და საერთოდ არავინ ხარ, — ასე დაიწყებს თავის გამოსვლას **ჯანსუღ ჩარკვიანი**, სამი დროის — წარსულის, აწმყოსა და მომავლის ფასს კიდევ ერთხელ რომ შეგვახსენებს, მწერლობის მნიშვნელობასაც ამ სიღრმიდან ამოზიდავს, ამა თუ იმ კუთხის შვილობის არსს ერის შვილობამდე განაზოგადებს და დასძინს:

— ეს ძმები ის ადამიანები არიან, რომლებსაც ახსოვთ საიდან მოდიან, იციან ვინ არიან და ვისი გორისანი არიან, ამიტომაცაა მათი შემოქმედება ასეთი ფასეული.

როსტომ ჩხეიძეს კი ბატონი ჯანსუღის გამოსვლა ამ ამბავსაც გაახსენებს:

გიორგი ლეონიძე ჩასულა გურიამში.

დახვედრიან გურულები, როგორც ასეთი რანგის შემოქმედს შეეფერებოდა, ისე.

— რა კარგები ხართ ეს გურულებიო, — აღტაცებას ვერ მალავდა სტუმარი, — რა დიდებული ხალხი ხართ და როგორ მწყდება გული დიდი პოეტი რომ არ გყავთო.

— როგორ, აბა თქვენ საიდან ბრძანდებით, განა თქვენც გურული არ ხართ? — უკითხავს თურმე ერთ-ერთ თანამოსუფრეს.

მოგვიანებით გიორგი ლეონიძე ამ ამბავს რომ მოიგონებს, იტყვის:

— მაშინ მივხვდი, რომ ძალიან დიდი შეცდომა დავუშვი და ასეთი რამ აღარასოდეს მომსვლიაო.

ჩვენ ყველანი საიდანაც მოვდივართ.

იმ ფესვიდან, რომელსაც მოგვიანებით „ბატარა სამშობლოს“ უწოდებს ლია სტურუა. რეზო ამაშუკელისთვის კი ეს ყველაფერი სოხუმს უკავშირდება.

— თუ ბაბუას ვინმეს შექება უნდოდა, ლამაზ, ზრდილ, ჭეშმარიტ ქართველად თუ მიიჩნევდა, ასე იტყოდა ხოლმე: ნამდვილი აფხაზიაო.

მიხარია, რომ ამ ფორმულას, ამ რეგისტრს არ კარგავთ ძმები კალანდიები. პირადად მე უთქვენოდ — განსაკუთრებით გენო კალანდიას კრებულის გარეშე — თანამედროვე ქართული ლიტერატურა ვერ წარმოიმდგენია.

და ეს სიყვარული — მკითხველის სიყვარული — გერჩიოთ ნებისმიერ ჯილდოსა და პრემიას.

სწორედ ამ სიყვარულს დაუდვასტურებთ **თენგიზ სვანიძეც**, სხვადასხვა ეპიზოდს რომ გაიხსენებს მათთან ურთიერთობისა და აღნიშნავს, რომ ძმები კალანდიები ის ადამიანები არიან, რომლებსაც უნდა გჯეროდეთ.

— წესით პოეტს ყველაფერი უნდა დაუჯერო, დაუჯერებელიც კი, თუ, რა თქმა უნდა, ნამდვილი პოეტია, ჭეშმარიტად ღმერთთან მოსაუბრე შემოქმედი, — ამას **ვახტანგ ბახტაძე** იტყვის, — მაგრამ რენეს ამ ნათქვამისა არა და არ მჯერა: „როცა პოეტი ვერ წერს, მაშინ პოეტი სვამს“.

რენეს იმდენი ლექსები აქვს დაწერილი, ის ისეთი ნაყოფიერი შემოქმედი, რომ ღვინის დასალევად ალბათ ვერასოდეს იცლიდაო.

ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით.

სერიოზულად კი ძმები კალანდიების შემოქმედებაზე ისაუბრებს და ცალ-ცალკე რომ მიმოიხილავს თითოეულის თვითმყოფად სტილს, აღნიშნავს:

— სამივე ძმა თავისი გზით მიდის, მაგრამ, ცხადია, მათ ნაწარმოებებში ნათლად ჩანს ის შინაგანი კავშირიც, რასაც თუნდაც მათი ძმობა განსაზღვრავს.



ძმები კალანდიები — გენო, რენე და ზაური

სამივე ძმა ჩვენს სამშობლოში დატრიალებულ მოვლენათა ქაოსიდან, სიტყვათა ქაოსიდან, ფიქრების ქაოსიდან — და თუნდაც პოლიტიკური ქაოსიდან — მართლაც მშვენიერ ნაწარმოებთა გამოკრისტალების დიდოსტატია.

დღეს, ასეთ გლობალისტურ ეპოქაში, ჭეშმარიტი ქართული სიტყვა განსაკუთრებულ დაცვასა და მოვლას საჭიროებს... თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქართული მწერლობის ცაზე მათ მართლაც ღირსეული ადგილი აქვთ მოპოვებული.

და კიდევ:

— როცა პოეტი ვერ წერს, მაშინ პოეტი სვამსო, — რომ ამბობ, არ მჯერა ეს სიტყვები, ჩემო რენე, არ მჯერა და... მოდი, დავლიოთ!

\* \* \*

მათ ძალიან დიდი განსაცდელი გამოიარეს.

რაც უნდა შეეთვისო თბილისს, როგორც უნდა გიყვარდეს იგი, ეს ისეთი ტრაგედიაა...

— ხე რომ დგას ჩემი ფანჯრის წინ, ის რომ წამართვან, ძალიან დიდი უბედურება იქნება ჩემთვის, ამათ კი ყველაფერი წაართვეს — მინაც, სახლიც, ხეც... პატარა სამშობლო წაართვეს, საიდანაც იწყება ადამიანი. იქ შენ სუნით გცნობს შენი ძალღი, გცნობს შენი ქუჩა... და იმ ხესაც უყვარხარ, ქარიან ტოტებს რომ იშვერს შენკენ... — ასე პოეტურად გახსნის სამშობლოში დევნილობის ტრაგედიას **ლია სტურუა**, ვისი გამოსვლებიც სწორედ ამ მუხტით გამოირჩევა ხოლმე.

პოეზია კი პირველ რიგში მეტაფორებით აზროვნება და ქალბატონ ლიას გამორჩეულად უყვარს გენო კალანდიას მეტაფორები, მისი ფერწერული ლირიკა. უყვარს რენე კალანდიას თუნდაც ის სტრიქონი, როცა არ ვწერ მაშინ ვსვამო, — რომ ამბობს.

როცა თვითონ ვერ წერს, შეიძლება არ დალიოს, მაგრამ აუცილებლად რაღაც სევდიანსა და დარდიანს გააკეთებს, რადგან ყველა მწერალს შეიძლება დაეუფლოს ასეთი შიში — სუფთა ფურცელთან მისვლის შიში, როცა არ იცი, შეძ-

ლებ თუ არა რამე დაწერო, მაგრამ... იმასაც ფიქრობს, რომ ასეთი დარდი და სევდა, რაც ამ ადამიანებმა გადაიტანეს, რამაც ასე შეძრა მათი სული და გული, ძალიან კარგ ლექსებსა და მოთხრობებს აწერიან. ეს ის ტრაგედიაა, რომელსაც სულიერი კათარზისი მოჰყვება ხოლმე.

— ჯიბეში შვიდი ეშმაკი მიზისო... წერს ბატონი რენე.

არადა, ხომ ამბობენ, რომ პოეტი ღმერთთან ლაპარაკობს და უფალიც ზეციდან უგდებს სიტყვებს, მაგრამ...

არ არის ეს ასეთი იოლი.

ეს ყველაფერი ბრძოლაა, როგორც ღმერთისა და ეშმაკის, კეთილისა და ბოროტის, სილამაზისა და სიმახინჯის დაუსრულებელი ჭიდილი... და ვერც უფალს, ვერც სიკეთეს, ვერც მშვენიერებას ვერ აღიქვამ, თუ ფონად საპირისპიროც არ არსებობს.

ქალბატონი ლიას თქმით, პოეტის ცხოვრებაც დაუსრულებელი ბრძოლაა სიტყვის მოსათვინიერებლად. ხომ გგონიათ, რომ პოეტს სიტყვა თავისით მოჰყვება, მაგრამ ასეც არ არის — ხანდახან ეს სიტყვა ყალბეც უგდება, არ გემორჩილება, რადგან სიტყვები გვერდიგვერდ შეიძლება ურთიერთმოყვარულნიც იყვნენ და ვერც იგუონ ერთმანეთი. პოეზიაც სწორედ მათი ძიებაა...

— იცვლება დრო, ფორმაციები, შეხედულებები... სამყარო იცვლება, მაგრამ პოეზია უპაუზოდ მოჰყვება ამ ყველაფერს.

ჩვენ უნდა დავუჯეროთ გალაკტიონს, როცა ის ამბობს: „რუსთაველი მახსოვს ბავშვი“. ასეა, ახსოვს, რადგან იმ რუსთაველსაც, დროისა და სივრცის აცდენის მიუხედავად, უკვე უყვარდა ვაჟა-ფშაველა, ვაჟა კი თავისი ციდან ხედავდა და იცნობდა გალაკტიონს...

ყველაზე დიდი ქათინაური იცით რა არის პოეტისთვის? ერთხელ გალაკტიონს მივმართე ასეთი სტრიქონით:

— ცოტა მაინც შემეყვარე შენი ციდან-მეთქი.

თქვენ, ძმებო კალანდიებო, ისეთი მწერლები ხართ, გალაკტიონს, ვაჟა-ფშაველას, გიორგი ლეონიძეს, ტიცინანს, პაოლოს... რომ უყვარხართ.

და ეს სიყვარული ისეთი რამაა, აუცილებლად რომ გრძნობს მკითხველი.

მკითხველი კი არა მარტო მათ ნიჭიერებას, პიროვნულ ღირსებებსაც ხედავს, და რაკი ასეთი ჰარმონია იშვიათი დამთხვევაა ხოლმე, კიდევ უფრო მეტად ფასობს ძმები კალანდიების არსებობა ქართულ საზოგადოებრივ-კულტურულ სივრცეში. ამიტომაც თავის აზრს რომ გაგვიზიარებს **იოსებ ჭუმბურიძე** — შეკრებაზე თქმა ვერ მოვასწარიო — სწორედ ამ საკითხზე გაამახვილებს ყურადღებას:

ამას წინათ ზურაბ ნიჟარაძის სახელოსნოში ვნახე გენო კალანდიას ახალი „რჩეული“, რომელსაც მუხრან მაჭავარიანის წინასიტყვაობა ახლავს.

იმის საჩვენებლად, თუ როგორი პოეტია გენო კალანდია, მუხრანს მისი ორი სტრიქონი მოჰყავს:

**და ძველისძველი პატარა კიბე  
ორივე ხელით ეკიდა ოდას...**

იმის საჩვენებლად, თუ როგორი კაცია გენო კალანდია, მუხრანი ამბობს, როცა მავანმა ცილი დამწამა, ძმები კალანდიები გამომესარჩლენ. მაშინ მათ ჩემი კი არა, პოეტის ღირსება დაიცვესო.

და მე გამახსენდა ერთი კარგი პოეტის ავი ხუმრობა ძმები ჭილაძეების შესახებ.

და გამიჩნდა კითხვა: რა უფრო ძვირად ფასობს — კაცობა თუ პოეზია, ლექსი თუ ღირსება, მითუმეტეს დღეს და მითუმეტეს საქართველოში?

და მივხვდი, რატომ მიხაროდა და მიხარია ძმები ჭილაძეების არსებობა.

ძმები კალანდიების არსებობა...

\* \* \*

— აი ისინი:

ჩემი ბობოქარი, ხმაურიანი გენო;

იღუმალი რენე;

და რალაცნაირად ღირიკული ზაური, — ასე დაგვიხასიათებს მათ **გოგი ქავთარაძე**, საგანგებოდ ამონერილ ლექსებს რომ ნაგვიკითხავს: ასე მგონია, ეს სტრიქონები მე, დიმა ჯაიანს და მის მეგობარ მსახიობებს გვეძღვნებაო:

**მე ჯადოსნური ქუდი მახურავს  
თქვენ ოქროსფერი გიხდებათ ზილფი,  
მე, როგორც მეფის ტაკიმასხარას,  
ჯიბეში შვიდი ეშმაკი მიზის.**

**მე ცაში ვისვრი სამეფო ნილაბს  
და ბედნიერი ხარხარებს მრევლი,  
თქვენ ერთი პეშვი სიცილი მიგაქვთ,  
მე კიდევ — ერთი კალათა ცრემლი.**

და მერე ასეთ ხილვასაც გაგვიზიარებს:

— ნარმომიდგენია, როგორ ზის რიგის ყავახანაში რენე. როგორ სვამს პატარა ჭიქით არაყს... ხან თვლემს...

და მე მახსენდება, რომ ის ასეთი უნდა იყოს —

თეატრალურიც და, ამავე დროს, მინაზე მდგომიც. სხვაგვარად ვერ დაწერს ამ სტრიქონებს:

**კოლხიდური მირონით  
აიეტის ნათლულო,**

**ჩემო სისხლო ცისფერო,  
ჩემო წმინდა ქართულო!**

**მინავ, მარად ფხვიერო,  
მინავ, დასადაფნავო,  
მინავ, სამი პოეტის  
მომავალო საფლავო!**

მინაზე მდგომიც და არწივის სიმალღეზეც — ორივე რენე კალანდიაა. ამიტომაცაა მისი პოეზია ასეთი გამორჩეული.

თვითონ ბატონი რენე კი საკუთარი პოეზიის გამორჩეულობასთან მიმართებით ასეთ კურიოზსაც გაიხსენებს:

ერთხელ მისთვის უთქვამთ:

— თქვენი ახალი კრებული ვიყიდე და ამ ლექსებს ვერაფერი გავუგე, ნამეტანი თეთრიაო.

— რატომ, ბატონო ჩემო?! — უკითხავს პოეტს.

— ვფურცლე, ვფურცლე და... შიგ არაფერი წერიო.

თურმე წუნიანი ეგზემპლარი შეუძენია.

რენე კალანდიას ბალტიისპირული ცხოვრების თემას კი **დიმიტრი ჯაიანიც** შეეხება და იმ ლექსს გაიხსენებს, ზეპირად რომ არ ახსოვს, შინაარსს კი ასე მოიგონებს:

— მომენტრე საქართველოო... დიდი ხანია აქ ვარ და შენ გამო სულ ვილაცხას დავეძებ, ხან ბაზარში მივდივარ, ვინმეს რომ გამოველაპარაკო, ხან ქუჩაში დავხეტიალობ...

მომენტრე საქართველოო... და ასე ამთავრებს:

შენს ცაზე რა გითხრა, როცა ის გალაკტიონმა ქუდად დაიხურაო, — ამბობს ბატონი დიმიტრი იმავე ექსპრესიითა და ემოციით, თითქოს ახლა აღმოეჩინოს, თითქოს პირველად განეცადოს ამ მეტაფორის უჩვეულობის სიხარული. და მერე ისევე:

— რენე კალანდია სოხუმის კოლორიტი კაცია, იმ ქალაქის ნაწილი.

ზაურ კალანდია დიდ საქმეს ემსახურებოდა — „ცისკარს“ ხელმძღვანელობდა და მის ღვანლზე საუბარი ცალკე თემაა.

რაც შეეხება გენო კალანდიას...

— აქ ისეთი რანგის პოეტები და ლიტერატურათმცოდნეები სხედან, პოეტურ კრებულზე მე როგორ ვისაუბრო, იმას კი გაგიმხელთ, რომ როცა ვკითხულობდი, მეც რეზო ამაშუკელივით ცრემლი მომადგა თვალზე, სულ სხვანაირი გენო კალანდია დავინახე ამ წიგნში.

მეც იმ კუთხის შვილი ვარ და გული მწყდება, რომ აფხაზეთში არ იციან, როგორი პოეტები ჰყავს საქართველოს ამ ტკივილიან ნაწილს, მაგრამ...

საბედნიეროდ...

საბედნიეროდ, დანარჩენმა საქართველომ იცის მათი ფასი.

მოგვიანებით, შეკრების დასასრულს, სწორედ ამ თემას შეეხმინება **ოთარ ჟორდანია**:

— ძმები კალანდიები ქმნიან ქართული ლიტერატურის აფხაზურ ნაკადს, იმ დინებას, ასე რომ ამდიდრებს ქართულ ლიტერატურას იმ ნიუანსებით, რომლებიც სხვა დანარჩენ კუთხეებს შესაძლოა არ ჰქონდეთ. ამიტომ ვფიქრობ, რომ ჩვენ დღეს თითქოს ვაჯამებთ გზას, დიდი ტრაგედიის შემდეგ რომ გავიარეთ; ვამაყობთ იმით, რომ გვყავს მწერლები, რომელთა შემოქმედებასაც აფხაზეთში

დაბრუნების შემდეგ — როცა იქ კვლავ აღდგება ქართული ლიტერატურული პროცესები — იმ კუთხეში განვიხილავთ.

ბატონი ოთარი იმასაც გვიამბობს, რომ სწორად ყიდულობს ხოლმე ბუკინისტურ მაღაზიებში წიგნებს ავტოგრაფითა თუ მიძღვნით. ერთხელაც ისე, რომ ავტორის სახელისთვის არც დაუხედავს, გადაუშლია წიგნი და კითხულობს ლექსს „ფორთოხლის ქალები“ (რომელიც გენო კალანდია მხატვარ გოგი წერეთელს მიუძღვნა):

**ჰეი, თქვენ, მხატვრებო, უტახტო მთავრებო,  
დახატეთ ქალები,  
ლამაზი ქალები,  
მაღალი ფეხებით, —  
ვით თეთრი გედები,  
ვით თეთრი გედები,  
ჰეი, თქვენ, მხატვრებო...**

თითქოს პოეტი ბოლომდე ვერ ამბობს თავის სათქმელს... და იქვე ვხედავ მკითხველის მინანქრს:

**„ჰეი, მხატვარო, ნამდვილო თავადო, ზოგჯერ უფულო, გრძნობით მდიდარო, პოეტის იღუმალ სურვილს გაუგე, დახატე ქალები, ლამაზი ქალები, მაღალი ფეხებით, გედვით თეთრები! დახატე ქალები! ლამაზი ქალები, და თან ტილოზე გადაიტანე პოეტის თრთოლვა და მისი ვნებები“.**

ესეც იმის დასტურად, როგორ ემოციებს აღძრავს ხოლმე გენო კალანდიას შემოქმედება მკითხველში.

და პოეზიის დანიშნულებაც სხვა რა არის, თუ არა ის, რომ საკუთარი განცდების თანამოზიარედ გაქციოთ პოეტმა.

\*\*\*

ამას წინათ შემთხვევით ჩაუვარდა ხელში 70-იან წლებში ქართულად ნათარგმნი, შემდგომში უკვე ცნობილი ავტორის ალან ბოსკეს პატარა წერილი „პოეტის ხვედრი საფრანგეთში“.

მაშინ ახალგაზრდა თემურ ქორიძეს ეგონა, რომ ეს იყო იდეოლოგიური თავდასხმა ფრანგულ კულტურაზე, მაგრამ ახლა რომ გადახედა ამ წერილს, საოცარი მსგავსება დაინახა დღევანდელ ქართველ მწერალსა და 70-იანი წლების ფრანგ პოეტს შორის.

— ეს ავტორი მაშინ ლამის მოთქმით გოდებდა, რომ საფრანგეთში პოეტს კლავენ — უწინარესად გამომცემლობები და მკითხველები.

კლავს ყველა, ვისაც არ ეზარება ხელის აღმართვა პოეტზე.

წლები გავიდა მას შემდეგ.

უკვე ჩვენშიც იწერება წიგნები ამის თაობაზე, სატელევიზიო გადაცემები ეძღვნება პრობლემას, რომ „ქართველი პოეტი კვარცხლბეკიდან ჩამოაბრძანეს, მას გამოგლიჯეს, წართვეს ცრუ როლი ერის წინამძღოლობისა“... და უზარიათ, კმაყოფილნი წერენ ამას, მაგრამ...

არავინ საუბრობს იმაზე, ვინ უნდა ითავოს ეს როლი.

ვინ იქნება წინამძღოლი!

ეყვლება თუ არა ერს კულტურული ელიტა, რომლის გარეშეც ერი არ არის ერი, საზოგადოება არ არის საზოგადოება, სახელმწიფო არ არის სახელმწიფო... და არც კაცობრიობაა კაცობრიობა.

ბოლოდროინდელ სოციოლოგიურ გამოკვლევებში ნაწილობრივ ტერმინს, რომელმაც შემზარა: „უკვე იკვეთება

კონტურები პოსტკულტურული ადამიანისა“, ანუ კულტურის შემდგომი ადამიანისა, რომლის ფორმირებაშიც არავითარ — ან თითქმის არავითარ — როლს არ ასრულებს კულტურა.

თანაც ეს გამოკვლევები არ არის მაინცდამაინც ახალი ათასწლეულისა — გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან დაიწყო. აქ ჩანს შემზარავი სურათი, დაახლოებით ისეთივე აპოკალიფსური, როგორც ნიცმეს ჰქონდა დახატული ზეკაცის შესახებ.

წარმოდგინეთ ადამიანი, რომლის სულიერ-ფსიქოლოგიურ ფორმირებაში არავითარ როლს არ ასრულებს კულტურა!

წარმოდგინეთ ქართველი, რომლის ქართველობაშიც „ვეფხისტყაოსანი“ არ თრთის, საერთოდ, ქართული სიტყვა არ თრთის!

ეს არის ურჩხული, უფრო უარესი, ვიდრე ფრანკენშტეინის მუშია.

და სკეპტიციზმით მოცულს რაღაცნაირ სულიერ სიმტკიცეს გმატებს ის, რომ ასეთი მძიმე განცდების დროსაც შეგიძლია თავი დაიშვილო ყველაზე განათლებული კაცობრიობის აზრით — დიდი განმანათლებელი შენიშნავდა, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომად გახდომა არაა ჭეშმარიტების გზა. ერის ერთი პროცენტი ინტელექტუალური ელიტაა და ბედნიერია ერი, თუ ეს ერთი პროცენტი ჰყავს.

წარმოდგინეთ, ჩვენი მცირერიცხოვანი ერისათვის რამხელაა ის ინტელექტუალურ-კულტურული ელიტა, რომელიც შევექმენით.

ჩვენ დღეს არ გვყავს პოლიტიკური ელიტა — ამას წინათ მოვისმინე: პოლიტიკაში ძალიან გაფუჭებული ადამიანები მიდიანო — მაგრამ გვყავს ინტელექტუალური ელიტა, თუნდაც ეს დარბაზი კმარა ამის დასტურად... და ეს სამი ძმა, რომლებსაც არასოდეს უღალატიათ სიტყვისთვის.

ბოლოს და ბოლოს, რა სჭირდება პოეტს? რუსთაველს რომ დავუცხებოთ, ენა, გული და ხელოვნება, ოღონდ ეს გული იმით განსხვავდება ჩვეულებრივ მოკვდავთა გულებისგან, რომ სიბრძნითაა სავსე.

ეს სიბრძნე არ მოიცავს იმ ჭკუას, რომლითაც შეიძლება ფულიც იშოვნო, სახელიც, დიდებაც... არა, ეს ის სიბრძნეა, საღვთო სიყვარულს რომ იტევს; ეს სიბრძნე ამქვეყნად დასახარჯავი საუფჯე არ არის, სამეფო ხილია, რომელიც, სხვათა შორის, მცირედი მიირთმევა ხოლმე.

ასეთი დარბაზები მრავალრიცხოვანი არასოდეს იქნება — არც საქართველოში — და არც უნდა იყოს...

და თუკი სიამაყე რამეს ნიშნავს, დაე ვიამაყოთ იმით, რომ სამეფო ხილი ყველასთვის ხელმისაწვდომად არ არის ლანგარზე დადებული.

\*\*\*

— თუ ადრე იყო დიდი „ცისკარი“, დიდი „ლიტერატურული საქართველო“ და სიმონ ჩიქოვანის „მნათობი“, დღესდღეობით ერთადერთი ლიტერატურული ჟურნალი, რომელიც ამოდენა ტვირთს ეზიდება და ასე თვალნათლივ ასახავს თანამედროვე ლიტერატურულ პროცესებს, „ჩვენი მწერლობა“ და მე, როგორც ერთ-ერთი რიგითი პოეტი, მაძლობელი ვარ, რომ მაქვს საშუალება ორ კვირაში ერთხელ გავეცნო ამ ყველაფერს.

წურც იმას ჩამომართმევთ ტენდენციურობად, განსა-

კუთრებულად რომ მახარებს აფხაზური სკოლის კრიტიკოსთა — ნინო ვახანიას, სალომე კაპანაძის, მარინე ტურავას, ნანა კუციას — აქტიური მოღვაწეობა ამ ჟურნალში. სწორედ ეს არის ქართულ მწერლობაზე ზრუნვა და ამ ზრუნვის გამოხატულებაა ჩვენი აქ ყოფნაც დღეს.

მე, რენე და ზაური დევნილი ხალხი ვართ, დევნილი მწერლები და ყოველი მოფერება, ერთი თბილი სიტყვაც ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის, — ასე გამოხატავს თავის მადლიერებას — ძმების სახელითაც — ბატონი გენო და კიდევ ერთი საინტერესო საღამო შეემატება „ჩვენი მწერლობის“ სალონურ შეკრებებს, ოღონდ მანამდე **მაკა ჯოხაძემ** უნდა შეგვძრას თავისი ემოციური გამოსვლით, ხელოვნების უცნაურობისა და სიღრმის არსი ადამიანური ტრაგიზმის ფონზე რომ უნდა გახსნას და სულ სხვა სიმაღლიდან დაგვანახოს ამ ყველაფრის, მათ შორის ასეთი შეკრებების მნიშვნელობაც:

„რენე კალანდია ესმა ონიანის „ასი ლექსისათვის“ ბრწყინვალედ დაწერილ წინასიტყვაობაში ამ დიდებული პოეტის სიტყვებს მოიხმობს: „პოეტებო, ჩვენ ერთმანეთით ვმადგრობთ“.

მწერლობა ორმხრივი სიყვარულია და ეს აუდიტორია სწორედ ასეთი მკითხველებითაა სავსე, ამ სიყვარულს განახორციელებს. რაც შეეხება ძმებს — კალანდიებს, რალაცნაირი არქაული, ბიბლიური იერი დაჰკრავს კალანდიების დიდ ოჯახს. პირველი საზოგადოება ხომ ოჯახის სახით აკურთხა უფალმა და ამ კურთხევა? უღალატოდ ემსახურება კალანდიების ძმობაც. შემთხვევითი არაა, რომ თითოეულის შემოქმედება გაუფლენილია იმ ღირებულებებით, იმ ფასეულობებით, რითაც ისინი აღიზარდნენ ამ კეთილშობილ, მარადიულად სუფრამაშლილ და წიგნისმოყვარე ოჯახში.

შემდგომში თითოეულს თავისი ცხოვრებისეული გზა ჰქონდა გასავლელი და თავისი ინდივიდუალური შემოქმედება. როგორც იტყვიან, წისქვილის ბორბალი არ დატრიალებულა მათ თავზე, თორემ სხვა არანაირი განსაცდელი არ დაკლებიათ. ღირსეულად გაუძლეს და გადაიტანეს ყველაფერი. როგორც ოქრო იწრთობა ქურაში, ისე გამოიწრთო მათი თვისებები, ხასიათები, ისე გამდიდრდა და გაფართოვდა მათი შემოქმედებითი წარმოსახვის მასშტაბები.

ბოლო პერიოდში ამ განსაცდელებს მამაპაპისეულ სახლში გაჩენილი ხანძარიც ბიბლიოთეკა და მცირე სივრცე, იმ წამში უნიკალური ბიბლიოთეკა დამიდგა თვალიწინ, რითაც ძმები სამართლიანად ამაცობდნენ და რომლის არსებობამაც დიდად განსაზღვრა ბავშვობიდან მათი არჩევანი პიროვნებებად ჩამოყალიბება. შემთხვევითი არაა, რომ ამ ბიბლიოთეკამ არაერთ ლექსსა და მოთხრობაში ჰპოვა ასახვა.

გენო კალანდიას ვიცნობდი როგორც შესანიშნავ პოეტსა და როგორც ქართველების — და არამარტო ქართველების — მარადიულ მასპინძელს აფხაზეთში. მაგრამ იმ ტრაგედიამ, რომლითაც ჩვენი ისტორიის უახლესი პერიოდი გამოირჩევა და ის, რაც კერძოდ საქართველოს უძველეს და უღამაზეს კუთხეში — სამეგრელოში — დატრიალდა, გენო კალანდია დიდ პოეტად აქცია. სამწუხაროდ, ასეა — მაღალი ხელოვნება თავისი ბუნებით უმკაცრესია და მსხვერპლად ყველაფრის გაღებას, თვით სიცოცხლის გაღებასაც მოითხოვს. ის ფაქტი, რომ ამ პერიოდში შექმნილ გენო კალანდიას საოცარ პოეტურ კრებულს „რეკვიემი“ რუსთაველი პრემია არ მისცეს, არამარტო შეცდომაა, არამედ დიდი

ცოდვაც საქართველოს უძველესი კუთხეების წინაშე.

ყველაფერი წარმავალი, მარადმედინია ამ წუთისოფელში. შოთა რუსთაველიც ცხოვრების, როგორც სიზმრის გასრულებაზე გვესაუბრება. მაგრამ პოეზიით დანთებული ხანძრები კი არასოდეს ნაცრდება. გენო კალანდიას სულისშემძვრელმა ლექსმა „ანტიგონე“ კიდევ ერთხელ აღმოგვაჩენინა დიდი ხელოვნების ძალა. ერთ-ერთი ტელემოში სწორედ ამ ლექსის პერსონაჟი, ის აღნაგი, ძაძით მოსილი ქალბატონი ჰყავდათ სტუმრად, რომელიც სულისშემძვრელ ამბავს ყვებოდა — დედას მოკლული ვაჟიშვილის დათხრილი თვალები რომ გადააყლაპეს. ვუსმენდი და, ეტყობა, თავდაცვის ინსტინქტი იმდენად ამუშავდა, რომ მისი მონათხრობი ირეალურ ამბად აღვიქვი და თითქოს გულთან და ტვინთან მისასვლელი გზები გადამიკეტა. გენო კალანდიას ანტიგონე კი დღემდე და, დარწმუნებული ვარ, სამუდამოდაც მწვავე ტკივილით ჩამრჩა ხსოვნაში.

ისეთი სასიამოვნო განცდა იყო, როცა წლების წინათ პარიზში დიდებულმა ლატვიელმა პოეტმა ვიზმა ბელშევიცამ (იგი ნობელის პრემიაზე იყო წარდგენილი) მკითხა: რენე კალანდიას ნამდვილ კაცს და შესანიშნავ პოეტს თუ იცნობო. რომ ჩავფრინდით, აეროპორტში ამ დიდ ქალბატონს მთელი იქაური ემიგრაცია დახვდა. მან ისარგებლა მიწვევით და პარიზში თან ჩაიტანა შვილის საქმე. სხვათაშორის მისი ვაჟიშვილი ასევე კარგი პოეტი, რუსმა თანამესუფრეებმა შეკამათებისას იურმალის სასტუმროს მაღალი სართულიდან გადმოაგდეს. მან თურმე ქართველები დაიცვა და ვიქტორ ასტაფიევის წერილს უღირსი საქციელი უწოდა.

რენე, მართლაც, მიუხედავად თავისი სოლიდური ასაკისა, საოცრად ახალგაზრდული ბუნებისა და ხელწერის პოეტია. თავისი ინტონაციით, იუმორით, ირონიითა თუ ზოგჯერ სარკაზმითაც ვიიონს მაგონებს. უღამაზეს ესეებს წერს და მსოფლიო ლიტერატურის ნამდვილი გურმანია.

ყველაფერი მართლაც წარმავალია ქვეყანაზე. გასაგებია ზაურ კალანდიას გულისწყვეტა, რომ იგი „ცისკრიდან“ წამოვიდა, მაგრამ მისი ბიოგრაფიისათვის ნამდვილად დამამშვენებელი და მრავლისმთქმელი ფაქტია, რომ თითქმის 20 წელი იყო ამ დიდი ტრადიციების მქონე ჟურნალის რედაქტორი. ხოლო ის, თუ როგორი ფაქიზი მწერალია, არაჩვეულებრივი სიცხადით გამოჩნდა თუნდაც დღეს, როცა თავისი მინიატურები წაგვიკითხა.

დიდ პორტუგალიელ პოეტს ჟუნკეირუს ერთხელ უწამუნოსთვის უკითხავს: — თქვენ ესპანელებს, როგორც ჩანს, პოეტი არა გყავთო. რალაც არ მახსენდება არამც თუ კივილი, კნავილიც კი მათი.

— ალბათ პატრიოტიზმს გულისხმობთ, — უთქვამს შემცბარ უწამუნოს.

— რა თქმა უნდა. ნებისმიერი პროფესიის ადამიანი, ინტელექტუალი, ფილოსოფოსი, ბანკირი შეიძლება არ იყოს პატრიოტი, მაგრამ პოეტი? როგორ შეიძლება პოეტი ვერ ხედავდეს საკუთარ სამშობლოში მომხდარ ტრაგედიას, არ განიცდიდეს, არ წერდეს ამაზე. თქვენი ქვეყანა მაღე ამ სამოქალაქო ომის ქრილობებს მოიპუშებს, ეკონომიურადაც წელში გაიმართებით, მაგრამ ეს ფაქტი ფაქტად რჩება, რომ თქვენ ამ წლებში პოეტი არ გყოლიათ.

სწორედ ამ სიტყვებით დავასრულო ჩემი გამოსვლა და კიდევ ერთხელ მაღლიერებით აღვნიშნო, რომ ძმები კალანდიები ამ ურთულეს წლებშიც ნამდვილ პოეტებად

ნანა კუცია

# სევდიანი სიმღერა

(ნაირა გელაშვილის  
„სიმღერა ქალაქ სოხუმზე“)

დახვეწილი შემოქმედის, ნაირა გელაშვილის მხატვრული ტექსტები ეპოქას (ზოგადად, ყოფიერებას) აკაკისეული „მესარკეობის“ — ანუ პირუთვნელობის — ნიშნით აღბეჭდილს ირეკლავს.

მწერლის სტილს გამოარჩევს თხრობის ერთდროულად უაღრესად ფაქიზი და უაღრესადვე მკაცრი, ლაკონიური (ოლონდ — ქვეტექსტებით დატვირთული) მანერა. ტექსტზე უფრო მნიშვნელოვანი ნაირა გელაშვილთან ყოველთვის კონტექსტი და ქვეტექსტი.

მიზეზი არცთუ ძნელი ასახსნელია — მწერალი ქართული (და არამხოლოდ) ყოფის მარადიულ „წყველაკრულვიან საკითხავებზე“ წერს და „საკითხავთა“ სიმძიმეცა და ტრაგიკულობაც იმთავითვე გამორიცხავს გულგრილობას, სტილის ღვლარჭნილებასაც.

პიროვნული დრამა, კონფლიქტი ცალკეულ პიროვნებებს, საზოგადოებასა და ინდივიდუუმს თუ ერებს შორის ქცეულა მწერლის ინტერესის — „მაღალი მოშრომის“ საგნად, მრავალთაგან ერთ-ერთ „საკითხავად.“

მთავარი დასკვნა იმთავითვე უნდა კონსტატირდეს: ყოველგვარი კონფლიქტი, მწერლის სავსებით გამართლებული მრწამსით, უპირველესად სწორედ ინდივიდუუმის სულში ღვივება და მხოლოდ შემდეგ განივრცობა სხვა პიროვნებებზე, მერე — კონკრეტულ, ლოკალურ საზოგადოებაზე, და ბოლოს მეტასტაზეზად ვრცელდება გაცილებით უფრო დიდ სივრცეებზე — გარდაიქმნება ერთაშორის კონფლიქტებად, ლოკალურ თუ გლობალურ ხანძრად მოედება ადამიანეთს.

2006 წელს „კავკასიური სახლის“ მიერ გამოცემული ლექსთა კრებულის „დრო, პური და ღვინო“ ყდაზევეა ჟანროის დამაკონკრეტებელი მინანური — „დღიურის ნაწილი.“ მწერალი თითქოს საგანგებოდ ახდენს ფაქტის კონსტატირებას — რომ ლექსები არ იქნება „გარეგანი ფრინველის ტკბილხმოვანი სიმღერა“, პირიქით — სევდიანი, ნაღვლიანი, პირუთვნელი სჯა-განსჯა (დღიურში (თუ დღიურთან) ნაკლებად კეკლუცობენ).

ლექსთა კრებულში თუ დღიურში რამდენიმე ციკლია: „ლექსები“, „პოემები“, „სიმღერები.“

ჩვენთვის საინტერესო პრობლემა სწორედ უკანასკნელ რკალში — „სიმღერებში“ წარმოჩენილი განსაკუთრებუ-



ლი სიმძაფრით და ესეც იქნებ საცნაურია — ნაირა გელაშვილი, ქართული და უცხოური ლიტერატურის უზადო მცოდნე, უაღრესად ტრადიციულიცაა — თითქოს ეხმიანება ვაჟასეულ განსაზღვრებას, აღქმას „წყველაკრულვიანი საკითხავის“ დამმარხველი ლექსებისა — ყველაზე ტრაგიკულ, ყველაზე ტკივილიან ლექსებს ვაჟაც სწორედ „სიმღერებად“ ასათაურებს (ბალმონტთან: «Создать песню из звонких льдин» («Эпос о Калидасе»).

ნაირა გელაშვილისეული „სიმღერები“, ერთდროულად, სრულიად თვითმკმარი ცალკეული ნაწარმოებებიცაა და ციკლის ტრაგიკული მელოდიის აუცილებელი, გარდაუვლად საგულვებელი ნაწილიც.

ყოველ ცალკეულ „სიმღერას“ (სულ ოცდასამია) ავტორი კონკრეტულ სათაურსაც აძლევს, რათა გამოკვეთოს, ხელშესახები და საცნაური გახადოს ტკივილის საფანელი, მიზეზი.

მეტყველია სათაურთა ჩამონათვალიც („ნუ გემინია“, „სიმღერა ისლის ქოხზე“, „სიმღერა მიტოვებულ სახლზე“, „წვიმის წვეთის სიმღერა“, „სიმღერა პატარა საყდარზე“, „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“, „ლტოლვილი გოგონას სიმღერა“, „რუსეთმა რომ ჩეჩნეთი გაანადგურა“, „იქ“ („სიმღერა ჩეჩენი ბავშვებისათვის“), „სიმღერა განდევნილთათვის“, „შერიგების სიმღერა“, „სიმღერა კარგ ქვეყანაზე“, „სიმღერა ლოცვის მაგიერ“, „სიმღერა ბოლო ქალაქზე“...).

ლექს-„სიმღერების“ ტონი სევდიანია და ნუგეშით გალიცილიცებუ-ლი — ერთდროულად. არსად დამოძღვრა, აღმატებულის გულგრილ-ცინიკური, მენტორული ტონი — ყველგან — მხოლოდ ტკივილი, ფიქრი — საკუთარ სულში მზერაჩაბრუნებული მოაზროვნის განმნმორი თვითგვემა — ქრისტიანული მორჩილება და ლოყის მორჩილადვე მიშვევა. ეს პოეზიაა — მაღალი, „მაღლად მხედთათვის“ — სრულიად განსხვავებული ურაპატრიოტული რიტორიკისაგან. სამშობლოს სიყვარული აკი მხოლოდ ზრუნვითა და ჩუმი, უხმაურო მსახურებით მტკიცდება, თავგანწირვით დასტურდება... ეს ლექსები არც სააღლუმე რეჩიტატივებია, არც დეკლამირებისათვის გამიზნული „ტექსტები.“

ნაირა გელაშვილის „სიმღერები“ ღრმა და ტკივილიანი ფიქრისთვის განგვანყობს, „მაღლად ხედვისთვის“ (საკმაოდ უნუგეშო პერსპექტივით — „ყოველ მაღლამხედს ტანჯვა უნერია ამქვეყნად“). ლექს-სიმღერათა ავტორის მაღალ ვარაშს რომ შეეზიარო, გაითავისო, უპირველესად უფლისმიერი შეგონებისა უნდა გნამდეს („უცხო და გაუგებარი“ (გალაკტიონი) მრწამსისა: „ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ იქმნების.“

მწერალი სულში ჩაღრმავებას არჩევს, რათა ტრაგედიის ფესვებს სწვდეს, გაიაზროს, რამ შვა მტრობა, სიძულვილი, რად დავკარგეთ ადამიანებმა (ეროვნების, მრწამსის განურჩევლად) მსგავსება და ხატება ღვთისა, განვიძარც-

ვით „სამოსელი პირველი“ — საუფლო სიტყვა — და სიძულვილი შევიმოსეთ.

ნაირა გელაშვილის ყოველი ლექს-სიმღერა თითქოს ინიციაციურ რკალს კრავს — მწერალი ფიქრის ჰადესში იმისთვის ეშვება, დანტესავით ჯოჯოხეთის ყოველი გარსი მოიხილოს, განსანმედელი განვლოს, რომ სასუფევლის ყურ სინათლეებს მიეახლოს, ფიქრითვე განწმენდილი. მწერალი თითქოს „ღვთაებრივი კომედის“ მოდელის გათვალისწინებით აგებს ყოველ ცალკეულ სიმღერას და სწორედ ეს მოდელია, ალბათ, ყოფის ერთადერთი გამართლებული ნირიც — „ეკლიანი გზით — ვარსკვლავეთისკენ.“

გამოვარჩევთ ჩვენთვის განსაკუთრებით საგულისხმო ლექსს — „სიმღერა ქალაქ სოხუმზე“, გურამ ოდიშარია-სათვის, გამორჩეული სოხუმელისათვის რომ მიუძღვნია ავტორს (აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გურამ ოდიშარია-სადარნი რომ მეტნი ყოფილიყვნენ ქართველთა და აფხაზთა შორის, „წყევლაკრულვიანი საკითხავი“ არც იარსებებდა. ამდენად, „მიძღვნაც“ ნიშნულია და საცნაური).

პატარა ლექსი დიდ ვარამს იტევს. მენანება მისი უნატიფესი მხატვრული ქსოვილის დაძენძვა საანალიზოდ (კრიტიკოსებისადმი ანა კალანდაძისეული, მკაცრი მიმართვაც მაგონდება: „თქვენ ღვთაებრივი ცრემლის წვეთები ხშირად წუმპეში გადაგინურავთ.“ სავსებით ვეთანხმები გალაკტიონის მრწამსსაც, რომ ლექსის საუკეთესო ანალიზი მხოლოდ ჩუმად, ჩუმად მოსმენაა).

ჩუმად მოსასმენი, გულში (გულში — ანუ უფლის სახლ-სამკვიდროში) წასაკითხი, განსაცდელი და „დასაფიქრველი“ ლექსია „სიმღერა ქალაქ სოხუმზე.“

აქ ამბავი, სურნელი, ფერი და მელოდია ერთმანეთისაგან არ განცალკევდება, პირიქით, ერთად ქსოვს ლექსის იდუმალ, შიფონივით შრიალა, მჭვირვალე ქსოვილს.

შიფონივით შრიალებს ლექსი (მისი სიმსუბუქის გამოსახატავად სხვა შედარების პოვნა მიჭირს), მსუბუქ მუსიკად იღვრება, „ზღვაურის სუსტ ტაშად“, ზღვისპირა ქალაქების სავიზიტო ბარათად ქცეული შავი ყავის იდუმალ-მაცდუნებელი სურნელიც („სულ-ნელიც“) სწვდება ჯერ პოეტის, მერე — მკითხველის ფაქიზ ყნოსვას, ფერთაგან მძლავრობს „შავი ზღვის მუქი ლილა“, უქარო დილით და ეული, ქათხათა აფრთ თითქოს უფრო გამკვეთრებული, ხაზგასმული.

ფერები, სურნელები, მელოდია — ყველაფერი ერთმანეთში გადალღვება, ვიზიონად ტრანსფორმირდება, ლაკონიურ წინადადებად ჩამოინაკვთება, ვერც მეტაფორას იგუებს, მხოლოდ უბრალო, უბრალო შედარებას:

**შავი ზღვის პირას თეთრი ქალაქი მახსოვს,  
რატომღაც თეთრი, როგორც ვარდი ან აფრა...**

შავ-თეთრის (უკეთ, „შავი ზღვის ლილისა“ და თეთრის) კონტრასტი თითქოს იმთავითვე გულისხმობს სტიქიონურ, გარდღუვალ დაპირისპირებულობასაც (დაპირისპირების გარდღუვალობას) და ყოველი ზღვისპირა ქალაქის ყოფიერების იდუმალ ოქსიმორონსაც — შეუთავსებლის შეთავსებას — ზღვის მარადცვალებადი სტიქიონის საზღვრის საშიში სიმყიფე ყოფის, წუთისოფლის სიმყიფესაც შეგახსენებდეს თითქოს, მაგრამ, იმავდროულად, იმედსაც იმ მარადი მფარველისა, „ვინ საზღვარსა დაუსაზღვრებს“ — ზღვასაც! (ზღვის სტიქიონი ნაირა გელაშვილის „დედის ოთახშიც“ წარმოჩნდე-

ბა. მწერალი სწვდება სტიქიის ერთდროულად უფაქიზეს და უფერაგეს ბუნებას. პერსონაჟი ჰყვება: „ზღვას მივაშურე, ვიცოდი, ასეთ ამინდში არავინ ეყოლებოდა და, ბოლოს და ბოლოს, მარტოს ვნახავდი... აუჰ, რა დამართნოდა! ლურჯი, ლივლივა სარკე დაემსხვრია, მწვანესარჩულიანი, ცისფერი პერანგი ტანზე შემოეფლითა, სახლისხელა მინისფერ კუზებს ერთმანეთზე მიაჯირითებდა, მუქართა და წყევლით ასკდებოდა დედამინას, ისეთი ბოროტი იყო, ისეთი თავზარდამცემი, არაფრად მაგდებდა და, როცა მინაზე გადმონთხეული თქემის ერთი პატარა ღვარი ჩემს ტერფებამდე ამოიკლანა, დავიხარე და მუშტი ჩავარტყი. — ხაა! — გადაიქუხა ზღვამ და მე გამოვიქეცი. მომქმენდა და მომხარხარებდა, შენ მოხვალ ჩემთან, მოხვალ ჩემთანო. თან მრცხვენოდა, ასეთ გაცოფებულს რომ შევესწარი და თან გული მენურებოდა, ისე ლამაზად ბოროტი, ლამაზად შემზარავი იყო“.

სოხუმში მხოლოდ ორჯერ, ისიც გავლით ვიყავი, იტყვის ავტორი თუ ლირიკული პერსონაჟი ლექსისა. **„იჭერდა რალაც სიმყიფეს ყური“** — რამდენიმეგზის განმეორებული რემარკა თუ რეფრენი თითქოს განგამის ზარად შემოიჭრება ლექსის ლილისფერ მელოდიაში, დისონანსად შეინარცხება „მყუდროებას, შეიცნობოდა რითაც“ სოხუმში.

„სიმყუდროვე“ — უზუსტესადაა დაჭერილი პატარა, ზღვისპირა ქალაქის დვრიტა.

კიდევ — სოხუმში მშვიდად მოხეტიალის განცდა, წლებისშემდგომ რომ ლექსის სტრიქონებად დაიღვენთება: „ჩემი სამშობლოს ყველა ქალაქს რომ სჯობდა სინარნარით და სისუფთავით და რალაც ხიბლით, მაშინვე ცხადი გახდა.“

იქვე — კვლავ ის უცნაური, განგამის თუ საფრთხის შეგრძნება: **„ისიც მალევე გავიფიქრე, რომ თითქოს ის მაინც უცხო, სხვაგვარად უცხო იყო...“**

ზღვისპირა ქალაქების (ნებისმიერი ზღვისპირა ქალაქის) „მიღეთურობას“, ერთგვარ სიჭრელეს, ენათა უცნაურ აღრევას წვეული (მით უფრო — გულით მოაზროვნე!) უმალ გრძნობს და აღიქვამს (წუხილით და არა გესლით თუ ნიშნისმოგებით). ლინგვა-ფრანკას ზეობა მიღეთურ ქალაქთა ბედისწერაა.

(დათო ტურაშვილის მოთხრობის — „აჩიბაბა და ორმოცი ყოჩაღის“ — უსახელო პერსონაჟი, სოხუმელი გოგონა ამბობს: „სოხუმის ენა ძალიან მომწონდა, ენა, რომელიც ერთადერთი იყო მსოფლიოში, მხოლოდ ერთი ქალაქის ენა, სადაც ჩვენ დავიბადეთ და გავიზარდეთ. გავიზარდე დიდ ეზოში, დიდი აკაციის ხეებით. ბავშვობიდან ვიცოდი, რომ აკაცისა ყველაზე დიდი ფესვები აქვს.“

ბავშვობიდან მეგონა, რომ ჩვენც დიდი ფესვები გვქონდა... ჩვენი — სოხუმის — ენა ომის დანყებისთანავე გაქრა და ჩვენ, ყველანი, სოხუმის დანგრევისთანავე სხვადასხვა ენაზე ავლაპარაკდით“).

მუირად ალ-ბარლუთის (პალესტინიდან დევნილი მწერლის) მოგონებებშიც მშობლიური რამალა — იერუსალიმის გარეუბანი — გულისმომწყვლელად ჭრელია: „მსოფლიოსათვის იერუსალიმი რელიგიების, პოლიტიკის და კონფლიქტების ქალაქია, ასე რომ, დიდად არ ანაღვლებს ჩვენი — ხალხის იერუსალიმი — სახლების, მოკირწყლული ქუჩების, სუნელების მალაზიების, არაბული კოლეჯის, ანტიკვარიატის და სადაფის, ქუნჯუტის ნამცხვრის გამყიდველების, ქუჩაში გატოტვილი პალმების, შინ გახარებული მცენარეების, ქვაფენილიანი ხეივანების, ვინრო შესახვევების,

სარეცხის თოკების იერუსალიმი, ჩვენი გრძობების, ჩვენი ბავშვობის იერუსალიმი. ალდგომის შაბათს ქრისტიანებთან ერთად ვიზიარებდით წმინდა ტაძრის სიბნელეს და მათთან ერთად ვწევდით ერთიანად ანთებულ თეთრ სანთლებს. ეს ჩვეულებრივი იერუსალიმია, ქალაქი ჩვენი პატარა-პატარა, უმნიშვნელო შემთხვევებისა, რომლებიც მალე გვაკვირდება, რადგან ჩვეულებრივია ისე, როგორც წყალი წყალია და ელვა — ელვა, ხოლო, როცა ხელიდან გვისხლტება, ცისკენ მიიწევს — სიმბოლოდ რომ იქცეს.

ყველა კონფლიქტს სიმბოლოები ურჩევნია. იერუსალიმი ახლა თეოლოგიის იერუსალიმია. მსოფლიოს მისი „სტატუსი“ ეხება, მისი იდეა და მითი, მაგრამ — არა ჩვენი ცხოვრება იერუსალიმში და არა იერუსალიმი ჩვენს ცხოვრებაში. ცის იერუსალიმი ყოველთვის იცოცხლებს, მაგრამ ჩვენს ცხოვრებას მასში გაქრობა ემუქრება.“

„უცხოობასთან“ („ცხო“ — სხვა, განსხვავებული, არმსგავსი) ერთად, „სიმყიფეც“ კონსტატირდება — ქალაქი „თითქოს იყო მსუბუქი — ფაიფურის“... სიუღი-პრუდომის ლარნაკით — რათა ერთ დღესაც ნაბზარი ნაპრალად ქცეულიყო... სიმყიფე სხვა ციტატითაც წარმოჩნდება: „მშვიდბუნდოვანი“ დროება, „მოტივტივე“ (!), როგორც „თეთრი ვარდი — ნელ, ცისფერმომწვანო ზვირთზე.“

ნაზი პრელუდიის შემდეგ, პიანოს მსუბუქ ლირიკაში თითქოს აშარი ფორტე შემოიჭრება: „დაძაბულობა ახლდა ქალაქს (რომელიც მაშინ არ იყო თალხი), რადგან იყოფდა მას ორი ძველი ხალხი, ჩუმად არკვევდნენ, თუ მაინც ვისი იყო ქალაქი ზღვაზე, რაღაც მსხვერველი თითქოს“... უზუსტესი ციტატა — „ჩუმად არკვევდნენ, თუ მაინც ვისი იყო“ — საოცარი ტაქტი, კომენტარისა და განაჩენის გარეშე წარმოაჩენს მიზეზს ტრაგედიისა.

ამ პროვოკაციულ, დაუნდობელ, მცდელობას „გარკვევისა“, მამა ანდრია ყურაშვილმა უზუსტესი პასუხი გასცა: „უფლის მიწაო“, მიუფო გადამთიელს და ჭეშმარიტი პასუხით თუ პასუხის ჭეშმარიტებით სძლია საღვთო სინძინდეს ავად დაღირებულს... ბარდული კატეგორიულია: „არ ვცნობ ორ სხვადასხვა უფლებას ერთსა და იმავე მიწაზე.“

მითი — წარსულის მეტაფორული გასაღები — ინახავს უთქმელს — სოხუმის უძველესი სახელწოდება „დიოსკურია“ ბერძნული თარგმანია ქართული „ტყუზნისა“ (ტყუზთა ქალაქი) — ესავისა და იაკობისა არ იყოს, „ტყუზნი“ (ქართველ-აფხაზი) „სასოშივე“ (ქალაქის მშვიდწყობიანი ნიაღში) წაეკიდნენ ერთურთს და ახდა გალაკტიონისეული: „ვილაც მესამე, ვილაც მახინჯი ჩადგა [მათ] შორის“, მურმან ლებანიძისეულიც: „მოფრინდა შავი ყორანი. რატომ არ მოფრინდებოდა?!“

ნაირა გელაშვილთანაც უგუნურ ტყუპთა შორის ჩამდგარი „ვილაც მესამის, ვილაც მახინჯის“ ფერი შავია, ქალაქის მომწვანო-ცისფერს თუ ლილისფერს რომ დაეღირება:

და როცა უცებ ჯინივით სული ამოსკდა შავი და უდიერი, სული მსახვრალი, ასე უბირი, ასეთი ყრუ და ასე მშვიერი, ჩაკეტა გულთა მან დარაბები... რალა თქმა უნდა, სწორედ ის მოსპო — ქალაქებიდან ყველაზე ტურფა, ისეთი მყიფე და მშვენიერი — სრულიად სხვათა, უცხოთა მიერ ჩაფიქრებული და ანაგები...

ლექსის რიტმი — მდორე და მშვიდი — ირღვევა, მართლაც ჯინივით შემოიჭრება ტრაგიკული მუხტი ტექსტის მსუბუქ, ლირიკულ მხატვრულ ქსოვილში.

გადამთიელისათვის ცისფერმწვანე ქალაქი წმიდათაწმიდა არაა, სხვისია, ვერასოდეს გაითავისებს და შეიყვარებს, მხოლოდ დროებით დაეუფლება. ნადირობს მომხდური ქალაქზე რუსული „მუხათი“ თუ ქართულსახელიანი (რა ცინიზმია!) იარაღით „ალაზანი“, მიფრინავს რაკეტა მიმართულებით «Земля-земля»... უფლის მიწაზე...

პოეტი (თუ ლირიკული გმირი) მესამედ უკვე „არა სოხუმში, არამედ ომში“ ჩადის (უზუსტესია რემარკა — სოხუმი აღარ იყო. იყო ომი. ომმა მოკლა ქალაქი — ყველასთვის).

მწერალი მხოლოდ მომხდურს ვერ გადააბრალებს მომხდარს. ყოველი მოაზროვნე პროვიდენციალისტია და, ნაირა გელაშვილის ლექსის კითხვისას, თითქოს გურამიშვილის „ქართლის ჭირის“ ტრაგიკული ნოტებიც ცოცხლდება მეხსიერებაში — მერამდენედ ხდება იგივე... ვერნანსავლი, ვერგაცნობიერებული საკუთარი ისტორია გვსჯის — სანამ „ჩუმად ვარკვევთ, თუ მაინც ვისია“ ღვთისგან კურთხეული მიწა, თეთრი ქალაქი „გათალხდება“, მოექცევა „შავ ნრეში ცარცის“ — ბრეჰტის ტრაგიკულ მეტაფორას მოიხმობს ქართველი გერმანისტი, ნაირა გელაშვილი, გერმანულ პიესად ტრანსფორმირებულ კავკასიურ ამბავს კვლავ კავკასიის ჯადონრეში ჩამოაბრუნებს ტრაგიკულისავე კონსტატირებისათვის.

ფიქრის განსანმენდელიდან ტანჯვით გამოღწეული, საუფლო გზას მოუწინავს ჯერაც უნუგემო ქალაქს: მოკვეთილი, ლაკონური განმარტებაა, დაეჭვების გამომრიცხავი, კატეგორიული: „და ხომ არსებობს სითეთრეც მიტკლის (ეს „მიტკალი“, თეთრი, სპეტაკი, დუმბადისეულ თეთრ ბაირალსაც მოგვაგონებს და ვაჟასეულს „შუბლზე წაქრულს მემსაც“ — ნ.კ.) და — არამხოლოდ ვარდის და მტრედის, ანდა აფრისა... სოხუმო, გედო, ალბათ, ეს ფერი, ფერი ცარცისა... შენ იმისი ხარ, ზღვისპირას მდგარო, ქალაქო თალხო შავ ნრეში ცარცის, ვინც არ დაგამხოვს, ვინც არ დაგამსხვრევს და ზღვისფერ თვალებს არასდროს დაგთხრის...“

ზღვისფერთვალებათბრილი ქალაქის მეტაფორა ერთდროულად საზარია და მართალი [მსგავსი პასაჟი კონსტანტინე გამსახურდიას „დიდ ილემშიც“ გვხვდება — 1921 წლის ოცდახუთი თებერვლის ხილვა: „უსინათლო დედაკაცი მოდიდა,.... სტიროდა ჩუმად. ადგილის დედას მიაგავდა საქართველოსას, საკუთარი შვილების მიერ გაძარცულსა და ყელგამოჭრილს“].

„ქალაქი, რომელიც გაიყოფა საკუთარი თავის წინააღმდეგ, დაიღუპება“ — სახარებისეული სიბრძნე მარადიულია და საცნაური...

დალუპულ ქალაქთა ნუგეშად პროვიდენციული ჭირის გონით და გულით გაცნობიერება რჩება, თვალდათბრილი ქალაქიც (ქალაქები) ქართველ-აფხაზთა პროვიდენციული სასჯელია, „ქართლის ჭირის“ კიდევ ერთი სისხლიანი ფურცელი, მაგრამ, სახარებისეულივე სიბრძნით, აკი გონიერისათვის „ჭირი მოთმინებასა შეიქმს, ხოლო მოთმინებაი — გამოცდილებასა, და გამოცდილებაი — სასოებასა, ხოლო სასოებამან არა არცხვინის, რამეთუ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი ღმრთისაი განფენილ არს გულთა შინა ჩვენთა“ (პრომაელთა 5, 3-5) — სიყვარული ღმრთისა, უპირველესად მოყვანის სიყვარულით რომ ცხადდება.

„სიმშვიდითა სიბრძნისათა“ (იაკობ 3, 13) მოპოვებული, გულელებში კვლავ გაღვივებული სიყვარულით აახელს ოდესმე ზღვისფერ თვალებს შვილთა უგუნურებით თვალდათხრილი უბედური ქალაქი.

„სულნი თქვენნი განიწმინდენით მორჩილებითა ჭეშმარიტებისათა, სულითა ძმათმოყვარებისათვის შეუორგულელებელ იყვენით გულითა წმიდითა, ურთიერთას იყუარებ-

დეთ განმარტებულად“ (1 პეტრე, 1, 22) — არ არსებობს სხვა გზა არც ზღვისპირა ქალაქისკენ, არც ტაძრისკენ, არც უფლისაკენ...

იგივეა ნაირა გელაშვილის ტრაგიკულ-მშვენიერი ლექსის დვრიტაც (აკი კრებულის სათაურიც — „დრო, პური და ღვინო“ — ზიარების საიდუმლოთი დროისმიღმიერი, მარადიული შუქის ჭვრეტაზე დახვეწილი მინიმუზება)...

კრიტიკა

როსტომ ჩხეიძე

სწრაფვა დასავლური სივრცისაკენ

□

დღევანდელი ქართული პროზა თვალის გადავლახით

ლიტერატურის მდინარეებს თავისი შინაგანი კანონები რომ არ წარმართავდეს და მართლაც საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაციები განსაზღვრავდეს მის მსვლელობას, მარქსისტული დოქტრინა რასაც ამტკიცებდა თავისი ანტი-ხალხური, ანტიბუნებრივი მსოფლმხედველობიდან გამომდინარე, დაკარგავდა ყოველგვარ შთამბეჭდაობასა და მომწონსებლობას და ბევრითაც აღარ განსხვავდებოდა პროპაგანდისტული გამოცემებისაგან. და ვერც ამა თუ იმ ქვეყნის გადარჩენისათვის იზრუნებდა მწვავე, კრიზისულ ეპოქებში.

ის ორსაუკუნოვანი კაბალა, რომლის მავთულხლართებშიც მოქცეულიყო საქართველო ორი საუკუნის მანძილზე, სახელმწიფოებრიობა რომ დაეკარგა და რუსეთის იმპერიის სამხრეთ პროვინციად გადაქცეულიყო, უთუოდ დამთრგუნველი და საბედისწერო აღმოჩნდებოდა ჩვენთვის, ლიტერატურის განვითარების ის შინაგანი კანონები რომ არა.

ამიტომაც:

პოლიტიკურად პროვინციული ქართული გარემო მხატვრული სიტყვის ძალმოსილებით ინარჩუნებდა სახელმწიფოებრივ შეგნებას და სწრაფვას დამოუკიდებლობის აღსადგენად. და ნიშანდობლივია ის წინასწარმეტყველური პათოსიც XIX საუკუნეში, ბიბლიურს რომ ჩამოჰგავდა გმირის, მესიის მოლოდინით და ოცნების ახდენას გარდუვალობად სახავდა.

შინაგანი კანონები რომ არა, ქართული მწერლობა სრულიად აცდენილი იქნებოდა დასავლურ ლიტერატურულ პროცესებს და სამწერლო სკოლებზე მეტად შორეული და ბუნდოვანი წარმოდგენა თუ გვექნებოდა. ახლა კი,

როდესაც ვაკვირდებით ამ პროცესის დინებას, ჩვენს მწერლობაში ვადატურებთ სხვადასხვა მიმდინარეობას, როგორც მსგავსაა თუ უშუალო გამოძახილს ევროპული სალიტერატურო ცხოვრებისა.

რალაც ნაგვიანვე აღმოჩნდებოდა, რალაც — ბევრწინადად სახეცვლილი, მაგრამ შინაგანი კავშირი თუ სიახლოვე მაინც თვალნათლივ გამოიკვეთებოდა.

ეს ყოველივე დიდი შეუპოვრობისა და თავგანწირვის ფასადაც კი ხდებოდა.

საქართველოს სახელმწიფოს აღდგენა 1991 წლის 9 აპრილს დასახავდა რეალურ პერსპექტივას ჩვენი გასვლისა საერთაშორისო ასპარეზზე და დასავლურ სამწერლო ცხოვრებასთან დაახლოებისაც, რაც შეგვაძლებინებდა ლიტერატურული პროცესის წარმართვას ბუნებრივ პირობებში.

ეს ოცნლელული პოლიტიკური კაბალისაგან თავდახსნილი მწერლობის მდინარეებს გადაგვიშლის თვალწინ, შესაფერისს იმ ქაოტური და დრამატული რეალობისათვის, რაც თან მოჰყვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის ამოგებას.

ქაოსსა და დრამატიზმს როგორ გადაეურჩებოდით, როდესაც არც სახელმწიფო გადატრიალება დაგვკლებია, არც სამთავრობო გადატრიალება და არც სამი ომი რუსეთთან: ორი 90-იანი წლების დამდეგს და ერთიც 2008 წელს, ისედაც დაკარგულ ტერიტორიებს ახლებიც რომ შეემატა და ვერც ამერიკის შეერთებული შტატებისაგან ვიგრძენით რაიმე რეალური შემწეობა.

მწერლობაც დაიბნა, დაითრგუნა, იმედგაცრუებათა დაუსრულებელმა პროცესმა მძიმე ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ლიტერატურულ პროცესზეც და, ნაცვლად იმისა, დამოუკიდებელი ქვეყნის მწერლობა ერთბაშად წამომართულიყო მთელი ძალმოსილებით და მალევე და ძალდაუტანებლად შეერთებოდა დასავლურ სამყაროს, იმდენმა წინააღმდეგობამ და შინაგანმა მოშლილობამ იჩინა თავი, ამ პერსპექტივამ შორს გადაინია.

კიდევ კარგი, მხოლოდ გადაინია და არა სამუდამოდ გაგვშორდა.

ეს ტრაგიკული ფაზა, საქართველოს მესამე რესპუბლიკის რყევებით აღსავსე ისტორიული ხანა, უკვე გამოიხატა პირუთვნელ და ექსპრესიულ მხატვრულ ტილოებზე — **ოთარ ჩხეიძის** ექვს რომანში („**არტიტული გადატრიალება**“, „**თეთრი დათვი**“, „**ბერმუდის სამკუთხედი**“, „**2001 წელი**“, „**მორჩილი**“ და „**ლაზერშოუ**“), რომლებიც წარმოადგენს ფინალურ მონაკვეთს მწერლის 24 რომანის მომცველი ციკლისა, საერთო სახელწოდებით „**მატიანე ქართლისა**“ და დანერჩილია მღელვარე ისტორიულ მოვლენათა კვალზევე. ასე რომ, რომანთა ამ რკალში მოხდა იმ ტრაგიკული ამბების არა მხოლოდ მხატვრული გააზრება, არამედ

პოლიტიკური შეფასებაც, და ისიც საგულისხმოა, რომ ექვსივე ნიმუშში საკმაოდ მკვეთრია დოკუმენტური ფონი, რაც საერთოდ ნიშანდობლივია XX საუკუნის მეორე ნახევრისა და ახალი ასწლეულის დასავლური ლიტერატურისთვისაც.

ამასთან, ოთარ ჩხეიძის სტილურმა ძიებებმაც ბევრნილად განსაზღვრა მისი თანადროული და მომდევნო ხანის სალიტერატურო პროცესი და მისი სამწერლო სკოლა დამშვენებულია თვით თვალსაჩინო სახელებითაც: **ოთარ ჭილაძე, რეზო ჭეიშვილი, გურამ დოჩანაშვილი**, — მწერლებით, რომელნიც ადრე თუ გვიან მოხვდებიან დასავლურ ლიტერატურულ ორბიტაზე და თავთავიანთ კვალს დატოვებენ დასავლელი მკითხველის ცნობიერებაში.

ამ თვალსაზრისით ამავე ორბიტაზე გასვლა მოელის **გურამ გეგეშიძისა და ჯემალ ქარჩაძის** თხზულებებსაც, როგორც ასევე განმსაზღვრელთ ქართული მწერლობის მაღალი რანგის.

იმპერიული და კომუნისტური რეჟიმისაგან გამოსხნამ და სახელმწიფოებრიობის დაბრუნებამ ერთი არსებითი ცვლილება მოიტანა ჩვენი სალიტერატურო ყოფისათვის.

მწერალმა დაკარგა ის დანიშნულება, რაც ჰქონდა — და აუცილებლადაც უნდა ჰქონოდა — თავისუფლებანართმეული ქვეყნის პირობებში: შეეთავსებინა პოლიტიკოსის, პარლამენტარის ფუნქციაც და მხატვრული ძიებანი ამ სულისკვეთით განემსჭვალა, სულაც ამ მოთხოვნათათვის დაემორჩილებინა, რაც შეიძლება გაეხმაურებინა ეროვნული სატიკვარი და ათასგვარი საჭირობოტო საკითხი.

დანიშნულება, რაც **ილია ჭავჭავაძემ** დაავალდებულა მწერალს, ისე უნდა აღსრულებულიყო, ვისაც რა ძალა შესწევდა — და უკიდურესი შევიწროების, დევნის ჟამსაც არ შეპუებოდა არაფერს.

ეს ფუნქცია საქართველოს სახელმწიფოში პარლამენტმა თვითონვე გადაიბარა.

ამასთან, არ ხდება ქვეყანაში არაფერი ისეთი — სასიკეთო იქნება თუ სავალალო — ჟურნალისტები რომ არ ახმაურებდნენ.

ხალხის ყურთასმენამდე და ცნობიერებამდე ახალი და მწვევე ამბების მიტანა მაშინვეა შესაძლებელი და ამ მხრივ მწერალი ვერ გაეჯობრება რეპორტიორებს და მითუფრო ტელეჟურნალისტს: მხატვრულ გააზრებებს გაცილებით მეტი დრო ესაჭიროება, ვიდრე ინფორმაციის მოპოვება-გავრცელებას.

ალარც პოლიტიკურ ქვეტექსტებსა თუ გადაკვრებს ენიჭება განსაკუთრებული მნიშვნელობა, რადგანაც ეს ყოველივე, როგორც ფაქტები, უკვე სრულად და ნიუანსობრივად შეგვიტყვია.

ამიტომაც მობლაუჭება ილიას სახელზე და წამდაუნუმ

ხსენება მწერლის მოვალეობის იმისეული განსაზღვრისა ფუჭი და, ამასთან, კომიკური მცდელობაა, გამოწვეული მარტოდენ მერკანტილური და მდაბალი მიზნებით.

დროისა და მოვლენათა ცვლილების კვალობაზე დღეს რასაც შეგვაგონებდა ილია, ეს უნდა იყოს ჩვენთვის მთავარი და გასათვალისწინებელი. და დღეს ილია მწერლის დანიშნულებას მხატვრულ-ანალიტიკური კუთხით განსაზღვრავდა და მხოლოდ ამ ასპარეზს დაუტოვებდა, თუკი მწერალს მართლაც სურდა რალაც კულტურულ-სულიერი ღირებულება შეექმნა და სამთავრობო თუ ოპოზიციური პარტიის პროპაგანდისტად არ გადაქცეულიყო.

პარტიულ-პროპაგანდისტული ლიტერატურა რასაც ნიშნავს, თუ ვინმეს მოეხსენება, უპირველესად საბჭოთა დროსა და სინამდვილეში ჩახედულ ადამიანებს, იმისდა მიუხედავად, უშუალოდ მოსწრებიან თუ არა იმ ეპოქას.

ამიტომაც ყოველმხრივ უნდა გავემიჯნოთ ამგვარ მისწრაფებებს.

მითუმეტეს, ეს სულისკვეთება ჩვენს რეალობაში კვლავაც ბოგინობს ავი ტენდენციის სახით.

მარტოდენ გარეგნული იერი შეიცვალა, თორემ სული იგივე დარჩა.

გარეგნული იერი:

ყოვლად გაუგებარ, ოდიოზურ სოციალისტურ რეალიზმს ჩაენაცვლა ყოვლად გაუგებარი, ოდიოზური ლიბერალური რეალიზმი, ისევე ნაკურთხი მთავრობისაგან, როგორც თავის დროზე კომუნისტური ლიტერატურა.

და შესაბამისად, სამწერლო მდინარებაში სოციალისტური ავანგარდის ნაცვლად გაჩნდა ლიბერალური ავანგარდი, როგორც მანკიერებათა სერიის გვირგვინი.

ამიტომაცაა, რომ მასკულტურამ ლამის გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვოს.

სახელისუფლებო ზეგავლენით ტელევიზიები გადაენწყენ ამ ტალღაზე და მასკულტურა გამოაცხადეს თანამედროვე და მომავლის კულტურად.

ასეთი ნაკადი დასავლეთის ქვეყნებშიც არსებობს, და თვით სახელწოდება — მასკულტურა — მიგვანიშნებს, რომ ხალხში ასეთ მხატვრულ (უკეთ: ნახევრად მხატვრულ) ნიმუშებს გაცილებით მეტი გასავალი აქვთ, ვიდრე ჭეშმარიტ სულიერ ღირებულებებს; მოგეხსენებათ, პრიმიტიული თხზულება ბევრად იოლი აღსაქმელია, ვიდრე ნამდვილი ლიტერატურა და პოპულარობასაც ადვილად იხვეჭს, მაგრამ იქ არავის მოსდის აზრად, რომ მასკულტურა გამოაცხადოს კულტურად და მთელი ძალ-ღონით ეცადოს მასლიტერატურის დამკვიდრებას ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილებების განდევნის ხარჯზე.

ტელევიზიები ასეთ ტალღაზე არსად გადაწყობილან.



მხატვარი დავით კაკაბაძე

კოჯორი

და არც ხელისუფლებანი უდგანან მეურვეებად და წამქეზებლებად ამ ყაიდის ნაკადებს.

ჩვენში კი ამ ყოველივემ იმ ზღვარსაც მიაღწია, რომ ჩამოყალიბდა ყოვლად ოდიოზური ტიპი, რომელსაც სხვას ვერაფერს დაარქმევ, თუ არა ტელემწერალს.

ტელემწერალი ლიბერალური ავანგარდის სახე-სიმბოლოდ იქცა და დასავლეთში ქართული ლიტერატურის სახელის გატანაც მას დაეკისრა.

ეს კი ნიშნავს, რომ ევროპისა და ამერიკის თვალში ჩვენს ლიტერატურას არავითარი მხატვრული ფასი არ ექნება, როგორც რალაც ჩანასახოვანს, შეთავაზებულს იმ ადამიანთა მიერ, რომელთაც არც ნიჭი მოეთხოვებათ და არც გემოვნება, ყურმოკვრით გაუგიათ პოსტმოდერნის არსებობა და ვითომდა მის თარგზე რალაც მოუბლანდავთ.

ხოლო სინამდვილეში რა არის პოსტმოდერნისტული ლიტერატურის ნიმუში, კარგად ჩანს თუნდაც **ვაჟა გიგამვილის** რომანის — **„ერთი ვინმე ყაფლანიშვილი“** — მაგალითზე, **მიხეილ ჯავახიშვილის** **„ჯაყოს ხიზნებს“** რომ აგრძელებს ახალ დროში, ტრაგიზმისა და ქაოსის დაუსრულებლობას წარმოაჩენს და მისი შინაგანი მექანიზმის ფსიქოლოგიურ ახსნას ცდილობს.

მის თარგზე რალაც მოუბლანდავთ...

მათ, ცხადია, განზე რჩებათ ჩვენი სატიკვარი და საფიქრალი და აბსტრაქტულ იდეებს გამოდევნებულნი ერთმანეთს ეჯიბრებიან ეროვნულ და სულიერ ღირებულებათა შეურაცხყოფა-გაქიქებაში, უხამსობაში, დასავლეთში მოყირჩებული თემების გადმომღერებაში.

სამაგიეროდ, ნამდვილი ლიტერატურის დინებასაც არაფერი აბრკოლებდა. და შესამჩნევია, რომ ჩვენშიც თავისთავად გამკვეთრდა დასავლეთშიც საკმაოდ მომძლავრებული დოკუმენტალიზმი, რამაც ძალდაუტანებლად გამოიწვია ბელეტრისტიკის — სიტყვაკაზმულობის — ჩანაცვლება უფრო ზუსტი ტერმინით „პროზა“ (ანუ „ნონ-ფიქშენის“ მაგივრად უფრო ხშირად გამოიყენება „ფიქშენი“). ის, რაც აქამდე სინონიმებად ითვლებოდა, ნელ-ნელა გაიმიჯნა და პროზაულმა თხზულებებმა — არა იმდენად რაოდენობით, რამდენადაც გავლენით — ნააჭარბა ბელეტრისტულ ქმნილებებს.

„მატიანე ქართლისას“ მიერ გამოკვეთილ ამ ტენდენციას არაერთი მწერალი რომ აპყვავა, გამორჩეულია **ნაირა გელაშვილის** **„პირველი ორი წრე და ყველა სხვა“** (უკეთესი იქნებოდა, ფინალური მონაკვეთის ზედმეტობა და ამკარად პუბლიცისტური იერი რომ არ აზარალებდეს ამ ვეება თხზულებას) და ავტობიოგრაფიული რომანი **„ჩვენი გრძელი ამბავი“**, მკაფიო ნიმუში იმისა, რომ სულაც არ არის აუცილებელი მემუარისტი ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრებს მოგვითხრობდეს ანდა ისტორიულად მნიშვნელოვან ამბებს. უჩინარ ადამიანთა ჩვეულებრივი ბედი არანაკლებ შთამბეჭდავი შეიძლება იყოს მხატვრულ ქრონიკაში, ვიდრე ბელეტრისტიკაში და სულაც ვერ გრძნობ მოლოდინის გაცრუებას, თუკი პერსონაჟები ასე სისხლსავსედ და კოლორიტულად წარმოდგებიან, **„ჩვენი გრძელი ამბავი“** როგორც მოგვითხრობს, თორემ სამწერლო ცხოვრების კულტურული ამბების წარმოჩენა და შემოქმედის სალიტერატურო მიმოქცევაში და თვალსაჩინო თუ შედარებით ნაკლებ ცნობილ სახელთა შემოყვანა პერსონაჟებ

ბად მრავალმხრივ მნიშვნელოვან სურათს რომ აღადგენს სამწერლო პროცესისა და ზოგად ფონს მეტი ინტიმით მსჭვალავს, **გივი ალხაზიშვილის** ავტობიოგრაფიული რომანიც ადასტურებს — **„მომავალი წარსული“**.

დოკუმენტური ფონი მსჭვალავს **გურამ ოდიშარიას** ვრცელ მოთხრობათა და რომანთა მთელს წყებას, უმთავრესად სოხუმისა და აფხაზეთის მხარის ტრაგედიას რომ წარმოსახავს (**„შავი ზღვის ოკეანე“** და სხვანი), თუმც არც ამ მხარის მანამდელი, საბჭოური ყოფა რჩება მხედველობის მიღმა (**„პრეზიდენტის კატა“**) და არც 90-იანი წლების თბილისის დრამატული, ანენილი სინამდვილე (**„სათვალისწინო ბომბი“**), საერთოდ კი მის მხატვრულ ძიებებს განსაზღვრავს თეზისი: აფხაზეთის ბედი თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე გადაწყდა.

ეს თემატიკა — ომი აფხაზეთის მხარეში და მისი გამოცახილი — შემოიჭრა **ზაურ კალანდიას** პროზაშიც, არც დოკუმენტური ფონი რომ არ აკლია (თუნდაც ნოველა **„ილორში ხატებს მირონი სდის“**), და სხვაგვარად არც მოხდებოდა, რადგანაც ეს ხომ ის მწერალია, ვინც თავის დროზე ასე ხელშესახებად და სახიერად შემოიტანა ლიტერატურაში სოხუმის სურათები და ამ ქალაქის მკვიდრთა კოლორიტი (**„ზვარაკი“**).

ამავე თემატიკის უშუალო ნაწილია სამეგრელოს მხარის აკლება-აოხრებაც საშთავრობო ჯარებად მონათლული ბანდების მიერ, ცალკე ციკლად რომ წარმოდგა **ზვიად კვარაცხელიას** ნოველებისა და მოთხრობების ციკლში **„ყიფლიბანდი“**, ამოზრდილისა ნამდვილ ამბებზე, მარჯვედ მოძებნილი მხატვრული ქარგა მძაფრ სიუჟეტებად რომ მიაწყობს ერთმანეთს თავზარდამცემ ეპიზოდებს, და გარდა მხატვრული ექსპრესიისა, ისტორიული ქრონიკის მნიშვნელობასაც უნარჩუნებს.

ყოველდღიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო მოვლენებს კვალში რომ ჩაუდგებოდა **იოსებ ჭუმბურიძე** და **„სახიფათო ჩანანერების“** პირველ ნიმუშებს შექმნიდა, თვითონ მათ პუბლიცისტურ შენიშვნებად აღიქვამდა და ალბათ ვერც წარმოიდგენდა, თანდათანობით ლიტერატურულ-პოლიტიკურ მინიატურათა ეს ციკლი ვრცელ ტილოდ თუ გადაიჭიმებოდა და სრულფასოვან დოკუმენტურ პროზად წარმოდგებოდა (**აკი ნიკო ლორთქიფანიძესაც** ეგონა, რომ **„იყიდება საქართველოს“** სახით პუბლიცისტური სტატია დაწერა!), პირუთენელ ქრონიკად დრამატული ხანის საქართველოსი, სასიათების მთელ გალერეას რომ გადაგვიშლიდა თვალწინ, მარჯვედ მიგნებული თითო-ოროლა შტრიხით ასე ღრმად გააზრებულ-განზოგადებულთ.

ასევე შეიძლება ჟანრობრივად დაზუსტდეს **ივანე ამირხანაშვილის** ლიტერატურულ სტატიათა ერთი რკალი, რომელიც დოკუმენტური პროზის ნიშნებს ამჟღავნებს და ჩვენს სამწერლო ცხოვრებაში სულ უფრო თვალსაჩინოდ იკვეთება.

არც ჩვენი ფოლკლორისაკენ, ისტორიული ფესვებისაკენ მიბრუნებაა უჩვეულო თანამედროვე მწერალთათვის, და თვით მიწიას მითისაკენ, ქაჯთა ტყვეობაში მყოფს გველის ხორცის ჭამა მთელს სამყაროსთან რომ აზიარებდა და ფრინველთა ენასაც ერთბაშად შეასწავლიდა. „თვით“ იმიტომ, რომ ეს სიუჟეტური მონახაზი **ვაჟა-ფშაველას** რომ ექცია პოემის კომპოზიციურ ქარგად (**„გვე-**

ლის-მჭამელი“), შემდგომ გრიგოლ რობაქიძესაც გამოეყენებინა პიესად („ლამარა“) და კონსტანტინე გამსახურდიას კი მოთხრობად („ხოჯაის მინდია“). არ გინდა ამ სახელთა მერე კვლავ შეხედო ამ — თავისთავად ძალზე მომხიბლავ, მომწუსხველ — თემას? და შექმნა იმ რანგის თხზულება, რომელიც არ გაფერმკრთალდება ამ ქმნილებათა ფონზე და საკუთარ თავისთავადობას შეინარჩუნებს? ისეთი, როგორც **ზურაბ ლავრელაშვილის „განკვართული“** აღმოჩნდებოდა, რომანი, რომელიც ძველ თქმულებას ბოლშევიზმის ხანას გადააბამდა სავსებით ბუნებრივად და ღრმა ფსიქოლოგიური დაკვირვებებით გახსნიდა არა მხოლოდ ამ პოლიტიკური მოვლენის არსს, არამედ ზოგადადამიანური ბუნების დაფარულ შრეებსაც.

არც ძველი საბერძნეთისაკენ გახედვა — **ირაკლი ქასრაშვილის „სოკრატეს“** კომპოზიციური აგებულება არ არის ორიგინალური და **ჯიბრან ხალილ ჯიბრანის „იესო, ძე კაცისა“** ან **უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მკვინვარება“** — რომანებსაც რომ თავი დავანებოთ, ქართულ ლიტერატურაშიც არაერთხელ მიუმართავთ ამ მხატვრული მეთოდისათვის, ერთსა და იმავე ამბავს სხვადასხვა პერსონაჟისაგან რომ ვისმენთ, მაგრამ ეს მწერალიც საკმაოდ მარჯვედ იყენებს ამ ხერხს და გაბედულად შეეჭიდება ურთულეს თემას — **სოკრატეს** სასამართლო პროცესს. არ გინდა **პლატონი** ალაპარაკო შენს მოთხრობაში? ასეთ დროს მარტოდენ პლატონის დიალოგთა ზედმიწევნით ცოდნა არა კმარა, ის მწერლური ხელოვნებაც უნდა მოგედევდეს, რათა მსოფლიო ფილოსოფიური აზროვნების ერთ-ერთი ფუძემდებელი გულუბრყვილო ადამიანად არ მოეჩვენოს მკითხველს.

არც ბიბლიური სამყაროს პერსონაჟთა გამომხიბობა და იმ ეპიზოდთა ზოგადი მხარის ამოცნობა-გააზრების ცდა, თვალნათლივს რომ ხდის ჩვენს სულიერ სიახლოვეს ამ სამყაროსთან და იმ მარადიულის შეგრძნებას, არცერთი ადამიანის ადგილი ცარიელი რომ არა რჩება, ყველას გამოუჩნდება თავისი ფარდი და, დეკორაციის გამუდმებულ ცვლილებათა ფონზე, თითქოს ერთი და იგივე პერსონაჟები არიან წუთისოფლის დაუსრულებელ წრებრუნვაში ჩართულნი.

(საგულისხმოა, რომ **გივი ალხაზიშვილის** რომანში პერსონაჟები საგანგებოდ მსჯელობენ წუთისოფლის ამგვარ წრებრუნვაზე).

რაც ყოფილა, იგივე იქნება და რაც მომხდარა — იგივე მოხდება, არაფერია მზის ქვეშ ახალი.

რასაც განიცდიდა ეკლესიასტე, იმასვე განვიცდით.

რა სიმძაფრითაც — იმავე სიმძაფრით.

შემთხვევითი არ არის, **მაკა ჯოხაძე** რომ დაინტერესდებოდა ბიბლიური თემატიკითა და პერსონაჟებით და ორიგინალურ ციკლსაც წამოიწყებდა, საერთო სახელწოდებით **„ბიბლიური ქალები“**, მოულოდნელი რაკურსით რომ წარმოგვიჩენს თითქოსდა კარგად ნაცნობ რეალობას და თხრობის გარეგნულად მდორე მდინარება, მოჩვენებითად გაჭიანურებული ფსიქოლოგიური ნიაღვრეები შინაგანი მუხტით ფეთქავს.

**ლამა იმედამილიც** მიუბრუნდებოდა ამ თემატიკას, სიუჟეტის გარეგან მხარესაც ექსპრესიით რომ დამუხტავდა დეტექტიური თხრობისაკენ მიდრეკილი თავისი სტილის შესაფერისად და **„იესოს საქმე“** ისეთი დინამიზმით

განიმსჭვალებოდა, თუ არა ეს შთამბეჭდაობა, უინტერესო თხზულება რომ შეგვრჩებოდა ხელთ. რას იზამ, იესო ქრისტეს ბიოგრაფიაზე დაკვირვება მეტად სარისკოა მწერლისათვის, რაკილა უეცრად შესაძლოა ორ უკიდურესობას შორის აღმოჩნდეს — ან უდავო წარმატება და ან სრული მარცხი. მეტ-ნაკლებად რიგიან თხზულებას ამ თემაზე ვერ შექმნი მისი თავისებურების გამო. ხოლო რაც შეეხება დეტექტიური თხრობისაკენ ლამა იმედამილის მიდრეკილებას, ამ სწრაფვამ მოაკიდებინა ხელი ახალი დროის ერთ-ერთი მწვავე ეპიზოდისათვის, რომელსაც **„ბოზოიანის დღიურში“** ჩვეული ოსტატობით შეასხა ხორცი.

საუკუნის წინათ **ჯეიმზ ჯოისის „ულისეს“** გამოსვლა გამორჩეულ ლიტერატურულ მოვლენად **ტომას ელიოტმა** იმიტომაც შეაფასა: დიდი სიახლეა მიგნებული, ისტორიული პარალელის მეთოდი მოშველიებული. მისი სანყისი კი უილიამ ბატლერ იეიტის პიესებში დაადასტურა. და თუმცე ეს მხატვრული მეთოდი დღესდღეობით საკმაოდ ათვისებული, მისი მარჯვედ გამოყენება ყოველთვის განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს, და გასაკვირი არაა, მისი სრულყოფილებიანი ნიმუშები კვლავაც რომ იქმნება, თუნდაც **ირაკლი სამსონაძის „ლესა საათი“**, სტილური ფოიერვერკითაც რომ ბრწყინავს, და ერთბაშად იმდენი თემისთვისაა მოხვეული ხელი, ნაკლები რანგის მწერალს კომპოზიცია რომ მოერღვეოდა, მაგრამ ირაკლი სამსონაძე აქამდეც წარმატებით გასულა ბენვის ხიდზე (ვეება ერთბაშად იმდენი მოთხრობა **„ყურთბალიში“**) და „ლესა საათშიც“ თხრობის სადავეებს მტკიცე ხელი წარმართავს.

რეალურისა და ირეალურის მიჯნა, ყოფითობისა და ფანტასმაგორიის მონაცვლეობა გასდევდა **ზაზა თვარაძის**, ნაადრევად აღსრულებული მწერლის, მოთხრობებს, თავისებური მხატვრული სამყაროს მხილველთა რომ გაგვხდიდა, სამყაროსი, რომელსაც საერთო სათაურად ერთ-ერთი მოთხრობის სახელწოდება შეჰფერის — **„სიტყვები“**, ჰამლეტური ასოციაციით, თავს რომ იტყვენ მკვლევარები და ვერა და ვერ ამოუხსნიათ, თუ რას გულისხმობს მისი პასუხი პოლონიუსის შეკითხვაზე: რას კითხულობო? — სიტყვებს, სიტყვებს, სიტყვებს... გარეგნული „ხორკლიანობის“ მიუხედავად ეს მხატვრული სამყარო საკმაოდ დახვეწილია, ისევე, როგორც ასეთივე ყაიდის სხვა თხზულებანიც: **ირაკლი ლომოურისა** თუ **ბესო ხვედელიძის** მოთხრობები ანდა ეს რომანები — **მიხეილ ანთაძის „სტრატეგია“** თუ **თამარი ფხაკაძის „CV“**, ყველა თავთავისებურად რომ წარმოსახავს ყოფითობისა და ფანტასმაგორიის უცნაურ გადაკვეთას და თითქოსდა ბანალური ამბები ნამდვილი ლიტერატურის რანგში აჰყავთ.

თამამი სტილური ძიებანი, ექსცენტრიკა თუ ექსტრავაგანტიზმიც ჩვეულებრივი მოვლენაა ჩვენი სამწერლო ცხოვრებისათვის და პოსტმოდერნიც საკმაოდ გაშინაურებული, ამ მხრივ ამჯერად **ნიკოლოზ ჩუბინიძის** მოთხრობები უნდა დასახელდეს, **„უგემური საკითხავი“** რომ აერთიანებს და უკიდურესად დეტალიზებული, ნატურალისტური შტრიხებით გადავსებული თხრობა ხელშესახებად, შეუფერადებლად აჩენს საყრდენგამოცლილ, წუთისოფელში დაკარგულ ადამიანთა მწარე განცდებს და იმ უპერსპექტივობის შეგრძნებას, სულაც აბსურდის მსოფლგანცდას რომ უახლოვდება. ამ მწერლის გამორჩევა მისი

ბიოგრაფიის იმ უცნაურობამაც განაპირობა, თითქმის მეოთხედი საუკუნის წინათ შემდგარი მისი ლიტერატურული დებიუტი მხოლოდ ამ ორიოდ წლის წინათ რომ განახლდა და ერთბაშად ჩამოყალიბებულ პროზაიკოსად წარმოგვა.

პერსონაჟთა უმიზნო ბორიალი, სულიერი გვემა და აქეთ-იქით მიმონყდომა კიდევ არაერთი ავტორისთვისაა ნიშანდობლივი, თუმც ეს ყოველივე წლების წინათაა შექმნილი და ბოლო ხანის ჩარჩოში ვერ მოთავსდება ანდა არ არის იმ მხატვრული ძალის, მათი მოხმობა ღირდეს. გამო-ნაკლისნი კი ამ მხრივ დავით ქართველიშვილი, გურამ მეგრელიშვილი და ნინო სადღობელაშვილი არიან, რომელთა რომანებიც და მოთხრობებიც ფსიქოლოგიური სიღრმით იკვლევს რწმენის მაძიებელ ადამიანთა ბუნებას, მათ შინაგან ჭიდილს, რათა ღმერთს მოკლებულ გარემოშიც შესაძლებელი იყოს ჭეშმარიტი სულიერებისაკენ სწრაფვა, მასთან ზიარება და საკუთარი სახის პოვნა.

ნუ გამოგვრჩება ორი გამორჩეული დებიუტი: ნათია მეგრელიშვილის წარმატებული მცდელობა პირდაპირ რომანის უანრში („+5“), თანადროული პროზისათვის ნიშანდობლივი დოკუმენტური ფონით, და ეკატერინე ტოგონიძის მოთხრობები, სტილურად ორი განსხვავებული მოვლენა, რომელთაც ანათესავებთ ფსიქოლოგიისაკენ სწრაფვა და დაუცხრომლობა რეალობის ბნელ შრეთა გასაშოშვლებლად. ამ თვალსაზრისით მოთხრობების კრებულის საერთო სახელწოდება „ანესთეზია“ თავისებურ სიმბოლურ მნიშვნელობასაც იძენს და ამ მხატვრულ ძიებათა შინაგან საყრდენად, გამჭოლ იდეად გვევლინება.

\* \* \*

ლიტერატურის მდინარებას თავისი შინაგანი კანონები რომ არ წარმართავდესო...

პოლიტიკური სინამდვილე რომ განსაზღვრავდეს მის მდინარებას, მაშინ ხომ ბოლო ოცნლეულის ქართული მწერლობა ქაოტური იქნებოდა თავისი ბუნებით და მართლდენ შორეული გავლენებით ნასაზრდოები, თვითმყოფადობა ოდნავ ელფერად რომ შეემჩნეოდა... და არა იმ შთამბეჭდაობის, მის ამღვრეულ მდინარებაში ძალდაუტანებლად რომ გამოირჩევა არაერთი სახელი, თვალსაჩინოებისათვის ამ ზედაპირული გადახედვისას ერთი ნაწილი რომ გამოცალკედა ამა თუ იმ მიდრეკილების დასტურად.

და კიდევ —

დასტურად იმისა, რომ ჩვენი ამჟამინდელი ლიტერატურა თავისი შინაგანი ღირსებებით დასავლური მწერლობის ნაწილია, და თუ ჯერჯერობით ეს მხოლოდ ჩვენ ვუნწყით, ხვალ თუ ზეგ იმათთვისაც უნდა გათვალსაჩინოვდეს და იმ წრეშიც მოხვდეს არა პროვინციულ, პერიფერიულ ნაწილად, მოწყალებით რომ შეივრდომებენ, არამედ ევროპულ-ამერიკული ლიტერატურული მდინარების უშუალო მონაწილე და დიდი ძვრებისა და გარდატეხათა შუაგულში მყოფად.

თუმც... ხვალემ იკითხოს ხვალისა!..  
დღესდღეობით კი... ჯერჯერობით...

\* \* \*

ლიტერატურის მდინარებას თავისი შინაგანი კანონები რომ არ წარმართავდესო...

მარინე ტურავა

# განუხმობელი ხასიათების სამყაროში

ჩვენი ლიტერატურული პროცესი სულ უფრო ანგრევს სტერეოტიპებს, საუკუნეებით გამყარებულს. მათ შორის იმასაც, რომ პროზას ცხოვრებისეული გამოცდილება, ასაკი, გამანძილების უნარი სჭირდება. ამის მაგალითია ეკა ტოგონიძის საინტერესო დებიუტი, „ჩვენი მწერლობის“ მარტის ნომერში (6) დაბეჭდილი ნინო ნიკლაურის „სამი ნოველა“. ბუნებრივია, მაშინათვე რევაზ ინანიშვილის „სამი ნოველა“ გახსენდება, სამი განსხვავებული სათქმელი და დიდი მწერლისათვის დამახასიათებელი ოსტატობით.

ნინო ნიკლაურს აინტერესებს ცხოვრების ფსკერზე მოქცეული ადამიანები, რომლებიც არაფრით გამოირჩევიან, ჩვეულებრივ, მძიმედ მიუყვებიან წუთისოფლის სავალს და თავის უმნიშვნელო კვალს ტოვებენ ან ვერც ტოვებენ. ასეთი ადამიანები მრავლად არიან ჩვენ გარშემო, მაგრამ მათ დანახვას ნიჭი, განსხვავებული ხედვა სჭირდება. ახალგაზრდა მწერლის ამგვარი ინტერესი უკვე გამორჩეული და ყურადსაღებია. არსად არ არის ირონია, დაცინვა, არის მხოლოდ გულწრფელი სიცილი და ხატვა, ღრმად, საინტერესოდ, მომწუსხველად. თითოეული პერსონაჟი — მთავარი თუ არამთავარი — საინტერესო, ჩამოყალიბებული ხასიათის მქონეა, ყველას თავისი ინდივიდუალობა აქვს, ერთადერთი, განუუმეორებელი.

„ვაკლებში“ სამი ამგვარი ხასიათია: პათოლოგი ქმარი, რომელიც ყოველი სიმთვრალისას სკანდალს აწყობს, მისი სახელი ცოლმაც კი არ იცის ზუსტად. არსენა, ჯაბა თუ არკადი იმ კაცების რიცხვს მიეკუთვნება, სიფხიზლეში ჭიანჭველასაც რომ არ დააბიჯებენ, მაგრამ სიმთვრალეში დაგროვილ ბოლმას ერთი-ორად ანთხევენ. ცოლი, რომელიც ჯერ პოლიციელებს იძახებს, შემდეგ კი თავგამოდებული იცავს ქმარს მათი ტყვეობიდან, გამხდარი როზა, დედასა და ქმარს შორის რომ იჭყლიტება, ნაცემი, გაუბედურებული სიდედრი, რომლის სომეხ დედასაც არაერთხელ ახსენებს სიძე.

ნინო ნიკლაურისთვის არ არსებობს ტაბუდადებული ან საშიში თემები, რადგანაც მისი დამკვეთი თვით ცხოვრებაა, მწერალი არსად არ აფასებს, მხოლოდ გვიყვება და ამას ბუნებრივად, ოსტატურად აკეთებს. ნოველაში არის ყველასთვის მოულოდნელი აკორდი — ამ ორომტრიალში, გინებაში, საქმის გარჩევაში, მთვრალი ქმრის მიმართ გამოვლენილი სიყვარული — ბოთლით მოტანილი წყალი და თითქოს უადგილო — გენაცვალე, რაც ყველაზე მეტად ამჟღავნებს როზას ხასიათს. ის ჩვეულებრივი ქალია, რომელსაც ეს ლოთი-შფოთი ქმარიც ქვეყანას ურჩევნია.

და სულ ბოლო აკორდი — უკვე ნაკლებად მოულოდნელი — ერთი კვირის შემდეგ მთელი ოჯახი — სიდედრი, როზა და არსენა, ჯაბა თუ არკადი დახუნძლული ურიკით ვაკის პარკისკენ სავაჭროდ მიდიან, ერთად, შეხმატკბილებულად. კაცი „გვერდზე გადავა, სიგარეტს მოუკიდა, როზამ ერთი კანფეტი გაფცქვნა, პირში შეიგდო, ქმართან მივიდა, წინ დაუდგა, შეჭლიმა. კაცი სერიოზული იყო. როზა დროდადრო უსწორებდა მაისურს, ლილებს უნვალებდა და თვლებში შესციცინებდა.“

ისინი არ გვანან ვაკელებს, მათთვის უცხოა პრესტიჟული უბნის სნობიზმი, როცა საჭიროა, ხმამაღლა ჩხუბობენ, არაფრად დაგიდევენ მეზობლებისა და პოლიციის შეყრას, მაგრამ სხვა დროს ასე ჩვეულებრივად იქცევიან, ისინი არ არიან ჩვეულებრივი ვაკელები, მაგრამ ამ უბნის სახეს, კოლორიტს სხვებთან ერთად ქმნიან, აყალიბებენ, ძერწავენ.

„გრინფისში“ ყველა პერსონაჟი თუ დეტალი გელას ხასიათის გახსნას ემსახურება, ყველაფერი მის ირგვლივ ტრიალებს. „შვიდასოცი გრამი დაიბადა გელა და ღუმელთან, ფეხსაცმლის ყუთში გაზარდეს“. ასე უცნაურად დაიწყო მისი ცხოვრება და უცნაურადვე გაგრძელდა. მამა თავის ახირებას შეენირა, დიდი ხნის ნალოლიავები ბალი აზვირთებულმა მდინარემ ერთიანად წაღეკა. „საძირკველს ნუ უთხრი მთებს! თავს ველარ შეიკავებენ და ჩამოცვივდებიან!“ — ბრაზობდა გელა. კაცმა ცხოვრების ინტერესი დაკარგა და გაოხრებულ ბაღს თვითონაც მიჰყვა, მალე გელას დედაც მოკვდა. გელამ ცოლი შეერთო, თითქოს დაიწყო თავისი ცხოვრება, მაგრამ ახლა ძმის ახირებამ შეაშინა — მან სახლის ქვეშ ერთი ციცქნა, დაბალჭერიანი სარდაფის ადგილას სამზარეულო ოთახის გაკეთება გადაწყვიტა. „საცაა მინას გახვრიტავ, ჩავარდები და სახლსაც თან ჩაიყოლებ“, უმეორებდა გელა ძმას. მინის გათხელება ერთგვარ ფობიად ექცა, ხან ცოლს სცემდა, ხან ბავშვებს, ბოლოს კი საერთოდ დაკარგა საღი განსჯის უნარი. თითქოს ყველაფერი ჰქონდა ბედნიერი თუ არა, ნორმალური ცხოვრებისათვის: ოჯახი, სიყვარული, შვილები, მაგრამ დაამთავრა როგორც ბოგანომ, მიუსაფარმა, სულით ავადმყოფმა, თითქოს თავიდანვე ცხოვრების არასაკმარისი ნება, სურვილი თუ უნარი



ნინო ნიკლაური

ერგო... თითქოს ყველაფერი ახალი აშინებდა, თრგუნავდა, წვეთ-წვეთად კლავდა. ამ ნოველაშიც ნაკლებად არის ანალიზი, რეფლექსირება, მწირი მონასმით, რამდენიმე დეტალით, შტრიხით მკითხველმა თვითონ უნდა გაიკვლიოს გზა, მიხვდეს მწერლის ჩანაფიქრს. ლიტერატურულ პარალელთა მოხმობის სურვილიც ნაკლებად გიჩნდება, რაც ახალგაზრდა მწერლის მხატვრული სამყაროს განსაკუთრებულობით არის გამოწვეული.

ბოლო ნოველას „ყოფა“ ჰქვია. აქ მთავარი პერსონაჟი ნათელაა, თავისი თვითმყოფადი და გამორჩეული, მტკიცე ხასიათით, ასეთები ალბათ ბლომად არიან ჩვენ გარშემო, მაგრამ მათ დანახვასაც მწერლის მახვილი მზერა სჭირდება. „დაბალი, ლოყანითელა ქალი იყო ნათელა და არ იცოდა, მის მიერ დამყარებულ წესრიგს მატრიარქატი რომ ერქვა. არც ის იცოდა, მატრიარქატი მრავალი საუკუნის წინათ რომ შეცვლილიყო მატრიარქატი. ამ გაუგებრობის გამო საცოდავ დღეში იყო ბეჟანა.“ ბეჟანა ნათელას ქმარია — მორჩილი, შეშინებული, ცოლის ყურმოჭრილი მონა. აქაც პერსონაჟთა ხატვისას ნინო ნიკლაური მათ გარეგნობასაც უსვამს ხაზს, ოღონდ მინიმუმით, სიფრთხილით. თითქოს მხოლოდ ეს აკავშირებს რეზო ინანიშვილის ზემოხსენებულ ნაწარმოებთან, ოღონდ იქ, მინიმუმით კი არა, მწირი კი არა, კალმის

მსხვილი მონასმით არის დახატული თუნდაც სკოლის დარაჯის იმგვარი პორტრეტი, რომ იგი გამოკვეთილად, აშკარად გიდგება თვალწინ და არასოდეს გავიწყდება.

ნინო ნიკლაური ამ მხრივაც მეტ თავისუფლებას აძლევს მკითხველს, მის წარმოსახვას ენდობა. ნათელას მთელი ცხოვრება გაველის ჩვენ თვალწინ დაქორწინებიდან სიკვდილამდე — სულ რამდენიმე გვერდში ეტევა მისი ყოფა, დანოკებული მეზობლები, სიფიცხე, ქმრის დაჩაგვრის, მერე კი მოვლის უნარი, ქმარ-შვილთან ურთიერთობა, პატარ-პატარა სიხარულები. „ყველანაირი საჩუქარი ბედნიერს ხდიდა — ლეღვი, ნაყინი თუ ტოტიანი მოჩითული ქვედა საცვალი“, მაგრამ ყველაფერს თეთრი ბალი და „ყარაყუმი“ ერჩია. ცხოვრობდა ისე, როგორც სწორად მიაჩნდა, დიდი ფიქრის გარეშე, ინსტინქტებს მიწოდებული, თავისი წილი ნუთისოფელიც გალია, შვილიც დატოვა და საფლავიც — „სასაფლაოზე, ბალახიდან თავი ამოეყოთ შავ მარმარილოს ქვაზე დახატულ ბეჟანას და ნათელას. ილიმოდა ბეჟანა, როგორც მაშინ, ოთხ გოგოს ხელკავით რომ მიჰყავდა. ნათელასაც ისე გაბადროდა სახე, თითქოს ვილაცამ მთელი ყუთი „ყარაყუმი“ მიათვალო. იქვე, მზის სხივებისაგან გახურებულ ქვაზე, ცივ სისხლს ითბობდა მწვანე ხვლიკი“. პატარა ადამიანები იყვნენ და პატარა ტკივილ-სიხარული ნაიღეს იმქვეყნად. თუმცა მწერლის მახვილ მზერას არ გამოჩინენ, აქ, ლიტერატურულ სამყაროში გააგრძელეს თავიანთი ყოფა.

სასაფლაოზე მოკალათებული ხვლიკიც, კალიებიც და შავი კნუტებიც იმიტომ უყვარს ავტორს, რომ ამითაც ცხოვრების ჩვეულ, ყოველდღიურ მდინარებას ხატავს, ძერწავს. თითქოს ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე, მშვიდად, აუღელვებლად შევყავართ განუმეორებელ ხასიათების სამყაროში. ენაც, მხატვრული ფაქტურაც ასეთი აქვს — არაფერი ზედმეტი, არსად სამკაული ან აქსესუარი, ყველაფერი ნათლად, გასაგებად, სადად, მარტივადაც.

ნინო ნიკლაურის მოთხრობებში მეტ „დამაინტერესა უცნაური, თითქოს პარადოქსული ბედისა და ხასიათის ადამიანების ხატვამ... და საინტერესოდ მომჩვენა, რომ ამ ცალკეულ თითქოს უცნაური, საცოდავი, მარტივი, თავისი ჭკუით ზოგი ბედნიერისა და ზოგი უბედური არსებების ერთობლიობაში თვალის გადავლება გაჩვენებს, რომ ესაა ხალხი, ჩვეულებრივი, უბრალო ხალხი მასში და ამ მასიდან ნებისმიერის ცალკე გამოყოფა და განხილვა ასეთ მოულოდნელად პარადოქსულ სახეებს დაგვანახებს“ (ვაჟა გიგაშვილი).

ძალიან ძნელია პირველსავე მოთხრობებში იპოვო საკუთარი სათქმელი და ხმა, შექმნა „მოულოდნელი, პარადოქსული“ სახეები. ნინო ნიკლაურმა ეს ნამდვილად მოახერხა. ახლა მას უფრო რთული ამოცანა ელის — უნდა დაამტკიცოს, რომ ეს შემთხვევითობა არ არის და მეტის გაკეთებაც შეუძლია. დარწმუნებული ვარ, ამას ჩუმად, უხმაუროდ, ბუნებრივად, რამდენიმე მონასმით, სიტყვისა და არა სათქმელის ეკონომიით არაერთხელ გააკეთებს.

თამარ ადამია

## ორსახოვანი ერთიანობა

**ჯემალ აჯიაშვილი** ის შემოქმედია, რომელმაც ორი სამშობლო გააერთიანა და ორივეს სასოებითა და უდიდესი პატივისცემით, სიყვარულით ემსახურება. სწორედ ამ უაღრესად საინტერესო პოეტისა და მთარგმნელის შემოქმედების საღამო გაემართათ საპატრიარქოსთან არსებულ სამების ახალგაზრდულ ცენტრში.

ლონისძიებს უძღვებოდა პოეტი **ერეკლე საღლიანი**. მისი თქმით, შესანიშნავ, წმინდა ადგილას ვხვდებით ადამიანს, დიდ შემოქმედს, რომელიც ქართულ კულტურას ემსახურება და რომელმაც უმდიდრესი სულიერი სამყაროს შექმნით შორეულ წარსულთან მიგვაახლოვა. ჯემალ აჯიაშვილი არის დიდი ქართველი ჰაგიოგრაფების პირდაპირი მემკვიდრე. მან მოიტანა ის სურნელი, ძველ სულიერ ენას რომ ახლავს. ათასწლეულების წინათ შეიქმნა მსოფლიოში უნიკალური ფენომენი — ქართველი ებრაელი, რომელსაც არ გააჩნია ანალოგი და ამის მიზეზი უძველესი ბიბლიური და ქართული ტრადიციების შერწყმაა. ისტორია არ არის მშრალ ციფრთა გროვა. ისტორია არის ცოცხალი განცდა და ადამიანმა ცოცხლად თუ არ განიცადა ისტორია, ასეთი წარსული, რაგინდ დიდებული იყოს, მკვდარია. ჯემალ აჯიაშვილი არის ხიდი ამ ორ კულტურას შორის და ჩვენი ვალია გავუფრთხილდეთ და მოვეუაროთ მის დიდ შემოქმედებას. სიტყვის დასასრულს ბატონმა ერეკლემ ჩოხოსან ბიჭუნათა და ასევე ანსამბლ „რუსთავის“ ახალგაზრდული გუნდის ხელმძღვანელი **გიორგი ბუგინიშვილი** მოიწვია. ნითელი ჩოხებით დამშვენებული ყმანვილები „ალილოთი“ და „მრავალჯამიერი“ შეეგებნენ ბატონ ჯემალს. უკვდავმა ქართულმა სიმღერამ სულ სხვაგვარი მადლი მოჰფინა საზოგადოებას. კვლავ ბატონმა ერეკლემ მიმართა დარბაზს და გაიხსენა ჯემალ აჯიაშვილის შემოქმედებასთან თავისი პირველი შეხვედრა და განსაკუთრებული შთაბეჭდილებები. მაშინ ნაუკითხავს ეგვიპტური პოეზიიდან თარგმანი, რომელშიც იგრძნობოდა და ჩანდა ძალა და მადლი ქართული სიტყვისა. შემდეგ ამას მოჰყვა შუასაუკუნეების ებრაული პოეზია ესპანეთში მოღვაწე დიდი პოეტებისა. ცხადია, ავტორი როგორც ნაიკითხავს, ისე ვერცერთი ჩვენგანი ვერ ნაიკითხავს მათ იმ გულითა და ხიბლით, იმიტომ, რომ მას უკვე სისხლით მოაქვს ჩვენამდე ლექსი, რომელსაც მართლაც რომ ყველაფერი შესწირა.

ბატონმა ერეკლემ მიკროფონი ბატონ ჯემალს გადასცა, რათა მას ნაეკითხა არაჩვეულებრივი თარგმანები ებრაული პოეზიისა. ბატონი ჯემალმა ასეთი რამ გაიხსენა: საბჭოური პერიოდის მიწურულს როგორ „გაპარულა“ რეიგანის ნათქვამი: ჩვენ ამჯერად ვზეიმობთ ჰანუკას და შობას, მაგრამ ერთიც და მეორეც უნივერსალური ხასიათისა გახლავთ და ორივე სულიერების დიდი დღესასწაულიაო. დღეს, ახლა ჩვენ ვიმყოფებით სულიერების დიდ ტაძარში და პოეზიაც, პირველ რიგში, არის სულიერებასთან წილნაყარი. ბიბლიის პასაჟების შემდეგ ბატონმა ჯემალმა ფსალმუნის ახლებუ-

რი თარგმანი წაიკითხა — 30 ფსალმუნი, „სიმღერა სახლის განახლებისა, ანუ სიმღერა ტაძრის განახლებისა“. ამას მოჰყვა მოშე იბნ ეზრას „ჟამთა საგალობელი“.

აღსანიშნავია, რომ მკვლევართა ერთი ნაწილის ვარაუდით, რუსთაველს მოხსენებული ჰყავს სწორედ ეს პოეტი, როგორც ბრძენი ეზროს.

შემდეგი გამომსვლელი პოეტი **ჯანსუღ ჩარკვიანი** გახლდათ, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს საღამო მართლაც ამ წმინდა ადგილას უნდა გამართულიყო. ბატონმა ჯანსუღმა გაიხსენა: „ამ 30 წლის წინათ ისრაელში ერთ-ერთ საქვეყნოდ ცნობილ მუზეუმში ებრაელ გენიოსთა სურათები ვნახე გამოფენილი. ისინი ბევრნი არიან, მაგრამ მე მხოლოდ სამს ვიტყვი: ჩარლი ჩაპლინი, ჰაინრიხ ჰაინე და ალბერტ აინშტაინი. როცა დავრწმუნდი, რომ მსოფლიოში გენიოსთა რაოდენობის 80 % თურმე ებრაელთა ჯიშისაა, მაშინვე გავიფიქრე, თუმცა გვიან ვთქვი: მსოფლიოში ვის რა ელის, არის ნება ისრაელის“. შემდეგ მან ბატონ ჯემალს მიმართა: „ახლა შენ მოგმართავ, სულით ქართველო პოეტო და ებრაელთა დიდო შთამომავალო! რაც შენ საქართველოსთვის გაგიკეთებია, საკმარისია, რომ ჩვენს ქვეყანას ძალიან უყვარდე. კვლავ ამღერდება შემოქმედის ლალი ოცნება, ისევე ჩამოქნის რუსთაველი თავის სტრიქონებს და დაილოცე, რომ ასეთ ლექსებს თვითონაც ქმნიდი.“ სიტყვის ბოლოს ბატონმა ჯანსუღმა მადლობა გადაუხადა ჯემალ აჯიაშვილს იმისათვის, რომ ისინი მეგობრები არიან.

სიტყვით გამოვიდა **თემურ ქორიძე** — ცნობილი ლიტერატორი და პოლიტოლოგი, რომელმაც ბრძანა: როდესაც ბატონი ჯემალი კითხულობდა არაჩვეულებრივ თარგმანებს, გრძნობა იყო თითქოს ამგვარი: თვით ავტორებს რომ სდომებოდათ, ქართულ ენაზე ამეტყველებინათ თავიანთი პოეზია, ალბათ, სწორედ ისეთნაირად დანერდნენ, როგორც თარგმნა ჯემალ აჯიაშვილმა. მის მიერ მოთხრობილია ებრაელთა საოცარი ტრაგიკული ამბები, მაგრამ მოთხრობილია ჩვენთვის, ქართველებისთვის. ისინი ორი ათასი წლის ტრაგედიას დასტორდნენ და გააგრძელეს გოდება დანგრეული იერუსალიმის გამო, და როდესაც ბატონი ჯემალი ამას გვიწერდა, გვიწერდა ჩვენ, იმიტომ, რომ საკუთარი ორასი წლის წინანდელი გოდებაც კი დავივიწყეთ. დავივიწყეთ ისიც, რასაც დავით გურამიშვილი წერდა: „გული ღონდება, ვინყო გოდება: ვაი, სანუთო, ცრუო სოფელო, ბორგანა-ბოდენა, რაც მაგონდება... რად მშვა დედამან, შავმა ბედამან...“ აი, ამის შესახებ უნდა გვიწერდა ბატონი ჯემალი და დიდი ებრაელების მღელვარე ისტორიიდან გვახსენებდა მწარე სინამდვილეს იმიტომ, რომ ჩვენსავე სულსა და ისტორიაში ჩაგვეხედა. ჩვენ არ გვაქვს გოდების კედელი, მაგრამ არანაკლები გოდება საქართველოში. ჰაინე წერდა, რომ ებრაელმა ხალხმა, როდესაც დადგა მძიმე ჟამი და უნდა დასდგომოდა რთულ გზას ალთქმული ქვეყნისკენ, შექმნა „ჯიბის სამშობლო“ — რჯულის კანონი, რომელიც მთელმა ერმა ატარა აგულით. ისინი მიმოიფანტნენ დედამიწის ყველა კუთხეში, მაგრამ სადაც უნდა ყოფილიყვნენ, თან დაჰქონდათ თავიანთი ისრაელი და ამან გაამარჯვებინა ამ ხალხს. უნდა ვისწავლოთ გამარჯვება; ტანჯვის გზით ამალდება; ჩვენ უნდა ვისწავლოთ გამარჯვება ამ დიდი ერისგან. ბატონი ჯემალის ფენომენი მკითხველისთვის განასახიერებს იმ საოცრებას, რომ თუკი ორი კულტურა შეერწყმის ერთმანეთს, ერთი საერთო წარმოიშობა. ბატონი ჯემალის ნიჭიერება გვაჩვენებს, რომ ორი ენა კი არ არსებობს

ერთ სულსა და ერთ ხორცში ჩასახლებული, არამედ დიდი პოეტი არსებობს და მეორეც, ის ენა არსებობს, ის საოცარი არქაიზებული ენა, რომელიც ზედმინეწით შეესაბამება ჩვენი ძველი პოეტების — რუსთველის, გურამიშვილის ენას. სხვა ენაზე ამ ლექსების თარგმანა შეუძლებელი იყო; სხვა ენაზე ამ ემოციების, განცდის წარმოსახვა არც შეიძლებოდა. ისე, როგორც „ვისრამიანზე“ ვერ იტყვი, რომ ის არ არის ქართული ფენომენი, ისე ბატონი ჯემალის თარგმანებზე ვერ იტყვი, რომ ქართული მოვლენა არ არისო. თითოეულ სიტყვას იქ აქვს თავისი ფუძე, თითოეულ სტრიქონს იქ აქვს თავისი მუსიკა, თითოეულ ფიქრს იქ აქვს თავისი განუმეორებელი სევდა და თითოეულ აზრს იქ აქვს განსაკუთრებული სიბრძნე, რომელიც ერთხელ კიდევ გვარწმუნებს, რომ „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი“.

**ერეკლე სალიანმა** წაიკითხა თარგმანიდან ნაწყვეტი და თავის მხრივ ჯემალ აჯიაშვილის ფენომენს ორსახოვანი ერთიანობა უწოდა.

ანსამბლმა **„ალილომ“ ზურაბ დათიკაშვილის** ხელმძღვანელობით შეასრულა „მრავალჟამიერი“, რომელმაც სალამოს ლაზათი შემატა, ორი უძველესი სამყარო კიდევ უფრო შეკრა და ერთ მთლიანობად აქცია.

მსახიობმა **ელდინო სალარაძემ** წაიკითხა იეჰუდა ჰალევის „გამოცხადების სავედრებელი“. მთარგმნელმა, აღმოსავლეთმცოდნემ, პოეტმა **გივი შაჰნაზარმა** განაცხადა, რომ ბატონი ჯემალი არის ადამიანი რომელიც სრულიად საქართველოში და არა მხოლოდ საქართველოში, ყველგან, შემოქმედთა ოჯახის ღირსეული წევრია ძლიერი და ბრწყინვალე ქართული სიტყვით. გასაოცარია, რა პასუხისმგებლობით ეკიდება ამ დიდებული ქართულის ავტორი და რა დაუნჯებითა და რა გულით ქმნის ღრმა პოეზიას. ამიტომ ვერც ვგრძნობთ, რომ ეს ტექსტი არის თარგმნილი. **ვილი გრიგორიანმა** შეასრულა ებრაული სიმღერა, რომლითაც ეს ერთობა უფრო მჭიდრო კავშირად იქცა — ქართულს შერწყმული ებრაული კულტურა თანაზიარი გამხდარიყო.

სპორტის კომენტატორმა **ჯამლეთ ხუხაშვილმა** ჯემალ აჯიაშვილს ყველა დროის საუკეთესო პიროვნება უწოდა. მისი თქმით, ჯემალს აქვს მიზიდულობის ძალა, რომლითაც ყველა აქ დამსწრე მიგვიზიდა. ის არის ერთ-ერთ შესანიშნავი ადამიანი და მთარგმნელი, ერთ-ერთი შესანიშნავი მწერალი, ერთ-ერთი საუკეთესო დიპლომატი, მეგობარი, მეზობელი, ახლობელი, ერთ-ერთი და არა ერთადერთი, რადგანაც ერს არ სძინავს.

ამ ღირსშესანიშნავ სალამოზე დარბაზში **უნმინდესი და უნეტარესი ილია მეორე** შემობრძანდა. ჭაბუკთა ანსამბლი მას მისივე გალობით შეეგება. ბატონმა ჯემალმა ძველი ქართული ენის სურნელება კვლავ დაატრიალა. მსახიობმა **დიმა ჯაიანმა** წაიკითხა ლექსი. შემდეგ საზოგადოებას უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრი-

არქმა მიმართა სიტყვით. **ილია მეორემ** ბრძანა: „ბატონი ჯემალი ეკუთვნის ორ ერსა და ორ ქვეყანას, ისრაელსა და საქართველოს და, რომ იგი დიდი თავყვანისმცემელი არის ებრაელებისა, რადგანაც პირველი ჭეშმარიტი რწმენა, ერთი ღმერთის აღიარება, ებრაელებმა ჩამოიტანეს საქართველოში ქრისტიანობამდე 600 წლის წინათ და ჩამოიტანეს უდიდესი სინმინდე. ასე რომ, ჩვენ ვალში ვარ ერთმანეთთან. მოხუცებული ებრაელის გამონათქვამია: თუ შენ დაკარგე ქონება, ფული — არაფერი დაგიკარგავს; თუ შენ დაკარგე ჯანმრთელობა, შენ შეიძლება კიდევ ცოცხალი დარჩე და, თუ შენ დაკარგე მადლი ღვთისა, შენ ყველაფერი დაკარგული გაქვს. შევეცადოთ არ დაგვკარგოთ მადლი ღვთისა! ღმერთმა დალოცოს ჩვენი სულიერი შვილი ჯემალ აჯიაშვილი!“

**„ალილოს“** ბიჭებმა პატრიარქი „მრავალჟამიერი“ გააცილეს და კიდევ ერთი სიმღერა შეასრულეს — „მეგრული საგალობელი“.

ლიტერატორმა **გიორგი გაჩეჩილაძემ** ისაუბრა ქართულ-ებრაულ მეგობრობასა და ჯემალ აჯიაშვილის უდიდეს ღვაწლზე. ყურადღება გაამახვილა პოეტის ლექსების ჟღერადობაზე და ჯემალ აჯიაშვილის ლექსებსა და თარგმანებს ქართული ენის დღესასწაული უწოდა. მხატვარი და მწერალი **რეზო ადამია** ისაუბრობდა მსოფლიოში მიმოფანტულ უდიდეს ებრაელ მხატვრებზე, რომელთაც აღტაცებაში მოჰყავთ ყველსა ცოცხალი თავიანთი შემოქმედებით ყველა. მან აღნიშნა, რომ პირველ რიგში ჩვენ, ჯემალ აჯიაშვილის თანამედროვეებმა უნდა ვთქვათ, რომ ის დიდი შემოქმედია. ჟურნალისტმა **პაატა ნაცვლიშვილმა** მადლობა გადა-



ჯემალ აჯიაშვილი

უხადა ამ ახალგაზრდულ ცენტრს, სადაც პატრიარქის ლაცვა-კურთხევით ასეთი საღამოები იმართება და იქვე დასძინა: სამწუხაროდ, ჩვენი საზოგადოება ჯგუფებად არის დაყოფილი და ერთის სიხარული მეორისა არ არის და, კიდევ უფრო ცუდი, ჩვენ ხანდახან უფრო მეტ პატივს ვცემთ ნიგნზე დანერილ სახელსა და გვარს, ვიდრე ცოცხალ ადამიანს. ჯემალ აჯიაშვილმა ნებისმიერ მეტყველების ნაწილს მოქმედების უნარი, სიცოცხლე მიანიჭა... ჯემალ აჯიაშვილს, მხოლოდ მთარგმნელს პირობითად თუ ვუწოდებთ, მის თარგმანებში ყველაფერი ცოცხლდება.

საქართველოს რადიოს თანამშრომელმა, **თინა ქუეიამ** გაიხსენა ბატონი ჯემალის რადიოში მიბრძანება და მისი გაცნობა... თითქოს წინასწარმეტყველება იყო — წინა ღამეს სიზმარში წერილის მიღება ისრაელიდან.

დაბოლოს, ჯემალ აჯიაშვილმა თავისი ლექსებითა და სონეტებით საზოგადოება კვლავ მაღალი პოეზიის სამყაროში ამოგზავრა.

დარბაზში მყოფთ საღამო არ ეთმობოდათ. დასასრულ, მთარგმნელმა და პოეტმა **ელგუჯა ლებანიძემ** მადლობა გადაუხადა ჯემალ აჯიაშვილს იმ შემოქმედებისთვის, რომელიც მარადიული ენერგიით ასხივებს.

თამარ სიღამონიძე

# ლექსის კაპრიზი

ხშირად, ხშირად არ მომწყურებია ასე — მეთქვა სათქმელი... სათქმელი საჭირო, თუმცა მოკრძალებული... „ჩვენი მწერლობის“ კითხვისას მისი ფურცლებიდან (2012, №5) ქალური სინაზით აღსავე ვერიკო ზამთარაძის სანდომიანმა სახემ შემომანათა. მართალია მისი არსება ნაზი და ქალური, მაგრამ სიტყვა კი, პოეტური სიტყვა მეტად რიხიანი და ვაჟკაცური... აბა, მიუგდე თუ ვიცი:

**დღეს საქართველო ციხე-კოშკიან ღვინოში ჩამბალ გულით ილოთებს...**

ან კიდევ:

**და აფხაზეთი ათლილი ხორცი მიხმობდა როგორც კალმასს ქვირითი...**



ვერიკო ზამთარაძე

ეს ამონარიდები ლექსიდანაა სახელწოდებით — „დღეს საქართველო“... თუმცა პოეტი სათქმელს წარსულიდან იწყებს, რომელიც ხშირად მისთვის მწუხრისფერი და ფერმკრთალია. იგი „თვალეზაბერილ ქუთუთოებით“ გაჰყურებს წარსულს, საიდანაც ჩვენი ტრაგიკული და გმირული ისტორიის უტყვი მონუმენტი მოსჩანს: ზარზმა, ხახული, ხანძთა, გელათი, იყალთო... მომავლის იმედად პოეტს ჯვარი და სვეტიცხოველი ესახება, გაფრენილი რუხი მტრედების ფერთან ასოცირდება ფერი დიდებულ ტაძართა... ეშორება პოეტს ეს მანძილი XXI საუკუნის გადასახედიდან — მანძილი რეალობიდან წარსულისაკენ... გნებავთ უკან მომავლისაკენ... წარსული ხომ მუდამ ჩვენშია ჩაკირული და მას ვერა-რა შეეხება თავისი მსახვრალი ხელით — ვერც აწმყო, ვერც მომავალი!

**მომიხმობს სოფლად ჩემი აკიდო და დაჯიჯგინილი მაინც ვარწივობ!**

უნებლიეთ ვაჟას „არწივი“ მახსენდება — უთანასწორო ძალებთან მორკინალი, მაგრამ მაინც სიამაყით სავსე. ჩვენი სისხლიანი წარსული დღესაც გვაფხიზლებს, მომავლის საიმედოდ კი ომახიანად აცხადებს პოეტი:

**თუმც არ მქონია ბედი მარტივი, თქვენს ჯიბრზე მაინც დავზრდი არწივებს!**

ვერიკო ზამთარაძე პოეტური სამყაროს კეთილი ფერი, იქ, სადაც უწესრიგობაა და ქაოსია, იგი ჯადოსნურ რითმებს იყენებს და ფერწერულ ჰარმონიას ქმნის:

დაგვიავადა მძიმედ ეპოქა,  
გრაფომანიის შეყრია სენი,  
ჩვენი მწერლობა კოსმოსს ეყოფა,  
მაგრამ ლექსებს კი არ შერჩათ ხსენიც.  
(„ყვიდი ნისიად“)

პოეტი ძალუმად გრძნობს ამქვეყნიური ამოებების სირთულეებს, მძაფრად განიცდის წარსულის ფესვებიდან მოგლეჯას:

**შემოგვეყარა ზნე უკურნელი, ეპოქალური თხრობით გაღეშოლთ.**

თუ ეს ყველაფერი მხოლოდ სენია, ანუ პოეტის თქმით, „ზნე უკურნელი“, იქნებ მაინც ეშველოს რამე, ეწამლოს, იქნებ ღია ჭრილობებს ძარღვიანი ქართული ლექსის არტაშანი დაედოს და ზედ ტკბილი ქართული მალამოდ წაეცხოს („**ნუ ამომიღბეთ ხსოვნის ჭიქაში, სამშობლო მხოლოდ ღვინო როდია...**“ „ახლა არ მინდა ბედზე ნუნუნნი, თუმც მარტოობა ბევრჯერ მინატრებს...“ „როცა ცხოვრების სცენამ დაამბადა, ისე მომარგო როლი, არ მკითხა...“

მართლაც რა ლაღად, მსუბუქად იკითხება და რა ტევადია პოეტის თითოეული ფრაზა...თითქოს მან თქვა, მაგრამ მას რომ არ ეთქვა, მე ვიტყვოდი უთუოდ, გავითავისე და მესათუთა მისი ტაეპები, მემშობლიურა რაღაც...

**აქაფებული ზღვების ხმაური ჩემი ქართული სიტყვით მიჭირავს.**  
(„დობის სურნელი“)

პოეტური ბუნების ადამიანისათვის ჭეშმარიტი პოეზია მშვენიერებასთან ზიარების ბედნიერი წუთებია...

**მზე შემოჭრილი ქარვის ფარდიდან, ლოგინში მითრევს როგორც ნაწალი.**

კითხულობ ლექსში „პოეტი კაცის ფიქრები“ და რწმუნდები, რომ ეს გულისგულიდან ამოსული სიტყვებია, ძარღვიანი ქართულით, უბრალოდ, ალაღად ნათქვამი: „**მომნატრებიხარ როგორც გვირილას ნაგაზაფხულარს ცხელი ივრის მზე, მოგონებებში მსტუმრობს ყვირილა, გაჯავრებული დედის ყვირილზე**“ („დობის სურნელი“).

საოცარია ლექსის კაპრიზი... რას არ გათქმევინებს, რას არ გაგახსენებს: „ჩამოეშალა ნაოჭი ხანძთას“, „ცაზე მოგვილი ღრუბლები ცოცხით, ახლა სიზმრები ამივსებს ფილტვებს“, „დაგიკრავთ ლექსებს, როგორც ობლის კვერს“, „მერე ფიქრების აყალმაყალი ახმაურდება ვით ჭიანური, უფლის კვართით დაფლეთილი სამშობლო“...

ხშირად, ხშირად არ მომწყურებია ასე — მეთქვა სათქმელი... ვერიკო ზამთარაძის ლექსებმა დროებით მომიკლა ეს წყურვილი...

1924 წელს დაარსებული ჟურნალის — „კავკასიონი“ — პირველივე ნომერში გამოქვეყნდა ლექსი პროზად „სირუმა“, თარგმნილი ირაკლი ტატიშვილის მიერ. როგორც როსტომ ჩხეიძე გამოთქვამს ვარაუდს ბიოგრაფიულ რომანში „ბაღი კავლი ინგოროშვასი“, რედაქტორს — კავლი ინგოროშვას — გადაწყვეტილი ჰქონდა თანდათანობით ეთარგმნინებინა ირაკლი ტატიშვილისათვის ედგარ პოს თხზულებანი, რომლებიც გამოჰყვებოდნენ ჟურნალის ახალ-ახალ ნომერებს.

ხელისუფლების მიერ „კავკასიონის“ აკრძალვის გამო ეს პროექტი ჩაიშლებოდა და რედაქტორს არქივში დარჩებოდა პოს მხოლოდ ერთი ნოველის „შაპი კატა“ ქართული ვერსია. მოგვიანებით ეთარგმნა მბალოზღიშვილმა მეცნიერულ ნარკვევში „ედგარ პოს ქართული თარგმანები“ („ლიტერატურული ძიებანი“, XVII) გულდასმით გაანალიზა ქართული „სირუმა“ და მიიჩნია ირაკლი ტატიშვილის მთარგმნელობითი ხელოვნების გამოვლინებად.

ამის მიუხედავად, ყოველთვის შეიძლება ახლიდან მოისინჯოს მისი თარგმანა, როგორც პოეტური ნიმუშისა პროზად. ამგვარი ცდები არამცთუ სასურველი, აუცილებელიცაა, რაშიც კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა გამომცემლობა „ინტელექტის“ მიერ წამოწყებულია ახალმა და ორიგინალურმა პროექტმა, რომელიც თავს უყრის ამა თუ იმ უცხოური პოეტური შედევრის სხვადასხვა ქართულ თარგმანს, იქნება ეს უილიამ შექსპირი, უოლტ უიტმენი, ზორის პასტირნაკი, მარინა ცვათაევა თუ სხვანი და სხვანი.

ედგარ პო

## სირუმა

— მისმინე, — თქვა დემონმა და თავზე ხელი გადამისვა; — მხარე, რომლის შესახებაც უნდა გიამბო, ერთი პირქუში ადგილია ლიბიაში, მდინარე ზაირის პირას. იქ არც სიმშვიდე სუფევს და არც სიჩუმე.

„მდინარის წყალს საფირონისფერი დაჰკრავს და მღვრიეა. ზღვისკენ კი არ მიედინება, მზის მენამული დისკოს ქვეშ შფოთავს და ღელავს. შლამიანი მდინარის ორივე მხარეს, რამდენიმე მილის მანძილზე წყლის მოთეთრო ღუმფარები გადაჭიმულან. ისინი ერთმანეთის მიყოლებით ოხრავენ ამ სიმარტოვეში, სუსტ და გრძელ კისრებს ზეცისკენ იწვიან და ყელყელობენ. მათი გაურკვეველი დუდუნი მინისქვეშა წყლის ჩუხჩუხს მოგვაგონებს და ოხრავენ ასე, ერთმანეთის მიყოლებით.

თუმცა მათ სამყაროსაც აქვს საზღვარი — ეს დაბურული, საშიში, გაუვალი ტყეა, სადაც, როგორც ტალღები ჰებრადის არქიპელაგის გარეშემო, ისე განუწყვეტლივ შრიალებს ბუჩქნარი. მაგრამ ზეცაში ქარი არ ქრის. მაღალი, ასწლოვანი ხეები ირხვიან და ჭრიალებენ. თვალუნვანელი კენწეროებიდან უკვდავების ცვარ-ნამი წკაპანკუპით სცვივათ. ქვევით, ფესვებთან კი უჯიშო, შხამიანი ყვავილები გართბმულან და თრთიან ამ მოსაწყენ მდუმარებაში. ზევით რუხი ღრუბლები დასავლეთისკენ მიექანებიან, ვიდრე ცეცხლოვან პორიზონტს ჩანჩქერით გადაეველებოდნენ. მაგრამ ზეცაში ქარი არ ქრის და ზაირის ნაპირებთან არც სიმშვიდე სუფევს და არც სიჩუმე.

დაღამებული იყო და ნაწვიმარი; წვიმდა, მაგრამ ძირს თითქოს სისხლად ჩამოდიოდა. მე კი, მაღალი ხეებით

გარშემორტყმული, ჭაობში ვიდექი და თავზე მანვიმდა — ხოლო ღუმფარები ერთმანეთის მიყოლებით ოხრავენ ამ მარტოობის დღესასწაულში.

„ამ დროს საზარელი ბურუსიდან მთვარე ამოცურდა და მენამული ფერი მიიღო. მე მდინარის პირას მდგარ,

მთვარის შუქით განათებულ, ვეებერთელა, რუხ კლდეს მივაპყარი თვალი. კლდე კი რუხი იყო, საზარელი, მაღალი — რუხი კლდე იყო. წინა მხარეს, ქვაზე ასოები იყო ამოკვეთილი და მე გავეშურე ღუმფარების გავლით, რომ ნაპირს მივახლოვებოდი და წამეკითხა, რა ეწერა ქვაზე. თუმცა ვერ შევძელი. უკან, ჭაობისკენ მივაბიჯებდი, როდესაც მთვარე განითლდა და მთელი სიმძლავრით გაანათა. მე მივბრუნდი და შევხედე კლდეზე ამოტვიფრულ ასოებს, რომლებმაც მითხრეს — მ ა რ ტ ო ბ ა .

ზევით ავიხედე. კლდეზე კაცი იდგა. თავი ღუმფარებს შევაფარე და ისე მოვკალათდი, რომ კარგად დამენახა, რას მოიმოქმედებდა. ტანმაღალი იყო, დიდებული იერის, მხრებიდან კოჭებამდე რომაული ტოგა ემოსა. სილუეტი ბუნდოვნად ჩანდა, მაგრამ ღვთაებრივი ნაკვთების პატრონი იყო, ღამის მუქი მანტის, ნისლის, მთვარისა და ცრემლების გამო მისი სახის ნაკვთები ამოუცნობად დარჩენილიყო. შუბლი შეჭმუხვნოდა, თვალები შმაგი წუხილით ავსებოდა, ნაოჭებში კი მისი სევდისა და მოწყენილობის, კაცობრიობის სიძულვილისა და განმარტოების წყურვილის ამბავი ამოვიკითხე.

კაცი კი კლდეზე იჯდა, თავი ხელზე დაეყრდნო და მარტოობას გადაჰყურებდა. შრიალა ხეებსა და მაღალ, ასწლოვან ხეებს ახედ-დახედა, უფრო ზევით, მოჩურჩულე ზეცისა და მენამული მთვარისკენაც აიხედა. მე კი ვინექი ღუმფარების თავშესაფარში და მის ქმედებებს ვაკვირდებოდი. კაცი თრთოდა ამ სიმარტოვეში, მაგრამ ღამე ილეოდა და ის ისევ კლდეზე იჯდა.



მხატვარი ბერდია არაბული

მან ზეცას თვალი მოსწყვიტა და ყურადღება მოღუშულ ზაირს, ყვითელ წყალსა და დუმფარების მკრთალ, ფერწასულ წყებას მიაპყრო. მათ კვნესასა და დუდუნს უსმენდა. ხოლო მე ვინეტი იქვე, ჩემს სამალავში და მის ქმედებებს ვაკვირდებოდი. ის კი თრთოდა ამ სიმარტოვეში, მაგრამ ღამე ილეოდა და ის ისევ კლდეზე იჯდა.

შემდეგ მე ხმამალა შევაჩვენე ჰაერი, ცეცხლი, მინა და წყალი და ზეცაში სამინელი გრივად ამოვარდა, სადაც ნიავიც კი არ იძროდა მანამდე. ცა გააფთრდა. კაცს წვიმის წვეთები ეცემოდა; მდინარე ადიდდა და აქაფდა, დუმფარები აცახცახდნენ, ტყე კი ქარიშხლის მოლოდინში აშრიალდა – ქარიშხალმა იმდღავა, მეხი გავარდა, კლდე ძირისძირობამდე შეირყა. მე კი ვინეტი იქვე, ჩემს სამალავში და კაცის ქმედებებს ვაკვირდებოდი. ის თრთოდა ამ სიმარტოვეში, მაგრამ ღამე ილეოდა და ის ისევ კლდეზე იჯდა.

შემდეგ უფრო ღრმად შევედი ჭაობში, ლილებით დაფარულ უკაცრიელ ადგილას აღმოვჩნდი და ჰიპოპოტამს ვუხმე, რომელიც ჭანჭრობში ბინადრობდა. ჰიპოპოტამმა გაიგონა ჩემი ძახილი, კლდის ძირას ბეჭემოტთან ერთად მოვიდა და ხმამალა და შემზარავად შეჭმუყულა მთვარეს. მე კი ვინეტი ჩუმად ჩემს თავშესაფარში და კაცის ქმედებებს ვაკვირდებოდი. ხოლო ის თრთოდა ამ სიმარტოვეში, — მაგრამ ღამე ილეოდა და ის ისევ კლდეზე იჯდა.

ბრაზი მომერია და დაეწყევლე სიჩუმე, მდინარე, დუმფარები, ქარი, ტყე, ზეცა, გრივადი და დუმფარების წუხილიც. ისინი გახევედნენ, მთვარემ ზეცისკენ სვლა შეწყვიტა და ქარიშხალიც მინელდა. აღარ ელავდა. ღრუბლები უძრავად ეკიდნენ ცაზე, წყალი პირვანდელ დონეს დაუბრუნდა და ხეებიც აღარ ირხეოდნენ, დუმფარებმა შეწყვიტეს ოხვრა, აღარც მათი დუდუნი ისმოდა, ვერც ჩრდილს დაინახავდით, ჩქამსაც კი ვერ გაიგონებდით ამ უკიდევანო სივრცეში. ხოლო მე ასოებს მივაპყარი მზერა, რომლებიც შეცვლილიყვნენ და მეუბნებოდნენ – ს ი ჩ უ მ ე.

კაცის სახის გამომეტყველების დანახვა მსურდა — ის შეძრწუნებულიყო. სასწრაფოდ აიღო თავი, წამოდგა და მიაყურადა, თუმცა, ჩქამიც კი აღარ ისმოდა ამ უკიდევანო სივრცეში და კლდეზეც ეწერა ს ი ჩ უ მ ე. მხრები აიჩეჩა, სახე მიაბრუნა და ისე გამალეული გაიქცა, რომ თვალის კი ველარ მოვკარი.“

გრძნულთა კრებულებში მშვენიერი მოთხრობებია – რკინით მოჭედილ, გრძნულთა მელანქოლიურ, სევდიან კრებულებში. დიდებული ამბებია მოთხრობილი იმ სულების შესახებ, რომლებიც ზეცას, მინასა და ზღვას განაგებენ. სიბილას ნამბობსა და იმ სინმინდეებში, რომლის შესახებაც დოდონას გარშემო მოშრიალე ფოთლებმა გვამცნეს, დიდი სიბრძნეა ჩადებული, მაგრამ ალაჰს გაეფიცებით, ამბავი, რომელიც აკლდამის ჩრდილში, ჩემს გვერდით მჯდომმა დემონმა მიაბმო, ყველაზე საოცრად მიმანჩნია! თხრობის დასრულებისთანავე, დემონი სამარხში ჩაძვრა და სიცილი დაიწყო. ვერ შეეძლო მასთან ერთად მეც გამეცინა და მან დამწყევლა ამის გამო. ხოლო ფოცხვერი, რომელიც მუდამ ამ აკლდამაში ბინადრობდა, გამოვიდა, დემონს ფეხებთან დაუნვა და დაჟინებით შეაცქერდა სახეში.

**ინგლისურიდან თარგმნა  
თაო ბითაქაძე**

ელგუჯა ბერძენიშვილი

## ვიტრაჟის ოსტატი

ვიტრაჟის მშვენიერება თუ გნებავთ განიცადოთ, ერთხელ მაინც უნდა შედგათ ფეხი გოტიკურ ტაძარში.

გარედან ხომ საოცრებაა, დიდებული სანახაობა რეიმისის ტაძარი, ცადაზიდული, ზეცის სიღრმეში აჭრილი, ოქროსფერ ქვით ნაგები, პატარა ქალაქის შუაგულში ამოზიდული თავისი თავზარდამცემი მშვენიერებით, მაგრამ როცა აივლით ფართე კიბეს ქანდაკებებითა და ჩუქურთმებით მაღლა ატყორცნილ თაღებს ქვეშ, გადააბიჯებთ ზღურბლს და ტაძარში შეხვალთ, აქ იწყება დიადი მისტერია გამაოგნებელი და ენით გამოუთქმელი, როცა ცადატყორცნილ თაღებქვეშ იქუხებს ორგანი, ცას ასწვდება მაგალობელთა მძლავრი ხმები და ამ დროს ვიტრაჟებიდან იღვრება ფერთა ჩანჩქერი, ათასფერი ცისარტყელა ეფრქვევა ტაძრის კედლებს, კედლები იძვრის ზეცისაკენ, მიექანება, მიქრის ზეცად, ქვას დაჰკარგვია წონა, სიმძიმე, ყველაფერი იმატერიალურია! ქვა ქცეულა სულად და სული ილტვის ღმერთისაკენ. ეს ტაძარი კი აღარ არის ქვით ნაგები, არამედ ცისარტყელებში გახევეული ღვთაებრივი ნათელი.

ამ ტაძრად თუ გულგრილი შევა ადამიანი, გულმღვივანი გამოვა გარეთ, თუ ურწმუნოდ შევა, რწმენით აღვსილი დაბრუნდება, ასეთი ძალა გააჩნია გოტიკურ ტაძარს, ასეთ ძალას ანიჭებს მას მუსიკა და ვიტრაჟის გასაოცარი ხელოვნება! გოტიკურ ტაძრის სულიერებას ქმნის ფერი. იგი მუსიკასთან ერთად ქმნის მისტიკურ მშვენიერებას. მუსიკა და ფერი და ურთულესი დეკორი, რელიეფები, ქანდაკებანი გოტიკურ ტაძარში ერთ უმთავრესს ემორჩილება, ზეცაში ღმერთისაკენ ლტოლვას.

ქრისტიანულ ესთეტიკის მიხედვით, როცა ფერის სიმბოლიკა განიხილება, მშვენიერია ის ფერი, რომელიც წმინდაა, ხოლო წმინდაა ის ფერი რომელიც გამჭვირვალეა, განწმენდილია მიწიერებისაგან, მიწიერი სიმძიმისაგან.

ღმერთი სინათლეა, სინმინდეა, ვიტრაჟი თავისი სხივოსანი ფერადოვნებით დაუსაბამო ნათლის ანარეკლია.

ღვთიური ნათელი უხვად იღვრება ტაძრად, მაღლივით გადადის მლოცველებზე, აბრწყინებს ტაძარს.

ლივლივებს ფერი ქვის კედლებზე, მრეველზე, ბრწყინავს მლოცველთა ცრემლჩამდგარ თვალებში, სხივებშია მოქცეული ყველაფერი, საიდუმლო ნათელშია ჩაძირული ტაძარი, ასეთ გარემოს, გასაოცარსა და დიდებულს, ქმნის ვიტრაჟი.

ვიტრაჟი წმინდა ევროპული სულის, წმინდა ფაუსტურის სულის გამოვლინებაა ხელოვნებაში! სივრცის უსაზღვროება ტაძარში სიმბოლოა ღვთის სიდიადისა, ამიტომაც, ვიტრაჟით გაბრწყინებული და მუსიკით აგრგვინებული ქოროს ჰანგებით სავსე ტაძარი მინას რომ მოგწყევტს და ზეცას შეგრთავს. ეს ხელოვნება ღმერთთან ნილნაყარია, რელიგიური ხელოვნებაა ცაში ატყორცნილი არქიტექტურა, რომლის გამოც გოეთეს უთქვამს: „არქიტექტურა ეს გაქვავებული მუსიკაა“.

\*\*\*

ვიტრაჟი? სად ქართული სული და სად გოტიკა. ქართული ტაძარი ცასა და მყარს შორის ცოცხლობს, ის არასოდეს მთლიანად არ წყდება მიწას. ვიტრაჟი არასოდეს არ ამშვენებდა ქართულ ტაძარს. ვიტრაჟი ჩვენი არ არის. ის უცხოა ჩვენთვის. აი რას გაიგებდით ხშირად.

ქანდაკება? — მართლმადიდებლობა და ქანდაკება? ეს ხომ მკრეხელობაა, ქანდაკება ხომ კერპთაყვანისმცემლობაა. რას არ გაიგებს დღეს ადამიანის ყური. როგორ უნდა მოვიგერიოთ ამდენი სისულელის შემოტევა? მხოლოდ ღიმილი თუ გვიხსნის, სიბრალულნარევი ღიმილი.

ახლა ვიკითხოთ: ბაზილიკა? ეკლესია-მონასტრები, ტაძრები თავისთავად აღმოცენდა ჩვენში? მოზაიკა? საიდან წარმოიშვა ჩვენში სოფლის კენჭი? რომ არაფერი ვთქვათ ანტიკურ მოზაიკაზე. კედლის მხატვრობა? ასე რომ ვამაყობთ ცინწვისის ცისფერი ანგელოზით. მრგვალი ქანდაკება? დაზღური მხატვრობა? ანდა ვიკითხოთ: საიდან შემობრძანდა ჩვენში ჯვარი. ქრისტეს ჯვარი, ჩვენი ჯვარი არ მიაგავს არცერთ ჯვარს, ის ხომ ვაზის ნასხლევისგან შექმნა წმინდა ქალწულმა, მაგრამ ვინ შვა ჯვარი ვითარცა სიმბოლო?

ყოველივე ის, რაც ზემოთ ვთქვით, მაგალითია იმისა, რომ კაცობრიობა კარჩაკეტილი კი არ ცხოვრობდა, მრავალ ერთა კულტურა შეუვალი კი არ ყოფილა, ერთურთისათვის, უცხო და მიუღებელი, არამედ ყოველი ერი, დიდი თუ მცირე, ერთმანეთს ამდიდრებდა სულიერად, ანაყოფიერებდნენ ერთმანეთს. ასე რომ არ ყოფილიყო კაცობრიობა არ იარსებებდა, ხოლო ყოველგვარი სულიერი გამდიდრება და ამაღლება ხდება ღვთაებური ხელოვნების წყალობით, ასე რომ, ყოველი ხელოვანი კეთილი მოციქულია.

\*\*\*

საქართველოს მიწაზე ვიტრაჟის ხელოვნება პირველად ვახტანგ ქოქიაშვილმა გადმოიწერა და ქართული მიწა ნოყიერი აღმოჩნდა ქართველი მხატვრის წყალობით ვიტრაჟისათვის, მაგრამ დღეს სულ სხვა ვიტრაჟთან გვაქვს საქმე.

ვიტრაჟის დიდებულმა ხელოვნებამ თავისი დრო მოჰყამა. ის რელიგიასთან თანაზიარი ხელოვნება იყო. ნიჰილისტურ ევროპაში „ღმერთის სიკვდილთან“ ერთად მოკვდა ღმერთთან ნილნაყარი დიდი სტილის რელიგიური ხელოვნებაც. დღეს აღარავინ აგებს გოტიკურ ტაძრებს. მაშინ რა ფუნქცია რჩება ვიტრაჟის ხელოვნებას ღვთის გარეშე? ტაძრიდან გამოდევნილი რას აფარებს თავს? თუ აღარც არსებობს დიდი ხანია? და თუ არსებობს, ალბათ, დიდებული, კეთილი, ძველი დროის ინერციით, როგორც წარსულის მკრთალი და უფერული ექო.

დღევანდელ ურბანისტულ პირობებში, სადაც ზეობს რკინა და ბეტონი, თანამედროვე ახალი არქიტექტურის ინ-

ტერიერებში, სადაც უხვად იღვრება ელექტროშუქი, ვიტრაჟი ისევ არსებობს, ისევ განაგრძობს ცხოვრებას, მაგრამ ახლა მას სულ სხვა ფუნქცია გააჩნია. ტაძარში კი აღარ ემსახურება ღვთის რწმენას, არამედ თავი შეუფარებია ცათამბჯენების, დიდი ქალაქების საზოგადოებრივი შენობების, აეროპორტების, რკინიგზის სადგურთა ინტერიერებისათვის და ერთ დროს ღვთიური ხელოვნება გადაქცეულა დეკორატიულ ხელოვნებად. რას ნიშნავს ეს? მხოლოდ თვალისათვის ზეიმს? გართობას, მოკაზმულობას?

ახალ დროში სულ სხვა ფუნქცია დაეკისრა ვიტრაჟს. მან ესთეტიკური სიამოვნება უნდა მიანიჭოს მეოცე საუკუნის



ვახტანგ ქოქიაშვილი

ადამიანს. მთელი დღე შრომით მოღლილ-მოქანცული შრომით შედიხარ რომელიმე ინტერიერში, ჯდები სავარძელში და უეცრად გეხმინება ჩუმი, უხმო მუსიკით ფერი! მოულოდნელად თქვენს თვალების წინაშე ამღერდა ვიტრაჟი. სულს ეფინება ნეტარება, უცნაური სიმშვიდე, ამას ქმნის ფერი. მრავალფერი ვიტრაჟი, ის უმთავრესად ფერს ეყრდნობა. ძველ ტაძრებში ნახატს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა, რადგან ვიტრაჟი მოუთხრობდა ამბავსაც, რომელიმე წმინდანის ცხოვრებიდან, ამბავი, ანუ თემა ძველებური გაგებით აღარ არსებობს, დღეს შინაარსი ფერწერისა თავად ფერია, ისე როგორც ფერწერა, ვიტრაჟიც გათავისუფლდა ზედმეტობისაგან და ესაა უკვე ხელოვნება წმინდა სახით, თავისი შინაარსით ანუ წმინდა ფერით. არსად ისეთი უშუალოდ, ისეთი ინტენსიურობით არ მჟღავნდება ფერის უპირატესობა, როგორც ვიტრაჟის ხელოვნებაში.

მხატვარი ფერადი შუშის წყალობით ქმნის გასაოცარ სამყაროს. ესაა წმინდა, ინტენსიურ ფერთა ხმინობა, რომელიც მორჩილყოფს ჩვენ ნებას, გულით უსმინოს უხმო მუსიკას, გვანიჭებს ესთეტიკურ სიამოვნებას. ფერმა ინტერიერი უნდა გახადოს საინტერესო, ააცილოს მას ერთფეროვნება და მოწყენილობა. აი არქიტექტურასთან დამოკიდებულების ახლებური სახე. ფერადი აქცენტი ეხება ადამიანის გულს, აი თანამედროვე მხატვრის მოვალეობა რა არის! მატისი ამბობდა: „მე მიწა ჩემი ფერწერის წინაშე მოისვენოს ადამიანმა. ისევე როგორც მოღლილი ადამიანი ჩაეშვება სავარძელში და დამშვიდდება“.

\*\*\*

და აი ქართველი ხელოვანი ხელს კიდებს ვიტრაჟის ხელოვნებას. ვახტანგ ქოქიაშვილი შესანიშნავი ფერმწერია. ბრწყინვალე ოსტატი დეკორატიული ხელოვნებისა, საუცხოო გრაფიკოსი და პლაკატისტი, მაგრამ ჩვენ მხოლოდ მის ვიტრაჟის ოსტატობაზე შევჩერდებით.

ვიტრაჟის ხელოვნება ურთულესია შესასრულებლად. ხელოვანისაგან მოითხოვს უდიდეს ნებისყოფას, ის დათმენის ხელოვნებაა, ჩვენ რომ წარმოვიდგინოთ ეს შრომა, მიწასა ან

იატაკზე უნდა გაეფინოთ, წარმოსახვაში ავაგოთ ურთულესი რკინის ჩონჩხი, ათასგვარად დატოტვილი კარკასი კომპოზიციისა, სადაც შემდგომში უნდა ჩაისვას ფერადი მინა. ეს არის ჯოჯოხეთური შრომა. ის უდიდესი სულიერ და ფიზიკურ ენერგიას მოითხოვს, ათასნაირად დანაწილებულ და სხვადასხვა ზომის რკინის ჩარჩოებში, რომლებიც ერთმანეთზე შედუღებული, უნდა ჩაისვას მრავალფერად შეღებილი და გამოდნობილი ფერადი მინის ნაჭრები, სათითაოდ, ერთმანეთის მიყოლებით, ფერთა გრადაციის დაურღვევლად და ჰარმონიის შენარჩუნებით, ასე თანდათანობით ივსება უზარმაზარი ფართობი, რომელიც შემდეგ მხატვრის სამყაროდ იქცევა, მხატვარმა წინასწარ უნდა იცოდეს, რომელი მინის ნაჭერი რა ფერის, რა ტონალობის, რა ინტენსიური ფერისა იქნება, რომ დამთავრების შემდეგ, როცა ყველა ფერადი მინა ერთმანეთის გვერდით აღმოჩნდება, შეიქმნას ერთიანი ჰარმონიული მთლიანობა. აქ თუ მხატვარი კოლორისტი არ არის, არავითარი ცოდნა არ უშველის. ოსტატი აქ უნდა გრძნობდეს ფერს. ვახტანგ ქოქიაშვილი, როგორც კოლორისტი, შეუმცდარია. თუ ოსტატი თავს არ ადგას შემსრულებელ მუშებს, შესაძლოა გაიპაროს სხვისთვის შეუმჩნეველი, მაგრამ მხატვრისათვის არსებითი უმცირესი ნიუანსები ფერთა შეხამებისა, ტონალური შეფარდებისა თუ ფერთა მონაცვლეობისა და ფერთა გრადაციებისა. საკმარისია რომელიმე ფერადი მინა თავისი ფერთა და ტონალობით არ თავსდებოდეს საერთო ფერთა გამაში, რომ ჩაშალოს ჰარმონიულობა, ისე როგორც უსმენო კაცის მიერ მწყობრ სიმღერაში უადგილოდ ხმის აწევამ და ჩარევამ.


ვახტანგ ქოქიაშვილი ყველაფერს საკუთარი ხელით ასრულებს, თითქოს საკუთარ ხედვის, საკუთარ სმენის, საკუთარი ინტუიციის გარდა არავის ენდობა. ალბათ, ასეც არის. ვიტრაჟის მოთმინების, გამძლეობის, აუჩქარებლობის, ნებისყოფის ხელოვნებაცაა. ამას მოითხოვს ვიტრაჟის ხელოვნება. შენ — ოსტატი — ამავე დროს მჭედელიც ხარ, შემდუღებელიც, შავი მუშაც და ხელოვანიც, ერთდროულად.

ვახტანგ ქოქიაშვილის როგორც შემოქმედის თვისება გახლავთ საკუთარი ორიგინალური ხედვა, ის არავის არ ჰგავს, მისი ვიტრაჟები განსხვავდება სხვათა ვიტრაჟებისაგან, ვახტანგ ქოქიაშვილი შესანიშნავი ფერმწერია, ამიტომ არის, რომ მისი ვიტრაჟები გვიზიდავს ნაზი კოლორით, ყოველი ფერი მისთვის ძვირფასი ქვების სადარია. არ შეიძლება ფერს გულგრილად ჩაუაროს ადამიანმა, იმიტომ, რომ ფერი წინააღმდეგობაშია ჩაღობილი იზიდავს ადამიანს, ფერი საიდუმლო მშვენიერებაა. ეს ღრმად სწამს ვახტანგ ქოქიაშვილს, ფერის ძალა, ფერის მშვენიერება, მისი ჩუმი მუსიკა, ფერის მაგიური მომხიბლაობა და ყოველივე ამაზე დაყრდნობით, იღვწის მოუღლებლად. მის მარჯვენაში ვიტრაჟი, წმინდა ფერთი მეტყველი, ფერთი ზემოქმედების ხელოვნებაა, მაგრამ ამ დახვეწილ ოსტატის ხელოვნება აქ არ მთავრდება. არ შეიძლება არ აღინიშნოს ვახტანგ ქოქიაშვილის გასაოცარი მიღწევა ვიტრაჟის ხელოვნებაში, აქ არ ვგულისხმობთ მის დახვეწილ გემოვნებას, ოსტატობას, მომხიბლავ დეკორატიულობას, არამედ მის ვიტრაჟთა თავისებურ ძალას, მისი ვიტრაჟი მხოლოდ გაფორმება კი არ არის, რაიმე ლამაზი დეკორატიული მოტივი, არამედ ჩუმად, ხმადაბლა მეტყველი კოლორითი მიღწეული სულიერი ხელოვნება.

**P.S.** დიდი ხნის წინათ ერთად ვიდექით პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში. თითქოს ზეცაში ვიყავით, ცისარტყელებში გახვეულნი. როცა მესა დასრულდა და გარეთ გამოვედით ნაცრისფერეთში, ვახტანგის პირველი სიტყვა იყო ვიტრაჟის ქება.

მან ველარ დაივიწყა ვიტრაჟი. ჭაბუკურ გულით თან წამოიღო. ვახტანგი სიჭაბუკედან სიახლისკენ ილტვოდა, ამიტომ იყო, რომ მის ხელში გარდაიქმნა ძველი ხელოვნება ახლებურად, ის მარტო თვალს კი არ ახარებს, არამედ სულსა და გულს ფერთა იდუმალმეტყველებით. მთელი სიცოცხლე რკინასთან ჭიდილში გაატარა. ერკინებოდა ინერტულ მასალას და ბოლოს „ადამთა ტომის წესითა“ მოიქანცა მისი გული.

დღეს ჩვენ გავიხსენეთ ჩვენი მეგობარი, ვიტრაჟის ოსტატი ვახტანგ ქოქიაშვილი.



ვაგრა ტამრი

## გაზაფხული ფერფლი

დიდი ხნის წინათ, ვრცელ მწვანე ველზე გაშენებული იყო პატარა ქალაქი, გარშემორტყმული წყალუხვი მდინარით. მის ყველა მცხოვრებს ფურცლის სქელი ნაგლეჯი ელო ჯიბეში ზედ წარწერილი სხვადასხვა სახელით. მოსახლეობის ნაწილი მდიდრები, ნაწილი კი ღარიბები იყვნენ. მდიდრები სიკეთისა და ზრდილობის მაგალითს იძლეოდნენ, თეთრი პირბადეებითა და პრიალა ფეხსაცმელებით იმოსებოდნენ. მოკრძალებულად ცეკვავდნენ, საუბრობდნენ, ქალებს ნაზად ეამბორობდნენ ხელზე. შვილები მომეტებული სითბოთი მიმართავდნენ დედაებს: „დედიკო!“

ღარიბები კი მოლხენისას მოურიდებლად ხარხარებდნენ, იფურთხებოდნენ, დედაებს უხეშად ეძახდნენ: „ჭი, დედაჩემო!“ თუმცა სჯეროდათ, რომ სამოთხეში სტუმრებივით პატივით შევიდოდნენ.

მდიდრებიც და ღარიბებიც დიდ პატივს სცემდნენ მიცვალებულს. თუ ქუჩაში სამგლოვიარო პროცესიას შეესწრებოდნენ, გვერდზე გამვლელს აჩერებდნენ, თვალები შიშით და მწუხარებით ევსებოდათ და უცნობი გარდაცვლილის სასახლეს შორ მანძილზე მიაცილებდნენ. ჭამის წინ, ვიდრე ლუკმას მოიტეხდნენ, თავმდაბლად წარმოთქვამდნენ: „სახელითა ალაჰისა, მონყალისა, მწყალობელისა...“ დასასრულ კი ამოიხრავდნენ: „დიდება ალაჰს, ყოვლის მცოდნეს!“

თუ ქალაქში რომელიმე გოგონა შესცოდავდა, უყოყმანოდ კვეთდნენ თავს ალესილი დანით.

მუშები დღეში მხოლოდ რვა საათი მუშაობდნენ.

ზაქარია თამირი ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სირიელი ნოველისტია. დაიბადა 1931 წელს. სოციალური პირობების გამო 13 წლისამ მიატოვა სწავლა და ოჯახის რჩენის მიზნით მჭედლად დაიწყო მუშაობა. წერა 1957 წლიდან დაიწყო. იყო არაერთი სირიული ჟურნალის მთავარი რედაქტორი, ხოლო 1980 წლიდან, ოპოზიციურად განწყობილი სტატიების გამოქვეყნების შემდეგ, იძულებული გახდა წასულიყო ემიგრაციაში, ლონდონში, სადაც დღემდე განაგრძობს აქტიურ ლიტერატურულ მოღვაწეობას. თამირის ნოველები უამრავ ენაზე ითარგმნება. მისი შემოქმედების ძირითადი თემა სირიელი ხალხის გაჭირვებული ყოფაა. მწერალი ცდილობს აჩვენოს, თუ როგორ მანიპულირებენ ადამიანებით ხელისუფალნი; რომ ჩვენ შორის ყველაზე ძლიერიც კი შესაძლებელია მოდრკეს და მოთვინიერდეს მათგან, ვინც ფლობს ხელისუფლების სადავეებს. თამირის შემოქმედებითი ტექნიკის ღირებულებას წარმოადგენს ფარსისა და ტრაგედიის, იუმორისა და სერიოზულობის ნაზავი. იგი ხშირად მიმართავს ლვარძლიან ცინიზმს უსამართლო შემთხვევების სამხელად. ასევე ხშირად იყენებს აღმოსავლური ფოლკლორის პერსონაჟებს, მაგ., ჯინებს, შაჰრაზადს, შაჰრიარს... ცნობილმა არაბმა კრიტიკოსმა მუჰამად ალ-მალუთიმ თამირი შეადარა ჩარლზ დარვინს: ერთი გვიჩვენებს, თუ როგორ წარმოიშვა მაიმუნისგან ადამიანი, და მეორე — თუ როგორ შეიძლება მანიპულირებით ადამიანი აქციო მაიმუნად.

შეყვარებულები კინოთეატრის ბნელ ადგილებში მალულად ხვდებოდნენ და მხურვალედ ეხვეოდნენ ერთმანეთს.

ექიმები დაულაღავად იძლეოდნენ სასარგებლო რჩევებს: „საჭმელი კარგად დალეჭეთ... დროულად დაიძინეთ... ღვინისა და მონევისგან თავი შორს დაიჭირეთ!“

შუახნის კაცები მწუხარებით აქნევდნენ თავს და ბუტბუტებდნენ: „გარყვნილებამ დაისადგურა... ქალი შარვალს იცვამს... ბიჭი საკუთარ მამას პატივს აღარ სცემს... ეს კი გამაფრთხილებელი ნიშანია სამყაროს აღსასრულისა!“

დილით შეხვედრისას მეგობრები „დილა მშვიდობისა“-თი ესალმებოდნენ ერთმანეთს.

ქალაქის სიპატარავის მიუხედავად, მზე ერთსა და იმავე დროს ამოდებდა და ჩადიოდა. ღამით ცა უამრავი ვარსკვლავით იჭედებოდა და მეოცნებე ადამიანს აღტაცებას ჰგვრიდა. განთიადისას კი თეთრი მთვარე იწვევებოდა...

ქალაქში ერთი კაცი ცხოვრობდა, სახელად იაჰია\*. სიგამხდრისგან სახე თავის ქალას მიუგავდა ზედ გადაკრული ფერმკრთალი კანით. მას ოცნებად ჰქონდა, ყოფილიყო ყვავილი, ან ბელურა, ან მგზავრობაზე შეყვარებული ღრუბელი. მწუხარებამ ვერ შეძლო დაეთრგუნა იმის მიუხედავად, რომ მშვენივრად იცოდა, ვერ გახდებოდა ვერც ყვავილი, ვერც ბელურა და ვერც მგზავრობაზე შეყვარებული ღრუბელი. მობეზრდა ჩუმ, უკაცრიელ სახლში მართოდმარტო ცხოვრება და ნაცრისფერ წუთებში გადაწყვიტა, შეეძინა ქალი, რომელიც გახდებოდა მისი მეგზური და ნაზი ხმით გაუფანტავდა ცხოვრების ჟანგიან დღეებს. სასწრაფოდ გაეშურა უახლოესი ბაზრისკენ. შეარჩია ქალი დიდი თვალებით, რომელთა სიღრმეშიც მწუხარების ცრემლი ჩამდგარიყო, თუმცა კი ასხივებდნენ ფარულ მომზიბვლელობას. საფასური გადაიხადა და თავისთვის ჩაილაპარაკა: „აღბათ შეძლებს, რომ მოკლას ჩემს სისხლში ატეხილი ჟინი.“



მხატვარი ცირა პაპინაშვილი

მთელი გზა ხმა არ გაუცია ქალისთვის. სახლთან რომ მივიდნენ, ჰკითხა:

— რა გქვია?

მან ათრთოლებული, ნაზი ხმით უპასუხა:

— ჩემი სახელია ნადა.

იაჰია ქალის სიახლოვეს იჯდა. აცახცახებული, მოუხეშავი ხელები მუხლებზე დაეწყო, სისხლი კი გაშმაგებით უჩქროლდებოდა ძარღვებში.

ისურვებდა, რომ იმ წუთებში ქალი შიშველი ყოფილიყო ლურჯი ზღვის ქვიშიან სანაპიროზე და თბილ მარილიან წყალს დაესველებინა მისი ფაფუკი მკერდი.

აღღვებული ხმით ჰკითხა:

— რომელი ქვეყნიდან ხარ?

— სამშობლო არ გამაჩნია.

იაჰიამ დიდი ხანი ათვალიერა ქალი, შემდეგ კი უთხრა:

— ლამაზი ხარ.

მისი ნითელი ტუჩები პატარა, ამოუცნობ ცხოველს მიამსგავსა და შეუდარებლად ეჩვენა. თითები შეეკუმშა, ოდნავ აუთრთოლდა და დინჯად დააყოლა:

— შენი სახელიც ლამაზია!

ქალს მალულად ჩაელიმა და უთხრა:

— ჩემი ნამდვილი სახელი შაჰრაზადია!

კაცმა გაოცებისგან შეჰყვირა:

— შენ მართლა შაჰრაზადი ხარ?

— დიახ, მე შაჰრაზადი ვარ... სიკვდილი არ შემხებია...

შაჰრიარი კი მოკვდა.

— შაჰრიარი არ მომკვდარა... ის ცოცხალია!

ქალმა უპასუხა:

— ეჰ, ჩემო ბატონო.

— განადგურდა ჩემი სამეფო, შაჰრაზად!

— ერთმანეთს დავშორდით...

— დავიკარგეთ ვრცელ სამყაროში...

— გეძებ ყველგან!

— შიმშილმა ამატირა!

— ჩარაზულ ოთახში გამომკეტეს!

- მათხოვრად ვიქეცი.
- ბევრ გზაზე ვიხეტიალე. შავი სუდარა მახურავს.
- ფრჩხილებით ვთხარე მინა.
- მხოლოდ მე ვიყავი ქალი იმ ქალაქებში, სადაც მართკაცები ცხოვრობდნენ.
- სახეში შემეფურთხეს!
- მყიდულობდნენ ისინი, ვისაც ოქრო ჰქონდა.
- მე სანყალი კაცი ვარ, რატომ მიმატოვე, ღმერთო?
- ო, რამდენი ვიტანჯეთ!
- ო, რამდენი ვიტანჯეთ!

ერთმანეთს ჩაეხუტნენ და დიდხანს იტირეს. კაცმა ათრთოლებული ხმით ჩასჩურჩულა: „მიყვარხარ... მიყვარხარ!“

ქალი თვალცრემლიანი მიაჩერდა. ვნებამ დაუარა ორივეს ძარღვებში და იაჰიამ მგზნებარედ მიიკრა ქალი მკერდზე. მათი ტუჩები ერთმანეთს ჩაენებნენ თუ არა, ქუჩიდან ყვირილი შემოესმა: „მტერი თავს დაგვესხა!.. მოკალით... მოკალით... ნინ, საბრძოლველად!“

დაფდაფების ხმა გაძლიერდა. ისე შემართებით და რიტმულად შემოჰკრეს, რომ არცერთ კაცს გული არ მოუთმენდა შინ დასარჩენად. იაჰიაც ქალის სხეულს სწრაფად მოშორდა. მან კი ხვეწნით ამოთქვა:

— არ მიმატოვო!.. არ წახვიდე საბრძოლველად!.. ჩემს გვერდით დარჩი.

კაცმა უპასუხა:

— გაჩუმდი... ჩემი ქალაქის შუკები... დედაჩემი მიხმობს.

კედელზე ჩამოკიდებულ ხმაღს ხელი დასტაცა და სწრაფად დაეშვა ქუჩისკენ, სადაც ღამის უკუნით სიბნელეში უმონყალოდ ხოცავდნენ ერთმანეთს.

იაჰია ბრძოლის შუაგულში მოექცა. ყველა წინ შემხვედრს ალესილ ხმაღს უხვედრებდა და უხაროდა, რომ ბასრი ხმაღს უხეში მოქნევით რბილ ხორცს აპობდა.

ბრძოლა დასრულდა. ისიც გაჩერდა, მთელი სხეული სისხლით მოსვროდა. შიშმა შეიპყრო, როცა მიხვდა, რომ მხოლოდ ის დარჩა ცოცხალი, ყველა დანარჩენის გვამი კი გაბნეულიყო ქუჩაში პატარა გორებად. სისხლიან მინაზე დაეცა და გულამოსკვნილი ქვითინი აღმოხდა. ხანძარს კი ქალაქის ყველა სახლი ჩაეფერფლა.

ცეცხლი რომ მიუახლოვდა, ტირილს მოეშვა. იქაურობას გაეცალა და ვრცელ მინდორს მიაშურა, იქიდან კი თვალი შეავლო ქალაქს, რომელიც უკუნ სიბნელეში ცეცხლის კოცონით გიზგიზებდა. ღონემიხდილი დაეცა მინდორზე და მომდევნო შუადღემდე ღრმა ძილს მიეცა.

სიჩუმემ მთელი არემარე მოიცვა. ქალაქი შავ დიდ ბორცვს დაემსგავსა, საიდანაც კვამლი ამოდიოდა. უცებ გულამოსკვნილი ქვითინი მოესმა. გარშემო მიმოიხედა და ბალახებში დავარდნილ გოგონას მოჰკრა თვალი. მიუახლოვდა და ჰკითხა:

- რატომ ტირი?
- ქალაქი გადაინვა! ყველა დაიღუპა!..
- ესე იგი, აღარავინ დარჩა?!

გოგონამ არაფერი უპასუხა. ქვითინს უმატა. იაჰია კვლავ ჩაეკითხა:

- რატომ ტირი?

მან სახე ხელის გულელებში ჩამალა და უთხრა:

— მშია.

კაცი სასწრაფოდ გაემართა საჭმლის მოსაძებნად. სიხარული დაეუფლა, როცა დატოტილი ვაშლის ხე მონახა, მწიფე ნაყოფით სავსე. რამდენიმე ცალი მოუნყვითა და მზრუნველი მზერით აკვირდებოდა, თუ როგორ აგემოვნებდა მათ გოგონა.

კვლავ მოეძალა ოცნება, ყოფილიყო ყვავილი, ან ბელურა, ან მგზავრობაზე შეყვარებული ღრუბელი.

თავის თავს ჰკითხა: „ნეტავ მისი სახელი შაჰრაზადაია?“

გოგონამ ტანსაცმლის კიდით პირი მოინმინდა და მადლიერი მზერით შეხედა კაცს. მას უკვე მშვიდი სახე ჰქონდა. იაჰიას ბავშვობის განვლილი დღეები მოაგონდა და მწუხარედ წარმოთქვა:

— ესე იგი, ჩვენ გარდა ცოცხალი არავინ დარჩა?!


გოგონას ხმა არ გაუცია, მხოლოდ ოდნავ შეერხა ბაგე. კაცმა ნითელ ვარდს მოჰკრა თვალი, მონყვითა და მორიდებით გაუნოდა. მას კი მორცხვად ჩაელიმა. იაჰიაში უცებ სიხარულმა იფეთქა და ძარღვებში ულამაზეს სიმღერებად აუჩქროლდა. გოგონა წამოაყენა და ნელი ნაბიჯით გაუდგნენ გზას ჩაშავებული, მკვდარი ქალაქისკენ.

უეცრად, ბელურას ჭლურჭული ჩაესმათ, შეჩერდნენ და დიდხანს მიაშტერდნენ ერთმანეთს. მოეჩვენათ, თითქოს შორს ბავშვების ყრიაშულსაც მოჰკრეს ყური.

სიყვარულით და სითბოთი ჩაჰკიდეს ხელი ერთმანეთს და სვლა განაგრძეს.

მათ წინ კი ნათელი და ახალგაზრდა მზე კაშკაშებდა.

**არაბულიდან თარგმნა  
ირინე გიორგაძემ**



უნამუნო და ასტრაი

ისინი ჰგვანან ძალღების ხროვას და მხოლოდ მათრახს ემორჩილებიან“.

მიგელ დე უნამუნოს სახელი ლამის ისევე არის ცნობილი ჩვენში, როგორც მის მშობლიურ ესპანეთში, მაგრამ ხოსე მილიან ასტრაის ვინაობა ათასში ერთ კაცს თუ ეცოდინება.

არადა, უნამუნოსა და ასტრაის გზები ერთხელაც იქნა და ისე გადაიკვეთა, რომ... სჯობდა, არ გადაკვეთილიყო.

ვინ იყო ხოსე მილიან ასტრაი?

1920 წლის 28 იანვარს პოლკოვნიკი ასტრაი დანიშნეს ესპანეთის უცხოური ლეგიონის მეთაურად და მან თავის მეგობარს მაიორ ფრანსისკო ფრანკოს მაშინვე შესთავაზა მეთაურის მოადგილის პოსტი.

როგორც წერენ, ასტრაი და ფრანკო გამოირჩეოდნენ თავზე ხელაღებული სიმამაცით. ამასთან, მათ ახასიათებდათ ლეგენდების ტრფობა და სიკვდილის ავადმყოფურ-ჰიბნოტური აღქმა.

ინგლისელი მკვლევარის გაბრიელა ეშფორდ ჰოჯესის მიხედვით, ასტრაი უცხოური ლეგიონის ახალწვეულებს სულტაში (ჩრდ. აფრიკა) ასე ხვდებოდა: „თქვენ აქ ჩამოხვედით, რათა დაიწყოთ ახალი ცხოვრება, რომელიც სიცოცხლის ფასად დაგიჯდებათ. თქვენ აქ სახელოვანი სიკვდილისათვის ჩამოხვედით. გაუმარჯოს სიკვდილს!.. იმ წუთიდან, რაც გიბრალტარის სრუტე გადმოლახეთ, თქვენ აღარა გყავთ აღარც დედა, აღარც სატრფო გულისა, აღარც ოჯახი. დღეიდან მათ ლეგიონი შეენაცვლება“.

ესპანელი მწერალი არტურო ბარეა, გასული საუკუნის ოციან წლებში აფრიკულ კორპუსში რომ მსახურობდა, ასე აღწერს ასტრაის გააფთრებას: „მთელი მისი სხეული ისტერიულად თახთახებდა. ხმა წივილ-კივილში გადასდიოდა. თავის ხელქვეითებს პირობა ახლიდა მათი ცხოვრების მთელ სიბინძურეს, სიბილწესა და უხამსობას; მერე კი ფანატიკური მძვინვარებით უღვიძებდა რაინდობისა და კეთილშობილების გრძნობას. მოუწოდებდა, რომ მიეტოვებინათ ყოველგვარი ოცნება, გარდა ოცნებისა გმირულ სიკვდილზე, რომელიც მათ სამარცხვინო წარსულს ჩამოურეცხავდა“.

გაბრიელა ჰოჯესი შენიშნავს, რომ მარჯვენა მკლავისა და ცალი თვალის დაკარგვამ, სხვა სახიზრობებთან ერთად, ასტრაის ნელში გაუნყვიტა იუმორის გრძნობა, თუმცა თავად აღიარებდა, აურაცხელ ჭრილობათაგან დაშლილ-დანაწევრებული ექიმებმა ხელახლა შემაკონინეს.

არც ასტრაი, არც მისი მოადგილე არა ცდილობდნენ, რომ ოდნავ მაინც შეეზღუდათ ლეგიონერთა მხეცობანი ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ.

1921 წლის სექტემბერში ასტრაი მძიმედ დაიჭრა მაროკოელ ტომებთან ბრძოლაში. სისხლისგან იცლებოდა და ძირს დაცემული გაჰყვიროდა: მომკლეს, მომკლეს! მერე ცოტათი გონს რომ მოვიდა, წამოჯდა და ასე აღმოხდა: გაუმარჯოს მეფეს! გაუმარჯოს ესპანეთს! გაუმარჯოს ლეგიონს! (ოლონდ არ წამოსცდენია — გაუმარჯოს სიკვდილს). საკაცით გაიყვანეს ბრძოლის ველიდან. სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ მისი სამხედრო კარიერა დამთავრებული იყო.

გამოხდა ხანი.

1936 წლის ზაფხულში, როგორც კი ფრანკოს ამბოხების ამბავი შეიტყო, ასტრაი არგენტინიდან ელვის სისწრაფით ჩაფრინდა ესპანეთში და ფრანკომ დაუყოვნებლივ დანიშნა იგი პრესისა და პროპაგანდის ხელმძღვანელად. ამ პოსტზე ყოფნისას ძაანაც გამოიჩინა თავი. ნებისმიერ უცხოელ კორესპონდენტს, რომელიც გაბედავდა ფრანკოს რეჟიმის კრიტიკას, დახვედრით ემუქრებოდა. მონურ პირფერობას იჩენდა „საუკუნის უდიდესი სტრატეგის“ წინაშე. მომსვლელებს ფრანკოს კაბინეტის შესასვლელთან აფრთხილებდა, ახლა თქვენ „ხმას ღვთისას“ მოისმენთ.

ხელქვეითი არ ჩამორჩებოდნენ პატრონს. იგნასიო როსალესი პრესის წარმომადგენლებს, რომელთაც აძრწუნებდათ ნაციონალისტთა სისასტიკე, უხსნიდა, რომ „შეუძლებელია, რაიმე ასწავლო მასებს. მათ მხოლოდ მათრახი ესაჭიროებათ, რამეთუ

ლერა ამტკიცებდა, რომ სამოქალაქო ომი ესპანეთში დაიწყო კანალიზაციის არსებობის გამო: „კანალიზაცია რომ არ ჰქონოდათ, მთელი ეს წითელი ბელადები ბავშვობაშივე ჩაძალდებოდნენ, მაშასადამე ვეღარ მოახერხებდნენ აეჯანყებინათ ბრბო და დაეღვარათ ღირსეულ ესპანელთა სისხლს“. მისი აზრით, ქვეყანა უნდა დაბრუნებოდა „სულიერად უფრო ჯანსაღ ეპოქას, როცა შავი ჭირი მუსრს ავლებდა ხალხს“ და გამოთქვამდა მტკიცე რწმენას, რომ ესპანეთის აღორძინება მოითხოვდა „მამრობითი მოსახლეობის შესამედის“ გაჟღერებას. ეს ვაჟბატონი არც ქალბატონებს ინდობდა და ერთხელაც ბრძანა: „ჩვენ ბოლოს მოვუღებთ ამ სიტუტუტუცეს, ქალთა თანასწორუფლებიანობა რომ ჰქვია... თუკი ცოლი ღალატობს ქმარს, რატომ არ უნდა დაახლო შუბლში ტყვიან, როგორც ძალს?“

მაგრამ თავად ასტრაიმ ყველა ხელქვეითს გადააჭარბა პროპაგანდა-აგიტაციის ასპარეზზე. 1938 წლის მაისში მან აუნყა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრს ჩიანოს: „ჩვენი კაუდილიო სამუშაო მაგიდასთან თხუთმეტ საათს ატარებს, მოსაფსმელადაც კი არ გამოდის ხოლმე“.

1936 წლის 12 ოქტომბერს ესპანეთში აღნიშნავდნენ კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის მორიგ წლისთავს. დანესებული ღვთისმსახურების შემდეგ წარჩინებული პოლიტიკოსები, სამხედრო და საეკლესიო დიდაცინი გადაადგილდნენ სალამანკის უნივერსიტეტში. შეკრებას თავმჯდომარეობდა უნივერსიტეტის რექტორი, სახელგანთქმული პოეტი და ფილოსოფოსი, აღიარებული თავკაცი ესპანური ლიტერატურისა — მიგელ დე უნამუნო (1864-1936). ფრანკისტები ამაცობდნენ, რომ იგი მათი ხელისუფლების ქვეშ მოქცეულ ტერიტორიაზე რჩებოდა და თითქოსდა მხარს უჭერდა ფრანკოს ამბოხებას. სინამდვილეში, უნამუნო სულის სიღრმემდე იყო შეძრწუნებული თავის ნაცნობ-მეგობართა დაპატიმრებებითა და მკვლელობებით, მაგრამ რას გაანყობდა?

შეკრების პრეზიდენტში, უნამუნოსთან ერთად, ისხდნენ: ფრანკოს მეუღლე, დანიელ ეპისკოპოსი (შემდგომში — ესპანეთის კათოლიკური ეკლესიის წინამძღვარი) და ჩვენი ძვირფასი გენერალი ასტრაი.

რომელიც პროფესორმა თავის გამოსვლაში საზეიმო ხმით წარმოთქვა: „რა მშვენიერია, რომ აქ ჩვენ ყველანი წმინდა სისხლის ესპანელები ვართ. და ჩვენს შორის ერთი კატალონიელიც და ერთი ბასკიც კი არ ჭაჭანებს“.

მაშინ წამოგდა უნამუნო და განაცხადა: „მე მინდა, ორატორის ყურადღება მივაპყრო იმას, რომ ეპისკოპოსი წარმომობით კატალონიელია, მე კი ბასკი ვარ“. დარბაზი ახმაურდა. სისხლმონყურებული ასტრაი კარგად ვერ გაერკვა, თუ რა ხდებოდა, წამოხტა და ველური ხმით დაიღრიალა უცხოური ლეგიონის დევიზი: „გაუმარჯოს სიკვდილს!“ ლეგიონერებმა, ამ ღონისძიებაზე ავტომატასხმულნი რომ მობრძანებულიყვნენ, მყისვე დაიწყეს მილიტარისტული ჰიმნების გალობა. უნამუნომ მათ ასე მიმართა: „თქვენ ძალგიძთ გამარჯვება, მაგრამ არ ძალგიძთ დარწმუნება. ვერავის დაარწმუნებ სიძულვილის მეოხებით, რომელიც ადგილს არ უტოვებს სიბრალულს“. ასტრაიმ ისევე დაიღრიალა: „სიკვდილი ინტელექტუალებს!“ უნამუნო აღელდა: „თქვენ ადამიანი კი არა, მხეცი ბრძანდებით!“ ასტრაის მტკიცე აღარ უნდოდა, პისტოლეტი იძრო და მუჭარას აღასრულებდა, მაგრამ ფრანკოს მეუღლე ჩაეჭიდა მის ერთადერთ მკლავს და სიკვდილს გადაარჩინა უნამუნო, რომელიც მეორე დღესვე გადააყენეს უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან. შინაპატიმრობა მიუხაჯეს და იმავე წლის დეკემბერში სულიც განუტევა. მაგრამ სიკვდილამდე განაგრძობდა ბრძოლას, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „ესპანეთის კოლექტიური სიგიჟისა და მორალური თვითმკვლელობის წინააღმდეგ“.

ქართულია, კარგია!

„თქვი, არჯაკელო ხვიარა, ქსანზე ვინ ჩამოიარა? — რა ვი, ღრუბლებზე ვფიქრობდი და არა გამოვიდა რა... — მეც... სხვათაშორის ვიკითხე, სალაპარაკოდ კი არა...“

ვინ ჩამოიარა ათასი წლის წინათ თუ გუშინწინ? არაფერი იცის ყვავილმა. ღრუბლებზე ფიქრობს, მარადისობაზე. თვალს აყოლებს ღრუბლებს, რომლებმაც გადაუარეს ხეთას და მიდიას და ისევე მიდიან სადღაც, სამყაროსავით მარადიულნი.

ამ ლექსში ძალდაუტანებლად და მართლაც სხვათაშორისაა გამობახული ამადლება ყოველდღიური ყოფიერების დინებაზე, ცხოვრებისეულ წვრილმანებზე. ხე და ყვავილი ბევრის მოწმენი არიან, მაგრამ ყველაფერს ურჩევნიათ ღრუბლებზე ფიქრი. რა მოხდა საუკუნეთა მანძილზე — უმნიშვნელო ფაქტები თუ გრანდიოზული კატაკლიზმები — ღრუბლებზე ფიქრით გართულ ყვავილს არაფერი გაუგია.

ანა კალანდაძის ამ პანანინა ლექსის ფასი და პოპულარობა ათასჯერ აღმატება მისსავე ფიზიკურ წონას, ხოლო ბოლო სტრიქონს ლექსისგან დამოუკიდებელი არსებობა მოუპოვებია და მთარულ გამოთქმად ქცეულა ჩვენს მეტყველებაში.

მარადისობის სიმბოლოდ შერაცხული ღრუბლები კვლავ წარმოადგენს ლექსში „ასეთი დარი თუ იყო მაშინ...“, რომელიც გამსჭვალულია თბილი ტყვიით: მზით გასუდრული ქალაქი და მწვანე შეგრძნება წარსულისა. პოეტის მიერ მიგნებულია მაქსიმალურად ზუსტი განცდა, ნაკუნ-ნაკუნ და გაუცნობიერებლად რომ გვეწვევა ხოლმე წარსულის აჩრდილებთან შეხვედრისას, თბილისში იქნება თუ თბილისს გარეთ. ეგებ შემორჩენიათ რაიმე ნიშანწყალი გადახდილ ჭირთა? ლექსში ხაზგასმულია მიამიტი გრძნობა, როდესაც არ გჯერა, რომ ასეთ მშვენიერ დარში შეიძლება მომხდარიყო რაიმე საშინელება.

ისტორიულ გმირთა ლაკონიურ პორტრეტებში მოძებნილია მთავარი და არსებითი მტრები, რომლებიც განსაზღვრავენ ჩვენს წარმოდგენას. ბუნების ძალები აქაც აქტიურ ფონს ქმნიან ამა თუ იმ მოვლენის აღწერისას. ქარის ქროლვა უკომენტაროდ გვამცნობს გარესამყაროს გულცივობას ნამებული ქეთევან დედოფლის მიმართ; ქარიშხალთა მძვინვარება თითქოს ამზადებს წმ. ნინოს იმ კერპებთან შესარკინებლად, მცხეთაში რომ უნდა დახვედროდნენ ახალი სარწმუნოების მაცნე. დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილ ლექსში აქცენტი გადატანილია ქართველი მეფის დიდსულოვნებასა და ზნეობრივ სიფხიზლეზე: „თუ ცოდვილი ხარ, მაშინ, მეფეო, რაღა ქნან ცოდვილი, სულის სიმშვიდის, სულის სიმშვიდის ვერსით მმოვევლო“. შეჰყურებს პოეტი დავით აღმაშენებლის ფრესკას და სიამაყით წარმოთქვამს: „უთქველესი მზის ქვეშე ხალხი, ვით შეწყვეტს სუნთქვას და გულთა ძვრას?!“ უძველესი კი არა, უუძველესი... და უძლეველი ოპტიმიზმის ტალღა გვანყდება და გადარეცხავს უიმედობისა და ჩივილის უძლურ ნამცეცებს. აგერ თამარ მეფე, ფეხშიშველი რომ მიუძღვის ქართულ მხედრობას — სამშობლოს მინა-წყალზე უტიფრად შემოჭრილი ნუქარდინის აღსაგველად პირისაგან მინისა. აგერ ერეკლე მეფე მიემუხრება ასპინძისაკენ: „ბევრი მტერი გყავს, დიდო მეფეო, არავინაა შენი მომრევი!“ აგერ ალვანში აღმართული ძეგლი ზეზვა გაფრინდაულისა ორგანულად ერწყმის ხალხურ პოეზიაში გალაღებული გმირის სახებას. და პოეტი

ხედავს, რომ შეუპოვარი ვაჟაკი ისევ შემოსილა ჯაჭვის პერანგით და მოძმეთა მისაშველებლად ქარვით მიაქროლებს ცხენს. და სადღეგრძელოსავით ჟღერს: „დაუწოქებელ დიდ საქართველოს სიხარული და გულში ნათელი!“

ჩვენი ისტორიის პერსონაჟებს თან დაჰყვება ხატება მაცხოვრისა, რომლის მოხსენიება არცთუ დიდად მისასალმებელი იყო იმხანად. „ნუ გეშინნ“, — ამწვიდებს სტიქიონისგან შემკრთალ წმ. ნინოს ხმა იდუმალი. „ისას შემედრე, გარდამსახე პირფავრი შენი“, — ლექსის ლირიკული გმირი, კაეშნით მოცული და აფორიაქებული, ასე მიმართავს თავის ბებიას. უკვდავ ხატებას ვხედავთ მინიატურულ პასტორალშიც და, რასაკვირველია, იმ მშფოთვარე ლექსშიც, რომელიც აღწერს ვნების კვირას პალესტინაში, სადაც, პოეტისეული ჰიპერბოლის მიხედვით, ჭიანჭველასაც კი სწყურდა სისხლი.

ლოდინისა და ლოცვის, ფიქრისა და სევდის ტალღები ენაცვლებიან ერთიმეორეს ანა კალანდაძის ლექსებში, ბრწყინვალე დებიუტად რომ შემოანათეს ქართული პოეზიის სავანე და უეცრად — მაჟორული აკორდები, ბედნიერებისა და ზვიმის ექსტაზით ამადლებული სტრიქონები: „მზე იცინის, ვარდფურცლობის დარია და შენს ქოხთან გუგუნია თელბის... კარში გამო, ჭია-ჭია მარია, არას გაგნებ, მხოლოდ მოგვეყვები... უნისლოა, ზეცას გაუდარია, ყაყაჩო ჩანს ცის და მიწის სიცილში... გავიმარჯვებ, ჭია-ჭია მარია, ბარბაროსი დაუღენავს ციციშვილს!“

საყოველთაო სიხარულის აფეთქება დროებით გავიწყებს ყოველგვარ უშენობას, უიმედობას, უნუგეშობას. მოზვიმე ხალხის სუნთქვას გაუთბია მარტოობა პოეტისა.

და კვლავ ჰიპერბოლებს იხმობს რეალისტური რეალიები ჩვენი ისტორიისა: „ქართველს ჯავშანი აკვანში ეცვა, მან ხმლის ხმარება აკვანში იცის...“

საქართველოს სახელოვანი წარსული მჭიდროდ გადაჭდობილა მღელვარე ანმეოსთან. ქართული ნაწი თაზრდელი ქართველი მეომრის სიმღერა ომასიანად გაისმის ბასიანთან რაიხსტაგამდე: „ნაძრახ ყოფას ჩვენ სამარის მიწა გვიჯობს, — ქართულად ხომ მას სიცოცხლე არ ჰქვია? მტერს დაეკარი, სტალინმა თქვა: — ყოჩაღ, ბიჭო, ქართულია, კარგია!“

პოეზია მხოლოდ წარსულში როდი ეძებს ნუგეშსა და იმედს, მას მომავლის ჭვრეტაც ძალუბს და წინასწარმეტყველებაც სჩვევია. ანა კალანდაძის მიერ ოცდახუთი წლის წინათ დაწერილი ერთი ლექსი სულ ახალთახალი, მთლად დღევანდელი გეგონება — ამერიკელი ქართველოლოგებისათვის რომ მიუძღვნია: „ულამაზესი თქვენი ქართული მალამოდ გვხვდება და რწმენას გვმატებს... კარი ღია გაქვთ საქართველოში, ორმოცდაცხრავს გულს გვიხსნის შტატი!..“ და ჩვენც გულს ვუხსნით ორმოცდაცხრავს (ამასობაში ორმოცდაათი გამხდარა. ჩვენ ხომ არ მიგვათვალეს?).

და როგორ არ უნდა დააფასო ფანტასტიკური თავდადება ხანდაზმული და ომებში ნაცადი ამერიკელი სენატორისა, დიდი შეჭირვების ფაშა მხარში რომ ამოგიდგება, ჭაბუკური ვნებით და-მუხტული იარაღს აისხამს და ქართველოლოგთა შორის უპირველეს ქართველოლოგად შერაცხული ამყავდ გამოაცხადებს მთელი მსოფლიოს გასაგონად: „დღეს მეც ქართველი ვარ!“ და უკიდურესი მონივნებით შესვამს ტურფა საქართველოს სადღეგრძელოს.

წოდარ ღუმბაძის სახელობის მოზარდ-მაყურებელთა თეატრში გაიმართა ეკა ფხალაძის წიგნის „თავის უფალი“ პრეზენტაცია. ეს მისი მეორე პროზაული კრებულია. პრეზენტაციას როგორც ქალბატონი ეკას კოლეგები, ასევე მისი მოსწავლეები ესწრებოდნენ, რომლებიც სიტყვითაც გამოვიდნენ. მათ დიდი სიყვარულით და პატივისცემით დაახასიათეს მასწავლებელი და გამოთქვეს თავიანთი აზრი წიგნის შესახებ. მისმა კოლეგებმა ნაკვიკითხეს ფრაგმენტები ამ წიგნში შესული რამდენიმე ნაწარმოებიდან და შეფასებთაც შეაფასეს.

წიგნი ძირითადად ეხება მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობას, ადამიანის თავისუფალ ნებას, წიგნის სახელწოდებაც ზუსტად აქედან გამომდინარეობს „თავის უფალი“.

შემდეგ სიტყვით წიგნის ავტორი ეკა ფხალაძე გამოვიდა. მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას, მიულოცა ხარების ბრწყინვალე დღესასწაული და ორიოდე სიტყვა თქვა თავის ნაწარმოებზე. „მწერალს ორი მასწავლებელი ჰყავს — ცხოვრება და მკითხველი“. ალბათ ცხოვრებამ ასწავლა ასე ლამაზად და მხატვრულად თავისი საოქმედის გადმოცემა ქალბატონ ეკას და მკითხველის ინტერესმა შეაგულიანა, რომ წეროს, წეროს და წეროს... ქალბატონმა ეკამ პირობა დადო, რომ სულ მალე ვიხილავთ მის ახალ წიგნს.

თავყრილობაზე გამოითქვა იმედი, რომ ქალბატონი ეკა არ მოგვაკლებს მისი წიგნების კითხვის სიხარულს, და ახალ ნარმატებებს ვუსურვებთ.